DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Gobejishvili,G. / გობეჯიშვილი,გ. / Гобеджишвили, Г. Г.
- Title: ბედენის გორასამარხების კულტურა / Бедени-Культура курганных погребений
- Publication Date: 1980
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_202542fe03

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

IVE
4083

ბერძანე გოგიჯიშვილი

ბედნის გორასამარხების კულტურა

„მეცნიერება“
1981

IVE
4083

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კომისია
ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ბერძანე გობეჯიშვილი

ბედენის გორასამარხების კულტურა

19696

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1980

ბიბლიოთეკა

902.6(с 41)
63.4(2 Г)
902.6(47.922)
ბ 582

წინამდებარე წიგნში ქვეყნდება ბედენის ზეგანზე აღმოჩენილი გორასამარხების მასალები, რომლებიც დათარიღებულია შუაბრინჯაოს ხანითა და, ნაწილობრივ, ადრინდელიდან შუა ბრინჯაოს ეპოქის გარდამავალი საფეხურით. გორასამარხებში აღმოჩენილ ძეგლებთან ერთად დაწვრილებით არის განხილული სამარხ ნაგებობათა აღნაგობა, დაკრძალვის წესები, მშენებლობის ხელოვნების დონის მაჩვენებელი მასალები და სხვ., რითაც მკაფიოდ ხასიათდება ავტორის მიერ აღმოჩენილი ბედენის კულტურა —კავკასიური ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

ავტორის ცდა, ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა მიიჩნიოს ადგილობრივ სუბსტრატზე განვითარებულ ცივილიზაციად, დამარწმუნებელია და დიდი თეორიული ღირებულების მქონე, რადგან ის ისახება ვითარცა დამახასიათებელი საქართველოს და მთლიანად კავკასიისათვის.

ნაშრომი უხვად არის დასურათებული და მას დიდი ინტერესით მიიღებენ სპეციალისტი არქეოლოგები, უძველესი ისტორიის მკვლევრები და არქეოლოგიით დაინტერესებული მკითხველები.

რედაქტორი ანდრია აფაქიძე

ბ 10602
M 607(06)—80 257—80 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

თეთრი წყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის შექმნის საფუძველი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლულთა მოზრდილმა ჯგუფმა, ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით, 1948—1952 წწ. დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ღონისძიება განახორციელა: კომპლექსურად დაზვერა ქვემო ქართლი და გამოავლინა სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე უცნობი უამრავი ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ძეგლი. ამ უკანასკნელთა შორისაა თეთრი წყაროს რაიონის ზოგიერთი ხელოვნური ყორღანები ანუ გორასამარხები, როგორც ახლა უწოდებენ ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში [5, გვ. 26—27]. აქაური გორასამარხების გარეგნულმა მსგავსებამ მეზობლად მდებარე წალკის რაიონში პროფ. ბ. კუფტინის მიერ 30—40-იან წლებში გათხრილ გორასამარხებთან, რომელთა შესწავლამ გადაშალა საქართველო-კავკასიის უძველესი კულტურის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები [83], აკად. ნ. ბერძენიშვილს შთააგონა მათი ჯეროვანი გათხრა-გამოკვლევის აუცილებლობა. ამ საქმის ხელმძღვანელობა მან ჩვენ მოგვანდო, გადადო რა ინსტიტუტის 1956 წ. გეგმით გათვალისწინებული რაჭის არქეოლოგიური შესწავლის განახლების ვადა, რომელიც აგრეთვე ჩვენ გვევალებოდა.

აკად. ნ. ბერძენიშვილის ექსპედიციის მიერ 1952 წ. მიკვლეულ გორასამარხთაგან ერთი (№ 1) მდებარეობდა თეთრი წყაროდან დასავლეთით, 5 კმ-ზე, სოფელ ივანოვსკისაკენ მიმავალი გზის ხელმარცხნივ, ტყეში, რომელსაც სოფიოსეულს[1] უწოდებენ. ეს იყო 4,50 მ სიმაღლის და 40 მ დიამეტრის ყრილი, შედგენილი ანდეზიტ-ბაზალტის ლოდებისაგან მიწის შეურევლად. მეორე გორასამარხი (№ 2) აღნიშნულ ექსპედიციას მოუხილავს იმავე გზის მარცხნივ ლოგრაშენის კოლმეურნეობის ტყე-ველიან სათიბ-სახნავებში (უსახელო) ტბის [26, გვ. 44] ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაპირის ზემოთ, ნადაბაზევს[2] ახლო. პირველისაგან განსხვავებით, ეს ყოფილა ზედაპირგავლებული ბორცვი, დაახლოებით ისეთივე ზომა-მოყვანილობისა. აკად. ნ. ბერ-

---

[1] ადგილის სახელწოდება წარმოდგება მისი ყოფილი მფლობელის სოფრო ბარათაშვილის სახელიდან.

[2] ნადარბაზევის სახელწოდება წარმოდგება ქვათლილებისაგან ნაგები დიდებული შენობების კარგად შემონახული ნანგრევებისაგან. გადმოცემის მიხედვით, აქ ყოფილა თამარ მეფის საზაფხულო აგარაკი [26, გვ. 44], სადაც, ალბათ, დარბაზიც ანუ სამეფო საბჭოც იწვეოდა ხოლმე. ნადარბაზევის არქეოლოგიურმა გათხრამ, რომელიც 1949 წ. გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა, აქ გამოავლინა წყალსადენის რთული ტრასა და XII—XIII სს. ნივთიერი კულტურის არაერთი სხვა ნაშთი [30].

ძენიშვილის ექსპედიციის თანამშრომლებს, ამას გარდა, რაიონის მოსახლეობიდან მიუღიათ ცნობა ბედენის მთის უტყეო ზონაში რამდენიმე გორასამარხის არსებობის თაობაზე. ნიკო ბერძენიშვილი განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდა პირველი ორი ძეგლის გათხრის შედეგებზე, პირველ ყოვლისა მათი სიდიდის გამო.

სანამ თეთრი წყაროს ახალ ექსპედიციას დავაკომპლექტებდით, 1956 წ. გაზაფხულზე, სწავლულთა მცირე ჯგუფთან ერთად, რომელშიაც შედიოდნენ პროფ. ა. აფაქიძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომლები ნ. ბერძენიშვილი და ი. გრძელიშვილი, ინსტიტუტის დირექტორი თვითონაც წამოვიდა თეთრი წყაროს რაიონში, მის მიერ მოხილული პირველი ორი გორასამარხის საჩვენებლად და მათი გათხრის გეგმის ადგილზევე შესადგენად. ის ძალიან აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ გორასამარხი№ 1 ყრილი, რომელიც მას 1952 წ. აქ უნახავს, ახლა თითქმის აღარ არსებობდა: რაიონის ზოგიერთ დაწესებულებას და კერძო პირს ქვაყრილიდან მხოლოდ 0,80—1,00 მ სისქის ძირი დაეტოვებინათ, სხვა ქვები კი მშენებლობაზე გაეზიდათ. ზედაპირგაველებული გორასამარხი № 2, საბედნიეროდ, ხელუხლები იყო. გადაწყდა, რომ მომავალი ექსპედიცია ბოლომდე მიიყვანდა დანგრეული ძეგლის გათხრას, და ამის შემდეგ, დაიწყებდა გორასამარხ № 2-ის გამოკვლევას, ამის პარალელურად უნდა ჩატარებულიყო დამატებითი საძიებო სამუშაო ახალი ძეგლების მისაკვლევად.

ექსპედიცია ძირითადად დაკომპლექტდა ასპირანტებით და ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკებით[3]. ცოტა უფრო გვიან, როცა საჭიროებამ მოითხოვა, ექსპედიციაში მოიწვიეს გამოცდილი არქეოლოგი ალ. კალანდაძეც. ჩვენს საპატიო მოვალეობად მიგვაჩნია გულწრფელი მადლობით გავიხსენოთ, როგორც ამ პირველი, ისე მომდევნო არქეოლოგიური სეზონების მონაწილე მეცნიერთა და ტექნიკურ თანამშრომელთა სახელები, ენთუზიაზმით სავსე, ერთგული სამსახურის გამო, რომელიც ველზე თუ მასალის კამერული დამუშავებისას მათ გასწიეს მეცნიერებისათვის. ასევე დიდი მადლობით და ღრმა პატივისცემით მოვიგონებთ აკად. ნ. ბერძენიშვილს მისთვის ჩვეული კონსულტაციებისათვის, რომლებსაც ის გვიტარებდა 1956—1958 წწ. ექსპედიციის სამუშაო ობიექტების გათხრის სწორად წასამართად და რთული ძეგლების ხასიათის შესაცნობად. აკად. ნიკო ბერძენიშვილი ინტერესით ადევნებდა თვალყურს გათხრის მიმდინარეობას და ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ექსპედიციისა.

---

[3] 1956 წ. გათხრებში მონაწილეობდნენ: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. კალანდაძე, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები: ქ. ბერძენიშვილი, ნ. ოქროპირიძე; უფროსი ლაბორანტები: ა. ბოხოჩაძე, გ. გრიგოლია, ნ. თუშიშვილი; ასპირანტები: ლ. ნებიერიძე, ლ. სახაროვა, ბ. ტეხოვი, კ. ფიცხელაური, ლ. წითლანაძე; მხატვარი ვ. მესხი; ფოტოგრაფი ვ. კვესი; მძღოლი ვ. ბერუაშვილი, შტატგარეშე მუშაობდნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული კ. კვიჟინაძე და სტუდენტი თ. ბუგიანიშვილი. 1957 წ.—უფროსი ლაბორანტები: ნ. თუშიშვილი, კ. კვიჟინაძე; ასპირანტები: გ. ფხაკაძე, ლ. წითლანაძე; მხატვარი ა. აბრიაშვილი; რესტავრატორი თ. ჯავახიშვილი; მძღოლი ვ. ბერუაშვილი; შტატგარეშე მუშაკები: ლ. დიასამიძე, ზ. ჩხაიძე. 1958 წ.—უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები: ნ. ოქროპირიძე, ლ. სახაროვა, კ. ფიცხელაური; უფროსი ლაბორანტები: ნ. თუშიშვილი კ. კვიჟინაძე, ჯ. ჯღამაია; ასპირანტები: გ. ფხაკაძე, ლ. წითლანაძე; მხატვარი-არქიტექტორი ნ. თოფურიძე; შტატგარეშე მუშაკები: თ. ბუგიანიშვილი, მ. ბულეიშვილი, ლ. დიასამიძე; მძღოლი გ. რაქვიაშვილი. 1959 წ. — უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები: ნ. ოქროპირიძე, ლ. სახაროვა, ო. ღამბაშიძე; უფ-

ექსპედიციის პირველადი სამუშაო გეგმის შეცვლა

გორასამარხი № 1 ნაშთი, ერთი შეხედვით, ადვილი გასათხრელი ძეგლი ჩანდა: 40 მ დიამეტრისა და 0,80 — 1,00 მ სისქის ყრილი, მის ქვეშ სავარაუდებელი მიცვალებულის გვამის დასაკრძალავი კამერითურთ, შეიძლებოდა გათხრილიყო ერთ სეზონში, 20—25 მუშის მონაწილეობით.

სანამ ქვაყრილის აღებას კვადრატების მიხედვით ფენა-ფენა დავიწყებდით, მის გარეთ ამოთხრილი იქნა რამდენიმე შურფი. ამით, ერთი მხრით, უნდა შეგვემოწმებინა ყრილქვეშ მდებარე ძირითადი ქანის ხასიათი, რომელიც ხშირად განსაზღვრავს დასაკრძალავი კამერის სიღრმესა და მოცულობას, მეორე მხრით კი შეგვეძლო ძეგლის თხრისას დაგროვილი ქვის და მიწის მოსათავსებელი ფართობები. დაახლოებით 0,50 — 1,00 მ სიღრმეზე ყველა შურფი დავიდა ვულკანურ ლავამდე. ეს ნიშნავდა, რომ თუ გორასამარხი ორმოიანთა ტიპისა იყო, კამერა ძლიერ ღრმა არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

შურფების ნათხარ მიწაში ბლომად იყო შერეული ძვ. წ. მე-4—3 ათასწლეულების კერამიკის ნატეხები და ქვის ინდუსტრიის გადანაყარები. დაგროვებული ფაქტების საფუძველზე გაჩნდა ვარაუდი, რომ გორასამარხი დადგმული უნდა ყოფილიყო მასზე უხნეს ნამოსახლარზე — სავარაუდოდ, ნასოფლარზე. ამ ვარაუდს მხარს უჭერდა მიმდგომ ფართობებზე შენიშნული, უმეტესად ზედაპირგაველებული წაგრძელებული ქვაყრილები, ერთი მხრით, და გორასამარხის ფუძის პრეპერაციის შედეგები, მეორე მხრით, უკანასკნელი სამუშაოს მსვლელობაში გაირკვა, რომ გასათხრელი ძეგლის დარჩენილი ნაწილის ქვების ყრილში აგრეთვე მონაწილეობდა შავი ჰუმუსური მიწა, არქაული კერამიკის ნატეხები, კაჟისა და ობსიდიანის იარაღებ თუ ანატკეც-ანამტვრევები, ბაზალტის და რიყის ქვების საყოფაცხოვრებო საგნები და მათი ნატეხები, ე. ი. მასალები, რომლებიც შეიძლებოდა ნასოფლარის კულტურული ფენებიდან ყოფილიყო ახვეტილი.

მონაპოვრებმა გვიკარნახეს ექსპედიციის სამუშაო გეგმის გადახალისება იმ მიმართულებით, რომ გორასამარხის ნაშთთან ერთად ნასოფლარიც გათხ-

---

როსი ლაბორანტები: მ. ბარამიძე, ნ. თუშიშვილი, კ. კვიჟინაძე; მხატვარი არქიტექტორი ვ. კანდელაკი; შტატგარეშე მუშაკები: თ. აბულაძე, თ. ბუბიანიშვილი, თ. დადიანი, გ. რამიშვილი, ია ჩოჩუა; მძღოლი ვ. ბერუაშვილი. 1961 წ.—უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები: ნ. თუშიშვილი, ლ. წითლანაძე; მხატვარი-არქიტექტორი: ვ. კანდელაკი; მძღოლი ვ. ბერუაშვილი. 1966 წ. უფროსი მეცნიერი თანამშრომლები; გ. ფხაკაძე, ო. ღამბაშიძე, ნ. ლომოური; უმცროსი მეცნ. თან. მ. ბარამიძე; ნ. თუშიშვილი, ლ. სახაროვა, ლ. წითლანაძე, გ. მირცხულავა, ბ. შატბერაშვილი, შ. ჩართოლანი; ლაბორანტი ზ. კალანდაძე, მხატვარი კ. კვესი; არქიტექტორი კ. მელითაური, რესტავრატორი ო. ბედუკაძე, ფოტოგრაფები: ლ. სკლიფაროვსკი და ი. ნესკოროდიევი, მძღოლი ვ. სიხარულიძე, შტატგარეშე თანამშრომლები: ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი, მ. თუშიშვილი. 1967 წ.—ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები ლ. წითლანაძე და ლ. სახაროვა, არქიტექტურის კანდიდატი კ. მელითაური, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლები შ. ჩართოლანი და ზ. შატბერაშვილი (ხელმძღვანელის მოადგილე) და მხატვარი ნ. ბოტკოველი. 1970 წ. უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი შ. ჩართოლანი, ზ. შატბერაშვილი, მხატვარი ნ. ბოტკოველი, პრაქტიკანტები: ლ. ახალაია, ქ. დვალი. 1971 წ.—უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი გ. ინანიშვილი, უფროსი ლაბორანტები: კ. კახიანი, ბ. მაისურაძე; მხატვარი ნ. ბოტკოველი; ფოტოგრაფი ნ. კუჭაიძე.

რილიყო. ახალი გეგმის განხორციელებამ შეიწირა 1956—1959 წწ. არქეოლოგიური სეზონი, თუმცა იმავე დროს, სახელდობრ 1957—1959 წწ., გათხრილ იქნა გორასამარხი № 2-იც ნადარბაზევთან. ნასოფლარის გათხრის შედეგები განხილული გვაქვს საგანგებო მონოგრაფიაში (№ 19).

ახლად მიკვლეული გორასამარხები

გათხრითი სამუშაოების გარდა, რაიონის მოსახლეობის დახმარებით, ექსპედიცია ატარებდა მიზანდასახულ არქეოლოგიურ დაზვერვებსაც[4], რომელთა შედეგად, სხვა ტიპის ძეგლებთან ერთად, მიკვლეულ იქნა სამეცნიეროწრეებისთვის მანამდე უცნობი გორასამარხებიც. ყველა ეს ძეგლი გაფანტული, ან ჯგუფებად განლაგებულია ხრამ-ალგეთის წყალგამყოფი მთის სამხრეთ კალთაზე, ძირიდან თხემამდე, ზღვის დონიდან 1200—1850 მ სიმაღლეზე. ეს მთა, რომელიც დასავლეთით უშუალოდ ეკვრის წალკის ზეგანს, ხოლო აღმოსავლეთით გრძელდება გუდარეხ-ფარცხისის მიდამოებამდე და გაწოლილია თითქმის ორ ათეულ კილომეტრზე, ვახუშტი ბატონიშვილთან ბენდერის მთად იწოდება [26, გვ. 41—46, 49]. როგორც ამ გეოგრაფის დროს, ისე ახლაც იგი ჭვედა ზოლში ტყიანია, ხოლო ზედაში — ბალახყვავილოვანი და უხვწყაროიანი [26, გვ. 49].

ტყიანი კალთა ნაწილობრივ და მდინარე ხრამის მარცხენა ნაპირის გასწვრივ გაწოლილი ველ-ტყიანი ძირი შედარებით უფრო მჭიდროდ დასახლებულია, უმთავრესად ახლად მოსულ ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლებით, მაგრამ იმავე ზონაში გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება არაბობა-თურქობა-ლეკიანობის დროს გაპარტახებული ქართული სოფლების ნანგრევები, რომელთაგან ერთი უდიდესთაგანი მდებარეობს ზედა, უტყეო სარტყელშიც, ზღვის დონიდან 1700-მდე მ სიმაღლეზე. ბედენის უტყეო ზედა ნაწილი სახელგანთქმულია ბრწყინვალე სათიბ-საძოვრებით, რომელზედაც გადის თრიალეთ-ჯავახეთის ზეგნებისკენ მიმართული „ცხვრის გზა“, დღესაც ისევე მოქმედი, როგორც უხსოვარ საუკუნეებში. თითქოს უეჭველია, რომ მესაქონლეობისათვის მარჯვე ბედენის მთის მფლობელი საზოგადოების საარსებო წყაროს გორასამარხების ეპოქაშიც მეურნეობის იგივე დარგი შეადგენდა, მაგრამ, როგორც განათხარი მასალები გვიჩვენებს მის გვერდით დიდ როლს ასრულებდა მიწათმოქმედებაც. სამხრეთისაზე შეუდარებლად უფრო მოკლე ჩრდილო კალთა ბედენისა ციცაბოდ ეშვება ალგეთის ხეობაში, რომელიც წარმოადგენს სამთო მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და საკუროროტო ზონას. ეს ხეობა, რომელშიც ადრე დამოწმებულია სიძველის მრავალი ძეგლი [32], სამწუხაროდ არ გამხდარა ჩვენი ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის საგნად და ამიტომ შეუძლებელია ახლა ვუპასუხოთ კითხვას, თუ რა ხვედრითი წონა უნდა მიეკუთვნოს გორასამარხთა კულტურას მის ძეგლებში. მიუხედავად ამისა, უფლებამოსილად გვეჩვენება ვარაუდი, რომ ბედენის მთის საზოგადოება მიჯაჭვული უნდა ყოფილიყო ალგეთის ხეობის სამთო-სამიწათ-

---

[4] განსაკუთრებით აღსანიშნავია თეთრწყაროელი ი. იაკოვლევისა და ირაგელი ვ. პიპირიდის უანგარო სამსახური ექსპედიციის სადაზვერვო სამუშაოებში.

მოქმედო რაიონზე, რასაც მოგვაგონებს არა მარტო მათი სიახლოვე და ერთიანობა, არამედ, აგრეთვე, გათხრილ გორასამარხებში აღმოჩენილი ხორბლეულის ნაშთი, რომელიც შეიძლებოდა მოწეული ყოფილიყო ამ ხეობის ფერდობებზე, თუ ის არ წარმოადგენდა ერთი მხრით ბედენის შუა და ქვედა სარტყლის შავმიწიანი, ხოლო, მეორე მხრით, ქვემო ქართლის ველის ყანების პრდოუქციას, სადაც 1956 წლის შემდეგ გამოვლინდა გორასამარხები ბედენური ტიპის ინვენტარით [43]. რაც შეეხება საკუთრივ ბედენის მთის სუბალპურ ზონას, მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, იქ ნაკლებად სავარაუდოა ფართო ხასიათის მიწათმოქმედება.

ექსპედიციის მიერ მოხილული გორასამარხების 2 მცირერიცხოვანი ჯგუფი, შედგენილი 6 და 2 ყრილისაგან, მდებარეობს ფეოდალური დროის სამოსახლოებზე, ბედენის მთის ძირობაზე თეთრი წყაროდან წალკისაკენ მიმავალი გზატკეცილის მარცხნივ, შესაბამისად სოფელ ალექსევკის და მენკალისის სანახებში, მდ. ტორნის[5] აღმოსავლეთით და დასავლეთით. მათგან ზოგიერთი ძლივს თუ გაირჩევა დედამიწის ზედაპირზე, მაშინ როცა სხვების მიწისა და ქვებისაგან შედგენილი ყრილი ამოზიდულია 1,00—2,00 მ სიმაღლეზე. ზედაპირზე ყველას უჩანს მეტ-ნაკლები ზომის ძაბრისებრი ღრმული — საერთო ნიშანი თეთრი წყაროს რაიონის ყველა გორასამარხისა. პირველი ჯგუფის ძეგლები არქეოლოგიურად არ შესწავლილა, მეორე ჯგუფიდან კი ჩვენ გავთხარეთ 1971 წ. მხოლოდ ერთი — № 11, სოფ. მენკალისის აღმოსავლეთ მისასვლელთან ახლო, საკოლმეურნეო ბაღში.

გორასამარხი[6] (№ 3) მიგვასწავლეს ზაალისეულ ტყეში, სოფიოსეულის განადგურებული ქვაყრილიდან (გორასამარხი № 1) 300-ოდე მ მოშორებით მშრალ ხევს გაღმა. ეს იყო ქვაყრილიანი სამარხი, რომლის სიმაღლე და დიამეტრი შესაბამისად განისაზღვრებოდა 1,20 და 14 მ. 1957 წ. ის გასათხრელად შევთავაზეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ერთიან ექსპედიციას, რომლის მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა 1960 წელს [43, გვ. 3—6]. პირველ გორასამარხთან ერთად ეს ძეგლი ქმნის მესამე ჯგუფს. ორივეს აერთიანებს, როგორც ტერიტორიული სიახლოვე, ისე აღნაგობის თავისებურება. მათი ნიშნული ზღვის დონიდან 1300 მეტრამდეა.

მეოთხე ჯგუფის ძეგლები მდებარეობს 1350—1400 მ სიმაღლეზე, ნადარბაზევთან ახლო, იქ სადაც 1957 და 1959 წწ. ჩვენ გავთხარეთ აკად. ნ. ბერძენიშვილის ექსპედიციის მიერ მოხილული გორასამარხი № 2. ამ უკანასკნელის გარდა, რომელიც საკმაოდ დიდი მიწაყრილიანი ძეგლი იყო, ჯგუფში შედის მისგან 30—600 მ სიშორეზე განლაგებული მიწის ან ქვის ნარევისაგან დაზვინული მცირე ზომის 6 ყრილი. ერთი მათგანი (№ 4) ჩვენ გავთხარეთ 1961 წ., მეორე გათხრილია გაძარცვის მიზნით, არც თუ შორეულ წარსულში, დანარჩენები ხელუხლებელია.

გორასამარხთა ამ ჯგუფში ჩვენი ყურადღება მიიქცია ჯერ კიდევ დამა-

---

[5] ხევს, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი „ჭორნის" სახელით იხსენიებს, ჩამოსახლებული რუსები „ასლანკას" უწოდებენ.

[6] გორასამარხები დანომრილია თანამიმდევრულად გათხრის რიგის მიხედვით; გაუთხრელი ძეგლები დაუნომრავია.

ჯერებლად აუხსნელმა, მაგრამ დიდი მეცნიერული ინტერესის გამომწვევმა ფაქტმა. ესაა ვიწრო ბილიკქვაფენილი, რომელიც იწყება მე-2 გორასამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირთან ახლო, მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, ზოგჯერ სწორად, ზოგჯერ ხვეულებით, მიადგება ჩვენ მიერ უკვე გათხრილ № 4 გორასამარხს, რომელიც მისგან 600 მ მანძილზე დევს, გაუხვევს ჩრდილო-დასავლეთისკენ, გაივლის ჯგუფში შემავალ სხვა გორასამარხებთან და, ბოლოს, ისევ გორასამარხ № 2 სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან დამთავრდება. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს შემთხვევითი ბილიკია, სხვა დროს ან სხვა დანიშნულებით გაყვანილი, მაგრამ ამ დაშვების წინააღმდეგ ამეტყველდა კიდევ სამი ანალოგიური ფაქტი: 1957 წ. ზაფხულში, პროფ. ო. ჯაფარიძის ექსპედიციასთან ერთად, გავემგზავრეთ ორდღიან ექსკურსიაზე წალკის რაიონში. იქ ვნახეთ, რომ ასეთივე ბილიკები ერთმანეთთან აკავშირებს პროფ. ბ. კუფტინის მიერ სოფელ კუშჩში და უფრო მთიან საპიტიახშოში (საბიდ-ახჩა) გათხრილ გორასამარხთა ჯგუფს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი სურათი ჩანს ამ უკანასკნელ ადგილას, სადაც ერთ-ერთი გორასამარხიდან გამოსული, ალაგ-ალაგ გაფართოებული ქვის ბილიკი ადის მთის ციცაბო კალთის საძოვარზე, შემდეგ კვლავ დაბლა ეშვება და სხვა გორასამარხებამდე მიდის. თრიალეთის კულტურის გამთხრელი და ინტერპრეტატორი ბ. კუფტინი [82], რატომღაც არც ერთ თავის ნაშრომში არაფერს არ ამბობს ახლახან მოკლედ აღწერილ ბილიკებზე. 1959 წ. იმ ხანებში, როცა პროფ. ო. ჯაფარიძე გასათხრელად ამზადებდა დმანისის რაიონში გომარეთის ზეგნის (ზურტაკეტის) დიდ გორასამარხებს, მსგავსი ბილიკები ამ ჯგუფის ძეგლებშიც შევამჩნიეთ. არც პროფ. ო. ჯაფარიძეს აქვს აღნიშნული ბილიკების არსებობა გათხრის შედეგებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში [43].

სავარაუდებელია, რომ არა მარტო ნადარბაზევს ახლო, კუშჩში, საპიტიახშოში და ზურტაკეტში, არამედ სხვა ადგილებშიც, გორასამარხებს ჯგუფებად აერთიანებდა ჩვენთვის ცნობილი ტიპის ბილიკები, რომლებიც ალბათ მოიშალა მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის განვითარების გვიანდელ საფეხურზე, როცა ერთი მხრივ, ისინი გადაიქცა დაბრკოლებად გუთნისა და ცელისათვის, ხოლო მეორე მხრივ, მივიწყებულ იქნა გორასამარხებში დაკრძალულლებიც. ასეთი დაშვების შემთხვევაში გორასამარხთა ჯგუფები შეიძლებოდა მიგვეჩნია საგვარო ან ეთნიკურ ერთეულთა სასაფლაოებად, სადაც ქვემოთ მოკირწყლული მიხვეულ-მოხვეული ბილიკები, იმ დროის ადამიანთა რწმენით, შესაძლოა, განკუთვნილი ყოფილიყო არა იმდენად ერთგვარ ზღუდეებად, რამდენადაც მონათესავე მიცვალებულთა სულების ურთიერთობის საშუალებებად, ანუ სულთა სამოძრაო გზებად. მართლაც, ასეთი დანიშნულება ჰქონდა, თუ სამგლოვიარო წესის სხვა ასპექტთან იყო დაკავშირებული ეს ძეგლები, მომავალი კვლევის საპატიო ამოცანად რჩება, მით უფრო, რომ ქვის ბილიკთა შედარებით სხვანაირი ტიპი დამოწმებულია საქართველოს გარეთაც, სახელდობრ, ვოლგის ქვემო წელზე [119, გვ. 26; სურ. 23] და ჩრდილო კავკასიაში პიატიგორსკს ახლოს [32, გვ. 54, 110; სურ. 19,6]. ჩვენს მოვალეობას შეადგენდა, უპირველეს ყოვლისა, აღგვენიშნა საველე მუშაობისას შემჩნეული ფაქტი.

გორასამარხთა მეხუთე ჯგუფში შედის 12 ნამდვილად ხელოვნური ყრილი და ორიოდე ბორცვი. ზოგიერთი მათგანი ჩვენზე ადრე მოუხილავთ ქვემო

ქართლის სადაზვერვო ექსპედიციის მუშაკებს. ეს ჯგუფი განლაგებულია ბედენის სუბალპური სარტყლის შუა მონაკვეთზე, სოფელ ივანოვკის ზემოთ, ზღვის დონიდან 1600—1700 მ სიმაღლეზე. ერთის გარდა, ყველა აქაური ყრილი ქვისა და მიწის ნარევს წარმოადგენს და საშუალო სიდიდისაა: სიმაღლე მერყეობს 0,7—2,0 მ შორის, დიამეტრი — 15—35 მ შორის. გამონაკლისს შეადგენდა ერთი მიწაყრილი (№ 5), რომელიც 1966 წელს გაითხარა. მისი სიმაღლე 6 მ-მდე იყო, დიამეტრი —80 მ. ის გამორჩეულ სიმაღლეზე ციცაბო ფლატის ახლო აუზიდავთ, საიდანაც გადაჰყურებდა, ერთი მხრით, ალგეთის ხეობას, მეორე მხრით, — ბედენის სათიბ-საძოვრების შუა ნაწილს. ამ ძეგლს „გადაჭრილ გორას“ უწოდებდნენ [11]. იმავე წელს გაითხარა „გადაჭრილი გორის“ მეზობელი ყრილი № 6, ხოლო 1968 წ. — ორი სხვა გორა-სამარხი: № 7 — ხელოვნური ტბის ნაპირზე და № 8 — დაჭაობებული ვაკის ახლო.

მეექვსე ჯგუფი მიკვლეულია ბედენის იმავე ზოლის დასავლეთ ნაწილში, სოფ. კლდეისს ზემოთ. ამ ჯგუფის ერთი პატარა გორა (№ 9) განცალკევებით დაუდგამთ ტყისა და ველის გამყოფ ხაზთან; ის 1970 წ. გაითხარა. სამი პატარა ქვაყრილი ერთმანეთთან ახლო მდებარეობს კლდეისის ხევის მარჯვენა ტოტთან, მის მარცხენა ნაპირთან ახლო ველზე; ერთ კოლოსალურ სამარხზე, მათგან ასიოდე მეტრის მოშორებით, აშენებულია დაღეთელთა საკოლმეურნეო ფერმა, რომლის ზემოთ განლაგებული სხვადასხვა ზომის ყრილიდან 1970 წ. გაითხარა მხოლოდ ერთი (№ 10). ამათ გარდა, კლდეისის ხევის მარცხენა ტოტთან არის კიდევ ორი ყრილი. ამგვარად, მეექვსე ჯგუფში მიწისა და ქვის ნარევის 11 გორასამარხი შედის. უდიდესი მათგანის სიმაღლეა 6 მ, დიამეტრი დაახლოებით 100 მ. უმცირესების შემაღლება დედამიწის ზედაპირზე ძნელად გასარჩევია. სხვების სიმაღლე და დიამეტრი შესაბამისად მერყეობს, 0,50, — 1,80 და 10—20 მ შორის.

მეშვიდე ჯგუფში, რომელიც თავმოყრილია წალკის რაიონში გადასასვლელ გზასთან, მის მარცხენა მხარეს, 3 მოზრდილი გორასამარხია, სამივე მიწა-ქვაყრილიანი. ერთი მათგანი ნაწილობრივ მოშლილია და მისი ქვებისაგან ცხვრის ფარისთვის საჩეხი შემოუზღუდავთ. თითოეულის სიმაღლე 2,0 მ-დე აღწევს, დიამეტრი — 30—40 მ.

ექსპედიციის მოხილული მერვე, უკანასკნელი, ჯგუფის გორასამარხები მდებარეობს ბედენის მთის თხემზე, ზღვის დონიდან 1750—1800 მ სიმაღლეზე. იქ ჩვენ ვნახეთ ქვისა და მიწის 20 მცირე (დიამ. 15—30 მ, სიმაღლე 0,5—1,5 მ) ყრილი, მაგრამ მწყემსები მიუთითებენ სხვა ყრილებსაც იმავე თხემის ჩვენგან მოუხილავ ადგილებში. როგორც მეშვიდე ჯგუფში, ისევე მერვეშიც არც ერთი გორასამარხი არქეოლოგიურად არ შეგვისწავლია.

ამით ამოიწურება ბედენის გორასამარხთა სია. მასში შედის სადღეისოდ მოხილული 63 სხვადასხვა სიდიდის ძეგლი, მათ შორის 2 მიწაყრილიანი და 61 ნარევი მასალებით აზიდული. უმეტესობის სიმაღლე 0,50—1,50 მეტრამდეა, დიამეტრი 15—25 მ. ხოლო იშვიათად გვხვდება 2—6 მ სიმაღლის და 40—100 მ დიამეტრის მქონე გორასამარხები. არქეოლოგიურად გათხრილია 11 გორასამარხი ანუ აღრიცხულთა საერთო რაოდენობის 17%-ზე ცოტა მეტი. ამ 11 ძეგლთაგან 10 გორასამარხი (№№ 1, 2, 4—11) შეისწავლა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციის კოლექტივმა,

ხოლო 1 (№ 3) — უნივერსიტეტისა და ხელოვნების მუზეუმის ექსპედიციამ. ჩვენ მიერ გათხრილ გორასამარხთაგან 1 მთის ძირის ძეგლებზე მოდის (№ 11), 3 — ტყის ზონაზე (№№ 1, 2, 4), 1 — სუბალპური ველისა და ტყის მიჯნაზე (№ 9) და 5 საკუთრივ სუბალპურ სარტყელშია (№№ 5—8 და 10). გათხრილთაგან განსაკუთრებით დიდი ზომისაა 3 ძეგლი (№№ 1, 2, 5), მათ შორის 1 ქვაყრილით ამოყვანილი (№ 1) და 2 მიწაყრილიანი (№№ 2 და 5).

გორასამარხი 1 (ტ. I—1)

ბედენის ტყიანი სარტყლის ამ ერთ-ერთი უდიდესი ძეგლის ადგილმდებარეობის, ზომის და დანგრევის პირობების შესახებ ზოგიერთი ცნობა ზემოთ იყო მოტანილი. აქ ჩვენ დაგვრჩენია დავუმატოთ ის ფაქტები, რომლებიც მისი თხრის პროცესში გამოირკვა.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლის ფუძის დიამეტრი 10 მეტრით უფრო მეტი იყო იმ ანაზომთან შედარებით, რომელიც 1952 წ. ქვემო ქართლის სადაზვერვო ექსპედიციას გაუკეთებია, და უდრიდა ზუსტად 50 მ. ეს სხვაობა მხოლოდ იმის შედეგია, რომ ქვაყრილის ფუძის პერიფერიული ნაწილები მაშინ გაველებული მიწით ყოფილა დაფარული, ხოლო ჩვენი გათხრისას ის მოიხსნა და ქვაყრილი სრულად გამოვლინდა (სურ. 1).

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ყრილის პრეპარაციისას ძალიან ხშირად გვხვდებოდა ქვის ინდუსტრიის ნაშთები და სხვა ადრინდელი მასალები. ახლა დავძენთ, რომ ყრილს გარეთ ნასოფლარის არც ერთ უბანზე არ ყოფილა ისე უხვად ობსიდიანის დამუშავებული ნატეხები, როგორც თვითონ ყრილში. ეს ნიშნავს, რომ ყრილის დაზვინვისას არა მარტო ნასოფლარის კულტურული ფენებიდან ახვეტილ მიწას მიჰყოლია ეს მასალა, არამედ, აგრეთვე, საგანგებოდაც დაუყრიათ იგი. როცა ამ მოვლენის შესახებ ასე დაბეჯითებით ვწერთ, ჩვენ გამოვდივართ იმ ფაქტიდან, რომ ბედენის დანარჩენი გორასამარხების ყრილშიც, სულ ერთია ქვებითაა დაზვინული ისინი თუ მხოლოდ მიწით, ობსიდიანის ნატეხები უხვად გვხვდება. მსგავსი ფაქტები დამოწმებული აქვს აგრეთვე ზოგიერთ სხვა მკვლევარს [62, გვ. 56, 31, გვ. 41, 42] და ფიქრობენ, რომ ობსიდიანის ნატეხები გარკვეულ საწესო როლს ასრულებდა მიცვალებულის გვამის დაკრძალვისას [31, გვ. 41, 43].

ორიოდე სიტყვა ყრილის ხასიათზე. ქვემო ქართლის სადაზვერვო ექსპედიციის ხელმძღვანელის გადმოცემით, რაც აგრეთვე დასტურდება 1952 წ. გადაღებული ფოტოსურათის მიხედვით (სურ. 2) ყრილი მხოლოდ ანდეზიტ-ბაზალტის ლოდებისაგან შედგებოდა. გათხრის შედეგად გაირკვა, რომ ყველ შემთხვევაში, ყრილის ფუძე ამოყვანილი ყოფილა ქვების და მიწის ნარევით (სურ. 3). ერთიც და მეორეც შეგროვებული უნდა ყოფილიყო ნასოფლარზე — ქვები სხვადასხვა შენობის ნანგრევებში, ხოლო მიწა — მათ ქვემოთ მდებარე კულტურულ ფენებში. აღნიშნული ვარაუდის საფუძვლად დევს ნასოფლარის გათხრის შედეგები: მისი შენობების საძირკვლები ამოყვანილია ისეთივე ქვებით, როგორიც გორასამარხის ყრილში იყო და საძირკვლების გარშემოც ასეთივე ქვები ყრია ხოლმე: კულტურულ ფენებშიც ისეთივე შავი ჰუმუსური მიწა და შიგ შერეული საგნებია, როგორიც ყრილის 1 მ სისქის



სურ. 1. გორასამარხი № 1, ქვის რკალი გორასამარხის დასავლეთ ნაწილში.



სურ. 2. გორასამარხი № 1 ქვაყრილი



სურ. 3. გორასამარხი № 1 ქვაყრილის მოხსნის შემდეგ

ფუძის გათხრამ მოგვცა. აღნიშნულ გარემოებას უეჭველად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გორასამარხის შედარებითი თარიღის დასადგენად: სრულიად უეჭველია, რომ გორასამარხი სოფიოსეულის ნასოფლარის მერმინდელი დროისაა.

ყრილის დახასიათებას რომ მოვრჩეთ, საჭიროა მივუთითოთ კიდევ ერთი ფაქტი. შედარებით წვრილი ქვების მოხსნის შემდეგ გაირკვა, რომ გორასამარხს აღმოსავლეთ ნახევარზე ყრილის ნაპირების გასწვრივ გასდევს დიდრონი ლოდების წყვილი, ერთ ადგილას გასამებული და შუაში გაფართოებული რკალი, თავისებური კრომლეხი, რომელიც ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო, მოსალოდნელ წრეს არა ჰკრავს. წრის შეუკვრელობის მიზეზის იმაში ძებნა, რომ ვითომც მიცვალებულის ჭირისუფალთ დიდი ლოდები ვერ იშოვნეს მახლობელ მიდამოებში, მართებული არ იქნება, ვინაიდან ისინი განუსაზღვრელი ოდენობით ყრია ნასოფლარის დასავლეთით ნაპირთან ჩამავალი ხევის კალაპოტში და მის აქეთ-იქეთ, ისევე, როგორც ზოგიერთი ნაგებობის გადარჩენილ საძირკვლებში. კრომლეხის მოყვანილობაზე დაკვირვება უფრო იმას მოწმობს, რომ წრე განზრახ უნდა დაეტოვებინათ შეუკვრელად, რკალის სახით, რათა ის მიმსგავსებოდა ნაკლულ მთვარეს. მართლაც, ფოტოსურათი აჩვენებს, რომ რკალის შუა ნაწილი ფართოა, მაშინ როცა ბოლოები შევიწროებულია ნაკლული მთვარის ქიმებივით (სურ. 1).თუ ეს შთაბეჭდილება სწორად ასახავს სინამდვილეს, მაშინ გორასამარხის მშენებელთ ციურ მნათობთა, კერძოდ მთვარის, კულტი უნდა მივაწეროთ. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ მათი იდეოლოგია ზოგიერთ ასპექტში მაინც ემთხვეოდა ნასოფლარის ოდინდელის მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებს, რამდენადაც ასტრალური კულტის არსებობა ნასოფლარის ნაშთების მიხედვითაც თითქოს დადასტურდა [19].

ქვაყრილის შუა ნაწილის ქვეშ გამოვლინდა კლდეში ამოკვეთილი სამარხი (სურ. 1). როგორც მოსალოდნელი იყო, ის ძალიან ღრმა არაა, ვინაიდან მაგარი ქანის გაკვეთა დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. აკლდამის გრძივი კედლები საკმაოდ დანაპრალებულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კლდის სანგრევად აქ გამოყენებული იყო ცეცხლი და წყალი, ე. ი. ის მეთოდი, რომლითაც უძველესი სამთამადნო წარმოების მუშაკები მუშაობდნენ. აკლდამა დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და შედგება ორი სათავსოსაგან, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს ვიწრო გასასვლელი. უფრო მოზრდილი დასავლეთი სათავსოს სიგრძე უდრის 1,50 მ, ხოლო სიგანე— 1,20 მ, აღმოსავლეთი სათავსოს შესაბამისი ზომებია: 1,20 და 1,00 მ, სიღრმე ორივესი ერთნაირია და უდრის 1,20 მ. ზემოთკენ აკლდამა თანდათანობით ფართოვდება.

აკლდამა მდებარეობს იმ დიდი ღრმულის ქვეშ, რომელიც 1952 წ. შეუნიშნავთ ქვემო ქართლის სადაზვერვო ექსპედიციის თანამშრომლებს. მათი გადმოცემით ღრმულის სიღრმე 2 მეტრამდე იყო, ხოლო მისი თავის დიამეტრი 3 მეტრზე ოდნავ უფრო მეტი. ამ ზომის სიცარიელე არ შეიძლებოდა გაჩენილიყო აღწერილი ზომის აკლდამის გადახურვის ბუნებრივი ჩაწოლის გზით. უეჭველია, რომ ის ამოთხრილი იყო განძის მაძიებელთა მიერ. მართლაც, აკლდამა, რომელიც ავსებული იყო შავი ჰუმუსური თიხით და ყრილიდან ჩაცვენილი ქვებით, გაძარცული დაგვხვდა. შიგ არ იყო ადამიანის ჩონჩხის

არავითარი ნაშთი და არც სამარხეული ინვენტარი, გარდა ზოგიერთი საეჭვო ნატეხისა.

აკლდამის აწინდელი ზედაპირის დონიდან 0,40 მ სიღრმეზე აღმოჩენილია ფეოდალური ხანის მოჭიქული კერამიკის პაწია ნატეხი. აღნიშნული დროის კერამიკის ნატეხები ქვაყრილის სხვა ნაწილებშიც არაერთხელ შეგვხვდა და ისინი მივიჩნიეთ ქვებს შორის დარჩენილ ხვრელებში გვიან ჩაცოცებულ მასალებად. შესაძლოა ეს ვარაუდი გავრცელდეს სხვა კვადრატში აღმოჩენილ ნატეხებზედაც, თუმცა მაინც რჩება ეჭვი, რომ ამ სიღრმეზე ის შესაძლოა მოხვედრილიყო აკლდამის გაძარცვის დროს.

მეორე ნივთი, აღმოჩენილი აკლდამაში (E^4 — კვადრატი), არის სპილენძის მცირე მანჭვალი. მისი სიგრძეა 3 სმ, დიამეტრი 0,7 სმ. იდო აკლდამის სახურავის დონიდან 0,6 მ სიღრმეზე, იატაკთან შედარებით უფრო მაღლა. გათხრის დღიურებში ის მიჩნეულია სამარხის ინვენტარის ნაშთად, უპირველეს ყოვლისა, ცხინვალის ნაცარგორაზე ერთ-ერთ უძველეს სამარხში ნაპოვნ მანჭვალთან [10, გვ. 242; ტაბ. III, 2] მსგავსების გამო; მაგრამ არ შეიძლება უარვყოთ მისი იქ მოხვედრის სხვა შესაძლებლობა.

აკლდამაში შეგვხვდა ვარდისფერსარჩულიანი შავპრიალა თიხის ჭურჭლის მუცლის 2 პატარა ნატეხი. არც ერთზე არ ჩანს მორგვზე გამოყვანილობის რაიმე კვალი. ამ ნატეხების მიხედვით შეუძლებელია ჭურჭლის პროფილზე წარმოდგენის შექმნა, ურომლისოდაც მხოლოდ დიდი ალბათობით თუ ვიმსჯელებთ მათ ხნოვანებაზე. ხელით ნაძერწი ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა, როგორც ახლა ცნობილია, პროფ. ბ. კუფტინის გამოკვლევების მიხედვით, გავრცელებულია მტკვარ-არაქსის კულტურაში [83] და ადრე ბრინჯაოს ხანის თრიალეთის გორასამარხების მშენებლობის დროსაც [82]. თეთრი წყაროს (სოფიოსეულის) ნასოფლარზე ის ბატონობს ზედა ფენაში, რომელიც აქ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების II საფეხურზე წარმოქმნილა [19]. ჩვენს აკლდამაში ნაპოვნი ნატეხების კეცი თუმცა ორფენიანია და უმორგვოდ ნაკეთები, ზედაპირის მაღალხარისხოვანი სიპრიალით უფრო ახლოს დგას შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის გორასამარხების ადრეული ჯგუფის კერამიკულ მასალებთან [20, გვ. 39—44]. ამიტომ მართებული იქნება, თუ მათ განვიხილავთ, როგორც სამარხის ინვენტარის ნაშთს და არა ნასოფლარის დანგრეული ფენებიდან აკლდამაში შემთხვევით მოხვედრილ საგნებს. ასეთი დაშვების შემთხვევაში პირველი გორასამარხის სახით საქმე გვექნებოდა შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისის ძეგლთან.

აღნიშნული ძეგლის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის შეფასებას, ცხადია, ერთგვარ დაბრკოლებას უქმნის სამარხეული ინვენტარისა და მიცვალებულის ჩონჩხის თითქმის სულ არარსებობა, მაგრამ კოლოსალური ქვაყრილი და კლდეში ნაკვეთი აკლდამა, რომელთა მშენებლობაზე დახარჯულია უაღრესად დიდი შრომა, საკმაო საბუთებია, რათა იქ დაკრძალულ ადამიანს მივაწეროთ ფრიად მაღალი ადგილი თანამეტომეთა შორის. საფლავის გაძარცულობაც ნართაული საბუთია აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ, ვინაიდან საეჭვოა განძის მაძიებლებს გაერღვიათ მძიმე ლოდების ქვაყრილი აკლდამაში ჩასაძრომად, თუ მათ გამოცდილებით არ იცოდნენ თავისი „შრომის“ ასანაზღაურებელი ჯილდოს ფასი, ე. ი. თუ დარწმუნებული არ იყვნენ რომ საფლავში იპოვნიდნენ მდიდრულ საგნებს.

ეთნო-კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ორგანყოფილებიანი, კლდეში ნაკვეთი აკლდამა მძიმე ყრილქვეშ. ამიერკავკასიის მიწა-წყალზე სხვა ასეთი ძეგლი ჩვენ არ გვეგულება. სამაგიეროდ, გარკვეული ახლობლობა შეიმჩნევა მასა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადრინდელი (?) ბრინჯაოს ხანის ზოგიერთ სამარხს შორის. მაიკოპის დიდი გორასამარხის ყრილის ქვეშ, როგორც ცნობილია, მდიდრულ ინვენტარიანი ხის აკლდამა სამი განყოფილებისგან შედგებოდა [100, გვ. 3]; სტანიცა ნოვოსვობოდნაიას (ცარსკაიას) გორასამარხის ყრილქვეშა ორივე დოლმენი ორ-ორ სათავსიანი იყო [105, გვ. 33—37; სურ. 48, 53—55; 113]. ერთი სიტყვით, მსგავსება თვალსაჩინოა მიუხედავად იმისა, რომ ჩრდ.-დას. კავკასიის ეს ძეგლები დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და არც კლდეში ნაკვეთი ყოფილა, მაშინ როცა თეთრ წყაროსთან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიქცეული განსასვენებელი სწორედ კლდეშია ამოკვეთილი. მაგრამ ერთი და იმავე კულტურის კუთვნილი ყუბანისპირეთის სამარხებიც ხომ ერთმანეთისაგან განსხვავდება კონსტრუქციულად — პირველ შემთხვევაში— სამგანყოფილებიანი ხის აკლდამაა, მეორე შემთხვევაში კი — ქვისფიცრებისაგან მჭიდროდ შეკრული ორ-ორ განყოფილებიანი დოლმენები. მაშასადამე, ბედენის პირველი გორასამარხის მაიკოპის კულტურის წრესთან გარკვეული სიახლოვე საკმაოდ სარწმუნო ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

გორასამარხი 2 (ტ. I—2, 3, 4, ტ. II—XI)

ნადარბაზევს ქვემოთ გათხრილ მეორე გორასამარხს ირგვლივ საზღვრავს ბუნების მშვენიერებით უხვად დაჯილდოებული ადგილები, სადაც ბალახყვავილოვან შავმიწიან სახნავ-სათიბ მცირე მინდვრებს ენაცვლება ლელიანი ტბა და უმეტესად მუხნარი ტყე. აქ პურის და თივის დიდებულ მოსავალს ღებულობენ ჯიგრაშენის კოლმეურნეები და საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბრინჯაოს ხანის ადამიანებიც კმაყოფილი იყვნენ ამ მიწების ნოყიერობით.

გორასამარხი, რატომღაც, დაუზვინავთ მცირედ დაქანებულ ფერდზე, რომლის ზედა ზოლიდან ჩამონადენი წვიმის წყალი მას პირდაპირ ეხეთქება და, როგორც ჩანს, ყრილშიც ჟონავს (გათხრების დროს მისი ფუძე ჩრდილო სექტორისკენ ატალახებული იყო).

სიმაღლე გორასამარხისა განისაზღვრებოდა 4 მ, ხოლო ფუძის დიამეტრი 70-მდე მეტრით. ზედაპირზე, ზედ შუაში, ჩაზნექილი იყო 0,70 მ სიღრმისა და 10 მ დიამეტრის მქონე ძაბრისებრი ორმო, რომელშიც ფესვი გაედგა ახალგაზრდა ბუჩქნარს; ყრილის სამხრეთი პერიფერიისკენ კი ამოზრდილა ტანმაღალი მუხა[7]. თვითონ ყრილი წაგრძელებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 8,60 მ სიგრძის, 5,40 მ სიგანისა და 2,20 მ სიღრმის სამარხ-კამერაზე და მის გარეთ (ტ. II—3). მისი ძირი შედგებოდა კულტურული ნაშთების შემცველი, 0,80—6,20 მ სისქის ქვის „ჯავშნისგან“, რომლის შუაგული

[7] ეს ხე, რომელსაც ექსპედიცია იყენებდა თითქმის შვეული ფოტოგადაღებისათვის, ხელუხლებლად დარჩა (ტ. 1—3).

გათხრის დროისათვის ჩაწოლილი იყო კამერაში, ხოლო განაპირა შვერილები სხვადასხვა მანძილზე სცილდებოდა მის კონტურებს; ვერ აღწევდა ვერც ერთი მათგანი გორასამახრის ფუძის ნაპირამდე. უფრო ზუსტი თხრობისათვის აღვნიშნავთ, რომ ქვის ჯავშანი კამერის აღმოსავლეთი ნაპირიდან გადიოდა მხოლოდ 0,60—1,40 მ და დასავლეთ ნაპირიდან 1,30—2,20 მ მანძილზე, მაშინ როცა ჩრდილო ნაპირს 1,40—3,00 მეტრით, ხოლო სამხრეთ ნაპირს 1,40—6,70 მ სცილდებოდა და ამგვარად ქმნიდა ნაირი ზომის ქიმებიან, 12, 13 მ დიამეტრის მქონე ქვაყრილს (ტ. II—4). ქვის ამ ჯავშანს დაუმარხავს პირველყოფილი ნიადაგი ისეთი კულტურული ნაშთებითურთ, როგორიცაა ობსიდიანის რამდენიმე საფხეკისებრი იარაღი კერამიკისა და შინაური წრვილფეხა და მსხვილფეხა რქოსანთა ძვლების ნატეხები, თვითონ ჯავშნის ზემოთ დაზვინული იყო არაჩვეულებრივად შემკვრივებული შავი ჰუმუსური თიხის თითქმის 3 მ სისქისა და 10—12 მ დიამეტრის მქონე ყრილი, რომელშიაც ჩანს იშვიათად, კულტურული ნაშთებისა და ქვის ლოდების ჩანართები. ეს შავმიწიანი ყრილი მოდიოდა უშუალოდ ძაბრისებრი ღრმულის გასწვრივ. გორასამარხის ყრილის გარეთა ნაწილი შედგებოდა თითქმის უმინარევო წითელი ოქროსფერი თიხისაგან, რომელიც სქელ საფარად ირგვლივ შემოჰკროდა ზემოხსენებულ შავმიწიან გულას და დასწოლოდა პირველყოფილ ნიადაგსა და ჯავშნის სამხრეთი და ჩრდილოეთი შვერილების ბოლოს. გორასამარხის შუაში აღმოსავლეთიდან დასავლეთით ნაპირამდე გამავალი 22 მ სიფართის არქეოლოგიური თხრილის ორთავე გრძივი კედლის ჭრილში კარგად ჩანდა, რომ წითელი და შავი თიხა დასავლეთ მხარეზე ერთმანეთს უერთდებოდა თითქმის სწორხაზოვნად, მაშინ, როცა აღმოსავლეთ საზღვარს ქმნიდა ზემოთ გარეთკენ გადახრილი მრუდი (ტ. II—1, 2), რაც ამ გვიანდელი დარღვევის შედეგი უნდა იყოს, ან უნდა ვიფიქროთ, რომ ჯერ წითელი თიხის გარსაკრავი დაზვინეს და შემდეგ კი შავი მიწით ამოავსეს მისი ცარიელი გული.

კულტურული ნაშთების შემცველი შავი ჰუმუსური თიხა, რა თქმა უნდა, მოთხრილია თვით გორასამარხის ახლოს, სადაც ძველი დასახლების სუსტი კვალიც შეიმჩნევა, ხოლო 0,5 კმ მოშორებით, მდინარე ტორნის ნაპირზე, ექსპედიციის სადაზვერვო ჯგუფის ხელმძღვანელმა გ. გრიგოლიამ მტკვარ-არაქსის კულტურისა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორაც მიაკვლია. რაც შეეხება ოქროსფერ თიხას, რომელიც გავრცელებულია მთელი სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნის გაციებული ლავების ქვეშ, მისი გამოსავალი არ მოიძებნება გორასამარხის მეზობლად, ყოველ შემთხვევაში 5 კმ რადიუსზე და ის აქ უნდა მოეტანათ დაკრძალულის თანამეტომეებს უფრო შორი მანძილიდან. ეს გარემოება გვიკარნახებს, ერთის მხრივ, რომ წითელი თიხა, როგორც ოქრა ბევრ ძველ ტომში, დაკავშირებული იყო გვამის დაფლის სამგლოვიარო წესებთან [61; 125, გვ. 294], ხოლო, მეორე მხრით, აღძრავს საკითხს ბრინჯაოს ხანის ქვემო ქართლში გზებისა და ჭაპნის თაობაზე, რომლის მოსარგები გასაღები, როგორც უკვე ცნობილია [86, გვ. 23; 43, გვ. 75—79] და ქვემოთ კიდევ ერთხელ დავინახავთ, თვითონ აქაური გორასამარხების გათხრამ მოგვცა.

ზედაპირიდან 1,50—2,00 მ სიღრმეზე ნადარბაზევის ამ ძეგლში ჩაშვებული იყო ქრისტიანული წესით დაკრძალული 3 გვამი, მათგან 2 შავ, ხოლო 1 ოქროსფერ მიწაში. პირველი ორის საფლავს გადახურვის არავითარი ნაშ-

თი აღარ შერჩენოდა, ხოლო მესამეს ეფარა მოცისფრო ტუფის ფიცრები (ტ. IV—3). ინვენტარი არც ერთს არ გააჩნდა, რომ მისი მიხედვით შესაძლებელი ყოფილიყო ჩაშვებული საფლავების ხნოვანების დაზუსტება; არც სხვა რამ გვიანდელი ნივთი გვიპოვია ამ ძეგლის გათხრისას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყრილის სამხრეთ-დასავლეთ კიდესთან კორდის ფენაში აღმოჩენილ არაბულ ფელსს, რომელიც შეიძლებოდა შემთხვევით გამვლელსაც დაჰკარგოდა.

კულტურული ნაშთების შემცველი ქვის ჯავშნის ქვეშ, როგორც გაკვრით უკვე ითქვა, გამოვლინდა მთავარი მიცვალებულის გვამის დასაკრძალავად განკუთვნილი კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედისებრი ორმო, რომლის დამრეცი და ოღროჩოღრო იატაკი ჩაშრილია ანდეზიტ-ბაზალტის ქანში. ზოგ ადგილას ის გასწორებულია ქვის წვრილმანი ნატეხებითა და მიწით და, ამგვარად, შექმნილია ჭურჭლეულის დასადგმელი მცირე მოედნები. კლდიდან ამოჩრილი უზარმაზარი შვერილები, აგრეთვე, მოსწორებულია, ალბათ, ქვის მძიმე უროებით და თან გადაგლესილია ფერფლისფერი ან წაბლისფერი თიხით ისე, რომ მათი ზედაპირი თითქმის თარაზულ სიბრტყეს წარმოადგენს. ასეთ ბაქანზე, თითქმის ყველა შემთხვევაში, სამარხეული ინვენტარის შემადგენელ ნივთებს ქვეშ აღმოჩენილია ჭილოფის მცირე ნაფლეთები ანდა მათი ანაბეჭდი. ამის მიხედვით საფიქრებელია, რომ იატაკი სამარხისა მოფარდაგებული იყო ჭილოფით.

ერთ ბაქანზე, სამარხის ჩრდილო კედლის შუა ნაწილიდან 1,00 მ დაშორებით სამხრეთისკენ, გაიწმინდა მიცვალებულის თითქმის მთლად დაშლილი ჩონჩხი, რომელსაც თან არ ახლდა არც კისრის მალებისა და არც თავის ქალის თუნდაც სულ მცირედი ნაშთი. ჩონჩხის ძვლებიდან გაირჩეოდა ორივე ტერფი, ორივე დიდი წვივის ნატეხი, მარცხენა ბარძაყი, მარჯვენა ბარძაყი მცირე დანაკლისით, მენჯის ძვლები, ხერხემლის მალები, რამდენიმე ნეკნი, ორივე იდაყვისა და ორივე სხივის ძვლების ქვედა ნაწილები. მიცვალებული დაუსვენებიათ მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, ტანის ზედა ნაწილით (თავით) სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიქცეული (ტ. IV—2). მის ქვეშ მუქი წითელი საღებავით გაჟღენთილ თიხით გადაგლესილ კლდოვან იატაკზე შენახულია ჭილოფის უმნიშვნელო ნაფლეთები. ძვლებსაც ემჩნეოდა წითელი საღებავის კვალი.

უთავო ჩონჩხის ახლო არ აღმოჩენილა არავითარი ინვენტარი. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდაც ძნელი ასახსნელია ის ფაქტი, რომ თითქმის 30 მ² ფართობის მქონე სამარხი, მისი ჩრდილო და დასავლეთი კედლების წინა ვიწრო ზოლების გამოკლებით, პირწმინდად ცარიელი იყო. აიხსნება ეს იმით, რომ სამარხი განძის მაძიებელთა მიერაა გაძარცული, თუ ეს ცარიელი ფართი ოდესღაც ეკავა ადვილადშლადი მასალებისაგან დამზადებულ ნახელავებს, ძნელი სათქმელია. ორგანულ ნივთიერებათა ნალპი, მართალია, შეინიშნებოდა სამარხის პრეპარაციის დროს, მაგრამ ასევე დამოწმებულია ძეგლის ნაძარცვობის მაუწყებელი ზოგიერთი ფაქტიც, რომლებმაც რაიმე მნიშვნელოვანი საგნების აღმოჩენის იმედი დაუკარგა ჩვენი ექსპედიციის ზოგიერთ თანამშრომელს და მისი მუშაობის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაატოვებინა იგი. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვლინდა დიდი მეცნიერული მნიშ-

15696

ვნელობის ინვენტარი (ანდა მისი ნაშთი, თუ სამარხი მართლაც გაძარცული იყო).

სანამ ექსპედიციის მუშაობის ბოლო დღეებში გამოჩენილ მასალებს გავიცნობდეთ, საჭიროდ ვთვლით დავახასიათოთ ორმოსამარხის იატაკზე მანამდე გაწმენდილი კერამიკული ნატეხები, რომელთაგან მხოლოდ ერთი ჭურჭელი შეკოწიწდა თითქმის სრულად, მეორე — ნაწილობრივ, ხოლო მესამისა აღდგა მარტო ცალკეული ნაწილები.

კერამიკული მასალა გაბნეული იყო სამარხის დასავლეთ ნაწილში, სამ არათანასწორ ჯგუფად: 1. ორმოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, უფრო ახლო ჩრდილო კედლისაკენ ჩამსხვრეულა ვარდისფერსარჩულიანი შავპრიალა დერგი (№ 124), რომლის ბევრი ნატეხი, აგრეთვე შერეული იყო მეზობელ ჯგუფშიაც, ხოლო ერთი შეგვხვდა ორმოს გარეთ, ამ უკანასკნელის სავარაუდო სახურავის დონესთან შედარებით უფრო მაღლა, სადაც ის ვერ მოხვდებოდა შეგნებული ძალის ჩაურევლად. შეკოწიწების დროს დერგს დააკლდა საკმაოდ ბევრი ნატეხი, მაგრამ მისი პროფილი სრულად აღდგა (ტ. III). ის ხელით ნაძერწია მსხვილმინარევიანი თიხის ცომისაგან. გამოწვის ხარისხი დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება. ტანის მოყვანილობა უახლოვდება შუაში გამობერილი ბიკონუსის ფორმას, ოღონდ ქვედა და ზედა ნაწილი მდორედ გადადის ერთმანეთში. ძირი ბრტყელი და ვიწრო აქვს. შედარებით უფრო ფართო, მაგრამ ძალიან დაბალი ყელი დაგვირგვინებულია გარეთკენ მცირედ გადახრილი და მომრგვალებული პირით. დახრილ მხრებზე შვეულად მიმაგრებული თითო ყური არაპროპორციულად მცირე ზომისაა (სურ. 4). მათ ზურგზე შუაში დაუყვება საკმაოდ შემაღლებული ლილვი, ხოლო ქვედა ფუძიდან ასევე რელიეფური წრე, თითქოს ლითონის ჭურჭლის დამახასიათებელი საკარბე რგოლის მინაბაძი. თვითონ კარბას, ალბათ, განასახიერებს თაღისებრ მაღლა ატყორცნილი, აქეთ-იქით მოკლეფეხებგაშვერილი რკალი, რომელიც, მასთან დაკავშირებულ სამ მსხვილ კოპთან ერთად, ორ მოპირდაპირე მხარეზე მეორდება. დერგის სიმაღლეა 60 სმ, საიდანაც ყელ-პირზე მხოლოდ 4 სმ მო-



სურ. 4. გორასამარხი 2. რესტავრირებული თიხის დერგი

დის; მუცლის დიამეტრი — 55 სმ, ძირის დიამ. — 17 სმ, პირის დიამ. —26 სმ, კეცის სისქე — 1,5 სმ.

2. ნატეხების უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი გაიწმინდა პირველის სამხრეთით. მიუხედავად სიმრავლისა, მათი ნაპირების ჩამომსხვრევა-ჩამოშლის გამო, შეკოწიწდა მეორე დერგის მხოლოდ ზედა და ქვედა ნაწილები, შუა სარტყლის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოკლებით (ინვ. № 125). გრაფიკული რესტავრაციის მიხედვით (სურ. 5) ეს ჭურჭელიც ზემოთ უკვე აღწერილი დერგის ოდნავ სახეშეცვლილი განმეორებაა. ძირითადად განსხვავებას ქმნის პირველთაგან შედარებით უფრო ფართო და ყელის გარეშე ზედ მხრებზე და-



სურ. 5. გორასამარხი 2. რესტავრირებული თიხის ჭურჭელი

დგმული პირი, აგრეთვე ყურების სეგმენტური განივკვეთი და გარეთა ზედაპირის სრული სისადავე. ეს დერგიც მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან დაუმზადებიათ, ხელით, სამეთუნეო მორგვის გამოუყენებლად. გამომწვარია მეტად სუსტად, ისე, რომ რბილი კეცი ხელს სვრის, იშლება. ოდინდელი წერნაქისგან აქა-იქ მხოლოდ მისი კვალი შერჩენია. გარეთა ზედაპირი შავლეგაა, სარჩული კი — ჩალისფერი. დერგის სიმაღლეა 55 სმ, მუცლის დიამ. — 51 სმ, ძირისა — 14,5 სმ, პირისა — 32 სმ, კეცის სისქე — 1,2 სმ.

3. ისეთივე თიხისაგან ნაძერწი და რბილი კეცის მთელ სისქეზე ნარინჯისფრად გამომწვარი ჭურჭლის ნატეხების (№ 123) მცირერიცხოვანი ჯგუფი აღმოჩენილია ორმოს სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ახლო, სხვადასხვა დონეზე. ზოგიერთი ნატეხი იდო კამერის სამხრეთი კედლის თავზე, ქვის ჯავშანზე. ზოგიც გაჩხირული იყო ორმოში ჩაზავებულ მიწასა და ქვებში, სხვები იატაკზე ეყარა. ჭურჭლის არც ძირისა და არც ყელ-პირის ნატეხები არ აღმოჩენილა, რაც აძნელებს მისი ფორმის წარმოდგენას. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ნატეხების კეცის სისქე (1,5 სმ) საკმაოდ დიდ ჭურჭელს მიგვანიშნებს. რბილი კეცით (რომელიც ხელს სვრის, მყარ საგანზე ადვილად წერს და წყალსაც ღებავს), ფერით და სხვა ფიზიკური თვისებებით ეს ჯგუფი ძალიან ახლო დგას თეთრი წყაროს ნასოფლარის ორივე ფენაში ერთნაირად გავრცელებულ ნარინჯისფერ და ვარდისფერ კერამიკულ მასალასთან [19].

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ თითქოს ჭურჭელი, რომელსაც № 123 ნატეხები ეკუთვნიან, თავდაპირველად ორმოს სახურავზე იდგა და ამ უკანასკნელის ჩაწოლის შემდეგ ჩაიშალა; მაგრამ უფრო მართებულად გვეჩვენება ვარაუდი, რომ მისი ნატეხები ქვემოდან ზემოთ არის აყრილი. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ იატაკზე გაფანტული ნატეხები ზედ დასწოლოდა ჭურჭლის დასადგმელად წვრილი ქვებისა და მიწისაგან გაკეთებულ ბაქანს (ტ.—IV—6). ეს გარემოება ერთ-ერთი ნართაული საბუთია სამარხის ნაძარცვობის სამტკიცებლად.

თიხის ჭურჭლის ნატეხების უკვე აღწერილი სამი უმთავრესი ჯგუფის გარდა, სამარხის ორმოს იმავე სამხრეთ-დასავლეთ იატაკზე, კუთხეში აღმოჩენილია ორი პატარა ნატეხი (№ 121), ორივე სანაქებოდ გამომწვარი ფერფლისფერსარჩულიანი და შავპრიალა ზედაპირიანი თხელკედლიანი (4 მმ) ჭურჭლისა. ზუსტად ასეთი თვისებებით აღჭურვილი რამდენიმე სხვა ნატეხი ნაპოვნია ერთმანეთისაგან განსხვავებულ დონეებზე. ერთ-ერთი მათგანი დამოწმებულია ქვის ჯავშნის დონეზე შავ მიწაში (ინვ. № 15), მეორე — ორმოს დასავლეთ ნაწილში, ნული წერტილიდან 4 მ ქვემოთ (ინვ. № 59), მესამე — იმავე ფართობზე, ოღონდ 0,40 მ-ით უფრო დაბლა (ინვ. № 69) და მეოთხე— ამოყრილ მიწაში, დინის დაუდგენლად (ინვ. № 6 ა). ერთ-ერთ მათგანს (ორი ნატეხით წარმოდგენილ № 59) თარაზულად გასდევს ერთმანეთისაგან ვიწრო და მკვეთრი წიბოებით გამიჯნული ხუთი ფართო თარაზული ღარი, შესაძლოა, რომ ეს ნატეხები სახეებით შემკული ერთი სუფრის ჭურჭლის კუთვნილება იყოს. შეიძლება მისივე ნატეხები იყოს მხოლოდ სარჩულის ფერით განსხვავებული სხვა მონაპოვრები, რომლებიც აგრეთვე ორმოს იატაკის ზემოთ სხვადასხვა დონეზე შეგვხვდა. ასეთებია, მაგალითად, ვარდისფერსარჩულიანი ნატეხები №№ 56, 72 და 79 და სამ ან ოთხშრიანი №№ 39 და 75. ერთ-ერთ მათგანს (№ 72), მართალია, ღია-ვარდისფერი სარჩული აქვს და არა ფერფლისფერი, რაც ახასიათებს № 59 ნატეხს, მაგრამ მის შავპრიალა ზედაპირსაც გასდევს ხუთი თარაზული ღარი, თუმცა იმ შვეულ ღარების ზემოთ, რომლებიც შეიძლებოდა ჰქონოდა № 59-საც. საზოგადოდ არის შემთხვევები, როცა ერთიდაიმავე ჭურჭლის კეცის გადანატეხში სხვადასხვა შრეები მოჩანს. ამის მაგალითებს ჩვენ ქვემოთაც ვნახავთ „გადაჭრილი გორის“ კერამიკის განხილვის დროს. განცალკევებული ნატეხების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ მათს საფუძველზე დგინდება მე-2 გორასამარხის დადგმის ახლო ხანში ორმოში ნაპოვნ, უმთავრესად უხეშ, სასურსათე დერგებთან სუფრის ნაზი, დიდებულად დამუშავებული ჭურჭლის თანაარსებობა. მაშასადამე, კერამიკული წარმოების საკმაოდ მაღალი დონე. მაგრამ მათი აღმოჩენის პირობები სხვა რიგის საკითხზეც გაკვრით მაინც შეგვაჩერებინებს ყურადღებას. მაგალითად, რას უნდა მოასწავებდეს მათი აღმოჩენა უმთავრესად არა ორმოს იატაკზე, არამედ მის მაღალ დონეებზე? ძნელი დასაჯერებელია, რომ ბედენის ერთ-ერთ უდიდეს ძეგლში, რომლის დადგმაზე უდიდესი შრომა დახარჯულა და რომელში დაკრძალული პირი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უამრავი საიქიო საჩუქრებით აღუჭურავთ, არ ჩაედგათ სუფრის პირველხარისხოვანი ჭურჭელი, თუ კი ასეთი მას გააჩნდა. მე-5 სამარხის („გადაჭრილი გორა“) მონაპოვრების განხილვა დაგვანახვებს, რომ ეს უკანასკნელი დაახლოებით ნადარბაზევის სამარხის თანამედროვეა, ხოლო

რაკი „გადაჭრილ გორაში“ სუფრის ბევრი ჭურჭელი შეგვხვდა, ეს ნიშნავს, რომ ის, აგრეთვე, ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო მე-2 გორასამარხში დაკრძალული პირის ჭირისუფლებისათვის. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაზი და მოხდენილი კერამიკა განძის მაძიებლებმა საფლავიდან მზის სინათლეზე გასაჩხრეკად აიტანეს. ამ პროცესში ცალკეული ნატეხების სხვადასხვა დონეზე მიმოფანტვა და საძვრომი ხვრელის ბუნებრივი ავსების დროს ისევ ქვემოთ ჩაცურება ოღონდაც რომ სავარაუდოა. მეორე მხრივ, გაფანტული ნატეხები შეიძლება იყოს საფლავის დახურვის შემდეგ განზრახ დამტვრეული ჭურჭლეულის ნაშთი, ე. ი. შეიძლება დაკავშირებული იყო ჩვენს დრომდე გადმონაშთის სახით შემონახულ სამგლოვიარო რიტუალთან.

გადავდივართ არაკერამიკული ინვენტარის გაცნობაზე.

ყველა ამგვარი საგანი, გარდა ძვლის ისრისწვერის ნატეხისა (ინვ. № 85) და ჟანგადქცეული ბრინჯაოს (?) მავთულის სამჯერადი ხვია-რგოლის ნაშთებისა (ინვ. № 120), რომელთაგან პირველი აღმოჩნდა 3⁹ კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე კამერის აღმოსავლეთი კედლის შუა ნაწილის წინ, ჩრდილო კედლის აღმოსავლეთ ნახევრიდან მომსკდარი მიწის ქვეშ. ეს უკანასკნელი ფერით არ განირჩეოდა ვულკანური ლავის ზემოთ მდებარე ალუვიონიდან და სიმკვრივითაც მასვე ჰგავდა: მხოლოდ უშუალოდ ინვენტარზე მდებარე მის ძირა ფენას შეეძინა მუქი-მურა ფერი, როგორც ჩანს, ლპობადი საგნების დაშლის გამო. ასეთივე ფერი ჰქონდა ინვენტარქვეშ კლდეზე გადაგლესილ თიხას, რომელიც თავდაპირველად ორფენიანი ყოფილა—ქვემოთ წაბლისფერი, ზემოთ თეთრი. ინვენტარს ეკავა მოზრდილი ფართობი მიცვალებულის ჩონჩხიდან 1,50 მ დაცილებით აღმოსავლეთისაკენ. სიგრძე (დასავლეთ-აღმოსავლეთ ხაზზე) ფართობისა — 0,90 მ, სიგანე — 0,60 მ. ზოგადად ერთ მთლიან ჯგუფში წარმოდგენილ არაკერამიკულ ინვენტარში შეინიშნებოდა საგნების ორ ზოლად და რამდენიმე ბუდედ გაერთიანება (ტ. IV—4, 5, 7). ბუდეები აერთიანებდა უმთავრესად ერთი გვარეობის საგნებს; რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს უკანასკნელები თავის დროზე ერთად იყო ჩაწყობილი პარკებში, კაპარჭებში და სხვა მისთ. (ტ. V—1, 2).

ფართობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხის წინა ზოლში ეწყო მკვეთავი წვეტით ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი კვამლისფერი ვულკანური მინისა და მოთეთრო კაჟის 18 ისრისწვერი. მათი დამუშავების ხარისხი გაბაოცრად მაღალია, ხოლო ფორმები დახვეწილი გემოვნებით შერჩეული და გამოყვანილი. ქვის ასეთი სრულყოფილი საჭურველი არც კი გვეგულება კავკასიის არქეოლოგიურ მასალებში. თუმცა ისინი ლითონის ხანის ქვის ინდუსტრიის ნაყოფია, მაგრამ თავისუფლად გაუწევს მეტოქეობას ნეოლითის ბევრ საუკეთესო ნახელავსაც. 14 ისრისწვერი ობსიდიანისაა, ხოლო 4 — კაჟის. კაჟის ოთხივე და ვულკანური მინის 10 ისრისწვერი ფუძემოკვეთილია, მაგრამ ამოკვეთისა და ტანის ნახაზის მიხედვით ისინი სამ ტიპად იყოფა. მონაპოვარ საჭურველში რიცხობრივი უპირატესობისა და, საერთოდაც, დროსა და სივრცეში გავრცელების ფართო არეალის გამო უმთავრეს ტიპად ყოფნის უპირატესობას ობსიდიანის ეს 10 ისრისწვერი იმსახურებს. მათი მონახაზი მოგვაგონებს ცალბოლოწვეტიან ოვალს, რომლის მეორე ბოლო ამოკვეთილია და დაბოლოებულია წყვილი ფრთისებრი ჭიმით. მკვეთელობის ძალის გაძლიერების და მსხვერპლის ჭრილობიდან ისრის ამოძრობის გართულებისათვის ორი-

ვე ფხა. წვეტიდან ჭიმთა ბოლომდე, აღჭურვილია უკუმოყრილი კბილებით. ამ ფაქიზი, მაგრამ ეფექტური საჭურვლის ორთავ ბრტყელი გვერდი გამოყვანილია ჭავლისებრი რეტუშით, საკმაოდ წმინდა ფაცეტების ატკეცის გზით. ტიპში გაერთიანებულ ისრისწვერთა სიგრძე არის 5,2—5,8, სიგანე — 2,1—2,3, ხოლო სისქე — 4,0 სმ (ტ. VI—1—20, ტ. VII—3, 7, 9). II ტიპის კაჟის ისრისწვერების (№ 112) განმასხვავებელი ნიშნებია: თანასწორფერდიანი სამკუთხედისებრი გარემონახაზი და დაყირავებული ძაბრისებრი ამოკვეთილობა, რომელიც, ხშირად ტანის შუა ნაწილზე უფრო ღრმადაც შედის. პირველ ტიპთან შედარებით ეს ისრისწვერები გაცილებით უფრო ნაზი ნახელავებია, ისინი შეიძლებოდა დაემზადებია მხოლოდ კარგად გაწვრთნილ, მახვილი მხედველობის მქონე ოსტატს: უწმინდესი ფაცეტების ბუდეები თითქმის დაგლუვებულ ბრტყელ გვერდებზე ოდნავ შეიმჩნევა, ხოლო ფხის დაკბილულობა რომ შევნიშნოთ, ამისათვის დაგვჭირდება გამადიდებელი ჭიქის მომარჯვება. II ტიპის ისრისწვერის ზომაა: სიგრძე — 2,7—4, სიგანე 1,5 — 1,6, ხოლო სისქე — 0,2—0,3 სმ. ორივე ტიპის ისრისწვერები ცხადად მოწმობს, რომ, მიუხედავად სპილენძის ინდუსტრიის ზეობისა, ბედენის გორასამარხთა ეპოქაში კვლავ ახდენენ სასწაულებს ქვის ინდუსტრიის მუშაკები (ტ. VI—21, 22, ტ. VII—1, 2) (სურ. 6).

ვულკანური ჭიქის დანარჩენი 4 ისრისწვერი (№ 111) ქმნის საკმაოდ განსხვავებულ III ტიპს, რომლის გარე მონახაზი მოგვაგონებს ცალბოლოსწორად წაკვეთილ წვეტებიან თვალს, თუმცა ისრისწვერის ფუძე ოდნავ შიგნითაა შეზნექილი. გვერდები შედარებით ფართო ფაცეტების ბუდეებით არის დაფარული, ხოლო მორკალული ფხები დაუკბილავია. სიგრძე — 4,5 — 5,0; სიფართე — 2,2—2,3, სისქე 0,4—0,5 სმ (ტ. VI—27—30, ტ. VII—8). როგორც ვხედავთ ეს ისრისწვერები პირველ ორ ტიპთან შედარებით უფრო სქელი და უხეში ნახელავებია.

ისრისწვერების უკვე ცნობილ ჯგუფთან უშუალოდ ახლოს აღმოსავლე-



სურ. 6. გორასამარხი 2. კაჟის ისრისწვერები

თისაკენ გამოვლინდა მოთეთრო, ფერფლისფერი ქვის 12 მრგვალი, 2—3 სმ სიმსხო კენჭი (ინვ. № 102), რომლებიც, ალბათ, შურდულის ჭურვებად იყო გამოყენებული. მათ ბუნებრივი სიმრგვალე აქვთ და არ ემჩნევათ დამატებითი დამუშავების რაიმე კვალი (ტ. VIII).

ჭურვების და ისრისწვერების ქვეშ ნალპით გაჯერებულ შავ მიწაში თანდათან კარგად გამოვლინდა რქის, ძვლისა და თეთრი პასტისებური მასალისაგან ნაკეთები 36 მინიატურული ნივთი (№ 105, ტ. IX—2), რომელთა დანიშნულება ჩვენთვის მთლად ცხადი არ არის. ამ პრობლემატური საგნებიდან 24 გეგმაში რომბისებრია, სხვები კი ოვალური, ზოგჯერ ბოლო წვეტიანი: 32—ორმხრივ ამობურცულია, ხოლო ოთხს ცალი გვერდი დაბრტყელებული აქვს. ამ უკანასკნელთაგან ორს თითო მსხვილი გამჭოლი ნახვრეტი აქვს მოკლე ღერძზე, ხოლო ორსაც სიგრძივ გამწკრივებულ სამ-სამ წვრილ ნახვრეტში გაყრილი აქვს ძვლის მანჭვლები. ექვსის გარდა, ყველა ნივთის ზედა, გამოსაჩენ გვერდზე გამოსახულია სხვადასხვა სახესამკაული, უმეტესად — ჯვარი (ერთ შემთხვევაში წვრილი ხაზების დამატებით) წვრილი რომბების და სწორკუთხედებისაგან შედგენილი ბადეები, განივი ღარები და, თითქოს, მცენარეული სახეებიც. ერთი შემთხვევის გამოკლებით, როცა ჯვრის გამოსახულება შესრულებულია საგნის გლუვ ზედაპირზე მსხვილი ფუნჯით დატანილი მუქი-ყავისფერი საღებავით, სხვა ნივთებზე ორნამენტი წინასწარ ამოჭრილ-ამოღარულია, შემდეგ კი ისეთივე საღებავით გაძლიერებული. საღებავი შერჩენილია ძვლისა და რქის თითქმის ყველა ნივთზე მაშინ, როცა პასტის ნახელავებზე მხოლოდ ჩანს მისი კვალი. სიგრძე — 1,3—1,9, სიგანე — 1,0—1,3, სისქე — 0,6—1,0 სმ.

ბევრმა წელმა გაიარა აღწერილი მონაპოვრის აღმოჩენის დღიდან, მაგრამ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ მის შესატყვის ორეულებს, რომელთაც შეეძლოთ ამ ნივთების ნამდვილი დანიშნულების ამოცნობის კვალზე დაგვეყენებინეთ. ამიტომ შეიძლება მკითხველს შევთავაზოთ მხოლოდ ზოგიერთი ვარაუდი ნადარბაზევის მონაპოვრის თაობაზე, როგორც სამუშაო ჰიპოთეზა.

არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ეს ნივთები ყოფილიყო სათამაშო „ქვები“, თუმცა ასეთ შემთხვევაში ასახსნელი იქნებოდა, თუ რა როლი უნდა შეესრულებინა გახვრეტილ და მანჭვალგაყრილ საგნებს. რადგან მიწა, რომელშიაც ისინი აღმოჩნდა, აჩვენებდა ორგანული მასალის იქ ჩალპობის აშკარა ნიშანს, ამიტომ ეგებ უფრო მართებული იყოს ჩვენი ნივთების მიჩნევა რომელიღაც საგნის ნაწილებად. ისინი შეიძლებოდა ჩამაგრებული ყოფილიყო პირსაფარეში ხის კოლოფზე, სათანადო ბუდეებით აღჭურვილ ტყავის ანდა ქსოვილის სარტყელზე, თავსაბურავზე და სხვ., ვითარცა ინკრუსტაციის ქვები და ბალთა-სამკაულები. მაგრამ ჯვრის გამოსახულების სიხშირე ამ ნივთებზე ეგებ იმას მიგვანიშნებს, რომ მათ ჰქონდათ საწესო-სარიტუალო მნიშვნელობა, რამდენადაც იგი, როგორც ბედენის ზოგ სხვა ნივთებზე მის გამოჩენასთან დაკავშირებით ქვემოთაც იქნება აღნიშნული, უძველეს ხანაში ითვლებოდა ასტრალურ სიმბოლოდ [116, გვ. 31—33, სურ. 9]. ასეთ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ იმ ფონთან ერთად, რომელზედაც ისინი დამაგრებული იყო, ეს სამკაულები ანსახიერებდა ვარსკვლავებით მოჭედილ ღამის ცის თაღს. ასეა თუ ისე, მომავალი კვლევა-ძიებისას მხედველობაში უნდა

იქნეს მიღებული ჩვენი ნივთების კავშირი, როგორც ცის მწათობთა, ისე ნაყოფიერების კულტთან (ტ. IX—2).

ამ ნივთებისა და შურდულის ჭურვების თავზე, ნაწილობრივ მათ აღმოსავლეთით, შეინიშნებოდა ერთმანეთზე მიჟანგული, ან უფრო სწორად, სპილენძის მთლიან ჟანგად ქცეული საგნების მცირე ჯგუფი. ისინი შეხებისთანავე იშლებოდა და ამიტომ ზოგიერთი ნაწილების დანაკლისით, შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ დისკოსებრთავიანი ქინძისთავი (№ 101; ტ. X — 10), ჩოგნისებრი ქინძისთავი (№ 104; ტ. X—12) და მოგრძოყუნწიანი ორფხიანი დანა თუ სამართებელი (№ 100; ტ. X—11). გაწმენდისას პირველ მათგანს ჩამოშორდა ჟანგის სახით მიღწეული ყუნწის წვეტი, მეორეს —იგივე ნაწილი და აგრეთვე თავის მოგრაგნილი მიღი, ხოლო მესამეს აეცირცქნა ფხები. არსებულ მდგომარეობაში პირველი ქინძისთავის სიგრძე უდრის 3,8 სმ, საიდანაც ყუნწზე მოდის მხოლოდ 0,8 სმ, მეორე ქინძისთავის სიგრძე —4,2 სმ, თავის უდიდესი სიგანე —1,8 სმ, დანის საერთო სიგრძეა 10,0 სმ, საიდანაც ყუნწზე მოდის 3,5 სმ. განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად მიგვაჩნია ჩოგნისებრი ქინძისთავის აღმოჩენა ისეთ არქაულ კომპლექსში, როგორსაც ნადარბაზევის № 2 გორასამარხი შეიცავდა. ამ მასალის შესახებ ჩვენთ კიდევ დაგვჭირდება საუბარი.

აღწერილითა სამხრეთ-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთ მხარეს, უწუალოდ მათთან ახლო, გამოვლინდა ქვის, ხისა და ძვლის 7 საგანი. ესენია სპილენძის ჟანგით აქა-იქ შეღებილი ქვიშაქვის მოგრძო საგანი (№ 98), რომელიც ამოღებისთანავე დაიშალა; ხმარებისგან ცალ თავდაჩეჩქვილი მუჭი, რიყის ქვის ფილთაქვა,— სიგრძით 14,5, სიგანით 3,5 და სისქით 2 სმ (ტ. VIII—3); ქვის სალესი უსწორო რომბისებრი, სიგრძით—14,0, უდიდესი სიგანით 5,0 და სისქით 1,2 სმ (ტ. VIII—2); მომწვანო-მოცისფრო ქვის განივკვეთში ოვალური საბეგველა, სიგრძით 15,5, უდიდესი სიგანით 6,8 და სისქით —2,3 სმ (№ 95; ტ. IX—I); ხის ფიცრის მოზრდილი ნატეხი, სიგრძით—15,5, სიგანით —5,5 და სისქით 3,0 სმ(№ 97) და ძვლის ცილინდრისებრი 3 ნივთი (მათ შორის 1 გატეხილი) დაახლოებით 8—9 სმ სიგრძისა და 1,2—1,6 სმ დიამეტრის მქონე (№ 93; ტ. XI—2). ამ უკანასკნელთა დანიშნულების შესახებ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით. არც ფიცრის ნატეხს გააჩნია გამოსაცნობი ნიშანი; სავარაუდებელია, რომ ის იყოს სამარხის ჩრდილო კედელში გამართული თაროს ნაშთი, რომელიც ზედდაწყობილ იარაღ-საჭურველთან ერთად ჩამოვარდებოდა კედლის მოსკდომის დროს. უფრო გასაოცარია ის თუ რა სასწაულით გადარჩა, როგორც ეს, ისე ჩვენთ აღწერილი ხის კიდევ ერთი წვრილი ნივთი მაშინ, როცა ორმოს სახურავის მახვილი მორებიდან აღარაფერი დარჩენილა, დანაბშირებული წვრილი ნატეხების გარდა. აშკარად გამოსაცნობი ხის ბოჭკოების უმნიშვნელო ნაშთი და ერთ შემთხვევაში ცულის ტარის თავის მოზრდილი ნატეხი, აგრეთვე, შემონახულა ამ სამარხში, მაგრამ ისინი გაჟღენთილი იყო სპილენძის ნივთებიდან გადასული ჟანგით, რომელსაც ისინი შემდგომი ხრწნისაგან დაუფარავს, ხოლო რა პირობებმა დაიცვა ხის ფიცრის ნატეხი, გამოცანად რჩება.

ძვლის ცილინდრებს აღმოსავლეთით ეკვროდა ობსიდიანის 12 (№ 91: ტ. VI—1,20) და მოწითალო ყავისფერი კაჟის 2 (№ 92) ისრისწვერი. დაახლოებით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დამხობილ ზემოაღწერილ ნივთთა მნიშვნელოვანი ნაწილისაგან განსხვავებით, ესენი მიქცეული იყო აღმოსავლეთით

და დასავლეთით. ყველა ეს ახალი ისრისწვერი I ტიპის მიეკუთვნება და ისეთივე დახვეწილი გემოვნებითაა ნაკეთები, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილი ნახელაევები (№№ 110 და 111); ზომის მხრივაც მათ უახლოვდება, ვიდრე გვათავისუფლებს უფრო დაწვრილებითი აღწერისაგან.

ორმოს ჩრდილო კედლის გასწვრივ, უშუალოდ მის ძირში გაწმენდილი ნივთთა ეს დიდი თავყრილობა მთავრდებოდა მისგან 12-ოდე სმ მოცილებული ძვლის 3 ისრისწვერით (№ 90). ისინი მიჭცეული იყო წვეტით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (ტ. XI—1). აღმოჩენის პირობები მეტყველებდა, რომ ისინიც და ცალცალკე ნაპოვნი ორი სხვა ანალოგიური ნახელავიც შეადგენდა ძვლის ისრისწვერების უფრო დიდი ჯგუფის ნაწილს, რის გამო მათ ფორმას დავახასიათებთ ქვემოთ, სწორედ ამ ჯგუფის აღწერისას.

სამარხეული ინვენტარის განლაგების შედარებით უფრო ფართო, მაგრამ მოკლე მეორე ზოლი პირველს უშუალოდ ემიჯნებოდა სამხრეთიდან. ზოლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან იდო რკინის ჟანგისფრად შეფერადებული მიწის გუნდა (ტ. IX—3); ის საფარსავით შემოჰკვროდა მუქი-მოწითალო უხეშად ნაჩორკნ გრძელ (სიგრძე —13,0 სმ) და წვრილ (სიგანე —2,7, სისქე —2,4 სმ) იარაღს, ან ეგებ, საიარაღე ნამზადს (№ 113а) და ჰემატიტის ხორკლიან ბირთვს (დმ. —5,0 სმ: № 113в), რომლის ჟანგი მიწის გუნდაზეც გადასულა. მისგან აღმოსავლეთისაკენ გამოვლინდა მნიშვნელოვანი კომპლექსი ლითონის, ძვლის და ხის ნახელავებისა. პირველ ზოლში გაწმენდილი საგნებისგან განსხვავებით, რომლებიც თითქმის ხელუხლებელ წესიერ ბუდეებად იყო ჩაწყობილი, ამ მეორე ზოლის ნივთთა განლაგების თავდაპირველი სურათი დარღვეული ჩანდა; ნივთები გაფანტული იყო, ცხადია უწესრიგოდ, ზოგჯერ ერთმანეთთან ძლიერ ახლოს, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით. ზოგი ნივთი მეორეს ზემოდან ედო და ფარავდა მას. აღსანიშნავია, რომ ლითონის ნახელავებს გადაჰკრავდა სქელი ხორკლიანი ჟანგი, რომელიც აძნელებდა მათი ადრინდელი მოყვანილობის შესახებ წარმოდგენის შექმნას. ჟანგი ზოგჯერ ერთიან უფორმო მასად ჰკრავდა ორ და მეტ ნახელავს. ეგებ, ზედმეტია აღინიშნოს, რომ ლითონის ზოგიერთი ნივთი შეჭმულია, კოროზირებულია.

ლითონის ნახელავებიდან ამ ზოლში აღმოჩენილია სპილენძის ყუამილიანი ცული (№118), ეჩო, ან ბრტყელი ცული (№ 103), სატეხი (№ 119), სადგისი თუ ისრისწვერი (№ 99), სატევარისპირი (№ 115), გაურკვეველი დანიშნულების 2 ნახელავი (№ 116) და ვერცხლის სატევრისპირი (№ 109).

ყუამილიანი ცული საკმაოდ არქაული ფორმისაა, მაგრამ მაინც უფრო განვითარებული და სამეურნეო საქმეში პრაქტიკულად მოსახმარი, ვიდრე მისი შუმერული პროტოტიპი. ამის მაჩვენებელია 7,5 სმ სიფართის მჭრელი პირი, მასიური კაჩა და საკმაოდ გრძელი და მსხვილი, ირიბად ჩამოკვეთილი ყუა მილი, რომელშიც შერჩენილი იყო ხის ტარის მოზრდილი ნაშთი (ტ. X—1), (სურ. 7—1). ეჩოც არქაული ფორმისაა, წაგრძელებული ტრაპეციის მსგავსი (ტ. X—2), (სურ. 7—4), მისი სიგრძეა 12,5 სმ, უდიდესი სიგანე —5,0 სმ. შუა ნაწილის სისქე —0,8 სმ. იგივე უნდა ითქვას სატეხზედაც, რომელსაც ღარული ნახევარწრიული სამუშაო პირი აქვს, —ოთხწახნაგა ღერო და ხის ტარში შესარჭობი, პირამიდისებრი მოკლე ყუნწი. ამასაც შერჩენია ტარის უმნიშვნელო ნაშთი. სიგრძე —19,0 სმ, განივკვეთი —1,4 სმ (ტ. X—3; სურ. 7—2); სადგისი თუ შესაძლოა ისრისწვერი, ბიპირამიდულია. მისი სიგრძე 10,0

სმ, ხოლო უდიდესი სისქე —0,7 სმ აღწევს (ტ. X—7) იქვეა ორი გაურკვეველი დანიშნულების პატარა ნივთი (ტ. X—8,9) .სპილენძის ფოთლისებრი მოყვანილობის მოკლე და ფართო სატევრისპირს ყუნწზე, ისევე, როგორც მომრგვალებულ მხრებზე, შერჩენია წაკვეთილი ხის ტარის ბოჭკოები და ანაბეჭდი. სიგრძე სატევრისპირისა უდრის 14,0 სმ (ყუნწზე მოდის თითქმის 2,0 სმ; ტ. X—4).



სურ. 7. გორასამარხი 2. 1. ბრინჯაოს ცული, 2. სატეხი, 3. ვერცხლის სატევარი, 4. ბრინჯაოს ცული

ბოლოს, ორიოდე სიტყვა ვერცხლის სატევარზე. მისი განმასხვავებელი ნიშნებია ვიწრო ფოთლისებრი პირი და შუაში მკვეთრად გაფართოებული ფიგურული ყუნწი —ფრიად მარჯვე წანაზარდი ხის ან ძვლის ტარში მყარად გასაჭედად. სატევრისპირისა და ყუნწის საერთო სიგრძეა 16,0 სმ (ყუნწზე მოდის 3 სმ), უდიდესი სიფართე —3,3 სმ (ტ. X—5; სურ. 7—3).

როგორც ითქვა, ლითონის ამ 8 ნივთთან ერთად იდო ხის რომელიღაც ნაკეთობის ნაშთი. ძლიერი დაშლილობის გამო არ ხერხდება მისი გაიგივება რომელიმე იარაღთან. მართალია, კითხვის ნიშნით, საველე დავთარში ის ჩაწერილია, როგორც შვილდის ნაშთი. ოღონდაც რომ სავარაუდოა სამარხში, სადაც დამოწმებულია ძლიერ ბევრი ისრისწვერის აღმოჩენის შემთხვევები, შვილდის ოდინდელი არსებობა. საკვლევ ზოლში აღმოჩენილი ნივთებიდან გასაცნობი დაგვრჩა ძვლის ისრისწვერები (№ 107). 9 ასეთი ისრისწვერი ერთად ეწყო, ამას წინათ აღწერილი ლითონის 8 ნივთის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას. 3 ისრისწვერი (მათ შორის № 85) გაფანტული იყო ორმოს სხვადასხვა ნაწილში, ხოლო კიდევ სამი სხვა ისრისწვერი (№ 90), როგორც ზემოთ ითქვა, ნაპოვნია პირველ ზოლში. ძვლის თითოეული ისრისწვერი მოგვაგონებს მკვეთრი მუხლით ერთმანეთთან ფუძეებით შეერთებულ სხვადასხვა ზომის ორ წვრილსა და მაღალ კონუსს, რომელთაგან უდიდესი გათვალისწინებულია მსხვერპლის გასაგმირად, ხოლო უმცირესი — ზროში ჩასარჭობად. ისინი დამუშავებულ-ნაპრიალებია დიდი მონდომებით, უაღრესად სრულყოფილად; მათი წესიერი წრიული განივკვეთი არც ერთ მონაკვეთზე არ ირ-

ღვევა, ამიტომ მიღწეულია იდეალური სიმეტრია. ეს ნახელავები არაერთნაირი ზომისაა: ნაკლებ დაზიანებული უდიდესი ისრისწვერის პირველადი სიგრძე უნდა ყოფილიყო დაახლოებით 18,0 სმ, საიდანაც ყუნწზე მოდის 6,5 სმ, უდიდესი დმ — 0,8 სმ. ერთ-ერთი პატარა ისრისწვერის სიგრძე უდრის 12,0 სმ. აქედან ყუნწისა — 4,0 სმ. როგორც წესი, საბრძოლო ნაწილთან შედარებით, ყუნწი დაახლოებით სამჯერ მოკლეა. ამ უკანასკნელთა გარეგნობა მოწმობს ძვლის დამუშავების დაწინაურებას ბრინჯაოს ხანის ბედენელთა შორის.

სამარხის იატაკზე აღმოჩენილი ნივთებია, აგრეთვე, სპილენძის მავთულის სამჯერადი ხვიის ჟანგადქცეული ნატეხები (№ 120), წითელი ოქრის ნატეხები (№ 89) და მიწის 2 გუნდა (№ 117 და 112), რომელთაგან ერთზე შეიმჩნევა წმინდა ქსოვილის მკრთალი ანაბეჭდი, ხოლო მეორეზე — ჭილობის უმნიშვნელო ნაშთი. ისინი აღმოჩენილია, თანამიმდევრობით, ორმოს აღმოსავლეთი კედლის შუა ნაწილს ახლოს, 3^{8} კვადრატში. მიცვალებულის ჩონჩხის ქვეშ და პირველ ზოლში განლაგებული მასალების ქვეშ.

ამით ამოიწურება ნადარბაზევის სამარხის ინვენტარის სია. მასში შედის, სულ ცოტა, თიხის 3 ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის 11 იარაღსაჭურველი და სამკაული, ვერცხლის 1 სატევარი, ობსიდიანის და კაჟის 33 ისრისწვერი და 1 ნამზადი, ძვლის 14 ისრის წვერი და 3 ცილინდრი, შურდულის 12 ჭურვი ჰემატიტის ბირთვით, რიყის ქვის 4 სამეურნეო ხელსაწყო-იარაღი, სხვადასხვა მასალის 36 უცნობი დანიშნულების ნივთი და სხვა წვრილმანები. მიუხედავად გაძარცულობისა, როგორც ვხედავთ, სამარხში საკმაოდ იყო თავისი დროის კულტურის დამახასიათებელი მასალები. მათი ხასიათი, ისევე როგორც მიწაყრილისა და დასაკრძალავი ორმოს ზომა, მოწმობს, რომ გორასამარხი დადგმულია წარჩინებული პირისათვის, რომელიც შესაძლოა, სიცოცხლეში ანსახიერებდა მეურნეს და მებრძოლს. მასზე, როგორც მეურნესა და ხელოსანზე, ან ამ დარგების მფარველზე, მიუთითებს სპილენძის ცული, ეჩო, სატეხი და ქვის 4 ხელსაწყო-იარაღი, ხოლო, როგორც მეომარს და ეგებ, მონადირეს წარმოგვიდგენს 47 ისრისწვერი, შურდულის ჭურვები და სატევრები, აგრეთვე თავმოკვეთილი ჩონჩხი, თუ ეს უკანასკნელი საბუთი სხვა მიზეზით არ აიხსნა. მიცვალებულის მაღალ სოციალურ ადგილს მის თვისტომთა შორის, ჩვენის აზრით, მიუთითებს ვერცხლის სატევარი, რომელსაც ალბათ მხოლოდ საზეიმო-საპარადო ინსიგნიის მნიშვნელობა ჰქონდა, იმ ვერცხლის და ოქროს იარაღ-საჭურველის მსგავსად, რომლებიც აღმოჩენილია თრიალეთის [82, გვ. 95, ტაბ. CV, 2], ურის [173, ტაბ. XVI] და ბევრ სხვა მდიდრულ სამარხებში. ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნადარბაზევის ამ გორასამარხში დაკრძალული იყო ლითონის ხანის ადრეული საფეხურის გვარ-ტომური საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენელი, გვარის ან ტომის მეთაური, ბელადი.

ახლა რამდენიმე სიტყვა უნდა ვუძღვნათ ინვენტარს, აღმოჩენილს გორასამარხის მიწაყრილში, ქვის ჯავშანში, ძველ, დამარხულ ნიადაგში და თვით სამარხი ორმოს კედლებს შიგნით; იატაკთან შედარებით უფრო მაღალია. არაძირითად ნაპოვნებში რიცხობრივად ჭარბობს კერამიკის წვრილი ნატეხები (№№ 1, 2, 6, 10—15, 19, 20, 28, 39—41, 47—52, 54, 56—60, 63, 66—69, 72, 74—70, 83, 84, 88), უმეტესად უსახური. ეს მეტწილად შეეხება მთელ სისქეზე მოვარდისფროდ, მოწითალოდ ან ნარინჯისფრად გამომწვარი

მსხვილმარცვლოვანი თიხის ჭურჭლის ნაშთებს (№№ 1, 11—14, 18, 20, 24, 28, 40, 41, 47, 49—53, 57, 58, 68а, 74—77, 79а, 83, 88). ამ საერთოდ, თითქოს მდუმარე მასალებში ვხედავთ ორ მეტყველ გამონაკლისსაც, რომელთა დაკავშირება მტკვარ-არაქსის კულტურასთან არავითარ ეჭვს არ იწვევს. ერთი მათგანი (№ 1), მურა-მოწითალოდ გამომწვარი ქილის „რელსისებრი“ პირია, რომლის უამრავი ანალოგი შეიძლება ვნახოთ, როგორც თეთრი წყაროს ნასოფლარის ორივე ფენაში [19]. ისე მტკვარ-არაქსული კულტურის ზოგიერთ სხვა ადგილსამყოფელშიც — სამხრეთ კავკასიაში, ურმიის ტბის რაიონში და აღმოსავლეთ ანატოლიაში [83, გვ. 77, სურ. 34, 1; გვ. 168; 149, გვ. 61]. ეს ნატეხი ნაპოვნია თხრის დროს დაგროვილი მიწის გადასინჯვისას, სამწუხაროდ, ზუსტი სტრატიგრაფიული ნიშნულების დაუდგენლად, მაგრამ გაცილებით უფრო ადრე, ვინემ ორმოსამარეში ჩაღრმავებას დავიწყებდით, რის გამო უმართებულო არ იქნება, თუ ჩვენ მას მივაწერთ ყრილის შავმიწიან გულას, რომელიც როგორც უკვე ითქვა, მოტანილია გორასამარხზე უწინდელი ნასახლარის ფენებიდან. მეორე გამონაკლისი არის მურა-ვარდისფერი ბადიის დიდ-პატარა ნატეხები (№ 28), რომელთაგან ერთ-ერთ მცირედ გადმოზნექილ პირზე შერჩენია ორწახნაგა ყურთა ზედა მესამედი. ის ტიპიურად შეესატყვისება მტკვარ-არაქსული კულტურის კერამიკის დამახასიათებელ სახელურთა მეორე ნაირსახეობას, გაფორმებულს „კონცხის“ ანდა „გემის-ცხვირის“ მსგავსად [83, გვ. 76, 99, სურ. 54 в; 39; გვ. 13, 25, ტაბ. II 5, 6; 141 ტაბ. XXV, მეორე თარაზული რიგი, ჭურჭელი მეორე]. აღნიშნული ნატეხები აღმოჩენილია ქვის ჯავშნის სამხრეთ შვერილზე ოქროსფერი მიწის ყრილქვეშ, რაც ერთი შეხედვით, თითქოს მოწმობს, რომ ისინი მოჰყვა წითელ მიწას, ან საგანგებოდ დაამსხვრიეს ორმოს გადახურვის შემდეგ გორასამარხის მშენებლებმა; მაგრამ რადგან არავითარი კულტურული ნაშთი არა გვხვდება ოქროსფერი მიწის ყრილში, გარდა მისი ფუძის თხელი შრისა, რომელიც დევს უმთავრესად ძველ, დამარხულ ნიადაგზე, და არც გორასამარხისდროინდელ კერამიკულ მასალებში ვიცნობთ „კონცხისებრ“ სახელურებს, ამიტომ უფრო მართებულად გვეჩვენება მათი მომდინარეობა ძველი სამოსახლოს კულტურული ფენებიდან, სადაც შავი მიწა მოუგროვებიათ ყრილში გამოსაყენებლად. ასეთ შემთხვევაში, ბადიის ნატეხებისა და ზემოხსენებული ქილის „რელსისებური“ პირის ფონზე გარკვეული ქრონოლოგიური შუქი ეფინება კეცის ფერითა და ტექნიკური თვისებებით მათთან მიახლოებულ მუნჯ მასალებს, რომელთა ერთი ნაწილი მაინც მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი უნდა იყოს მაშინ, როცა მეორე ნაწილი შეიძლება ეკუთვნოდეს უფრო მოგვიანო ხანას, რამდენადაც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ღია ფერის კეციანი ნატეხები (№ 38), აღმოჩენილი ჯავშნის ზედაპირზე და იქიდან შიგ ორმოში ჩაშლილ ქვებსა და მიწაში, კარგად მიუერთდა ორმოს ძირზე გამოვლენილ კერამიკის ერთ ჯგუფს (№ 123). ამ ფაქტების მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, საკმაოდ დიდია, რამდენადაც ისინი მიუთითებს ერთფენიანი ღია ფერის კეცის წარმოებას ხანგრძლივი დროის მონაკვეთზე — მტკვარ-არაქსის კულტურის უადრესი ეტაპიდან (თეთრი წყაროს ნასოფლარის ფენა “а“), ვიდრე გორასამარხთა მშენებლობის ეტაპამდე (ჩათვლით). თუმცა ამ ტიპის კერამიკა თანდათანობით ადგილს უთმობს შავპრიალა ნაწარმს, კავშირი

მტკვარ-არაქსის კულტურასა და გორასამარხთადროინდელ სამეთუნეო ხელოვნებას შორის მაინც უეჭველ ფაქტად რჩება [20, გვ. 17].

ორმოს ძირის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ სხვა სქელკედიან (სისქე— 0,9—1,5 სმ) ნატეხთაგან უმეტესობას აქვს ვარდისფერი სარჩული და შავპრიალა ზედაპირი (№№ 2, 13b, 63, 78, 84), სხვებს —მონაცრისფრო სარჩული და შავი ზედაპირი (№ 66, 76, 79b), მოწითალო სარჩული და ყავისფერი ზედაპირი (№№ 6, 39ბ, 68b), ან შავი სარჩული და მოწითალო ზედაპირი (№№ 39a, 48). მათი გარეთა ზედაპირი, ჩვეულებრივ, მცირედ ნაპრიალებია, ხოლო შიდა ზედაპირი საგულდაგულოდ მოსწორებულ-მოგლესილი სველი ხელით, ნაფოტის ან ბეწვის ნაჭრით. ვარდისფერ-სარჩულიანთა პარალელებს შეიძლება ხშირად შევხვდეთ ამიერკავკასიის კერამიკული წარმოების ისტორიის ხანგრძლივ მონაკვეთზე— მტკვარ-არაქსის კულტურის მეორე საფეხურიდან დაწყებული ვიდრე შუაბრინჯაოს ხანის გასულამდე [77], მაშინ, როცა ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ვარიანტები იმავე დროის შედარებით უფრო იშვიათი მოვლენაა. მათი ხმოვანების უფრო ზუსტი განსაზღვრის საშუალება ჩვენს ხელთ არ არსებობს და ამიტომ გამოუკვეველი რჩება, თუ რომელი მათგანი შეიძლება ეკუთვნოდეს გორასამარხის მშენებლობის ხანას და რომელი წარმოდგება შედარებით უფრო ადრინდელი ნამოსახლარი კულტურული ფენებიდან; მაგრამ ამას მაინცდამაინც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ნადარბაზევის დასახლების უძველესი თარიღის დადგენისათვის, რამდენადაც ეს საკითხი, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად გადაწყვიტა ზემოთ უკვე განხილული, მტკვარ-არაქსის კულტურის აღრეული საფეხურის დამახასიათებელი რელსისებრპირიანი ჭილისა და კონცხისებრყურიანი ბადიის ნატეხების აღმოჩენამ გორასამარხის მიწაყრილში. მათ საფუძველზე მიღებული დასკვნა შეიძლება ნაწილობრივ შემაგრებულ იქნეს იქვე დამოწმებული ქვის ინდუსტრიის ნაშთთა მიხედვითაც, რომელთა ერთი ნაწილი, სახელდობრ, ვულკანური მინის დაუმუშავებელი ნატეხები (№№ 3c, 7, 17, 18, 23, 27, 30, 46, 53, 65, 86) ეგებ დაკავშირებული იყოს მიცვალებულის დამარხვის რიტუალთან, მაგრამ იმავე მასალის დანისებრი ფირფიტები (№№ 3a,в), ნუკლეუსი (№ 21), ნამზადი (№ 81), საფხეკები (№№ 37, 62, 64, 80), კაჟის არქაული ტიპის ისრისწვერი (№ 26), ნამზადი (44), ბაზალტის სახეხ-საპრიალებელი (№ 5), რიყის ქვის იარაღების ნატეხები (№№ 33, 61) და სხვ.[8], ისევე შეიძლება გორასამარხის ხნოვანებისა იყოს, როგორც მასთან შედარებით უფრო ძველი, და მომდინარეობდეს სავარაუდო სამოსახლოს კულტურული ფენებიდან. იგივე შეიძლება ითქვას ყრილში აღმოჩენილ ძვლოვან მასალაზე (№№ 4, 8, 9, 16, 22, 25, 29—32, 24—36, 38, 42, 43, 45), რომლებშიც, მიუხედავად წვრილ-წვრილად დაშლილობისა, მაინც შეიძლება გამოვიცნოთ შინაური წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ნაშთები, ერთ შემთხვევაში კი (ინვ. № 87) ირმის რქის გადანაჭერი.

ამგვარად, ზემოთ დაწვრილებით გავიცანით ნადარბაზევის გორასამარხი № 2 — მისი მიწაყრილი, ქვის ჯავშანი, მიცვალებულის გვამის განსასვენე-

---

[8] ქვის ინდუსტრიის ასეთივე ნაშთები დამოწმებულია ადრინდელი ბრინჯაოს ხანის თრიალეთის გორასამარხებში [19, ტაბ. 5, 12, 13; ტაბ. 6, 2, 3; ტაბ. 9, 6, 7; ტაბ. 13, 3, 4], მაგრამ პუბლიკაციის მიხედვით არ ირკვევა—აღმოჩენილია ისინი სამარხ-კამერებში, თუ გორსამარხების ყრილში.

ბელი ორმო, შიგ დაკრძალული პირის ნეშტი, დაკრძალვის წესთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტი, თან ჩატანებული ინვენტარი და ის მასალებიც, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი ფენებიდან მოტანილსა და გორასამარხის ყრილის გულად გამოყენებულ შავ ჰუმუსიან თიხას. ამის შემდეგ ბუნებრივია მოველოდეთ ძირითადი სამარხეული ინვენტარის ხნოვანების განსაზღვრას და ბედენის იმ საზოგადოების კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების დახასიათებას, რომელშიც აღნიშნული ძეგლი აღმოცენდა, მაგრამ, ვინაიდან ამ რიგის საკითხების კვლევის შედეგები უფრო დამაჯერებელი იქნებოდა სხვა გორასამარხთა მონაპოვრების გათვალისწინების შემთხვევაში და განმეორებებიც თავიდან იქნებოდა აცილებული, ამიტომ უმჯობესია გადავიდეთ დანარჩენი 8 გორასამარხის გაცნობაზე.

გორასამარხი 4 (ტ. XII)

მე-2 გორასამარხიდან 1 კმ მანძილზე აღმოსავლეთისკენ, გაითხარა მასთან ქვის ბილიკით დაკავშირებული გორასამარხი (№ 4). ქვების და მიწის ნარევით ამოყვანილი მისი ყრილის სიმაღლე 1,50 მ, ხოლო დიამეტრი 28—31 მ უდრიდა. ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გამავალი დიამეტრის მეტი სიგრძე (31 მ) აღმოსავლეთ-დასავლეთის დიამეტრის სიგრძესთან შედარებით, გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ყრილი ოდესღაც ჩაუთხრიათ და ნათხარიდან ამოღებული ქვები გადაუყრიათ სამხრეთისკენ, რა მიმართულებითაც ადგილი, სადაც ეს გორასამარხი მდებარეობს, საკმაოდ მკვეთრად არის დახრილი. ამ ძეგლის ხელნაკლებობას მიუთითებდა აგრეთვე მის ჩრდილო ნახევარში (და არა ცენტრში) შესამჩნევი კრიტერისებრი ღრმული, რომლის ირგვლივ, უფრო სამხრეთისკენ ამოზრდილა რამდენიმე მსხვილი მუხა. წინასწარი შემოწმებით ჩანდა, რომ ყრილქვეშ არ შეიძლებოდა ღრმა ორმოსამარხი ყოფილიყო, რადგან ამ ადგილას ანდეზიტ-ბაზალტით წარმოდგენილი ძირითადი ქანი ან მთლად გაშიშვლებულია, ან მას ხურავს მხოლოდ 0,50 მ სისქის ნიადაგი. მართლაც, გათხრის დროს გამოირკვა, რომ კრატერისებრი ღრმულის ქვემოთ მდებარეობდა დაუმუშავებელი ქვის ფილებით შეკრული დიდი სამარხი, უსახურავო და ყრილის ლოდებით და მიწით ავსებული. მისი კედლები შედგენილი იყო ერთმანეთთან არც თუ კარგად მორგებული 4—6 ლოდით და წვრილი ქვებით. სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მისი გარეგანი ზომა ასეთია: სიგრძე — 4,05, სიგანე — 2,85, სიმაღლე — 0,70 — 0,90 მ; შიდა ზომა: სიგრძე — 3,55, სიგანე — 2,50 მ. ქვისსამარხის შუაგულში ჩატეხილია კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედისებრი ორმო, სიგრძით 1,60, სიგანით 1,10 და სიღრმით 0,60 მ. არც ორმოში და არც მის გარეთ მიცვალებულის ჩონჩხის არავითარი ნაშთი არ აღმოჩენილა. იყო მხოლოდ ზოგიერთი ნახელავი ერთმანეთისგან განსხვავებული დროისა.

ქვისსამარხის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ახლოს ჩამსხვრეულია მორგვზე გამოყვანილი და ნაცრისფრად გამომწვარი პატარა ქოთანი (ტ. XII—7), მასთან ერთად იყო ცილინდრული ფორმის სასმისის ქვედა ნაწილის ნატეხები, შემკობილი ღრმადნაკვეთი წვრილი რომბების ორნამენტით (ტ. XII—7), ცოტა

მოშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაფანტული იყო სარდიონის 40 დაპობილი მძივი (ტ. XII—5); ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან იატაკის დონესთან შედარებით 10 სმ მაღლა, აღმოჩენილია მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობის ტალკის დომინოსებური მძივი, რომლის ორთავ გვერდზე ამოკვეთილია ოთხ-ოთხი წრე და წერტილი თითეული წრის შუაში (ტ. XIII—10).

აღწერილისაგან სრულიად განსხვავებული შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი კერამიკის წვრილი ნატეხები გამოვლინდა ორმოს დამრეც კედლებზე და ძირზე. ისინი ეკუთვნის, სულ ცოტა, სამ ან ოთხ სხვადასხვა ჭურჭელს, რომელთა მხოლოდ ცალკეული ნაწილები დაკოწიწდა. ნატეხთა უმეტესობა ვარდისფერსარჩულიანი შავპრიალა ჭურჭლეულისაა. იშვიათად ურევია მთელ სისქეზე შავად გამომწვარი კეცის ნატეხები. ერთი სქელკეციანი დერგის მხრები დაქანებულია; ისინი მცირე მუხლის მეშვეობით უერთდება დაბალცილინდრულ ყელს, რომელიც მთავრდება ოდნავ შესამჩნევად გადახრილი პირით (ტ. XII—6). მეორე და მესამე ჭურჭლის დამახასიათებელი ნიშნებია თხელკეციანობა, უფრო მკვეთრად გადახრილი პირი და ბრტყელი ძირი. ალბათ მათ უნდა ეკუთვნოდეს ორი სხვადასხვა ზომის სახელურიც (ტ. XII—6), რომლებსაც აქვთ ოვალური განივკვეთი და გაფართოებული ფუძეები. ორმოში მოპოვებული ნატეხები, რომელთა შორის ერთი ცრუ ყურიც ურევია (ტ. XXI—6) არ აჩვენებს მორგვზე დამუშავების კვალს. ორმოს ძირზე ნაპოვნია აგრეთვე გიშრის მილაკისებრი მძივი (ტ. XII—5), ხოლო ქვისსამარხის ამავსებელი მიწის ზედა დონის თხრისას ვნახეთ ბრინჯაოს ღეროს ნატეხი № 44a.

მონაპოვრის გაცნობის შემდეგ ძნელი არაა შევნიშნოთ, რომ ჩვენს წინაშე ორი სხვადასხვა დროის კომპლექსია. პირველში გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალაა, მეორეში კი — ადრინდელი ან შუა ბრინჯაოს ხანისა. მათი თარიღების დაზუსტება ქვემოთაა განზრახული, აქ კი მოკლედ შევეხებით საკითხს, თუ რა მიზეზს უნდა მიეწეროს ერთ სამარხში სხვადასხვა ხნოვანების კომპლექსთა ნაშთების აღმოჩენა.

გორასამარხის თხრის პროცესში გამოვლინდა ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც ეჭვს აღძრავდა, რომ ქვაყრილი წინასწარგანზრახვით იყო დარღვეული. კრატერისებრი ღრმულისა და ყრილის გადანაცვლებული ცენტრის გარდა, რომლებზეც ზემოთ უკვე ითქვა, ყურადღება მიიქცია სხვადასხვა დროის არქეოლოგიური მასალების აღმოჩენამ სხვადასხვა სიღრმეზე. ღრმულის სამხრეთი ნაპირის ახლო 0,50 მ სიღრმეზე, ე.ი. სამარხის ზედაპირის დონის გასწვრივ, იყო ობსიდიანის ისრისწვერის პატარა ნატეხი, დანა და ადრებრინჯაოს ხანის ისეთივე ჭურჭლეულის ნატეხები, როგორიც შემდეგ თვით სამარხში გაიწმინდა. მათ თან ახლდათ არქაული ვარდისფერკეციანი ნატეხებიც. სამარხის სამხრეთით 1,50 მ მოშორებით, ყრილის მეორე ფენის აღებისას ნაპოვნია უხეში პატინით დაფარული ოვალური მოყვანილობის ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი, რომლის შესქელებული ნაპირები აკეცილია (ე. წ. „ერთნახევარი ხვია“). იქვე, ყრილის მესამე ფენაში იყო სარდიონის მძივი, სამარხში აღმოჩენილთა ზუსტი ტყუპისცალი და, ბოლოს, ორფერდა ლამელაზე ჩამოყალიბებული ობსიდიანის საფხეკი (ტ. XII—5). ყრილის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაპირებთან თავი მოეყარა კერამიკის ნამსხვრევების ორ ჯგუფს. პირველი მათგანი შედგებოდა გვიანი ბრინჯაოს ჯამების და ყელმაღალი ქოთნის ნატეხებისაგან, რომლებსაც თან ახლდათ მტკვრის მარჯვენა

სანაპიროსათვის საკმაოდ იშვიათი ყურაქვიტა ცხოველის თავის მინაბაძი სახელურის პატარა ნატეხი (ტ. XII—6). მეორე ჯგუფი წარმოდგენილია უმთავრესად წაბლისფერი და მორუხო ჭურჭლეულის ნატეხებით (ტ. XII—4). წაბლისფერკეციანი კერამიკა შემკულია ისეთივე ღრმადნაკვეთი გეომეტრიული ორნამენტით და სავარცხლის კბილა სახეებით, როგორიც სამარხში აღმოჩენილ ცილინდრულ ტოლჩაზე ვნახეთ. ერთი შეხედვით ის ძალიან ახლო ენათესავება ამიერკავკასიისათვის სრულიად უცხო, კიმერიულ კერამიკას. ეს მსგავსება შეიძლება გარკვეულ საბუთად გამოადგეს იმ მკვლევარებს, რომლებიც ვარაუდობენ კიმერიელების შეჭრას მცირე აზიაში ამიერკავკასიის გავლით, მით უფრო რომ თეთრი წყაროს რაიონში შემონახულია ტოპონიმი „გომერი“. თანაყღერადი ტერმინი კიმერიელთა ტომის ბიბლიური სახელწოდებისაა, ხოლო თხმორის (რაჭა) განძში დამოწმებულია კიმერიულად მიჩნეული იარაღის ტიპი — ბრინჯაოს მოზრდილი კელტი [40, გვ. 18]; მაგრამ ასევე ღრმად ჩაჭრილი ორნამენტული სახეები, მათ შორის წვრილი რომბებისგან შედგენილი ბადე, ამკობს გვიანი ბრინჯაოს ხანის ადგილობრივ, ამიერკავკასიულ ჭურჭლეულსაც, რომლის ფორმებს არ ემჩნევა კიმერიული გავლენის ნიშანწყალი. ისე, რომ განხილული მასალების ადგილობრივი წარმოშობა შეუძლებელი არაა. რაც შეეხება მორუხო კერამიკას, ნაკლებ ღრმად დამჩნეული წრიული ხაზებით და მრუდეებით (ტ. XII—7), მისი ახლო პარალელები კარგად ცნობილია გვიანი ხანის ამიერკავკასიის მასალებში.

მე-4 გორასამარხში აღმოჩენილი მასალა:

1. ხის დამუშავებული ფრაგმენტები
2. ხის დამუშავებული ნაწილები
3. მიწის ნაჭრები (ნიმუშები) ჭილოფისა და ქსოვილის ანაბეჭდით
4. მიწის ნაჭრები ჭილოფის და ოქროს ანაბეჭდებით
5. ხის ნიმუშები
6. ხის ქერქი და მიწის ნაჭერი შიგ არეული ოქრით
7. ხის დეტალი სამ ნატეხად
8. ღერძის ბოლოს ნატეხი სამხრეთიდან
9. უღლის რიკი, აღებულია ჩრდილო ნახევარზე
10. მძივები (ოქროსი) მრგვალი (3 ც.)
11. ჭურჭლის ნატეხები შავპრიალა ზედაპირით და ნაცრისფერი სარჩულით
12. ჭურჭლის ყელის ნატეხები, შავ-ლეგად გამომწვარი თიხისა (3 ც.)
13. თიხის ჭურჭლის ნატეხები შავი ფერის ზედაპირით და ნაცრისფერი სარჩულით. ზოგ მათგანს ეტყობა შვეული ზოლები
14. ხის დეტალები
15. ხის გაურკვეველი დანიშნულების მრგვალ-ბრტყელი ნივთი
16. ხის დეტალები ურმისა
17. ღერძის ნაწილები ხისა
18. ურმის მხატვრული დეტალი სამ ნაწილად
19. ურმის ღერძი ოთხ ნაწილად
20. ურმის თვლის I ნაწილი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან
21. ამავე თვლის II ნაწილი
22. ამავე თვლის სოგმანი

23. ამავე თვლის შუა ნაწილი
24. ამავე თვლის შუა ნაწილი მორგვით
25. ამავე თვლის ნაწილი
26. ჩრდილო-დასავლეთი თვლის ნაწილი
27. ამავე თვლის შუა ნაწილი მორგვით
28. წნელებისაგან დაწნული რაღაც საგნის ნაწილი
29. სამხრეთ-დასავლეთი თვლის მორგვის ნაწილი
30. ამავე თვლის ქვეშ დაფენილი ჭილოფის ფრაგმენტი
31. სამხრეთ-აღმოსავლეთი თვლის მორგვის ნაწილები
32. ხის კასრის ნატეხები
33. ჭურჭლის ნატეხები თხელკედლიანი მოწითალო-ჩალისფრად გამომწვარი თიხისა
34. თიხის ჭურჭლის ნატეხი შავად გამომწვარი. შავად ნაპრიალები — თხელკედლიანი
35. ობსიდიანის ნატეხები
36. ხის დამუშავებული ფრაგმენტი

გორასამარხი 5 (ტ. XIII)

გორასამარხი 5 თეთრი წყაროს რაიონში გათხრილი ამ ტიპის ძეგლებისგან განირჩევა ყრილის, მის ქვეშ ამოთხრილი ორმოსა და ამ ორმოში ამოშენებული ხის აკლდამის ზომის მიხედვით, ასევე სამარხეული ინვენტარის შემადგენელი ზოგიერთი საგნის თავისებურებით. ნახევარსფეროს მოყვანილობის მიწაყრილის ფუძის დიამეტრი 80 მეტრს, ხოლო სიმაღლე 5,50 მ უდრის. ძეგლის ზედაპირის სიგლუვე დარღვეული იყო მხოლოდ ორ ადგილას: ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე — ჯარისკაცების მიერ გაჭრილი სამი მოკლე და ფართო თხრილით (ტ. XIII — 2,3) და სამხრეთ ნახევარში — აკლდამის ჩაწოლის შედეგად წარმოქმნილი მცირე კრატერისებრი ღრმულით, რომლითაც უფრო გვიან განძის მაძიებლებს უსარგებლიათ საფლავის სიღრმეში ჩასაღწევად. ჯარისკაცთა ნათხარებში ყრილი სუფთა მიწის ჩანდა, მაგრამ რადგან კრატერისებრი ღრმულის ნაპირის ახლოს გაფანტული იყო ანდეზიტ-ბაზალტის ქანის სხვადასხვა ზომის ნატეხები, შეიძლებოდა დაეშვება, რომ სიღრმეში, სამარხი-კამერის ზემოთ, მსგავსად ნადარბაზევის № 2 გორასამარხისა, შეგვხვედროდა ქვის ჯავშნის თუნდაც თხელი ფენა. თხრის პროცესში ეს ვარაუდი არ გამართლდა. კრატერისებრ ღრმულში 1,20 მ სიღრმეზე, მართალია გაიწმინდა 4 მ² ფართობზე გაფანტული ქვები (ტ. XIII—4,6), თვით კამერაშიც აღმოჩნდა არაერთი ლოდი (ტ. XIII—7). მაგრამ რაკი ყრილის არც ერთ სხვა ნაწილში ერთი ქვაც კი არ ყოფილა შენიშნული, ამიტომ მათი იქ გაჩენის სხვა მიზეზი უნდა მოგვეძებნა. გაირკვა, რომ ყორღანული ყრილის ქვემოთ ამოთხრილი ორმოს დამრეც კედლებსა და მასში ამოშენებული ხის აკლდამის შვეულ კედლებს შორის დარჩენილი სივრცის შევსებაში ქვის მასალა უხვად მონაწილეობდა პლასტიკურ თიხასა და ხე-ტყესთან ერთად. აკლდამის ჩანგრევის შემდეგ ეს შევსება ნაწილობრივ დარღვეულა და ქვები აკლდამაში ჩაცვენილა (ტ. XIII—8). როგორც ჩანს, ისინი ხელს უშლიდნენ განძის მაძიებლებს და ამიტომ ზევით ამოზიდეს (ტ. XIII—6,9).

მაშასადამე, „გადაჭრილი გორა“ ერთადერთი ძეგლია რაიონში დღემდე გათხრილ გორასამარხთა შორის, რომელიც გორად დადგმულია სუფთა მიწისაგან, ქვაყრილის ან ქვის ჯავშნის გამოუყენებლად. მიწაში აქა-იქ ურევია ობსიდიანის დაუმუშავებელი ნატეხები, ალბათ, როგორც ნაშთი ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი შინაარსის საწესო-სამგლოვიარო ცერემონიალის შესრულებისას ნახმარი იარაღებისა. მიწაყრილში, რომლის ქვეშაც სამარხი ორმოს გარეთ კარგად გაირჩევა ძველი, დამარხული ნიადაგი, მონაწილეობს 4 შრედ განლაგებული 3 სხვადასხვა ფერის თიხა: ა. ყველაზე ქვემოთ წევს ცალმხრივ ამობურცული ლინზის მოყვანილობის მოცისფრო-მონაცრისფრო თიხის 0,10—1,00 მ სისქის ფენა, რომლის გავრცელების რადიუსი ორმოს ნაპირებიდან ყრილის პერიფერიებისაკენ არ აღემატება 6—8 მეტრს; ბ. მის თავზე გადადის ასეთივე გავრცელების მქონე რკინის ჟანგისფერი თიხის 0,20—0,30 მ სისქის ფენა; ერთიც და მეორეც ამოყრილია სამარხი ორმოს გათხრისას, რომლის ჭრილში ისინი განლაგებულია შებრუნებული თანამიმდევრობით, ე. ი. ნიადაგს ქვემოთ ძევს მოცისფრო-მონაცრისფრო, ხოლო მის ქვეშ ჟანგისფერი თიხა; გ. მეორე ფენის შემდეგ მიდის 3—3,50 მ სიმძლავრის შავი ჰუმუსიანი თიხა, ათხრილი გორასამარხის გარშემო მდებარე ველის ზედაპირზე, რომელზეც თითქოს დღესაც გაირჩევა ძველი თხრილების ზოგიერთი კვალი; დ. დასასრულ, ყრილს აგვირგვინებს მოცისფრო და მოჟანგისფრო თიხების ნარევის 1 მ სისქის ფენა, აგრეთვე მოპოვებული ადგილობრივ ნიადაგისეული შავი ჰუმუსური თიხების ქვეშ (ტ. XIV—1, 2). ამგვარად, № 2 გორასამარხისაგან განსხვავებით, რომლის ყრილში მონაწილეობდა შორი მანძილიდან მოტანილი წითელი ოქროსფერი თიხაც, „გადაჭრილი გორა“ დაზვინულია ადგილობრივი თიხებისაგან.

ზემოთ გაკვრით უკვე აღინიშნა, რომ მიწაყრილის ქვეშ მოქცეული ორმო დამრეცკედლებიანია. მისი ზედაპირის ფართი უდრის 120 მ² მაშინ, როცა ძირის ფართი ეცემა 80 მ²-მდე, 3 მ სიღრმის პირობებში. ორმო გრძივი ღერძით დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ (მცირე გადახრით სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ).

ასეთივე დამხრობა აქვს მუხის კანგაუცლელი მრგვალი ხეებისგან ორმოში აგებულ „სახლ საკრძალავს“ ან აკლდამას მიცვალებულის გვამის დასაკრძალად. მისი შიდა სიგრძე უდრის 6,00 მ, სიგანე — 4,50 და სიმაღლე 3 მ აკლდამის კედლები გამართულია ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი და შვეულად მდგარი მუხის 12—15 სმ სიმსხო ძელებისგან, იატაკიც ძელურია. გადახურვაში გამოყენებულია გაცილებით უფრო მსხვილი მორები და დირეები.

შვეულად აღმართული ძელებისგან შედგენილი სვეტნარი კედლის ჩასადგმელად იატაკის ოთხივე ნაპირის გასწვრივ ამოღებულია 0,20 მ სიღრმისა და ასეთივე სიგანის თხრილი. გარდა ამისა, სვეტის ძირები ეყრდნობა ძელური იატაკის ნაპირს და მის გასწვრივ გადადებულ 0,28 მ სიმსხო დირეს (დამჭერი მორი). გარეთ გადაწოლისაგან კედელს იცავს კედელსა და ორმოს შორის დარჩენილ სივრცეში უხვად ჩაწყობილი ხე-ტყე, ქვა და ნაკლებწყალგამტარი პლასტიკური თიხა. მსხვილი დირეებისაგან შეკრულ მარწუხებშია მოქცეული სვეტნარი კედლების თავიც და ამგვარად, უზრუნველყოფილია მათი სიმყარე.

არც თუ მაინცდამაინც რთულად, მაგრამ საკმაოდ საიმედოდაა გამართუ-

ლი აკლდამის გადახურვაც, რათა მან ხანგრძლივ გაუწიოს წინააღმდეგობა საფლავში წყლის ჩაჟონვას და ურყევად შეიმაგროს ზედ დადგმული უმძიმესი გორამიწა. ორმოს აღმოსავლეთი ნაპირიდან დასავლეთ ნაპირამდე შუა გრძივ ღერძზე, თავშექცევით გადის 15,00 მ სიგრძისა და 0,28 მ უდიდესი დიამეტრის მქონე წყვილი დირე, რომლებიც თავხის, კეხის ადნიშნულებას ასრულებდნენ. ისინი დაყრდნობილია განივ გადებულ ორ დირეზე, რომელთაგან თითოეულს შეყენებული აქვს შუაში მერცხლისბოლოსამებრ თავამოკვეთილი თითო მსხვილი (დმ. 0,30 მ) ბოძი. ერთი ამ ბოძთაგანი ღრმად ჩასმულია მიწაში უშუალოდ დასავლეთ განივ კედელთან, მეორე კი მისგან მოპირდაპირე აღმოსავლეთი კედლიდან 1,50 მ მოშორებით. ამგვარად, შემცირებულია თავხეების მალი და ამით გაძლიერებულია მათი წინააღმდეგობა სიმძიმის მიმართ. ორმოს ორივე გრძივი ნაპირიდან თავხეებზე მჭიდროდ არის გაწყობილი საკმაოდ მსხვილი კოჭები, რომელზეც დაფენილი ყოფილა ჭილობი, შემდეგ მოუტკეპნიათ 5—10 სმ სისქის პლასტიკური ფერადი თიხით, მის ზემოთ კვლავ ჭილობია და ბოლოს კორდიანი ბელტების წყობა. ყველაფერი ეს ქმნის მცირედ დახრილ ორფერდა გადახურვას (ტ. XIV—3, 4).

ასე გვესახება ბედენის დიდი აკლდამის თავდაპირველი აღნაგობა, რომელსაც თუმცა დეფორმაცია განუცდია ნგრევის გამო, მაგრამ მისი შემადგენელი ყველა ძირითადი ელემენტი, ანდა მისი ნაკვალევი დღემდე შენახულა, რამაც არქიტექტურის კანდიდატს კ. მელითაურს შესაძლებლობა შეუქმნა სავსებით დამაჯერებლად აღედგინა ნახაზებში ამ ძეგლის უწინდელი სახე (სურ. 8, 9).



სურ. 8. გორასამარხი 5. გათხრილი აკლდამის ერთ-ერთი ბოძის (აღმოსავლეთით მდგარი დედაბოძის) ჩანახაზი



სურ. 9. გორასამარხი 5. ხის აკლდამის რეკონსტრუქცია (კ. მელითაურის მიხედვით)

აკლდამის ნგრევა გამოუწვევია წყალსა და სინესტეს, რომელიც, მიუხედავად საგანგებოდ ამის წინააღმდეგ შემზადებული გადახურვისა და კედლის უკანა შევსებისა, მაინც შეჰპარვია მუხის დირეებს და კოჭებს; დროთა განმავლობაში მათ სიდამპლის სენი მოსდებიათ და ბოლოს გრძივი სვეტნარი კედლები შიგნით წაქცეულა, სახურავი ჩაწოლილა, აღმოსავლეთი სვეტნარი კედელი და ხის სოლებით ბუდეში გაჭედილი დედაბოძი შესაბამისად დასავლეთისკენ და სამხრეთისკენ გადახრილა (ტ. XIII—8, XIV—6,7, ტ. XV—XXI), პირველყოფილ შვეულ მდგომარეობაში დარჩენილა მხოლოდ დასავლეთი სვეტნარი კედელი და მასზე მიდგმული დედაბოძი (ტ. XIX—4), თუმცა კედლის თავები საკმაოდ წალპობიათ

ისე, რომ გათხრის დროისათვის შუბის წვერებივით აშვერილმა ბევრმა სვეტმა გათხრის დასასრულამდე ამ სახით ვერც კი მიაღწია, რადგან ამინდის ცვალებადობის გამო დასუსტებული წვეროები დაბლა ჩამოცვივდა (ტ. XXI—7).

წაქცეული გრძივი კედლები ღრმად დაუმარხავს ჩამოზავებულ მიწასა და მასზე დაყრილ ხის მასალებს. დამარხულა აგრეთვე ორმოს და აკლდამის კედლებს შორისი შევსება, რომელიც შედგენილია ჰორიზონტალურად ნაწყობი ხე-ტყით, ქვითა და ფერადი პლასტიკური თიხით. სანამ ჯერ კიდევ ნანგრევებქვეშ იყო დამარხული მწოლარე სვეტნარი კედლები, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „შევსების“ სახელწოდებით მოხსენებული სისტემა თვითონ ქმნიდა აკლდამის გრძივ კედლებს; მაგრამ ეს შთაბეჭდილება მალე გაქრა მას შემდეგ, რაც ზედ დაყრილი მასალებისაგან გაიწმინდა ძირას დაწოლილი კედლები (ტ. XVI—3, XXII—2).

წაქცეული კედლების ქვეშ მოჰყოლია მიცვალებულთა ჩონჩხები და, ცხადია, სამარხეული ინვენტარიც. დაკრძალული უნდა ყოფილიყო სულ 3 მიცვალებული. ერთ-ერთი მათგანის ჩონჩხი თითქმის უნაკლოდ და დაუზიანებლად იდო იატაკზე აკლდამის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ახლო, ზედ ჩრდილო გრძივი კედლის სვეტების დამჭერ შიდა მორთან (ტ. XXII). სწორედ ამ მორს და წაქცეულ კედელს უხსნიათ ის სრული გასრესისაგან, ვინაიდან ძირებით მორზე დაყრდნობილ კედლის სვეტებს მისი საფარის როლი შეუსრულებიათ. ჩონჩხი ძევს მსუბუქად, მოკეცილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, იდაყვში მოხრილი ზემო კიდურები სახის წინ მიუტანია. მეორე ჩონჩხი აღმოჩენილია აღმოსავლეთ დედაბოძთან ახლო. მისი თავის ქალა ჩაუფშვნია ამ ბოძზე გადატეხილ ჩრდილო კედლის სვეტთა თავებს. ის გაცილებით უფრო მსუბუქად მოხრილ მდგომარეობაში ვნახეთ, ვიდრე პირველი ჩონჩხი. განისვენებდა ის მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ — სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიქცეული. ფეხები თითქმის მიტანილი ჰქონდა პირველი მიცვალებულის ფეხებთან, თავი ედო აღმოსავლეთი დედაბოძის ძირში (ტ. XXII—2—4).

ორივე ჩონჩხის გარშემო იატაკი და მასზე დაფენილი ქეჩა შეღებილი იყო მუქი წითელი ოქრისფრად და ჩონჩხებსაც ემჩნეოდათ საღებავის კვალი.

პირველი ჩონჩხი ახალგაზრდა ქალის შეიძლება იყოს, როგორც ამაში გვარწმუნებს მისი გამომკვლევი ე. ჯავახიშვილი — მეცნიერ-თანამშრომელი ანთროპოლოგიის განყოფილებისა. ქალის სიმაღლე სიცოცხლეში უნდა ყოფილიყო არანაკლები, ვიდრე 1,75 მ, რამდენადაც სწორედ ამ რიცხვს გვაძლევს სათანადო ძვლების სიგრძის ჯამი. როგორც ვხედავთ საკმაოდ ტანმაღალ ქალთან გვქონია საქმე. თავის ქალის ჩაშლილობის გამო მეორე ჩონჩხი შესასწავლად, სამწუხაროდ, არ მიიღეს. მისი კბილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის უნდა იყოს 15—16 წლის მოზარდისა; მენჯის ძვლები მამრობითი სქესის მაჩვენებელია.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ორივე მიცვალებული განისვენებს აკლდამის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ახლო, სადაც შენიშნულია ნაგებობის დარღვევის ნიშნები: აქ აკლია ჩრდილო სვეტნარი კედლის ხუთიოდე სვეტი; ამ კედლის დამჭერ ძირა მორს ამოკვეთილი, ე. ი. გადაჭრილი აქვს ტანის ის ნაწილი, რომელზედაც თუკი ოდესმე არსებობდა, სწორედ ის ხუთიოდე სვეტი უნდა ყოფილიყო გარედან მიყრდნობილი; ბო-

ლოს, იქვე ამტვრეულია იატაკის ხუთი ძელი. ჩანს, რომ თითქოს გაკეთებულია აკლდამაში შესასვლელი ვიწრო კარი. ამ სამუშაოებისას ოდნავადაც არ დაზიანებულა არც ერთი მიცვალებულის ჩონჩხი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიმდინარეობდა თითქმის უშუალოდ იმ ადგილებთან ახლო, სადაც არქეოლოგიური გათხრისას ისინი აღმოჩნდა. რა შეიძლება დავასკვნათ ამის საფუძველზე? აღწერილი ჩონჩხების სახით ეგებ ჩვენ საქმე გვაქვს გვიან ჩაშვებულ მიცვალებულებთან, რომელთა გვამები აკლდამაში შეიტანეს შიგ ახლად გაკეთებული კარით? თუ ეს ნამდვილად ასე იყო, ეს უნდა მომხდარიყო მანამ, სანამ სვეტნარი კედლები ჯერ კიდევ შეუღლად იდგა, ვინაიდან ამათი დაკრძალვის შემდეგ გვამებს წაქცეული კედლები გადაფარებია. მაგრამ ასეთი ვარაუდი სრულიად უსაფუძვლო იქნებოდა, ვინაიდან თუ გვამების შესატანად აუცილებლად უნდა გადაეჭრათ შეუღლად მდგარი სვეტები, სამაგიეროდ არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა კედლის დამჭერი მორიდან ერთმეტრიანი კუნძის ამოკვეთას და, მით უფრო, იატაკის აყრას.

ამიტომ გამორიცხულად არ მიგვაჩნია შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ორი გვამი დაკრძალული იყოს აკლდამაში თავიდანვე, ხოლო დაზიანებანი აკლდამისა, ზემოთ რომ იყო აღნიშნული, მიყენებული იყოს განძის მაძიებლებისაგან (ტ. XXIII— 1, 2). დამჭერი მორიდან კუნძის ამოკვეთა მათ დასჭირდებოდათ იატაკის აყრის გასაადვილებლად, ხოლო მორს ისე ვერ გადაჭრიდნენ, თუ მასზე დაწოლილი კედლის სვეტებს არ მოიშორებდნენ. ამ ოპერაციების შემდეგ მათ მოუსინჯავთ ძელურ იატაკქვეშ მდებარე მიწა, მაგრამ, რაკი დარწმუნებულან, რომ ის წარმოადგენს მხოლოდ თიხას, რომელშიც მოსალოდნელი არაა არავითარი განძეულის პოვნა, იქ მუშაობისათვის თავი დაუნებებიათ.

ამგვარად, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ორივე ჩონჩხი იმ მიცვალებულებისა უნდა იყოს, რომლებიც იქ დაიკრძალნენ აკლდამის აგებისთანავე. სანამ ჩონჩხები საბოლოოდ გაიწმინდებოდა, ვუშვებდით სხვა ვარაუდსაც, მაგალითად, რომ ისინი ეკუთვნოდა აკლდამაში საგანგებოდ გამოჭრილი, თუნდაც სიმბოლური, კარის მცველებს. სათანადო ანალოგიებს არქეოლოგიაში იშვიათად არა ვხვდებით [13, გვ. 60]. მაგრამ რაკი ამ ორი ბედენელისაგან საჭურველი არც ერთს არ გააჩნდა, ამიტომ შეუძლებლად მივიჩნიეთ აღნიშნული ვარაუდის დამკვიდრება. აკლდამის შუა და დასავლეთი ნაწილის სრული გამოკვლევის შემდეგ, რომელმაც წარმოაჩინა ზოგიერთი ნაშთი[9] უფრო დიდი პატივით დაკრძალული მესამე მიცვალებულისა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), თითქმის უეჭველი გახდა, რომ ზემოხსენებული 2 ჩონჩხი ეკუთვნის ამ მესამისთვის ჩვეულებრივ მსახურებად გაყოლებულ პირებს. ამალისთვის მიჩენილი მოკრძალებული ადგილი აკლდამის იატაკზე, აღმოსავლეთი ნაპირსაკენ, მუთითებს მათს არაპირველხარისხოვან როლზე ბედენის საზოგადოებრივ ცხოვრებაში [11]. ამალის წევრები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მონად ქცეული ტყვეები ანდა სახლის არასრულუფლებიანი წევრებიც კი. განვითარებული პატრიარ-

---

9 ექსპედიციის თანამშრომლებს კ. მელითაურს და ო. ბედუკაძეს მიაჩნიათ, რომ მეორე მიცვალებულის თავთან აღმოსავლეთ დედაბოძზე მიყუდებული ხის ფიცრების ნატეხები (ტ. XXII—3, ტ. XXIII—3) არის ფარის ნაშთი. კ. მელითაურმა ამ საგანს საგანგებო წერილიც კი უძღვნა [34]. ჩვენ კი ამ ფიცრებში ვხედავთ არა ფარს, არამედ ჩვეულებრივ ხის კასის ნაშთს.

ქატური საზოგადოების წრეში მოულოდნელი არ იყო არც ცოლის თვით-მკვლელობა ქმრის გარდაცვალების გამო და მის მსახურად გამგზავრება „საიქიო ქვეყანაში“.

მესამე მიცვალებულის ჩონჩხისაგან მხოლოდ რამდენიმე ძვალი და მისი ნატეხი იყო აკლდამის შუა ნაწილში. ესენია მარჯვენა ხელის სხივის ძვალი, მხრის ძვლის პატარა ნატეხი, 2 ნატეხი ნეკნებისა (ტ. XXIII—4,5); ცალ-ცალკე გაფანტული 6 კბილი და წვრილად დამტვრეული ძვლები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმავე მიცვალებულისა უნდა იყოს მარცხენა ხელის სხივის ძვლის ნატეხი, აღმოჩენილი აკლდამის სახურავის დონესთან შედარებით 2,00 მეტრით მაღლა, კრატერისებრი ღრმულის დასწვრივ. ის შეიძლებოდა მაღლა აეტანათ განძის მაძიებლის სამარხში მოხვეტილ სხვა ძვლებთან და მიწასთან ერთად, რათა ეს მასალა მზის სინათლეზე გაერჩიათ ძვირფასეულობის შოვნის მიზნით, თუ ასეთი რამ სამარხეულ ინვენტარში მართლაც იყო, იმის გარდა, რაც ექსპედიციას დახვდა.

აღნიშნული კბილების მინანქრის კარგი დაცულობა, თუ შეიძლება ამას დავეყრდნოთ, საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ მათი პატრონი მიიცვალა ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა, ყოველ შემთხვევაში არაუმეტეს შუა ხნისა. უნდა ვიფიქროთ, რომ მიწაყრილიც მისი ხსოვნის უკვდავებისათვის იყო დაზვინული. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ჩონჩხის ნაშთების აღმოჩენა აკლდამის შუა ნაწილში, ხის მძიმე ეტლის (საზიდრის) ნაწილების მდებარეობის უბანზე (ტ. XXIII—6). რელიეფური ორნამენტით შემკობილი ხის ფიცრებისაგან მანჭვლებით შეკრულ კუბოში მოკეცილი გვამი მიცვალებულისა ხისავე საკაცით (ტ. XXIV—2), დასვენებული უნდა ყოფილიყო ხის ოთხთვალა ეტლზე, რომელიც აკლდამის დანგრევისას ნაწილებად დაშლილა, დამსხვრეულა და ნანგრევის მასალების ქვეშ დამარხულა. ყველაფერ ამას უეჭველი სიცხადით მიუთითებს მონაპოვარი ნივთების ნატეხები და საველე ფოტოსურათები (ტ. XXIV—3—6, ტ. XXV—1,2)

საჭიროა აღინიშნოს, რომ აკლდამის სწორედ შუა ნაწილში აღმოჩნდა სამარხეული ინვენტარის ძირითადი ნაშთი—იატაკზე წესისამებრ პირაღმა დალაგებული სუფრის ჭურჭლეული და სხვა ნივთები, რომლებიც თითქმის თავდაპირელ ადგილასვე შეუნახავს დამსხვრეული ეტლის ზედდაცემულ წაქცეულ თვალს (ტ. XXV—3,4). ეს ჭურჭლები, საფიქრებელია, ეწყო საზიდრის ქვეშ, ხოლო თვითონ საზიდარზე მიცვალებულთან ერთად ალბათ იყო კეთილშობილი ლითონების ნახელავი —სამგლოვიარო შტანდარტი, მისი პირადი სამკაული, საჭურველი და ჭურჭელი, რომლებიც ეტლის დამსხვრევისას გაიფანტებოდა. ზოგი რამ ამ ძვირფასი ნივთებიდან, რომლებიც კარგად შეუნიღბავს ზედ გადაფარებულ სვეტნარ კედლებს, ჩვენს დრომდე შემოინახა, ხოლო სხივები, ალბათ განძის მაძიებელთა ნადავლად იქცა.

ამგვარად, ჩვენ მივადექით საკითხს საფლავის გაძარცულობის თაობაზე. იმის გარდა, რაც ამის შესახებ უკვე ითქვა (ქვების განცალკევებული ყრილი კრატერისებურ ღრმულში და მის ნაპირზე; ადამიანის მარჯვენა სხივის ძვალი იმავ ღრმულში; კედლის ზოგიერთი სვეტის მოხსნა, კედლის დამჭერი მორის ამოკვეთა, იატაკის ზოგიერთი ძელის აყრა), არის კიდევ ზოგიერთი ფაქტი, რომელთა ერთ ნაწილს მაინც, ჩვენი აზრით, უშუალო კავშირი აქვს ამჯერად საინტერესო მოვლენასთან. გავიცნოთ ყველა ეს ფაქტი და შემდეგ ვცადოთ მათი მნიშვნელობის შეფასება.

1. კრატერისებრ ღრმულში გაწმენდილ ქვის გროვასთან, იმავე დონეზე აღმოჩნდა რკინის ლაგამი, რომლის ორწილადი ღერო ღვლარჭნილია (ტ. XIII—9) და ამით ზუსტად შეესატყვისება მინგეჩაურის II გორასამარხში ნაპოვნ ბრინჯაოს ლაგმებს (54, გვ. 96—97, ტაბ. $XXXIX_{,12}$).

2. იქვე, იმავე ქვებს შორის იყო ფეოდალური დროის თიხის ჭურჭლეულის ნამსხვრევები, მათ შორის 2 პატარა ნატეხი მოჭიქული ჯამებისა;

3. იმავე ღრმულის დასწვრივ, აკლდამის გადახურვის ნაშთებს ზემოთ ნაპოვნია კერამიკის ნატეხები, რომელთა ანალოგები იყო თვითონ აკლდამაშიც, ვითარცა სამხარეული ინვენტარის შემადგენელი ნაწილი;

4. აკლდამის სამხრეთი კედლის შევსების ზედაპირზე, ესეც კრატერისებრი ღრმულის დასწვრივ, პირველად ჩვენი ექსპედიციის მუშაობის მთელს პრაქტიკაში, ვნახეთ ლითონურად მბზინავი თიხის ჭურჭლის მოზრდილი ნატეხი (ტ. XXV — 5), რომელმაც მიიპყრო საყოველთაო ყურადღება; თუმცა თვით აკლდამის იატაკზე, უფრო გვიან, ბლომად გაიწმინდა ასევე ნაპრიალები კერამიკა, მაგრამ აღნიშნული ნატეხი არც ერთ მათგანს არ მიუდგა რესტავრაციის დროს;

5. ისევ კრატერისებრი ღრმულის დასწვრივ ბასრი ცულით გადაჭრილი იყო აკლდამის სიღრმეში დამრეც ჩაწოლილი გადახურვის 2 მსხვილი კოჭი (ტ. XXIII—1,2).

6. ბოლოს აღსანიშნავია, რომ აკლდამის სამხრეთი კედლის შევსებაზე უწესრიგოდ მიყრილი იყო, მის ძირითად თავამდე, ხე-ტყისა და სამარხეული ინვენტარის უამრავი დიდ-პატარა ნატეხი (ტ. XVIII—3—5), სახელდობრ, ხის მძიმე ეტლის ან საზიდრის ცალკეული ნაწილები და ხის და თიხის ჭურჭლეულის ნამტვრევები.

დასაშვებია ვარაუდი, რომ კრატერისებრი ღრმულის ზედა დონეზე ნაპოვნი ლაგამი ან კერამიკა, ან ორივე ერთად, ეკუთვნოდათ განძის მაძიებლებს, და ასეთ შემთხვევაში შეგვეძლო მიახლოებით დაგვედგინა აკლდამის გაძარცვის დროც—ფეოდალური შუასაუკუნეები—მოჭიქულ ნატეხებზე დამყარებით, ანდა ძვ. წ. 1 ათასწლეულის მეორე ნახევარი, რამდენადაც ეს შეიძლება მიგვანიშნოს ბედენის რკინის ლაგმის ფორმის სიახლოვემ მინგეჩაურის ბრინჯაოს მონაპოვართან[10]. მაგრამ დამაჯერებლად არ მტკიცდება, რომ, თუნდაც ერთი და იგივე დროის იყოს, მოჭიქული ნატეხები და ლაგამი ღრმულში დარჩათ განძის მაძიებლებს, ვინაიდან არის საფუძველი სხვაგვარი ვარაუდისთვისაც, სახელდობრ

[10] მინგეჩაურის II გორასამარხს, რომელშიც აღნიშნული ტიპის ბრინჯაოს ლაგმები აღმოჩნდა (სხვათა შორის), აზერბაიჯანელი მკვლევარები ათარიღებენ, ჩვენი აზრით, არასწორად—ძვ. წ. XI ს. ბოლოთი და X ს. დასაწყისით. რომ ეს თარიღი ნამეტანი გაზვიადებულია მოწმდება იქვე აღმოჩენილი სამნახვრეტა საყბეურების მიხედვით. რამდენადაც ეს ტიპი გაჩნდა ძვ. წ. მეშვიდე საუკუნის შემდეგ. გარდა ამისა, თვით ავტორები აღნიშნავენ იმავე გორასამარხში ძვ. წ. მე-5—6 სს. რკინის აკინაკისა და რკინის დანის აღმოჩენას. მართალია, მათ მიაჩნიათ, რომ ეს ნივთები არ შეადგენდა სამარხის ინვენტარის ნაწილს, არამედ იქ შემთხვევით დარჩათ განძის მაძიებლებს, მაგრამ ეს მტკიცება დაუსაბუთებელია და მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ზოგ მკვლევარს სურვილი აქვს მეტისმეტად შორს გადასწიოს ისტორიის სიღრმეში რკინის ნივთების შემცველი გვიანდელი ბრინჯაოს ხანის კომპლექსების ხნოვანება [დაწვრილებით ამ საგანზე იხ. 127]. ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მინგეჩაურის ღვალარჭნილღეროიანი ბრინჯაოს ლაგმები ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების საგნებია, ხოლო მათი ბედენური რკინის ანალოგი—შედარებით უფრო ახალგაზრდაა.

შეიძლება დავუშვათ, რომ ეს საგნები სრულიად შემთხვევით მოხვდა გორასამარხის ზედაპირზე, ხოლო, როცა აკლდამის სახურავი ჩაიშალა, ისინი უფრო ღრმად ჩაჰყვა ჩაშვავებულ მიწას. საფლავის ნაძარცვობის სანდო მოწმედ არ შეიძლება გამოდგეს არც ცალკეული ნატეხები კერამიკული ჭურჭლებისა, აღმოჩენილი აკლდამის სახურავის ზემოთ; ისინი ისევე შეიძლებოდა ამოყოლოდა განძის მაძიებლების მიერ საფლავიდან ამოსროლილ მიწასა და სხვა ნანგრევებს, როგორც შეიძლებოდა დარჩენილიყო მიცვალებულის გვამის დაკრძალვისას ჭურჭლების მტვრევის წესის შესრულების შემდეგ. სულ სხვა მნიშვნელობის ფაქტად გვესახება გადახურვის კოჭების გადაჭრა (ტ. XXIII—1,2), რაც შეიძლებოდა მომხდარიყო აკლდამაში ჩასაძრობი ხვრელის გაკეთების მიზნით, ეს მიზანი კი შეიძლებოდა გასჩენოდათ მხოლოდ განძის მაძიებლებს. იმავე მნიშვნელობისაა აკლდამის სამხრეთი კედლის შევსებაზე უხვად მიყრილი სამარხეული ინვენტარის ნატეხები[11], რომლებიც შეიძლებოდა მოხვედრილიყო აქ საფლავის წმენდისა და ზედმეტი მასალებიდან განთავისუფლების ცდის პროცესში.

განძის მაძიებლები აკლდამაში მოხვერდილან მას შემდეგ, რაც მისი გრძივი კედლები უკვე წაქცეული, ხოლო სახურავი ჩაწოლილი იყო. სწორედ ამით აიხსნება, რომ ძარცვის ზემოთ აყრილ კულტურულ ნაშთთა ნაწილი სამხრეთი კედლის შევსების მორებს შერჩენია[12].

გულმოდგინე გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ აკლდამა მძარცველებმა საფუძვლიანად ვერ გაჩხრიკეს. ეტყობა, რომ ჩხრეკა მიმდინარეობდა ახალი ჩამონგრევის მოლოდინით გამოწვეულ შიშში. ამასთანავე, დასაშვებად გვეჩვენება ვარაუდი, რომ მძარცველებმა ძირს დაწოლილი სვეტნარი კედლების გადარჩენილი ნაწილები შეცდომით მიიჩნიეს აკლდამის ძელურ იატაკად და ამიტომ არ უცდიათ მისი აყრა, ქვეშ მოყოლილი საგნების მოსახილად. ყოველ შემთხვევაში, როგორც ითქვა, შეუმჩნეველი დარჩენიათ აკლდამის შუაში კედლის ქვეშ დამარხული ოთხთვლიანი ეტლის (საზიდრის) უკეთ შენახული თვალი, და მის მიერ ჩაშლილი ინვენტარი (ტ. XXIII—6, XXIV—1,2) ვერ უნახავთ ვერც მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საძრომი ხვრელის დასწვრივ იატაკზე მდებარე ოქროს ქინძისთავი (ტ. XXIV—1, XXV—6) ან, თუ ნახეს, ვერ შენიშნეს, როგორ დაეკარგათ ის სხვა ნადავლის მაღლა ატანისას. ზოგ სხვა რამესაც არ ემჩნევა განძის მაძიებლების აშკარა კვალი.

მათი შემოქმედების კვალი სამაგიეროდ შესამჩნევი იყო, ყოველ შემთხვევაში, ორ ადგილას — სამხრეთი კედლის შუა ნაწილის წინ და ჩრდილო კედლის დასავლეთი ნაწილის ახლოს. დაწოლილი კედლის სვეტები ორივე ადგილას გადაჭრილი ან გადამტვრეული იყო ისე, რომ სხვა ნანგრევ მასალებს ქვეშ იატაკი ჩანდა. ჩრდილო კედლის წინ არ აღმოჩენილა არავითარი არქეოლოგიური ნივთი, თუ ასეთებად არ მივიჩნევთ ჩაწოლილი სახურავის კოჭების არამრავალრიცხოვან ნატეხებს. იქ იატაკი მოსუფთავებული იყო და მთელი მასალა მოხვეტილი სამხრეთი კედლის უკან მდებარე შევსებაზე; უმთავრესად მისი დასავლეთი ნაწილის ყოველ დონეზე, იატაკიდან, ვიდრე

---

[11] ახლადდაკრძალულის საფლავზე ჭურჭლეულის მტვრევის ჩვეულების ფესვები მიდის შორეულ წარსულში, მაგრამ გადმონაშთის სახით ის შემორჩა ახალ დროსაც [125].

[12] კედლის დამჭერ მორებსა და შევსების მორებს შორის შერჩენილი ძირები სვეტებისა ჩამპალა და ამიტომ შეუძლებელი იყო მათზე ცულით ჭრის კვალის შემჩნევა.

თავამდე. იმავე შევსების შუა ნაწილის წინ ჩალეწილი იყო სქელკედლიანი თიხის ჭურჭელი, აგრეთვე, ხის ჯამები (ტ. XXV—6, XXVI — 1, 2). მათი ნატეხები ბლომად იყო შევსების მორების შეერთების ადგილებზე შექმნილ „ბუჯარებს“ შორის. ეს ნატეხები იქ შეიძლებოდა მოხვედრილიყო მაშინ, როცა განძის მაძიებლები აკლდამიდან ზევით ჰყრიდნენ მიწას და სხვა ნანგრევ მასალებს.

იმის კვლევა, თუ რა ნივთები გაიტაცეს მძარცველებმა, დაემსგავსებოდა უნაყოფო მკითხაობას; ამიტომ ჩვენ გადავდივართ მონაპოვარი მასალების გაცნობაზე.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ბლომად არის აღმოჩენილი ხის მძიმე ორღერძიანი ეტლის ან საზიდის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებით მიღწეული ნატეხები, რომელთა შორის ყველაზე უკეთ შენახულა 1 თვალი, ზედადგრის ცალი ზეწარი და რვილისებრი, ე. ი. ცალფეხა ხელნა.

ეტლის ეს თვალი შედგენილია 3 ფიცრისაგან, რომელთაგან ორ განაპირა ფიცარს 10,0 სმ სისქის სეგმენტის ან ნაკლული მთვარის მოყვანილობა აქვს, ხოლო მესამე, შუალა, ბოლოებმომრგვალებულ სწორკუთხედს ჰგავს. ის გათლილია დაახლოებით 0,50 მ სისქის ხისგან ისე, რომ ნაპირები დათხელებული აქვს, სეგმენტების სისქის შესატყვისად, ხოლო შუაში დატოვებულია ორივე მხარეს ოც-ოც სანტიმეტრზე გაშვერილი მსხვილი მორგვი, გახვრეტილი ეტლის ღერძის მრგვალი თავის გასარჭობად (ტ. XXII—3, 4, XXIII—6, XXV—3,4, 6, XXVI—3—5, XXVII—1,4). ამ შუა ფიცარს სეგმენტები ებმის სწორკუთხედად გამოთლილი 5—5 შინაგანი სოლით. მორგვის ნახვრეტში შერჩენილი იყო ღერძის თავგადატეხილი ნაშთი, ხოლო მორგვს ზემოდან ედო ნახვრეტთან გადატეხილი ღერძის თავიც და მასში გასარჭობი ჭიჭლაქი ანუ რიკიც (ტ. XXVI—3). როცა ამ ნაშთებისაგან მორგვი გავათავისუფლეთ, მათ ქვეშ გამოვლინდა სპილენძის ბრტყელყუნწიანი და დისკოსებრთავიანი ნივთი (ტ. XXVII—3,5), რომელიც ცოტა მოგვიანებით აკლდამის სხვა ნაწილში აღმოჩენილ ანალოგიურ საგანთან ერთად (სურ. 10,11) საკინძად მივიჩნიეთ. მართლაც ისინი თითქმის ზედმიწევნით იმეორებენ შუა ბრინჯაოს ხანის, უმთავრესად კავკასიის მთის კულტურებში გავრცელებულ ამ ტიპის „საკინძის“ ფორმას (128, გვ. 4, ტაბ. VI), ოღონდ მათგან განასხვავებს ბრტყელი ყუნწი. ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ მასალებში ბრტყელყუნწიან-დისკოსებრთავიანი „საკინძები“ გვახსოვდა მხოლოდ 1959 წ. ნადარბაზევთან გათხრილ № 2 გორასამარხიდან (1 ც.) და 1964 წ. ს. ღებში ნიაღვრის მიერ დანგრეული სამარხიდან (2 ც.). უფრო გვიან, 1970 წ., როგორც ქვემოთაც იქნება აღნიშნული, 3 ასეთი საგანი აღმოჩნდა ბედენის № 10 გორასამარხში, როცა ეჭვმიუტანლად დადგინდა ამ ნივთთა დანიშნულება. ისინი იქ გარჭობილი იყო ოთხთვალა ეტლის ღერძების ბოლოებში საჭლაკე ნახვრეტებში თვითონ ჭიჭლაქებთან ერთად (ტ. XXVII—3,5). ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს, რომ ბრტყელყუნწიან-დისკოსებრთავიანი ბრინჯაოს ან სპილენძის „საკინძები“ არის ეტლის სამკაული და ისინი არ შეიძლება ჩავთვალოთ არც ნამდვილ საკინძებად და არც თეფსიალკური ტიპის სარკეებად, რომლებიც ხასიათდება აგრეთვე ბრტყლად გამოყვანილი ყუნწით. ის საკითხი, თუ რა მოსაზრებით უკეთებდნენ ეტლებს ამგვარ სამკაულებს, ჯერ კიდევ გაურკვეველია. შეიძლებოდა ისინი მიჩნეული ყოფილიყო მზის ანდა სავსე მთვარის სიმბოლურ გამოსახულებად.



სურ. 10. გორასამარხი 5. სპილენძის დისკოსებრთავიანი „საკინძი“, ეტლის ღერძის სამკაული

ზემოთ აღწერილი ეტლის თვალი ეგდო აკლდამის იატაკის ცენტრალურ ნაწილში და მას ქვეშ მოუყოლებია უამრავი არქეოლოგიური მასალა, რომელთა ნაწილი იმთავითვე დალაგებული ყოფილა იატაკზე, ნაწილი კი თვითონ საზიდარზე (ტ. XXVIII—1,3). ამ თვლის დიამეტრი სჭარბობს 1,50 მ, ხოლო სისქე მორგვებიდან ნაპირებისაკენ ეცემა 10,0-დან 4,0 სმ-მდე.

აკლდამაში აღმოჩენილი ზოგი სხვა ნატეხი ამავე ზომის დანარჩენ სამ თვალს ეკუთვნის. ერთი თვლის შუა ფიცრის თითქმის ნახევარი ზედ შერჩენილი მორგვის ნაწილითურთ ეგდო სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ახლო (ტ. XXVIII—2,5), ორი სხვა თვლისა აღმოჩენილია მორგვთა ნატეხები (ტ. XVII—5, XXVI—5 XXVIII—5); როგორც უკვე ითქვა, ისინი მძარცველებს მიუყრიათ სამხრეთი კედლის შევსებაზე და დასავლეთ კედელთან აღმართულ დედაბოძზე. არის სხვა ფიცრების უსახური ნატეხებიც.

აკლდამის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო კარგად გათლილი ცალთვალა ნაკლული ფიცარი, რომლის სიგრძე 1,70, სისქე — 0,10 მ, ხოლო სიგანე 0,15 მ აღწევს. მასში ამოკვეთილია სწორკუთხედი მოყვანილობის 3 ფოსო,



სურ. 11. გორასამარხი 5. ეტლის ღერძის სპილენძის სამკაული

რომელთაგან ერთში ჩარჩენილა ხის მანჭვლით ჩამაგრებული ჭავლის ძირი. ის შეიძლება იყოს ერთ-ერთი ფრთა ზედადგრის ან ზეწრისა.

სამხრეთი კედლის შემავსებელი მორების შუა ნაწილის წინ იატაკზე გაფანტული იყო ოვალურგანივკვეთიანი და მრავალგანივკვეთიანი 4 ჯოხის მონატეხები (ტ. XXIV—3), რომლებიც შესაძლოა ეტლის დანდლებისა იყოს.

აღსანიშნავია სქელი ფიცრის ერთი მოზრდილი ნატეხიც, შემკობილი ერთმანეთში ჩაწერილი კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედების სისტემით, რომლებიც გამოყვანილია რელიეფური ზოლებით (სურ. 12). არის ის ეტლის ნაწილი, მაგალითად, ზედადგრის ბოლოს ჩამკეტი ფიცრის მონატეხი თუ სხვა რამ ორნამენტული დეტალი, ძნელი სათქმელია, მაგრამ თუ სევანის რაიონის კარგად შემკულ არქეოლოგიურ ეტლებს გავითვალისწინებთ [97, გვ. 151], მისი მიკუთვნება ბედენური ეტლისადმი შეცდომად არ ჩაითვლება.

აკლდამის იატაკზე ბლომად იყო გრძელი წნელები (ტ. XXVII—4, XXVIII 2, XXIX—1) და მათი ნატეხები. ამ მასალით შეიძლებოდა მოწნული ყოფილიყო ეტლის ზესადგრის გვერდები [8, ტაბ. VII, 3], ან ჩვენთვის უცნობ როლს ასრულებდა მიცვალებულის დაკრძალვის წესებში. ყოველ შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ ამგვარ წნელებს ხშირად პოულობენ გორასამარხებში. ისინი დამოწმებულია საბიდ-ახჩის ეტლიან სამარხში [43, გვ. 77—78], იყო ლჩაშენის გორასამარხებში [98, გვ. 139], დაღესტანში მანასის კატაკომბურ სამარხებში [102, ტაბ. XXVI, გვ. 176 და 183] და სხვ. ა. მნაცაკანიანის აზრით, წნელები



სურ. 12. გორასამარხი 5. რელიეფურორნამენტიანი ფიცრის ნატეხი

შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც სამარხის სახურავში, ისე ეტლის ზედადგრის გვერდის ცხაურისა და გადახურვისათვის. ე. ტეილორი აღნიშნავდა, რომ ამერიკელ ინდიელთა შორის წნელების კონას საწესო მნიშვნელობა ჰქონდა მიცვალებულის დაკრძალვისას, როცა ქმრის დასაფლავების შემდეგ უკან დაბრუნებული ქვრივი ცოლის თავზე ასეთი წკეპლების ქნევით ცდილობდნენ ქმრის სულის განდევნას, რათა ქვრივს ხელახლა გათხოვების საშუალება მისცემოდა [125, გვ. 278]. აღნიშნული ცნობა საეჭვოა აკლდამაში აღმოჩენილი წნელების პირდაპირ ანალოგად გამოგვადგეს, მაგრამ მათი სარიტუალო მნიშვნელობა მასში მაინც უეჭველად მოჩანს. მეორე მხრივ, ძველი რომის წარჩინებულთა ცხოვრებაში წნელის კონებს ღირსების მიმნიჭებელი მნიშვნელობაც ჰქონდა, რასაც რ. ჯიოვანოლის ნაშრომიდან მოტანილი შემდეგი ადგილი მიუთითებს: „... კლავდიუსს... წარსულ თვეში ჰქონდა გათავებული სამსახური და ამიტომ წინ მიჰქონდათ წკეპლების კონები, ნიშნად კონსულის ღირსებისა“. ბედენის აკლდამაში დაკრძალული პირის მაღალ სოციალურ ადგილს მისი დროის საზოგადოებაში ეგებ აკლდამაში აღმოჩენილი წნელებიც გვაუწყებდეს, თუმცა, როგორც ითქვა, გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ისინი უშუალო კავშირში იყოს თვითონ ეტლის აგებულებასთან.

ბედენური ეტლის მნიშვნელოვანი ნაწილია ცალფა ხელნა ანუ რვილი (98, გვ. 144). ესაა 3,05 მ სიგრძის მრგვალად გათლილი ძელი, რომლის ერთი, ზედად-

გრის ქვეშ უძრავად დასამაგრებელი ბოლო გამოყვანილია ნიჩბისპირის მსგავსად, ხოლო უღელზე გადასადები მეორე ბოლოს შორიახლო გახვრეტილია გამჭოლ საკანდრივე რიკის გასაყრელად (ტ. XXVIII—5, XXIX—2) ნიჩბისპირისებრი. ბოლოს სიგრძე არსებულ მდგომარეობაში უდრის 0,30 მ, მაგრამ თავდაპირველად ის უნდა ყოფილიყო უფრო გრძელი, როგორც ეს ჩამონატეხი პირის მიხედვით ჩანს. სრულად შერჩენილი სიგანე და სისქე შესაბამისად უდრის 0,27 და 0,10 სმ. გაურკვეველია თუ როგორ და ზედადგრის რა ნაწილში მაგრდებოდა იგი, მაგრამ დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ის იჯდა ზედადგრის ქვეშ ერთ-ერთ ღერძზე საამისოდ გაკეთებულ მარწუხებში [94, გვ. 509—512; 32, გვ. 8—10; 33, გვ. 253—256];

რვილის ამ გაბრტყელებულ ბოლოს და ბევრ სხვა საგანს, როგორც ზემოთ აღინიშნა, გადაფარებოდა ეტლის წაქცეული თვალი, ხოლო გახვრეტილი ბოლო იდო გაურკვეველი დანიშნულების ხის რთული აღნაგობის ნივთზე (ტ. XXIX—3—5). ეს საგანი შედგენილია 19 ნაწილისაგან, რომელთაგან 2 წარმოადგენს ცალმხრივ ამოზნექილ ლინზისებრ გამოთლილ დისკოს, 14 მცირედ მორკალულ ჯოხს, 1—თავ-ბოლო გახვრეტილ სწორ ღერძს, ხოლო დანარჩენი 2—ამ ნახვრეტებში გაყრილ რიკებს. დისკოები შუაში გახვრეტილია გამჭოლ, 1,10 მ სიგრძის ღერძის ბოლოების მისაღებად, ხოლო მის გარშემო დაბრტყელებულ შიდა ზედაპირზე ამოღებულია 14—14 მრგვალი ფოსო მოხრილი ჯოხების ჩასარჭობად, მაშინ როცა გარეთა ზედაპირზე ერთ მათგანს შემოსდევს 3, მეორეს კი 5 ღარი. ამგვარად შეკრული ეს საგანი, ღერძის გარშემო ჩამაგრებული ჯოხების მოხრილობის გამო, მუცელგამობერილია და ის ამ მხრით მოგვაგონებს ძველაღმოსავლურ სამყაროში გავრცელებულ ეტლის რვილზე დასამაგრებელ ბრინჯაოს ჭვირულ საგნებს, რომლებშიც გადიოდა გამწევი პირუტყვის სამართავი სადავის თასმები [28, სურ, 179-ე გვერდზე]. მას გარკვეული მსგავსება აქვს აგრეთვე სკვითური დროის ჟღარუნებთან.

ექსპედიციის ზოგიერთი წევრის აზრით, აკლდამაში აღმოჩენილი ეს საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო კსილაფონის ტიპის მუსიკალური საკრავი, რომლის მორკალულ 14 ჯოხს, დარტყმის შემთხვევაში, სხვადასხვანაირი ხმა უნდა გამოეცა. ეს მოსაზრება ნაკლებდამაჯერებელია, ვინაიდან საეჭვოა, რომ ერთნაირი სიგრძისა და სიმსხოს მქონე ეს ჯოხები სხვადასხვანაირად აჟღერებულიყო. ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია მისი კავშირი ეკიპაჟთან, როგორც სიმბოლური უღელი ანდა დაუღვლილი გამწევი ძალის განსახიერება. ეს მოსაზრება მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის მნიშვნელობისაა, ხოლო აღწერილი საგნის ნამდვილი დანიშნულების გამოცნობა მომავალი კვლევის ამოცანად რჩება. როცა ბედენის ხის ამ ჭვირულ საგანს ეკიპაჟთან ვაკავშირებთ, ამის საფუძველს ჩვენ ვხედავთ ადრინდელი ბრინჯაოს ხანის საჩხერულ ერთ საკინძში [44, გვ. 128, ტაბ. XII. 3, 7], რომელსაც ჩვეულებრივ, განიხილავენ, როგორც ურემში შებმული ხარის გამოსახულებას. ეს საკინძი, ზოგადად ბედენური ეტლის რვილისა და აჟურული ნივთის ფორმისაა.

ასევე პრობლემატურ საგანს წარმოადგენს ეტლის თვლის ქვეშ აღმოჩენილი დაკბილული ფიცრის მოზრდილი ნატეხი სიგრძით 0,20 და სიგანით 0,10 მ (ტ. XXIV—2,4), რომელიც ისევე ჰგავს ბზის მოსახვეტ არნადს, როგორც ძველ მაღაროებში მონგრეული მადნის მოსაგროვებელ ხოპს და სახვრეტელას [55 გვ. 74]. ერთიც და მეორეც, ჩვეულებრივ, ხისგან კეთდებოდა, ოღონდ არნადს

დაგებული ჰქონდა ტარი მაშინ, როცა მადნის სახვეტელას ასეთი რამ არ გააჩნდა. არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბედენური დაკბილული ნივთი უტარო იყო იმთავითვე, დასაშვებია ვარაუდი, რომ სატარე ნახვრეტი იყო ამ ფიცრის შემოურჩენელ ნაწილზე. ასეა თუ ისე, ბედენის გვაროვნულ საზოგადოებას, რომელშიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მაღალ საფეხურზე იდგა მიწათმოქმედებაც და მეტალურგიული წარმოებაც, შეიძლებოდა ესარგებლა ორივე დანიშნულების იარაღით. სათიბ-საძოვრებით განთქმული ბედენის მთა ემიჯნება, როგორც სამიწათმოქმედო ველებს, ისე ბოლნისის რაიონის სამთამადნო რესურსებით მდიდარ ხეობებს, რომელთა ბატონ-პატრონი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ძველი ბედენელები.

ეტლის თვლის ქვეშ აღმოჩენილ ხის ნივთებს შორის იყო კიბისებრი საგნის ნაშთი (ტ. XXIV—4), რომელიც ალბათ საკაცის როლს ასრულებდა. მისი ორი პარალელური გარა წარმოადგენს 1,55 მ სიგრძისა და 0,06 მ სიმსხო, გრძივი დაირგვლივი რელიეფური ზოლებით შემკულ ძვლებს, რომლებიცერთმანეთისაგან თანაბარი მანძილის დაშორებით ამოკვეთილია 4 ოვალური ფოსო, დანდლების ანუ სახიდრების [37, სიტყვა „დანდალი“] ბოლოების გასარჭობად, და ამას გარდა, შანთით გაკეთებულია ამდენივე გამჭოლი წვრილი ნახვრეტი სახიდრების ბოლოების ხის მანჭვლებით დასამაგრებლად. ოთხივე სახიდარის ცალმხრივ ამოზნექილი ლინზისებრი შუა ნაწილი ოვალურად ფართოვდება და ბრტყელი პირით მიქცეულია ზემოთ, რათა ზედ დადებულ საგანს შეეძლოს მყარად გაჩერება. სიფართე ამ საკაცისა დაახლოებით ნახევარ მეტრს აღწევს. მართალია, საკაცე დამტვრეული იყო, მაგრამ მისი რეკონსტრუქციისათვის საჭირო ყველა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე.

ნაწილობრივ ცენტრში მდებარე ურმის თვლის ქვეშ შედიოდა, ნაწილობრივ კი მის გარეთ ჩანდა თხელი ფიცრების ნატეხები. ზოგიერთი მათგანი უორნამენტოა, ოღონდ ვიწრო ნაპირების გასწვრივ უჩანს შანთით ამომწვარი წვრილი ნახვრეტები (ტ. XXX—1). სხვების ზედაპირი შემკულია რელიეფური ზოლებით, რომლებიც, როგორც საფიქრებელია, ქმნიდა ერთმანეთში ჩაწერილ სწორკუთხედებს. ამ ფიცრების ცალ გრძივ წიბოზე და ალბათ განივ წიბოებზეც, აგრეთვე, ხშირი ნახვრეტებია, რომელთაგან ერთში შერჩენილა ხის მანჭვლის ნატეხი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ფიცრები არის ნაშთი დაბალი ყუთისებრ შეკრული სარეცლისა, რომელშიც განისვენებდა კიდურებმოკეცით დაკრძალული მთავარი მიცვალებული. უნდა ითქვას, რომ ბ. კუფტინის ვარაუდით, შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ერთ მდიდრულ გორასამარხში („დიდი თოფქარი“), აგრეთვე, უნდა ყოფილიყო ფურცლოვანი ოქროთი შემოჭედილი ხის ტახტი ან სარკოფაგი [82 გვ. 100]. ი. სინიცინის ვარაუდით, ქვემო ვოლგაზე გათხრილ ძვ. წ. II—I ათასწლეულების მიჯნით დათარიღებულ მე-9 გორასამარხში, რომელშიც ეტლის თვლებიც იყო, მიცვალებული დაუკრძალავთ ხის ფიცრებზე ან ასეთი ფიცრებით გაკეთებულ საკაცეზე [119, გვ. 153]. ა. მნაცაკანიანი გვამცნობს, რომ სომხეთში ს. ბასარგეჩარის ძვ. წ. მე-6 საუკუნის საფლავში მას უპოვნია მიცვალებულის დასაკრძალავი ხის „კიდობანი“ [99, გვ. 39, 40, სურ. 12]; ხის კატაფალკის ნაშთები[13] აღმოჩენილია კიროვაკანის ცნობილ გორასამარხში [111, გვ. 46—47;

[13] საკაცის ნაშთები ჭიმიურად დაამუშავა და გაამაგრა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა ნ. იაშვილმა.

88, გვ. 64]. ერთი სიტყვით, გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ბედენელი ბელადიც ხის სარეცელზე ყოფილიყო დაკრძალული. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სარეცელი აკლდამაში ჩაიტანეს ხის საკაცით და გვამი იმითვე დაასვენეს წინასწარ ჩაშვებულ ეტლზე (ტ. XXVII—4, 5), როგორც ეს ეკადრებოდა წარჩინებულ ბელადს.

რომ ბედენელი ბელადი ხალხმრავალი, ეკონომიკურად მძლავრი ტომის წარმომადგენელი იყო და დიდი პატივითაც სარგებლობდა, ამას მიუთითებს თვით გორასამარხის ყრილის, ორმოსა და აკლდამის მოცულობა, რომლებზედაც დახარჯულია ფრიად დიდი შრომა. ამასვე მოწმობს თან ჩატანებული ინვენტარის სიუხვე, მრავალფეროვნება და ხარისხი, რაშიც გზადაგზა დავრწმუნდებით.

რაკი ჯერჯერობით საუბარი მიდის ხის საგნებზე, აღვნიშნეთ, რომ აკლდამაში აღმოჩენილია ამ მასალისაგან გამოთლილი 4 ჯამი (ტ. XXV—6, XXX—2,3), ასეთივე ჭურჭლეულისა და დიდი ხონჩის ან ტაბაკის ნამსხვრევები, თითისტარის ნატეხზე წამოცმული კვირისტავი და ერთი მინიატურული ნივთი, რომელიც მოგვაგონებს მტკვარ-არაქსულ კულტურაში ფრიად გავრცელებულ მოტივს—სათვალეების მსგავს ხვიას [83, სურ. 169 ტაბ. XXI[3]; 40], ხის ჯამები მდგარა 3—3 ფეხზე, რომლებიც, სამწუხაროდ აღარ შერჩენია არც ერთ მათგანს. ზედა ნაწილი ჯამებისა შემკულია ტალღისებური ღარების სარტყლით. ეს მოტივი მცირე აზიაში პირველად ჩნდება ტროა მეექვსე ქალაქის თიხის ჭურჭელზე, კავკასიაშიც თავს იჩენს დაახლოებით იმავე დროს [87, № 125, გვ.—95, სურ. 27], მაგრამ მასიურად გავრცელებულია გვიანდელი ბრინჯაოს ხანაში და მომდევნო პერიოდში.

მართალია, ხის ჭურჭელი აქამდეც ცნობილი იყო ქართულ-კავკასიურ მასალებში [82, XXVI, გვ. 176—178; სურ. 9], მაგრამ ბედენის მონაპოვარმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა მის შესახებ.

„გადაჭრილი გორის“ გათხრის შედეგებმა კიდევ უფრო სრულყო ჩვენი წარმოდგენა ბრინჯაოს ხანის ქართულ-კავკასიურ თიხის ჭურჭლეულზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის კულტურული ვითარების სარკედ.

„გადაჭრილი გორის“ კერამიკა წარმოადგენს სამარხეული ინვენტარის გვირგვინს, მის სამკაულს, რომელიც გვაოცებს სიმრავლითაც, ფორმების სინატიფითაც და დამუშავების სრულყოფითაც, ის ანიჭებს უეჭველ ორიგინალობას არა მარტო მე-5 გორასამარხს, არამედ ბედენის მთელ კულტურასაც, მიუხედავად იმისა, რომ მას მჭიდრო ძაფები აკავშირებს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის არაერთ არქეოლოგიურ მასალასთან.

აკლდამაში, სულ ცოტა 40 დიდ-პატარა ჭურჭელი მაინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მათი წვრილი ნატეხებისაგან, ექსპედიციის. თანამშრომლის ო. ბედუკაძის გულმოდგინე მეცადინეობით, შეკოწიწდა სულ რამოდენიმე ცალი. ამათ გარდა, არის ნატეხები, რომელთაგან სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგიერთი გამოდგება თავდაპირველი ფორმების რეკონსტრუქციისათვის, განსაკუთრებით უიმედოდ ჩაითვლება ამ მხრით უსახური ნატეხები დიდი სქელკედლიანი, მათ შორის მოხატული ჭურჭლებისა[14], რომელთა სხვა ნაწილები აკლდა-

[14] კრემისფერი წერნაქით დაფარულ ზედაპირზე რამდენიმე ნატეხს ემჩნეოდა მუქი საღებავით დატანილი ორნამენტის მკრთალი კვალი, რომელიც, სამწუხაროდ, სრულიად გაქრა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ლაბორატორიაში მათი გარეცხვის დროს, მოხატულობის შესახებ მსჯელობისათვის ახლა მხოლოდ საველე ჩანაწერების ამარა ვართ.

შიდან ალბათ, ამოჰყარეს მისი გაძარცვისას; წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია რომ იქ არ დარჩენილიყო თუნდაც მცირე ნატეხები.

თუმცა არც ერთი ჭურჭელი ზუსტად, ყველა წვრილმანებით არ ჰგავს მის სხვა ორეულებს, რაც ხელით, უმორგვოდ ძერწვის შედეგია, მაგრამ ბევრი არსებითი ნიშნით ისინი საფუძველს იძლევა ტიპოლოგიური დაჯგუფებისათვის. სანამ ტიპების გაცნობას შევუდგებით, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას საზოგადოდ „გადაჭრილი გორის“ კერამიკის რაობაზე. „გადაჭრილი გორის“ კერამიკის მეტი წილი დამზადებულია საგანგებოდ წმინდად განლექილი და ასევე კარგად მოზელილი თიხისაგან, რომელშიც მხოლოდ გამადიდებელი შუშის დახმარებით შეიძლება შევამჩნიოთ მონაცრისფრო ქანის, ალბათ ანდეზიტ-ბაზალტის წვრილი, გასამჭლევებლად ნახმარი ფხვნილი; მხოლოდ სქელკედლიანი დერგების კეცში მოჩანს შეუდარებლად უფრო მსხვილი სილის მინარევი; მაგრამ ეს მარცვლებიც არ ამოდის ჭურჭლის ზედაპირზე და არ ახაოიანებს მას. ჭურჭელი ნაძერწია ხელით, მეთუნის მორგვის გამოუყენებლად, მაგრამ დიდი ხელოვნებით, რასაც მიუთითებს როგორც ფორმების სინატიფე, ისე კეცის მცირე სისქე. სუფრის ჭურჭლეულის შემთხვევაში კეცის სისქე 3-დან 6 მილიმეტრამდე ადის მაშინ, როცა სასურსათე დერგთა კედლის სისქე შეიძლება ამაზე ორჯერ-სამჯერ მეტიც იყოს. მცირე ფორმის ორ ჭურჭელზე შეიმჩნევა ერთგვარი ასიმეტრიულობა, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისია, რომელიც საზოგადოდ გარდაუვალია ხელით ძერწვის პირობებში. გამოწვის ხარისხი მაღალია, რასაც კეცის ლითონური სიწკრიალე მოწმობს. გამოწვა ჩატარებულია აღმდგენ ცეცხლზე, დახურულ ღუმელში, რომელშიც სიმხურვალე 900°-მდე მაინც უნდა ყოფილიყო. პირველად ვარდისფრად ანდა მოწითალოდ გამომწვარი კეცის გარე ზედაპირი შემდეგ გაუშავებიათ მხრჩოლავ ცეცხლზე [155] მაშინ, როცა შიდა ზედაპირი ვარდისფერი, ნაცრისფერი ან კიდევ მურა დარჩენილა. მონაპოვარ მასალაში მთელ სისქეზე შავად გამომწვარი ნატეხებიც შეგვხვდა, მაგრამ შეკოწიწებისას ისინი მიესადაგა ორფენიან სხვა ნატეხებს და ამით ნათლად დამტკიცდა, რომ „გადაჭრილი გორის“ კერამიკა მთლიანად სარჩულიანი ჭურჭლეულის კლასს ეკუთვნის. ბევრ სხვა თვისებებთან ერთად, რომლებზედაც ქვემოთაა საუბარი, ეს ნიშანი მას ძალიან აახლოებს და ანათესავებს ამიერკავკასიის, როგორც მტკვარ-არაქსის, ისე მომდევნო დროის სათანადო მასალებთან, შუა ბრინჯაოს კულტურის ჭურჭლეულის ჩათვლით [82, გვ. 84].

ბედენური კეცის შიდა ზედაპირი დაფარულია ღია ფერის წერნაქის თხელი ფენით, რომელიც მონდომებით მოლესილ-მოგლუვებულია. გარეთა ზედაპირის შებოლვისას ანგობსაც ზოგჯერ მუქი მურა იერი მიუღია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევებში ღუმელში დაპირქვავებულ ჭურჭელში კვამლი მაინც ახერხებდა შესვლას. მაღალ სიმხურვალეზე (1000°) ხელახალი გამოწვისას, რის ცდაც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ლაბორატორიაში ჩაატარეს, კეცი მთელ სისქეზე ვარდისფერი ხდება.

განსაკუთრებული მონდომებითაა მოპირკეთებულ-დამუშავებული ბედენის ყველა კერამიკულ ნახელავთა, უპირველეს ყოვლისა კი სუფრის ჭურჭლეულის გარე ზედაპირი. მისი სიპრიალე აყვანილია სარკისებრ სრულყო-

ფილებამდე, და გამოირჩევა ვერცხლისფერი თუ სადაფისებრი გარდამავალი ბზინვარებით. თუმცა აქაური კერამიკა ზოგადად შავპრიალა თიხის ჭურჭლეულის კლასს ეკუთვნის და რამდენიმე ცალის ზედაპირი სწორედ გიშერივით შავია, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ჭურჭლებს მორუხო-მოვერცხლისფრო ელფერი აქვთ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ასეთი ნახელავით ბედენელი მეკეცენი ვარცხლის ჭურჭლეულის მკეთებელთა მეტოქეობას ისახავდნენ მიზნად[15]. ისიც აშკარაა, რომ საპატიო ამოცანა მათ გადაუჭრიათ წარმატებით. უნდა ითქვას, რომ სათანადო ტრადიციას უკვე დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი: მცირე აზიის სამხრეთში ნეოლითის ბოლო საფეხურზე (6000—5400 ძვ. წ.) მერსინის მეკეცეებმა დაამზადეს პირველად მთელს მსოფლიოში, წმინდად განლექილი თიხის ლითონისებრ მოწკრიალე და სარკისებრ გაპრიალებული შავი ჭურჭელი [157, გვ. 35]. უფრო გვიან, ადრეული ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე, ვერცხლის მინაბაძი თიხის ჭურჭლის ნიმუშები ჩნდება ურმიის ტბის რაიონში[16] [146, გვ. 146]. მტკვარ-არაქსის კულტურის მოგვიანო პერიოდის კერამიკას დღევანდელი სომხეთის მიწა-წყალზე ხშირად ლითონური ბზინვარება დაჰკრავს [141]. მართალია, ყველა მოტანილ შემთხვევაში ჭურჭლეულის ზედაპირის სიპრიალე ბედენურთან შედარებით უფრო ნაკლებეფექტურია, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბედენელ მეთუნეებს წინაპრები ჰყავდათ და მათი როლი განისაზღვრა არსებული ტექნიკური ხერხის გაუმჯობესებით, მისი აყვანით ხელოვნების სიმაღლემდე.

ფორმები მათი ნახელავებისა უზადოა, პროპორციები მეტად შეწონასწორებული და მოხდენილი, ორნამენტი ზომიერი და ზედმეტობას მოკლებული. ძნელია დავიჯეროთ, რომ ასე მაღალხარისხოვანი და მხატვრულად სრულქმნილი ჭურჭლეული მზადდებოდა მასიურად, საყოველთაო და საყოველდღეო ხმარებისათვის; უფრო მართებული იქნებოდა ვარაუდი, რომ მისი მომხმარებელი იყო გვაროვნული საზოგადოების ზედა ფენა, ხოლო შემქმნელები — საგანგებოდ შერჩეული და ნაწრთობი კვალიფიციური ხელოსნები, რომლებსაც ათვისებული ჰქონდათ მეთუნეობაში საუკუნეთა სიგრძეზე შემუშავებული ტექნიკური ცოდნა და ამავე დროს ისწრაფოდნენ სიახლისკენ. ამიტომაა, რომ მათი ნახელავი უმთავრესად საზეიმო ხასიათისაა.

ამ ნახელავებში შედის რამდენიმე ტიპი, აქედან ორი წარმოდგენილია მოზრდილი ჯგუფების სახით, ხოლო სხვები შეიძლება იყოს მხოლოდ ერთიორი.

პირველ ორ ტიპს შეადგენენ ხელქოთნები და ყურიანები, რომელთა სახელწოდებანი ცნობილი ეთნოგრაფის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, ნ. რეხვიაშვილის რჩევით, ჩვენ ვისესხეთ ფოლკლორიდან.

---

[15] ლაბორატორიაში დასაკოწიწებლად გადაცემულ ჭურჭლებს შეუსუსტდათ პირველადი ლითონური ბზინვარება მაშინ, როცა ველზე მხოლოდ უბრალო წყალში გარეცხილი ნატეხები კვლავაც უეჭველად ინარჩუნებს სიპრიალეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ლაბორატორიაში გადაცემულ ნატეხებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მარილმჟავამ და აგრეთვე წებომ.

[16] ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ „გადაჭრილი გორის“ აკლდამის იატაკის კვლევის პროცესში პრეპარატორები არაერთხელ შეიყვანა შეცდომაში ლითონური ბზინვარების მქონე ნატეხებმა. მათ ეგონათ, რომ მიწისაგან ათავისუფლებდნენ ვერცხლის ჭურჭლის ნაშთებს მაშინ, როცა სინამდვილეში მათ წინაშე იყო კერამიკა—თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ტიპი I. ხელქოთნები[17]. „გადაჭრილი გორის“ კერამიკულ მონაპოვრებს შორის რიცხობრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კავკასიის არქეოლოგიაში დღემდე ნაკლებ ცნობილი ტიპის ხელქოთნები (ტ. XXXI, XXXII, 1—4). წვრილად დამზვლარი უამრავი ნატეხისგან დაკოწიწდა 11 ცალი ხელქოთანა და, ამას გარდა, არის ამ ტიპის ორიოდე სხვა ჭურჭლის უსახური ნამსხვრევები. ამგვარად აკლდამაში უნდა ყოფილიყო სულ ცოტა 15 ხელქოთანა.

ხელქოთანა მოგვაგონებს ფუძეებით ერთმანეთზე დაძერწილ ორ თავკვეთილ კონუსს, რომელთაგან ქვედა კონუსი ზედასთან შედარებით ორსამჯერ და ზოგჯერ ოთხჯერ უფრო დაბალია. ჭურჭლის უდიდესი დიამეტრი მოდის ფსკერთან ახლო, სადაც, კონუსების შერწყმის ხაზზე, ჩნდება მკვეთრი წიბო. ძირი, ჩვეულებრივ, ვიწრო და ბრტყელი აქვს, ორ შემთხვევაში კი—საკმაოდ ღრმად შეზნექილი (სურ. 13); დამრეცად გადახრილ განივკვეთში სამკუთხედის მოყვანილობის პირს ზედა კონუსი უერთდება ზოგჯერ უშუალოდ, უმეტესად კი მსუბუქი მუხლის მეშვეობით. წელში გამოყვანილი სახელურის, მიმაგრებული მუხლსა და კონუსების გამყოფ წიბოს შორის, შუა ნაწილში წრიული განივკვეთისაა, ფუძეებთან კი ოვალური; მისი ზედა ფუძე ერთ შემთხვევაში იძენს რკალური მოყვანილობის რელიეფურ წანაზარდებს, რომლებიც აქეთ-იქეთ გა-



სურ. 13. გორასამარხი 5. ხელქოთანა № 9

დარაზულია წარბებსავით ან ულვაშების მსგავსად ისე, რომ რაღაც ანთროპომორფულ სახეს ქმნის. ამ ტიპის ჭურჭლების ერთადერთ სამკაულს წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილი, მრგვალი, ჩაზნექილი ფოსო, რომელიც სახელურის მოპირდაპირე მხარეზე ზის, ზედა კონუსის შუა წელთან ახლო. ერთ მომცრო ხელქოთანას დანარჩენებისგან განასხვავებს სახელურის გვერდით დიაგონალურად აღმართული სადინარი მილი, რომელიც მას ჩაიდნის ან საწოვარას სახეს აძლევს

[17] მოგვაქვს ნ. რეხვიაშვილის მთარაჭული ჩანაწერი:
„ბზობა მოდის, ხარებაო,
ქალებს გაეხარებაო
ხელქოთანა, ყურიანა
ხრიკას ჩაეხმარებაო“.

(ტ. XXXII—7). სიმაღლე ხელქოთნებისა მერყეობს 8—12 სმ შორის, უდიდესი დიამეტრი 14—17 სმ, პირისა 9—12 სმ, ძირისა—4—5 სმ. ამ ტიპის დახასიათებისას შეიძლებოდა შეგვენიშნა, რომ მისი ნიშან-თვისებები, თუმცა თავმოყრილად არა მეორდება მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ერთ რომელიმე ტიპში, მაგრამ გაფანტულია სხვადასხვა ტიპებში. აღნიშნულ კულტურაში იშვიათად არა გვხვდება ორფენიანი, ზოგჯერ ლითონური ბზინვარების მქონე კეცი, ჭურჭლის შეზნექილი ძირი [83, სურ. 53, 55[5]; 61[1]; 71], მეტ-ნაკლებად მკვეთრი მუხლი ერთ ნაწილიდან მეორეში გადასვლისას [83, ტაბ. XXIV; 41. სურ. 13], ალმაცერად გადახრილი პირი, ბიკონუსისებრი ტანი [83, ტაბ. XXVI, 41, სურ. 10] და ბოლოს, წელში გამოყვანილი სახელურები. უკვე ეს ნიშნები მიუთითებს, რომ ჩვენი ხელქოთანა არ შეიძლება მოწყვეტილი იყოს ახლახან მოხსენებული კულტურიდან, მაგრამ, ვიმეორებთ, მისი ზუსტი ანალოგი იქ არ მოჩანს. სამაგიეროდ შეიძლება გავიხსენოთ სხვადასხვა დროის და სხვადასხვა მასალის არაერთი ნახელავი, რომლებიც მოყვანილობით უფრო ახლოს დგას ხელქოთნებთან, ვიდრე მტკვარ-არაქსული კულტურის თიხის ჭურჭლეული.

ბედენური კერამიკის აღწერილი ტიპის ტანი თავისი ბიკონუსური ფორმით ძალიან უახლოვდება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში კარგად ცნობილი არყის (იყის)[18] სახდელ სპილენძის ქვაბს, თუმცა მისგან განასხვავებს სახელურის აღნაგობა, რომელიც ამ მეორე შემთხვევაში წარმოადგენს ორ ყურზე გამობმულ კარბას. მსგავს ბრინჯაოს ჭურჭლებს ვხვდებით არქეოლოგიურ მასალებშიც, როგორც მაგალითად, თრიალეთში [86, ტაბ. XV; 19 გვ. 63. ტაბ. 22, 12], ნავთლუღში [39, გვ. 184—185. ტაბ. XXVI[5]] და დამჭესნის რაიონის სოფ. ჩავდრის სამარხებში [72, გვ. 79—81, სუტ. 26]. კიდევ უფრო ახლო პარალელად ჩაითვლება მაიკოპის უძველესი გორასამარხის ინვენტარში შემავალი ოქროს სადა თასი და ფიალა [110, გვ. 6, სურ. 6], რომელსაც სახელური რომ ჰქონოდა, ჩვენი ხელქოთნების მინიატურული ვარიანტი იქნებოდა. გარკვეული მსგავსებაა ხელქოთნებსა და ჰისარ II-ის ვერცხლის სასმისს შორის [169, გვ. 212]. ლითონის ნახელავებთან ხელქოთნების ფორმის სიახლოვეს კიდევ უფრო აძლიერებს ამ უკანასკნელთა ზედაპირის ვერცხლისფერი ელვარება; საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი წარმოადგენს ფერადი ლითონის რომელიღაც პროტოტიპის თიხაში განხორციელებულ მინაბაძებს. ასეთ პროტოტიპად, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ჩაითვალოს მაიკოპის ზემოხსენებული თასი, რომლის ფორმა, ზოგიერთი ცვლილებებით, მეორდება კავკასიის არაერთი რაიონის კერამიკულ ნახელავში.

მაიკოპის თასისა და ჩვენი ხელქოთნების ყველაზე უფრო ახლო ანალოგებს მთელს კავკასიაში, საქართველოს გამოკლებით, ვხვდებით თვითონ მაიკოპის კულტურის კერამიკულ ჭურჭლეულში, რომელიც მომდინარეობს ყარაჩის-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის უსტ-ჯეგუტინსკაიას სტანიციდან. უფროსი ჯგუფის აქაურ გორასამარხებში, სხვათა შორის, აღმოჩენილია რამდენიმე ცალი მომცრო ჭილა, რომლებსაც ბედენური ხელქოთნებისაგან განასხვავებს მხოლოდ უსახელურობა და მოწითალო ოქროსფერი კეცი [103, გვ. 133], აქვე ფრიად დროულია აღინიშნოს, რომ მათ თანმხლებ ორ სხვა

---

[18] „...ქართულად არაყსა იყი ეწოდების“ [37] სიტყვები „არაყი“ და „იყი“.

ჭურჭელს ამკობს თითო ისეთივე ჩაზნექილი მრგვალი ფოსო [103, გვ. 147], როგორიც ჩვენი I ტიპის კერამიკის აღწერისას გავიცანით. ერთი სიტყვით, მსგავსება ფორმებსა და ორნამენტში სრულიად აშკარაა, რაც ქვემოთ არაერთხელ ხაზგასმულ შეხვედრებთან ერთად, საფუძველს იძლევა გამოითქვას ვარაუდი ბედენის და მაიკოპის კულტურების მონათესაობის თაობაზე.

მაიკოპური ფორმების სახესხვაობანი, აგრეთვე, ამა თუ იმ ნიშნით დაკავშირებული ბედენურთან, სპორადულად ცნობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაშიც და უფრო სამხრეთითაც. ერთგვარად მხედველობაშია მისაღები ადრინდელი ბრინჯაოს ხანის („ენეოლითი") ველიკენტის სამოსახლოს ჭურჭლეულის გამოსაწვავ ღუმელში აღმოჩენილი მცირე ზომის უსახელურო ჭოთანი ბიკონუსური ფორმისა [75, გვ. 126, სურ. 22], რომელსაც ვ. კოტოვიჩი, ჩვენის აზრით, არც თუ მართებულად, თრიალეთის უადრესი („ენეოლითური") სამარხების კერამიკასთან კავშირში განიხილავს [75, გვ. 129]. კონუსების თანაბარი ზომა, მკვეთრი წიბოს უქონლობა და პირგადაუშლელობა მის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს, თუმცა ამავე ჭურჭლის სხვა ნახატზე, რომელიც გამოაქვეყნა რ. მუნჩაევმა [101, სურ. 23, 1], წიბოს ქმნის მსუბუქი მუხლი, ხოლო პირი სწორად გადაკეცილია. დაღესტანში ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, ყარაბუდახკენტის სამაროვანი № 2, სადაც III ტიპის ჭურჭლეულში ვხვდებით ბედენის I ტიპთან მიახლოებული ჯამის ფორმებს. მათი პირი ირიბად გადაკეცილია, ტანი — მკვეთრი წიბოთი გაყოფილი ორმაგი კონუსის ფორმის, ხოლო ძირი — ზოგჯერ ბრტყელი და ზოგჯერ თვალსაჩინოდ შეზნექილი [100, გვ. 155, სურ. 11—15]. აღსანიშნავია, რომ იქაური II ტიპის ჭურჭლეულზე გამოჩნდება ბედენურთან მიახლოებული სახელურიც — ულვაშისებრი შვერილებით ქვედა ფუძის აქეთ-იქით [100, სურ. 8]. კულტურული მონათესაობის კვლევისათვის მნიშვნელოვანია, მასთან ერთად, ფოსოების ორნამენტი იმავ მასალაში [100, სურ. 5. 5] ხსენებული ტიპის ბიკონუსური ჭურჭლებისა, აღმოჩენილი ადრინდელი ბრინჯაოს ხანის გონოს სამაროვანზეც [76, გვ. 35—36, სურ. 19_3].

გარდა ამისა, მთიან დაღესტანში გინჩის ცნობილ აკლდამებში აღმოჩენილია კერამიკა, რომლის მეხუთე ტიპი გაცილებით უფრო ახლოს დგას „გადაჭრილი გორის" [55, გვ. 16, სურ. 3_{17}; გვ. 46, სურ. 20_{20}; სურ. 23_4, გვ. 54, სურ. 24; გვ. 86, სურ. 39_1 და სხვ.] ხელქოთნებთან, ვიდრე ზემოთ დასახელებული რომელიმე მაიკოპური ჩრდილოკავკასიური ანალოგი. ამ ჭურჭლეულს მართალია, უმეტესად მომრგვალებული ძირი აქვს და არც ყოველთვის მკვეთრი წიბო შემოჰყვება ბიკონუსურ ტანზე, მაგრამ ზოგადი მოყვანილობა, პროპორციები, უდიდესი დიამეტრი ძირთან ახლოს, მსუბუქი მუხლი ტანიდან ძლივს შესამჩნევ დაბალ ყელში გარდამავალ ხაზზე, პირის გადმოკეცილობა, მარყუჟისებრი სახელური მხარზე, ზოგჯერ თითო მრგვალი ფოსო მის პირდაპირ [55, გვ. 16, სურ. 3,3; 54; გვ. 56, სურ. 25_3; გვ. 71—73, სურ. 34, 3] ანდა თითო სახელურის ზედა ფეხზე [55, გვ. 16, სურ. 4, 7], გარეთა ზედაპირის შესანიშნავი სიპრიალე და კარგად განლექილი, თითქმის უმინარევებო თიხა — ყველაფერი ეს მჭიდროდ აკავშირებს გინჩის კერამიკას ბედენურთან. მ. გაჯიევს მიაჩნია, რომ ფორმა გინჩის მეხუთე, ყველაზე მნიშვნელოვანი ტიპის ჭურჭლებისა, წარმოიშვა ძვ. წ. III—II ათასწლეულების მიჯნის ახლო ხანაში [55, გვ. 126], მაგრამ არა ადგილობრივ ნიადაგზე, თუმცა იმ საკითხს, თუ

საიდან შემოვიდა იგი დაღესტანში, ღიად ტოვებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ბედენ-მაიკოპის კულტურების ქრონოლოგიურად ურთიერთობის საკითხის გარკვევაზე, რამდენადაც აღნიშნული ტიპის ჩამოყალიბება ერთ-ერთი ამ კულტურის გავლენის გარეშე არ შეიძლება მომხდარიყო. რა თქმა უნდა, ბედენურ და მაიკოპურ ფორმებს წინააზიური წინაპრები ჰყავდა.

მაიკოპის ოქროსა და ვერცხლის სასმისების ფორმა შორეულად მოაგონა ა. იესენს აზერბაიჯანში მილის ველზე გათხრილ უჩ-თეფეს დიდ გორასამარხში ნაპოვნმა თიხის ერთმა მკვეთრწიბოიანმა მცირე ზომის ჯამმა [66, გვ. 183—184, სურ. 34; 38_2]. ის აგრეთვე შორეულად ენათესავება ბედენის ბიკონუსურ კერამიკას, თუმცა მისი უფრო ზუსტი პროტოტიპებია პროტოდამწერლობის დროის ტელოსა და ქაფაჯაში (მესოპოტამია) [167, გვ. 105, 108, სურ. 12 ფორმა 23 ა], ყოველ შემთხვევაში, მაიკოპური ფორმების თუნდაც სუსტი გამოვლინებანი ამიერკავკასიის მიწა-წყალზე ერთგვარი მორგებული გასაღები შეიძლება გახდეს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სახელმოხვეჭილი კულტურის ფესვების ძიებისას ანდა მისი გავლენის მიმართულების დასადგენად. მით უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება ამ მხრივ მაიკოპური ჭურჭლეულების პროტოტიპთა გამოცნობა ძველი აღმოსავლეთის კულტურებში.

ბიკონუსური ტანი, მკვეთრი წიბო კონუსების შერწყმის ხაზზე და ჩაზნექილი ფოსოების ორნამენტი ჩვენს პირველ ტიპს, აგრეთვე, ზოგად ხაზებში უახლოვებს ადრე ბრინჯაოს ხანის დასასრულის არაგაცის (სომხეთი) სამარხეულ კერამიკას, თუმცა ამ უკანასკნელის განმასხვავებელი ნიშანია მეტ-ნაკლებად მაღალი და ცილინდრული ყელი [93, გვ. 42—46, სურ. 10; $11_{1,3}$; 12_2].

მთელს კავკასიაში ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოში ჩანს ჩვენი I ტიპის ჭურჭლეულის ანალოგიური კერამიკა. ეს კია, რომ მისი აღმოჩენის, ადგილების მეტად განმსაზღვრელი რიცხვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის ძალიან ფართოდ გავრცელებული არ ყოფილა. ბედენური ხელქოთნების ფორმას ზედმიწევნით ზუსტად იმეორებს სოფ. ხოვლეს (კასპის რაიონი) გორასამარხში აღმოჩენილი 2 ხელქოთანა. ეს ძეგლი გათხარა 1956 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციის ერთმა ჯგუფმა, ხოლო გამოსაქვეყნებლად მოამზადა მისმა წევრმა ისტ. მეცნ. კანდ. გ. გრიგოლიამ [21], რომლის თავაზიანი ნებართვით ვისარგებლეთ ხელნაწერით და საილუსტრაციო მასალებით. გარდა სავსებით ერთნაირი მოყვანილობისა, ამ ორ ჭურჭელს ბედენის I ტიპთან აახლოვებს თითო მრგვალი ფოსო წელში გამოყვანილი სახელურის მოპირდაპირე მხარეზე. მაგრამ მათ ამკობს დამატებითი ორნამენტიც ზედა კონუსის ზედაპირზე. ესაა საჭრეთლით და მსხვილპირიანი საწნევი იარაღით შესრულებული ღარების სალტეები, ტრიგლიფები და ბადისებრი მეტოპები—ერთ მათგანზე [21 ტაბ. 4,1] და დაშტრიხული რომბების სარტყელი და წვეროებით ქვემოთ მიქცეული შევრონები—მეორეზე [21, ტაბ. 4,2]. თუ არა ეს ორნამენტი და ნაკლები სიპრიალის მქონე კეცის ზედაპირი, სხვა არაფერი განასხვავებს ხოვლურს ბედენური ხელქოთანებისგან. ხოვლეს სამარხის გათხრიდან ზუსტად 10 წლის გასვლის შემდეგ, ე. ი. იმ დროს, როცა ბედენში

„გადაჭრილი გორა“ ითხრებოდა, ქვემო ქართლის დაბლობ ველზე ს. შულავერთან ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული ექსპედიციის მიერ (ხელ-ლი პროფ. ო. ჯაფარიძე) გაითხარა გორასამარხები, რომლებშიც სხვათაშორის აღმოჩენილია ჩვენთვის საინტერესო ტიპის რამდენიმე ხელქოთანა და, აგრეთვე, დიდტანიანი ჭურჭელი [45, სურ. 60—62, ტაბ. XXXVI—XXXVIII, XL, XLI]. ხარისხით ეს მასალა ჩამოუვარდება „გადაჭრილი გორის“ კერამიკას, მაგრამ ფორმები ახლოს დგას მასთან, აგრეთვე ხოვლეს, გინჩისა და უსტ ჯეგუტინსკაიას ჭურჭლეულთან არის გონოს [75, გვ. 35, სურ. 19_3] ბიკონუსური ფორმის ანალოგიც. ეგებ მკვეთრწიბოიანი ბიკონუსური ხელქოთანას ნაშთი იყოს ადრებრინჯაოს ხანის თრიალეთის XIX გორასამარხის ინვენტარში შემავალი შავპრიალა ჭურჭლის ერთი პატარა ნატეხი [20, ტაბ. 9,3], მაგრამ ამ მტკიცების წინააღმდეგ შეიძლება მოტანილ იქნეს ის საბუთი, რომ იმავე დროს იქაურ სხვა გორასამარხებში აღმოჩენილი ბიკონუსური ჭურჭლები [20, ტაბ. 7, 6; 8,2] ბედენურთაგან განსხვავებული ტიპისაა.

ამით ამოიწურება ჯერჯერობით ჩვენთვის საინტერესო ტიპის ხელქოთნების აღმოჩენის ადგილების სია საქართველოს მიწა-წყალზე. ეს ადგილებია ბედენი და შულავერი — ქვემო ქართლის მთასა და ბარში; ხოვლე — შიდა ქართლის მთისწინა ზეგანზე. ამ სამს შეიძლება პრობლემატურად დაემატოს ს. ბეშთაშენი წალკის რაიონის საკმაოდ მაღალ ზოლში, სადაც 1938 წ. გაითხარა გორასამარხი № XIX [20, გვ. 16]. ესაა მტკვრისა და ხრამის წყალთაშუა ზოლი, რომლის გარეთ აღნიშნულ ტიპს ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვიცნობთ. ძნელია დავიჯეროთ, რომ ხელქოთანები უმთავრესად ქვემო ქართლის ლოკალური მოვლენაა და ისინი გავრცელებული არ იყოს საქართველოს სხვა რაიონში, დასავლეთ აზერბაიჯანში და სომხეთში. ამ საკითხის განმარტება უნდა მოგვცეს, ადრებრინჯაოს ხანის დასასრულის სხვა ძეგლების გათხრის შედეგებმა[19].

ჯერჯერობით პრობლემატურ საკითხად რჩება ისიც, თუ რა წინამძღვრებზე აღმოცენდა აღნიშნული ტიპი, მიუხედავად ამისა, მკითხველს შეიძლება სამუშაო ჰიპოთეზის სახით შევთავაზოთ ჩვენი ვარაუდი ამ საკითხზე. ის ემყარება, როგორც ადგილობრივს, კავკასიურ ძეგლებს, რომლებზეც გაკვრით უკვე იყო საუბარი, ისე ამ მხარესთან ურთიერთობის ღრმა ფესვებით დაკავშირებულ ახლო აღმოსავლეთის კულტურებში გავრცელებულ ზოგიერთ კერამიკულ ფორმას, რომელთა დერივატიც შეიძლება იყოს ბედენური ხელქოთნებიც, უსტ-ჯეგუტინსკაიას ჭილებიც და სხვ. მისთანანი.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიასთან კავკასიის კულტურის კავშირი ადრეული ბრინჯაოს ხანის მთელ სიგრძეზე ეჭვს არ იწვევს თუნდაც ქარაზის მრავალფენიანი სამოსახლოს გათხრის შემდეგ [159, XXIII, გვ. 349—413]. მაგრამ, რომ ურთიერთობა შუა და სამხრეთ მცირე აზიასთანაც მჭიდრო იყო, ამას მოწმობს ბევრი აქაური ანალოგის აღმოჩენა კონიის ველზე, მერსინში და სხვაგან. ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იქ კან ჰასანის (Can Hasan) შუა და გვიანი ქალკოლითის სამოსახლოს გათხრისას მოპოვებულ მასალებში არის წითლად და შავად გაპრიალებული კერამიკის ნატეხები, რომელთაგან აღდგა ჭურჭ-

---

[19] გ. გობეჯიშვილის ეს ვარაუდი გამართლდა. ამჟამად ანალოგიური ძეგლები ალაზნის ველზე აღმოჩნდა [24] და ადრებრინჯაოს ხანის ამ ეტაპმა ალაზან-ბედენის სახელწოდება მიიღო.

ლის რამდენიმე ფორმა [156, As, XIII, 1963, გვ. 30—37, სურ. 5^{8}—^{10}]. საყურადღებოა, რომ იქ მოგვიანო ქალკოლითის ჭურჭლებს, სხვაგვარ სახელურთან ერთად, აქვთ „ნახიჭევანური“ ტიპის სახელურიც, რომელიც ასე გავრცელებულია როგორც მტკვარ-არაქსის კულტურაში, ისე კრეტს ნეოლითში [153, გვ. 38, სურ. 7_{89}—14]. კან ჰასანის ჭურჭლეულის ვიწრო და ბრტყელი ფსკერი, ბიკონუსური მოყვანილობის მკვეთრწიბოიანი ტანი, მასთან მცირე მუხლის მეშვეობით დაკავშირებული, ალმაცერად გადაშლილი პირი, მიუხედავად იმისა, რომ აქ კონუსების სიმაღლე სავსებით ერთნაირია, ეჭვს არ ტოვებს მის მონათესაობაში ბედენის კერამიკის I ტიპთან.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში ყურადღებას იპყრობს ბიბლოსის ენეოლითური სამაროვნის კერამიკა, რომელშიაც შეიძლება გამოვიცნოთ მაიკოპის კულტურაში გავრცელებული თიხის ჭურჭლეულის ტიპიც [152, გვ. 376. 436, ტაბ. CX, CV, № 5523, 5697, 6740] და ბედენური ხელქოთნების ფორმაც [152, გვ. 386, 392—393, ტაბ. CV, CX, № 5743, 5892], ბიბლოსის ამ კერამიკულ ნახელავებს ისევე, როგორც მაიკოპის ჭილებს, სახელური არ აქვთ, მაგრამ ორმაგი კონუსისებრი ტანი, შესამჩნევი წიბო კონუსების გამყოფ ხაზზე. კონუსების არაერთნაირი ზომა, უდიდესი დიამეტრი ძირთან ახლო და ალმაცერად გადახრილი პირი, ე. ი. ძირითადი ნიშნები, რომლებიც მათ კავკასიურ ჭურჭლეულთან აახლოებს, უფლებას იძლევა ვიფიქროთ, რომ ჩვენებურ მეკეცეებს თავის არსენალში ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთის თუნის ოსტატების მიერ შემუშავებული ტრადიცია, რომელსაც საკუთარ გამოცდილებასაც უმატებდნენ. ამ ტრადიციაზე აღზრდილი უნდა ყოფილიყო მაიკოპის ოქროს თასის [104, გვ. 6, სურ. 6] შემოქმედიც, რამდენადაც ეს მშვენიერი ნახელავი ზუსტად იმეორებს ბიბლოსური თიხის ჭურჭლის ფორმას [152, ტაბ. CV, CX, № 5742, 5892]. ძნელია გადაწყვეტით ითქვას, მაგრამ სავარაუდოა რომ ამ ფორმამ ერთგვარი ცვლილებით ფსკერის მოყვანილობაში, რაც სახელდობრ, დაბალი ჭუსლის გაჩენით გამოიხატა, მაიკოპის კულტურის გზით შეაღწია ბელორუსიაში, სადაც ის ადგილ მოშკაში დამოწმებულია კავკასიური ტიპის სპილენძის ყუამილიან ცულთან ერთად [53, გვ. 38—42, სურ. 5]. დასაშვებია აგრეთვე ვიფიქროთ, რომ ბიბლოსური ნიმუშების საფუძველზე გაჩნდა მრგვალძირიან-მკვეთრწიბოიანი ბიკონუსური ჭურჭლეული დუნაის მეოთხე პერიოდის უნეტიცისა და ელ ალგარის ევროპულ კულტურებში [137, გვ. 375]. შეიძლება მათს მოგვიანო გამოძახილს წარმოადგენს ადრე ხეთური პერიოდის მცირე აზიაში ამ ტიპის წაგრძელებული ვარიანტის ურნების უცხო ხილად გამოჩენა ორმანკაიაზმის კრემაციულ სამარხებში [149, გვ. 28, ტაბ. XVI^{5}, XVII_{1-3}].

ზემო მესოპოტამიის ერთ-ერთ უძველეს კულტურულ ცენტრში, როგორიც თეფე გავრა იყო, აღნიშნული ფორმა გამოჩნდება უმთავრესად მოხატული ჭურჭლის სახით ჰალაფის პერიოდის დასასრულისა (ლონე XX) და ობეიდის პერიოდის (დონეები XIX—XVII) ოთხ ფენაში, სადაც მრგვალძირიანებთან ერთად თავს იჩენს ბრტყელძირიანი ნიმუშებიც. კეცის ფერი, ზოგჯერ უსახელურობა, ზოგჯერაც ბედენში უცნობი ყურის ტიპი, ჩაზნექილი ფოსოების სრულიად არარსებობა და საღებავით შესრულებული ორნამენტი თეფე გავრის ამ ჭურჭლეულს, რა თქმა უნდა, განასხვავებს ბედენური ნახელავებისაგან, მაგრამ საოცარი მსგავსებაა ჭურჭლის პირის, ტანისა და ხშირად ფსკერის მოყვანილობაში.

ოდნავად შეცვლილი სახით იგივე ტიპი თავს იჩენს გავრას XIII დონეზედაც და მხოლოდ ერთადერთი ცალი არის გავრა VIII-ში.

საყურადღებოა, რომ იმავე ადრინდელი ტიპის ჭილების ნაირ-ნაირ ვარიანტებს ვხვდებით გვიანი ობეიდური პერიოდის არპაჩიაში [162; 156, გვ. 53], აღრე დინასტიური პერიოდის ნინევია მე-4 და მე-5, ბილა მე-7 და მე-6-ში [...167, გვ. 163], ზოგჯერ მოუხატავ ნაწარმს შორის.

სამხრეთ მესოპოტამიაში ჩვენთვის საინტერესო ტიპთან მიახლოებული ჭურჭელია ურუკის მონაპოვრებში, რომლებშიაც ბედენის მსგავსად მკვეთრწიბოიან ფორმებს ხშირად აზის მილისებრი ან ღარისებრი სადინარი [167 გვ. 99—101]. ბედენური სადინარიანი ანუ მილნისკარტა საწოვარა (ტ. XXXII—7) როგორც ტანის მოყვანილობით, ისე სახელურის ადგილით სადინარის გვერდზე ძალიან ახლოს დგას იალოილუთაფა-ალაზნის ველის კერამიკის სპეციფიკურ კლასთან, რომელსაც მაინც განასხვავებს ბედენურისაგან პირიდან გამომავალი ღარისებრი სადინარი და მის ძირში ჩაძერწილი დაჩვრეტილი სითხის გასაწური დისკო [36, გვ. 24, სურ. 14—14, სურ. 63 და სხვ.]. იმავე კულტურაში წარმოდგენილია სადინარიანი ჭინჭილის კიდევ ერთი ნაირსახეობა, რომელსაც თუმცა უმთავრესად მომრგვალებული, იშვიათად კი ბიკონუსური ტანი აქვს, მაგრამ, როგორც ბედენის საწოვარის, ისე ამის სადინარიც მილისებრია და დიაგონალურად აღმართული სახელურის გვერდზე [36, გვ. 25, სურ. 16, სურ. 63, სურ. 72, გვ. 84—85]. პროფესორმა გ. ნიორაძემ მართებულად მიუთითა ალაზნის ველ-იალოილუ-თაფას კულტურის სადინარიანი ჭურჭლის ამ ორი ნაირსახეობის პროტოტიპები ახლო ამოსავლეთის უძველეს კულტურებში, რომელთა გავლენაც კავკასიაში ჩანს მოგვიანო ხანაშიაც, როგორიცაა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნა [36, გვ. 72, 77, 84]. მით უფრო სავარაუდოა წინააზიური გავლენის მაუწყებელი მასალის გამოჩენა ბრინჯაოს ხანის კავკასიურ მასალებში.

მართლაც, სადინარიანი თიხის ჭურჭლეული ახლო აღმოსავლეთში მოჩანს ჯერ კიდევ ჰასუნის პერიოდის ტელჰალაფში, ჰალაფის პერიოდის არპაჩიაში, ობეიდური პერიოდის თეფე გავრაში და არპაჩიაში, ვარკისა და პროტოდამწერლობის დროის საკუთრივ ვარკაში, აბუ შაჰრაინში, ობეიდში, ურში, რაიდაუ შარჭიში, ტელოში, ფარაჰიში, ჯემდეტ ნასრში, ოქაირში, ქაფაჯანაში და ტელ ასმარში.

ამით არ ამოწურულა სია სადინარიანი ჭურჭლების გავრცელებისა ბედენის გორასამარხთა უწინდელი ანდა მათი დროის მსოფლიოში და განზრახვაც არ გვქონია, რომ ეს სია აქ სრულად მოგვეცა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჭურჭლის ეს სპეციფიკური სახეობა გვხვდება აზიის, აფრიკისა და ევროპის არა ერთ უძველეს კულტურაში, ვითარცა ადგილობრივ წარმოქმნილი უცხოელთაგან ნასესხები. შეგვხვდება ის ობეიდური პერიოდის ასურეთში, უფრო მოგვიანო ხანის ბაბილონიაში, სუზის და თეფე სიალკის სხვადასხვა ფაზის ირანში, ქალკოლითისა და სპილენძის ხანის მცირე აზიაში, გერცეის პერიოდის ეგვიპტეში ვარდარ-მორავის კულტურის ევროპაში და სხვ. მრ. მაგრამ არსად, მიუხედავად ამ ჭურჭლების ნაირგვაროვნებისა, არ ჩანს ბედენური საწოვარას ზუსტი ორეული. განსხვავებულია მილ-ნისკარტა ჭურჭლისა და თვითონ სადინარის ფორმა, მისი ადგილი ჭურჭლის ტანზე, მისი დახრილობის კუთხე და სხვა მისთანა. ზოგ ჭურჭელზე ის უშუალოდ პირის გაგრ-

ძელებას წარმოადგენს, ზოგზეც მის ახლო, სხვა შემთხვევებში კი მხრებზე ან ფსკერთან მდებარეობს: ზოგჯერ მოკლეა და სადღვებლის ჭიპს ჩამოჰგავს, ზოგჯერ მოგრძოა და ჰორიზონტალურად გაშვერილი, მხრებიდან შვეულად ან დიაგონალურად აღმართული; სადინარი შეიძლება იყოს სწორი ან რკალსავით მოღუნული; მას შეიძლება ჰქონდეს ღარისებრი, მილისებრი და მილაბრისებრი ფორმა; ის ზოგჯერ ხიდურით შეერთებულია ჭურჭლის ყელთან და, ამგვარად, სახელურის როლშიც გვევლინება; სხვა შემთხვევებში ნამდვილი სახელურის პირდაპირ ან მარცხნივ ზის. შეიძლება კარებიან და სულაც უსახელურო ჭურჭელს ჰქონდეს. ერთი სიტყვით, ერთიანობაში წარმოდგენილია მრავალფეროვნება, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო დიდ ტერიტორიულ და ქრონოლოგიურ საზღვრებს შიგნით, არამედ აგრეთვე, ამა თუ იმ ზომით ცალკე აღებულ კულტურაშიც, როგორიცაა მაგალითად, ზემო მესოპოტამიაში ობეიდური პერიოდის ტიპე გავრას, ხოლო ქვემო მესოპოტამიაში და ირანში ურუკის და სუზის კულტურები.

სწორედ აქ ურუკის და სუზის კერამიკულ მასალებში, ერთი მხრით და მცირე აზიის სამხრეთში, მეორე მხრით, არის სადინარიანი ჭურჭლის ზოგიერთი ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად მოგვაგონებს გადაჭრილი გორის საწოვარას. თუმცა, როგორც ითქვა, ზუსტი ანალოგები არც აქაა. ურეკსა და მის სინქრონულ სუზში ამ კლასის ზოგი ნიმუში, ბედენურის მსგავსად, ბიკონუსურ-მკვეთრ წიბოიანებია და მათი უდიდესი დიამეტრი ძირთან ახლოს მოდის, მაგრამ მათ არ გააჩნიათ სახელური, რითაც ისინი განსხვავდება ბედენური ჭურჭლისაგან. სამაგიეროდ მცირე აზიაში თავს იჩენს ჭინჭილები, რომელთა მოყვანილობა, მართალია განსხვავდება ბედენურისაგან და უფრო ახლო შეესატყვისება იალოილუ-თაფა-ალაზნის ველის კულტურის ზოგ ნიმუშებს [36, გვ. სურ. 16, 54 და 72], მაგრამ მხრებიდან დიაგონალურად მიმართული, სახელურის გვერდზე ამოზრდილი მილისებრი სადინარი ბედენური საწოვარას ახლო ანალოგად ჩაითვლება. ისინი აღმოჩენილია თერმის, როგორც I, ისე II ქალაქში, რომლებიც ტროა I ქალაქის თანადროულებადაა მიჩნეული, აგრეთვე, ცოტა უფრო ახალგაზრდა ალიშარ I და მერსინის გათხრებისას სპილენძის ხანის ანუ ადრეული ლითონის ხანის პირველი ნახევრის სამშენებლო დონეებზე, რომლებიც თარიღდება ძვ. წ. 2600—1900 წწ.

ქვემოთ კერამიკის ზოგიერთი სხვა ტიპის განხილვის დროსაც დავინახავთ ბედენური ფორმების სიახლოვეს მცირე აზიასთან. ახლა დავკმაყოფილდებით იმის შეხსენებით, რომ ადრინდელი ანტიკური ხანის საქართველოს კულტურაში ფართოდ გავრცელებული მილნისკარტა სახელურიანი ჭურჭლის ტიპიც, როგორც ჩანს, დაკავშირებული უნდა იყოს მცირეაზიულ ფესვებთან, რამდენადაც მისი პროტოტიპი, ზუსტი შესატყვისი კასპის რაიონის ერთ-ერთ ყორღანში ზ. შატბერაშვილის მიერ აღმოჩენილი მილნისკარტა სახელურიანი ნიმუშისა, კარგად ცნობილია ბრინჯაოს ხანის მცირე აზიაში.

უკვე ითქვა, რომ ბედენის I ტიპის ჭურჭლეულის განუყრელი ნიშანთაგანია მოზრდილი მრგვალი ჩაზნექილი ფოსო სახელურის მოპირდაპირე მხარეზე კონუსების გამყოფი წიბოს ზემოთ. ზუსტად ისეთივე და იმავ ადგილს ჩაზნექილი თითო ფოსო დამოწმებულია ხოვლეს ექსპედიციის მიერ 1966 წ. გათხრილ ყორღანში აღმოჩენილ სამ ჭურჭელზე [21, ხელნაწერი], რომელთაგან ორი როგორც თავის დროზე აღინიშნა, ბიკონუსურია. ჩემთვის ცნო-

ბილ ქართულ არქეოლოგიურ მასალებში ხოვლე ერთადერთი ადგილია ქვემო ქართლში, სადაც ფოსოებიანი კერამიკა აღმოჩენილია ბედენის გადაჭრილი გორის სინქრონულ ძეგლში. კახეთში მ. დედაბრიშვილი მიუთითებს მტკვარ-არაქსის კულტურის ილტოს სამოსახლოს III ეტაპის მასალებში ფოსოებიანი კერამიკის ნატეხების აღმოჩენის ფაქტებს. ფოსოები ფრიად დამახასიათებელია საზოგადოდ მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმისა, კერძოდ, უმთავრესად ჭურჭლეულის და უფრო ნაკლებ კვებისა. ამ დროს შეიძლება შეგვხვდეს არა მაინცდამაინც ერთი ფოსო ერთ ჭურჭელზე და არა მაინცდამაინც სახელურის მოპირდაპირე მხარეზე. ზოგჯერ მრგვალი ფოსოები შეხამებულია ვიწრო ოვალური მოყვანილობის რელიეფებთან და ჩაზნექილობებთან, რომლებთანაც ერთად ქმნიან თითქოს ადამიანის სახის სქემატურ გამოსახულებებს ჭურჭლის ზედაპირის ცალ მხარეზე.

მტკვარ-არაქსის კულტურის ქართულ არქეოლოგიურ მასალებში ფოსოებიანი კერამიკა მაინც შედარებით იშვიათი მოვლენაა. ქვემო ქართლში გ. ფხაკაძე მრგვალ ფოსოებს მიუთითებს კიკეთის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლეულის ცოტაოდენ ნიმუშებზე [38, გვ. 41, 52, 94. სურ. 6, 9. ტაბ. II. 3]. ჯერ 1967 წ. სამშვილდის სამაროვანზე შემთხვევით გათხრილ ერთ სამარხში, შემდეგ კი გ. მირცხულავას მიერ იქვე გამოკვლეულ სამარხებში და ნასოფლარზე გამოვლინდა ანალოგიური მასალები. ტ. ჩუბინიშვილის მიერ 1969 წ. 28/XI წაკითხული მოხსენების მიხედვით ჩანს, რომ ფოსოებიანი ნატეხები არის არუხლოს უძველეს სამოსახლოზე და ფენის მასალებში. ქვემო ქართლის გარეთ, ახალციხის რაიონში, იმავე ავტორს ამირანის გორის მხოლოდ ერთ ჭურჭელში დაუმოწმებია ყელის გარშემო 6 მცირე ფოსო. დასავლეთ საქართველოში ჩაზნექილი ფოსო დამოწმებულია მხოლოდ დაბლა გომში — ნაციხვარა ქორცვის ერთ ქილაზე [85, გვ. 133, 134, ტაბ. 43, 1; სურ. 35, 1]. ბ. კუფტინი ამ ნიშნით მას ადარებდა კიკეთის № 472 ჭურჭელს [85, გვ. 134].

საბჭოთა აზერბაიჯანში ფოსოებიანი კერამიკა აღმოჩენილია ნახიჭევანის ჭიულ თაფაზე [48, გვ. — 77, ტაბ. VI, 1 4], ბაბა-დერვიშზე [69, გვ. 54—63, სურ. 4] და სხვაგან. კ. კუშნაროვისა და ტ. ჩუბინიშვილის მოსაზრებით დასავლეთ აზერბაიჯანში ორნამენტის ეს მოტივი პირველად ძვ. წ. მეოთხე ათასეულში გამოჩნდება ისეთს სამოსახლოებზე, როგორიცაა მენტაჟი და რუს თეფა [139, გვ. 344]. რაც შეეხება ირანის აზერბაიჯანს, მრგვალი ფოსოები იქ ახასიათებს გეოი თეფეს პერიოდის მე-2 და მე-3 ეტაპის თიხის ნაწარმს.

ძლიერ გავრცელებულია ფოსოებიანი კერამიკა სომხეთის მიწა-წყალზე გამომზეურებული მტკვარ-არაქსის კულტურის სამოსახლოებსა და სამაროვნებზე. მას ხვდებიან ამ კულტურის თითქმის ყველა საფეხურზე სხვადასხვა რაოდენობით. აღმოჩენილია გარნისში [52, გვ. 22, 23, სურ. 4, 7], მოხრაბლურში [142, გვ. 81—82; 141, სურ. 13], არევიკში [143, გვ. 157, 159, სურ. 3; გვ. 162, სურ. 4; გვ. 169; სურ. 31; გვ. 163—164; სურ. 5, გვ. 168, 369], შენგავითში [117, გვ. 294, ტაბ. XIX], არაგაცში და სხვ. [144, გვ. 221, ტაბ. I, სურ. 4, 6, 7]. უნდა ითქვას, რომ არევიკის და ზოგი სხვა სამოსახლოს ფოსოებიანი კერამიკის ერთი ნაწილის ზედაპირი თითქმის ისეთივე

ვერცხლისებრი ბზინვარების მატარებელია, როგორც ბედენურ ჭურჭლეულზე გვხვდება [143, გვ. 161, 168]. ამ უეჭველ ნათესაობას კერამიკული წარმოების ტექნიკაში არღვევს ფორმებს შორის თვალსაჩინო განსხვავება, არაგაცის სამარხეული კომპლექსიდან წარმოდგება ბიკონუსურტანიანი ნიმუშები, მაგრამ ბედენური ხელქოთნებისაგან განსხვავებით ისინი ცილინდრულყელიანებია და ზედაპირის სიპრიალეც ჩვეულებრივი აქვთ [93].

ფოსოებიანი კერამიკის აღმოჩენის არაერთ შემთხვევას აღნიშნავენ დაღესტანში, სადაც ის დამოწმებულია ადრე ბრინჯაოს ხანაშიც და შუა ბრინჯაოს კულტურის ძეგლებშიაც [55]. ეს კია, რომ იქაური ფოსოები წვრილწვრილი და ხშირად ოვალური ფორმისაა.

უფრო ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ უკვე ზემოთ ვახსენეთ უსტ-ჯეგუტინსკაიას ორ ჭოთანზე არსებული თითო ფოსო. მაიკოპის კულტურაში ორნამენტის ეს მოტივი დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს. მრგვალი ფოსოების ორნამენტი არის ტრიპოლიეს ჭურჭლეულზე და აგრეთვე I ფაზის მოგვიანო ნეოლითის დუნაისპირულ კულტურაში.

კავკასიის სამხრეთ-დასავლეთით ის ძალიან გავრცელებულია ჩრდილოაღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც არაერთ ადგილას ამკობს მრგვალი ფოსოები მტკვარ-არაქსულ კერამიკას, მათ შორის ბიკონუსურ-მკვეთრწიბოიან ჭურჭლეულსაც, რომელიც ზოგადად უახლოვდება გადაჭრილი გორის ხელქოთნებს. მცირე აზიის შუა და სამხრეთ მხარეებში ის თითქმის არ ჩანს. ალიშარის სპილენძის ხანის დასასრულს X 46 სამარხის ერთადერთ ჩარხისეულ სფეროსებრ ტანიან-წითელკეციან მათარას უჩანს ცალი ფოსო, მაგრამ ამ ნიშანს არ იხსენიებს აღწერილობაში ე. შმიდტი.

ჭირბეტ-ჭერაკის კერამიკა სირია-პალესტინაში ზოგჯერ აგრეთვე მრგვალი ფოსოებით არის შემკული. ურმიის ტბის იმავდროული ჭურჭლეულის ფოსოებზე უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ.

როგორც ვნახეთ, აღნიშნული შემკულობა გავრცელებულია ფართო ტერიტორიაზე და ხანგრძლივად, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. მე-4 ათასეულის დამლევიდან (მენტეჟი და რუს თეფე-აზერბაიჯანში) ვიდრე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე (მანასის ყორღანელი ჯგუფი — დაღესტანში). მაგრამ ორივე საკითხი — საიდან მოვიდა ეს მოტივი ან როგორია მისი სემანტიკა — ერთნაირად ძნელი გადასაწყვეტია ჯერჯერობით, სანამ ისინი უფრო ფართო კვლევის საგნად იქცეოდეს. მეორე კითხვაზე ე. ხანზადიანმა სცადა პასუხის გაცემა, დაუკავშირა რა ეს ფოსოები ნაყოფიერების მომცემ წყალს და სინოტივეს, როგორც სავსე მთვარის ჯამის გამოსახულებას. შესაძლოა ეს ვარაუდი ახლოს იყოს სიმართლესთან, მაგრამ ეგებ არც ის შესაძლებლობაა გამოსარიცხავი, რომ ისინი გამოხატავდნენ მხედველობის ორგანოებს — თვალებს, რომელთა დამახასიათებელი სითხის სახელი „კურცხალი“ აგრეთვე სემანტიკურ კავშირშია წყალთან. ასეთი ვარაუდის უფლებამოსილებას ეგებ ისიც მოწმობს, რომ ფოსოები ძალიან ხშირ შემთხვევებში მდებარეობს წარბებისებრ გადაჭიმულ გრძელ ოვალურ ღრმულებს ან ლილვებს ქვემოთ და, ამგვარად, ჭურჭლის ზედაპირზე მოცემულია ანთროპომორფული გამოსახულება, რაღაც მსგავსი ტროა 2—5 ქალაქების კულტურაში გავრცელებული სახიანი ურნებისა. ერთ-ერთი ჩვენი ხელქოთანაც [№ 9], ამგვარი ანთროპომორფული ან ტერიომორფული გამოსახულება უნდა იყოს, მიუხედავად იმი-

სა, რომ მისი ფოსო ანუ „თვალი“ გადატანილია „ულვაშა“ ან „წარბებიანი“ სახელურის მოპირდაპირე მხარეზე.

რაც შეეხება პირველ კითხვას ფოსოს მოტივის სამშობლოზე. ის საერთოდ არავის არ უკვლევია საგანგებოდ და არც ჩვენს ნაშრომს აქვს პრეტენზია მისი ვრცლად გამოკვლევისა, აქ მხოლოდ თავმოყრილია ძირითადი წყაროები, რომლებიც მისი გავრცელების უმთავრეს არეებს გვაცნობს.

ტრიპოლიეს კულტურის დამახასიათებელი რამდენიმე მოტივის (მაგ., კიმადიები, წრიული სპირალები, შვეული ღარები და სხვა) გამოჩენა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის გორასამარხთა კულტურაში ზოგიერთმა მეცნიერმა ახსნა რომელიღაც ეთნიკური ჯგუფის დასავლეთიდან კავკასიაში შესაძლო გადმოადგილებით. თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებდით, მაშინ შეიძლებოდა ფოსოების ორნამენტის შემოტანაც ინდო-ევროპული ეთნიკური ტალღისათვის მიგვეწერა. მაგრამ ამ ვარაუდს უეჭველად ხელს შეუშლის ორი არსებითი ფაქტი. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები, რომ ტრიპოლიეს კულტურის უძველესი პერიოდი არ გადადის ძვ. წ. III ათასეულის უწინარეს დროში მაშინ, როცა მტკვარ-არაქსის შუა მდინარეთის კულტურა და მისი გამოვლინებანი ირანის აზერბაიჯანში, ჩრდ. აღმ. ანატოლიაში და სირია-პალესტინაში ამაზე ადრეული საუკუნეებით თარიღდება. ზემოთ ორჯერ უკვე აღინიშნა, რომ ფოსოების გამოჩენას საბჭოთა აზერბაიჯანის ჭურჭლეულზე ძვ. წ. მეოთხე ათასეულს მიაწერენ; დაახლოებით იმავე დროს მიაკუთვნა გ. ფხაკაძემ კიკეთის [38], ხოლო გ. მირცხულავამ სამშვილდის [34] უძველესი კერამიკა, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ორნამენტი გვხვდება. ძვ. წ. 3100—2900 წელს ვარაუდობს ბარტონ ბრაუნი ისეთივე ფოსოებით აღჭურვილი კერამიკის პირველი გამოჩენისათვის გეოი თეფეს სუბფაზაში. ისე რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში ტრიპოლიეს ეთნიკური ელემენტის მონაწილეობა, ჩვენის აზრით, გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს ქრონოლოგიური შეუსაბამობის გამო. მეორე საბუთად ასეთი ვარაუდის უფლებამოსილებისათვის მიგვაჩნია ის, რომ ფოსოები ამ ორ კულტურაში გვხვდება ერთმანეთისაგან განსხვავებულ კომპოზიციებში და განსხვავებული ტიპის კერამიკულ მასალებზე, რასაც ადგილი არ ექნებოდა, თუ კი მართლაც მოხატული კერამიკის ტრადიციის მქონე ხალხი გადმოსახლდა. რა თქმა უნდა, ამ ხალხს შეეძლო დროთა განმავლობაში დამხვდურთა კულტურა შეეთვისებინა, მაგრამ პირველ ხანებში საკუთარი გემოვნების ნახელავი უნდა დაემზადებინა, რის კვალსაც კავკასიაში ვერ ვპოულობთ.

მიგრაციები საზოგადოდ იცის ისტორიამ, მაგრამ, როცა საამისო წერილობითი საბუთები არ არსებობს, მაშინ ასეთი მოვლენის სამტკიცებლად მეცნიერება უნდა ეყრდნობოდეს არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური ფაქტების დიდ კომპლექსებს და არა იზოლირებულ ანალოგებს, რომლებიც ისევე შეიძლება იყოს კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგი, როგორც დამოუკიდებლად აღმოცენებული.

ჯერჯერობით არ არსებობს რამდენადმე მყარი საბუთები ტრიპოლიეს კულტურის მატარებელი ტომების მიერ მტკვარ-არაქსის წყალთა შუა რომელიმე ორნამენტული მოტივის, მათ შორის ფოსოების სახეების შემოტანის სამტკიცებლად. რაკი ეს მოტივი არც სხვა რომელიმე კულტურაში მოჩანს, ამიტომ საფუძველი გვაქვს ის ადგილობრივ წარმოქმნილად მივიჩნიოთ.

რამდენადაც ჭურჭლის გარდა ფოსოები დამოწმებულია მიწათმოქმედი ტომების ისეთ ატრიბუტზე, როგორიც იატაკში უძრავად ჩაძერწილი კერა და მასთან დაკავშირებული ანთროპომორფული სადგარია [141, ტაბ. XV], უმართებულო არ იქნება საკრალურ ნიადაგზე მისი წარმოშობის ახსნა [141, გვ. 109].

ეს ექსკურსი ჩვენ დაგვჭირდა ხელქოთნების ორნამენტის მტკვარ-არაქსის კულტურასთან უეჭველი კავშირის დასადგენად. ირკვევა, რომ ბედენისა და ხოვლეს გორასამარხების დროსაც აქაური მეთუნენი მიჰყვებოდნენ ადრინდელი ბრინჯაოს ხანის პირველ პერიოდებში გამომუშავებულ ტრადიციას, ამკობდნენ რა თავის ნახელავებს მრგვალი ფოსოებით. სამწუხაროდ, უძლურნი ვართ ვუპასუხოთ კითხვას, თუ რატომ არ იჩენს თავს ეს ორნამენტი თრიალეთის უფროსი ჯგუფის გორასამარხების კერამიკულ ინვენტარზე, რომელსაც ბ. კუფტინი და ზოგიერთი სხვა მკვლევარიც [82; 9, გვ. 50—53, 60—61; 12, გვ. 107—109; გვ. 5—9] მტკვარ-არაქსის კულტურის გენეტიკურ შთამომავლად მიიჩნევენ. შესაძლოა ამის მიზეზს წარმოადგენს დიდი ქრონოლოგიური შუალედი სხვადასხვა დროის ამ კულტურებს შორის, როცა ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში შეიძლებოდა დავიწყებულიყო წინაპართა იდეოლოგიურ წარმოდგენასთან ერთი რომელიმე ელემენტი მისი სიმბოლური ნიშნებითურთ, ან, რაც უფრო მართებული უნდა იყოს, ვიწრო ლოკალური თავისებურება თრიალეთის კულტურისა, რამდენადაც მდ. ხრამის ზემო წელში (ქცია), სადაც ამ კულტურას პირველად მიაკვლიეს [82], არც მტკვარ-არაქსულ კერამიკას გააჩნია ჩვენთვის სიანტერესო ტიპის ფოსოები, მაშინ როცა ამა თუ იმ ზომით ისინი ჩვენ გვხვდება ქვემო ქართლის ზოგ სხვა ძეგლში — კიკეთის, სამშვილდის, თეთრი წყაროს და არუხლოს ნასახლარებზე და სამარხებში. აღნიშნული ვარაუდის დაშვების შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერთი კულტურის მატარებელ თუნდაც სისხლით მონათესავე ეთნიკურ ერთეულებს რელიგიურ წარმოდგენათა არსენალში შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული ესა თუ ის ელემენტი. ამ თვალსაზრისს თუ გავყვებით, მაშინ ბედენის გორასამარხთა მშენებელი საზოგადოება იმ ეთნიკური სუბსტრატის შთამომავლად და მემკვიდრედ უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც წარმოიშვა და გავრცელდა ჩაზნექილი ფოსოების სახეები. რადგან ფოსოებში წყლის სიმბოლოები მოჩანს, ამიტომ მათი შემქმნელი ეთნოსის საცხოვრისი უნდა ყოფილიყო მხარე, სადაც ნაყოფიერებისათვის წყლის საჭიროება ყველაზე მეტად იგრძნობოდა. ასეთ მხარედ გვეგულვება ქვემო ქართლის ველი მისი მიმდგომი დასავლეთ აზერბაიჯანითურთ, ეგებ არარატის დაბლობები და ურმიის ტბის ნაპირებიც.

გადავდივართ სუფრის ჭურჭლის II ტიპის გაცნობაზე.

ტიპი II. ყურიანა. „გადაჭრილი გორის“ აკლდამაში იმდენივე ყურიანა მაინც უნდა ყოფილიყო, რამდენი ხელქოთანაც მდგარა. მათი ნატეხებისაგან შეკოწიწდა 13 ცალი თითქმის სრულად, ან იმ ზომით, რომ მოხერხდა მათი პირველადი ფორმის გრაფიკულად გამოხაზვა (ტ. XXXIV—3—5, ტ. XXXV). ყურიანების სიუხვე სამარხეულ ინვენტარში კარგი საჩვენებელია მისი პოპულარობისა ბედენელთა შორის, რომლითაც ისინი ხელქოთნებთან ერთად სარგებლობდენ. ეგებ, ზედმეტიც კი იყოს ითქვას, რომ ამ ტიპის ჭურჭლების ზედაპირიც ისევე

ვერცხლისებრ, ან ზოგ შემთხვევაში, სადაფისფრად ბრწყინავს, როგორც ეს I ტიპის მიმართ აღინიშნა. ყურიანების სხვა გამაერთიანებელი ნიშნებია საკმაოდ ვიწრო და ბრტყელი ძირი, სფეროიდული ან კვერცხისებრი ტანი, ზოგჯერ საოცრად თარაზული მხრები, მკვეთრი გარდატეხა მხრების და ყელის ზღვარზე, ფართო და მაღალცილინდრული, ქვემოთ ოდნავ შემსხვილებული ყელი; განივკვეთში სამკუთხედის მსგავსის ალმაცერად გადახრილი პირი და წელში გამოყვანილი, როგორც წესი, შვეულად დამაგრებული ყური, რომლის ცალი თავი, გარდა ერთი გამონაკლისისა, მიძერწილია ყელზე, მეორე კი მხარზე. გამონაკლისია ერთი ცალფა და მეორე გაორმაგებული ყურიანაც, რომლებზედაც ცალკე შევჩერდებით. პირველი მათგანის მტკვარ-არაქსული ტიპის ყური მდებარეობს მხარსა და მენისკისებრ წრიულად შეზნექილ გვერდზე (სურ. 14) მაშინ, როცა



სურ. 14. გორასამარხი 5. ყურიანა № 28



სურ. 15. გორასამარხი 5. ორფა ყურიანა (ზედხედი)

ძალიან მოხდენილი ორფა სასმისის თარაზული ყური თითო ფეხით ებჯინება თითო ჭურჭლის მუცელს (ტ. XXIV—9)(სურ. 15). გამონაკლისებში შეიძლებოდა ჩაგვერიცხა კიტევ ერთი, ულამაზესი ჭურჭელი, რომლის ცოტაოდენმა ნატეხება უყუროდ მოაღწია და ასევე გამოვსახეთ გრაფიკულად (სურ. 16) თუმცა მისი ზომა და მოყვანილობა მიუთითებს, რომ დამტვრევამდე ისიც ყურიანი, სახელურიანი იქნებოდა.

სიმაღლე ყურიანებისა იცვლება 8,0—10,0 სმ შორის, ტანის უდიდესი დიამეტრი 14,0 სმ, ძირისა — 7,0 სმ, ყელისა მხრებთან — 6,0 სმ, მისივე პირთან — 9,0 სმ, პირისა— 11,0 სმ.

თუმცა ყურიანა კარგად ჩამოყალიბებულ და უაღრესად თავისებურ ტიპს ქმნის, მაგრამ, როგორც აღწერილობის მიხედვით დავინახეთ, ის ბევრი ნიშნით ენათესავება ზემოთ განხილულ ხელქოთნებს. პირის განივკვეთი და ალმაცერი დახრილობა, ფსკერის მიმართ მისი დიამეტრის შეფარდება, სახელურის ფორმა, ჭურჭლის ზედაპირის სიპრიალე, კეცის ერთნაირი სისქე და უაღრესად პლასტიკური, წვრლმარცვლოვანი თიხისაგან ნაძერწობა ისევე, როგორც I ტიპის ფოსოების დერივატული გამოჩენა მენისკისებრი წრის სახით, სავსებით გარკვევთი მიუთითებს, რომ ორივე ტიპი ერთი და იგივე სამეთუნეო სკოლის, ერთი და იმავე სახელოსნოს და, შესაძლოა, ერთი ხელოსნის პროდუქცია იყოს. ბედენელებს ჯერ კიდევ შეცნობილი არ ჰქონდათ სამეთუნეო მორგვის უპირატესობა სერიული წარმოებისათვის, რის გამო, რო-



სურ. 16. გორასამარხი 5. ყურიანა № 34

გორც მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო ხელით ნაძერწი ჭურჭლების შემთხვევაში, ერთი ტიპის შიგნითაც კი შეიმჩნევა განმასხვავებელი წვრილმანები. რადგან ამ წვრილმანებს მნიშვნელობა არა აქვს განსახილველი მასალების რაგვარობის გარკვევისათვის, ამიტომ მათზე აღარ შევაჩერებთ ყურა-

დღებას და, სამაგიეროდ, რამდენიმე სიტყვას ვუძღვნით ჭურჭლეულის შემკულობას.

როგორც თავის დროზე აღინიშნა, ზოგიერთი ყურიანა ყოველგვარი დამატებითი სამკაულის გარეშეა, მაგრამ ეს „ნაკლი“ თვალში არ გვეცემა; როგორც უჩუქურთმო ხუროთმოძღვრულ ძეგლს სადად გათლილი ქვის პერანგი, ისე უორნამენტო ყურიანებს შნოს და ლაზათს აძლევს თავისთავად მოხდენილი მოყვანილობა და მოელვარე ზედაპირი. ჭურჭლების ერთი ჯგუფი შემკულია მხრების ირგვლივ გამავალი ორი ან მეტი ფართო ღარით, რომლებიც შეიძლება შეწყდეს სახელურთან (სურ. 17—22) ან ერთმანეთს შეუ-



სურ. 17. გორასამარხი 5. ყურიანა № 22



სურ. 18. გორასამარხი 5. ყურიანა № 22-ის ორნამენტი

ერთდეს იქვე მორკალულად, და ამგვარად წარმოქმნას გრძელი და ვიწრო ჩაკეტილი არე, კუთხეებმომრგვალებული ნაირსახეობა იმ ორნამენტული მოტივისა, რომელიც დამოწმებულია „გადაჭრილი გორის“ ხის სარეცლისა და ალბათ ეტლის, სქელი ფიცრის ნატეხებზე (სურ. 12). ეს შემთხვევა თითქოს მიუთითებს, რომ მეთუნენი და დურგლები ერთნაირი სახეებით აზროვნებდნენ. ჰორიზონტული ღარებისა და მათ მიჯნებზე წარმოქმნილი რელიეფური ზოლების შეხამება ქმნის სამკაულის მთელ სისტემას, რომელიც ჭურჭლის შუა ნაწილს აძლევს დანაკეცებული საგნის სახეს. მხოლოდ ერთ ჭურჭელზე



სურ. 19. გორასამარხი 5. ყურიანა № 23



სურ. 20. გორასამარხი 5. ყურიანა № 23-ის ორნამენტი



სურ. 21. გორასამარხი 5. ყურიანა № 25



სურ. 22. გორასამარხი 5. ყურიანა № 25-ის ორნამენტი

ამავე სისტემაში ჩართულია მოკლე შვეული ღარები და ამგვარად, ჩვენს წინაშე წარმოდგება მტკვარ-არაქსის კერამიკის დამახასიათებელი ჩაზნექილ-ამოზნექილი სამკაულის ნაირსახეობა. განსაკუთრებით საყურადღებოა ნახევარსფერული კოპების ხშირი ხმარება სამკაულად. თუმცა ისინი მიღებულია



სურ. 23. გორასამარხი 5. ყურიანა № 27

ჭურჭელზე დაძერწილი წვრილი ლილვის დანაწევრების და ყველა ასეთი ნაწილის მომრგვალების წესით, და არა ჭურჭლის შიდა მხრიდან გამოზნექით, როგორც ამას მაიკოპის კულტურის მეორე საფეხურის კერამიკის მიმართ აღნიშნავენ [113; 130, გვ. 67], მაგრამ მათ მაინც „მარგალიტის“ ორნამენტის სახელწოდებით ვიხსენიებთ, რადგან ბზინვარებით ისინი სწორედ მარგალიტებს მოგვაგონებს. ხშირადნასხამ „მარგალიტთა“ ერთი სალტე ზოგჯერ გამოჩნდება ღარებს შორის მოქცეულ რელიეფურ ფართო ზოლში (სურ. 23), ზოგჯერ „მარგალიტთა“ ორი სარტყლის შუა მხრებს შემოსდევს დიდის ხელოვნებით გამოყვანილი ვიწრო და მაღალრელიეფური ნაწიბური (სურ. 24). სხვა შემთხვევებში კი „მარგალიტთა“ მხოლოდ ორმაგი სარტყელი ამოსწურავს ჭურჭლის მხრების შემკულობას (სურ. 14, 15). მხოლოდ ერთი მოზრდილი ჭურჭლის ნატეხებმა შეინახა გადაჭარბებულად გამოყენებული „მარგალიტის“ ორნამენტი, რომელიც შემოსდევს ყელსაც და სახელურსაც და, ამას გარდა, მხრებს ქვემოთ ქმნის რაღაც ვარდულის მსგავს გამოსახულებას (სურ. 25). საყურადღებოა, რომ იმავე აკლდამაში აღმოჩენილია სპილენძის დისკოების ნატეხები ზედ ამოზნექილი ასეთივე კოპებითურთ (სურ. 26). ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მეტალურგებზედაც გავავრცელოთ ის, რაც რამდენიმე სტრიქონის წინ მეთუნეთა და დურგალთა მხატვრული აზროვნების ერთიანობის შესახებ ითქვა, სახელდობრ ის, რომ ყველა ამ პროფესიის მუშაკს აერთიანებდა მტკიცედ ჩამოყალიბებული სტილი მხატვრობისა.

ახლა, როცა საფუძვლიანად გავეცანით II ტიპის ჭურჭლის ფორმასა და შემკულობას, ბუნებრივია მოვიკითხოთ მათი მსგავსი მასალები ბედენს გარეთ, რათა ამ გზით კიდევ ერთი რგოლი შეემატოს თეთრი წყაროს რაიონში გათხრილი გორასამარხების მონათესაობის საკითხის გაშუქებისათვის აუცილებელ საბუთებს.



სურ. 24. გორასამარხი 5. ხელჭოთანა

ყურიანათა უახლოეს ანალოგებს ვხვდებით ქართლის იმავე ადგილებში, საიდანაც ხელჭოთნების ზუსტი პარალელები გავიცანით, ე. ი. ხოვლესთან და შულავერთან. ხოვლეს გორასამარხის კომპლექსშია 3 ცილინდრულყელიანი ყურიანა, სამივე თითქოს ბედენურთა ტყუპისცალი. სახელურის მიმაგრების წესით ორი მათგანი შეესატყვისება ჩვენსას [21, ტაბ. 5, 2—3], ერთი კი — დანარჩენებს, შერთული ჰურჭლის გამოკლებით [21, ტაბ. 5, 1]. ამ მესამის მხრებზე გადის ორი ჰორიზონტალური ფართო ღარი, ხოლო პირველი ორიდან ერთ-ერთს ამკობს „მარგალიტების“ ორი ასხმა [21, ტაბ. 5, 3]. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ იმავე კომპლექსში შემავალი სხვა ფორმის ჰურჭლებზეა როგორც ფართო ღარების სარტყლები მხრების ირგვლივ [21, ტაბ. 4,5], ისე მათთან შვეული მოკლე ღარების თანაარსებობის მაუწყებელი ნიმუშები [21, ტაბ. 4, 3—5]. ფორმისა და ორნამენტის მხრივ ამ მსგავსებას ემატება მსგავსება თიხის შედგენილობისა, კეცის გადანატეხის ფერებისა და გამოწვისა. განსხვავება შეიმჩნევა მხოლოდ ზედაპირის გაპრიალების ხარისხში, რამდენადაც ხოვლეს კერამიკა ჩვეულებრივი შავპრიალა ზედაპირიანია, მაშინ, როცა, როგორც ვიცით, ბედენური ჰურჭლეული გაირჩევა ვერცხლისფერი, ზოგჯერ სადაფისფერში გარდამავალი ბზინვარებით.

ასეთივე კეცის და მოყვანილობის რამდენიმე ჰურჭელია შულავერის

№ 4 და № 5 გორასამარხთა ჯერჯერობით გამოუქვეყნებელ ინვენტარში [43, გვ. 12]. ერთი მათგანი სადაა (გორასამარხი 5), მეორეს ამკობს ჭრილი თევზისფხურა და ირიბად დაშტრიხული სამკუთხედი შევრონები (გორასამარხი № 4) მესამეს კი, ასეთ შევრონებთან ერთად — „მარგალიტთა“ ერთი ასხმა (გორასამარხი 4), სახელური ყველა მათგანს აზის უდიდესი დიამეტრის ხაზზე მხრებთან ახლო.



სურ. 25. გორასამარხი 5. თიხის ჭურჭელი კოპებიანი ორნამენტით № 39



სურ. 26. გორასამარხი 5. სპილენძის დისკოების ნატეხები ამოზნექილი კოპებით

კანონზომიერი მოვლენაა უძველესი ჯგუფის თრიალეთის გორასამარხებში ჩვენთვის საინტერესო ტიპის ჭურჭლეულის ფორმისა და დეკორის გამოჩენა. ისინი კიდევ უფრო უხვი იქნებოდა ვიდრე ახლა ვხედავთ, რომ ამ დროის კერამიკა მოღწეული იყოს სრული სახით. ბ. კუფტინი აღნიშნავდა გარკვეულ შეუსაბამობას ამ ჯგუფის გორასამარხების მძლავრ ყრილებზე და ღრმა ორმოებზე დახარჯულ შრომასა და შიგ აღმოჩენილ ღარიბულ ინვენტარს შორის [72, გვ. 101]. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს ძეგლები იმთავითვე ღარიბული ყოფილიყო. კერამიკა, რომელსაც ხშირად აკლია ჭურჭლის ფორმის გამოსაცნობად საჭირო

ნაწილები, იმის მჭერმეტყველი საბუთია, რომ მისი შემცველი ძეგლები ნაძარცვია, ხოლო ინვენტარის საუკეთესო ნაწილი—სამუდამოდ დაკარგული მეცნიერებისათვის. ასეთი ვითარების დროსაც თრიალეთის მასალაში მაინც არის არაერთი ბედენური ელემენტი. მაგალითად XI, XII და XXVII გორასამარხებში აღმოჩენილია ცილინდრულყელიანი ჭურჭლეულის ნატეხები [20, გვ. 20, ტაბ. $6_{4,5}$; 8_1; 11_6; 21_{26}], რომლებიც ზუსტ შესატყვისობაშია ბედენის ყურიანთა სათანადო ნაწილებთან; XXII და XXIII სამარხების ჭურჭლეულის ნატეხებისგან აღდგენილ ფორმებშიც [86, სურ. 12; 20, გვ. 20, ტაბ. 9, 10, 14, 3] არსებითად ბედენური ყურიანას ტიპი მოჩანს და ამიტომ უფლება გვაქვს ისინი მივაკუთვნოთ ერთი და იმავე კულტურულ წრეს; XI და XII სამარხების ინვენტარში შედის ბედენის ჭურჭლეულის თითქმის ყველა ტიპის დამახასიათებელი ყურები და მათი ნატეხები [20, ტაბ. 6, 16, 7, 5, 6, 8, 5,]. მე-4, მე-9 და 14-ე სამარხების კერამიკაზე დამოწმებული ღარები ჭურჭლის მხრების ირგვლივ [82, სურ. 91a, ტაბ. XXX 1,2; 20, გვ. 20 და 41, ტაბ. 5, 3, 6, 10, 11, 13; 7, 6, 10, 21, 36] ბედენში ჩვეულებრივი მოვლენაა; კიდევ უფრო ახლოს დგას ამ უკანასკნელთან ე. გოგაძის მიერ შუა ბრინჯაოს I—III ჯგუფებში გაერთიანებული XXIII, XXXIII, XXXVII და XLII სამარხების კერამიკულ ნატეხებზე შერჩენილი კანელურები [19, ტაბ. 26, 4; 27; 12, 25, 2; 30, 9]. უდიდესი ჯგუფის XI და XVI სამარხთა კერამიკაზე ამგვარ ღარულ სარტყლებს ემატება მოკლე, შვეული ღარები [76, სურ. 96ა; 19, ტაბ. 7,10, 14, 3]; იმავე ძეგლებმა მოგვცა „მარგალიტის“ ორნამენტის მოხდენილად გამოყენების ორი მაგალითი [20, ტაბ. 7,9; 14,4]. შესაძლოა ყურიანას ეკუთვნოდეს ს. კუშჩის დიდ „თოთქარში“ (გორასამარხი XXXVI) აღმოჩენილი ნატეხი, რომლის შემკულობა, სახელდობრ „მარგალიტებისგან“ შედგენილი წრე და მის შუაში მჯდარი კოპი, ე. ი. თავისებური „ფარდული“ [20, ტაბ. 28, 19], კიდევ უფრო რთულად განმეორებული XLII გორასამარხის ოქროს წრიულ ფირფიტაზე [82, გვ. 98, ტაბ. CIII, 1; 20, გვ. 72, ტაბ. 20,6], წარმოადგენს „გადაჭრილი გორის“ ერთ-ერთი ყურიანას (სურ. 25) ორნამენტის თითქმის ზუსტ პირს. მაშასადამე, შეხვედრები იმდენად თვალსაჩინოა და მრავალრიცხოვანი, რომ უფლება გვაქვს ბედენის, ხოვლეს, შულავრის და თრიალეთის ყურიანა ერთ კულტურას მივაწეროთ თუნდაც მათ ხნოვანებაში გარკვეული განსხვავებაც იყოს.

„გადაჭრილი გორის“ II ტიპის ჭურჭლეულის ახლო ანალოგებია მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკულ მასალებში, რომლებსაც ქვემოთ შევეხებით, მანამდე კი ყურადღებას შევაჩერებთ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის თიხისა და ლითონის ზოგიერთ ნახელავზე.

იქ, მაიკოპის კულტურის არაერთ ძეგლში, დამოწმებულია სფერულ, სფეროიდულ და კვერცხისებრტანიანი და მაღალცილინდრულყელიანი ჭურჭლეული, ე. ი. ის ფორმები, რომლებიც ერთმანეთს ცვლის „გადაჭრილი გორის“ ყურიანას სერიაში. მართალია მაიკოპის კულტურის ნახელავები ხშირად უყურია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ფორმების შედარებისას ეს გარემოება დაბრკოლებას არ ქმნის, მით უმეტეს, რომ იქ ზოგჯერ ყურიანი ჭურჭლეულიც გამოჩნდება ხოლმე. მაიკოპური წრის ანალოგებს შორის თიხის ნახელავებთან ერთადაა ლითონის ნაკეთობანიც, რომლებიც უმთავრესად შედის თვითონ მაიკოპის დიდი გორასამარხის ინვენტარში. ამ უკანასკნელიდან განსაკუთრებით ახლოსა დგას ბედენის განსახილველ

ტიპთან ვერცხლის ერთი ფართო და მაღალცილინდრულყელიანი ჭილა [104, გვ. 6—7, სურ. 22; 113, გვ. 22, ტაბ. VII—4]. ასევე შეიძლება ითქვას სტანიცა სტაროშიშასტოვსკაიაში 1897 წ. ნაპოვნ ვერცხლის ჭურჭელზედაც [104, გვ. 174—175; 113, გვ. 22]. ნოვოსვობოდნაიას № 1 დოლმენში აღმოჩენილი სპილენძის ქვაბების ნატეხებიც „მარგალიტის" ორნამენტით შემკული ცილინრულყელიანი ჭურჭლეულის ფორმებს მიუთითებს [113, გვ. 22, ტაბ. 7]. კერამიკული მასალიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ნოვოსვობოდნაიას 2 დოლმენის შავპრიალა ჭურჭლის [105, გვ. 35, ტაბ. V, № 62; 113; გვ. 21 ტაბ. XII$_2$; 130, გვ. 59] მსგავსება ბედენის ყურიანას უმეტესობასთან. ფორმის მიხედვით ასევე ახლოს დგას „მარგალიტის" ორნამენტით და რელიეფური წიბურით შემკულ ჩვენს ჭურჭელთან სტანიცა კოსტრომსკაიას გორასამარხის ჭურჭელი [104, გვ. 16, სურ. 57; 113; გვ. 22]. ძალიან მოგვაგონებს ბედენში დამოწმებული ყურიანას ფორმებს ნ. ვესელოვსკის მიერ არმავირში 1902 წ. აღმოჩენილი ჭურჭელი [106; 113, გვ. 22]. აღსანიშნავია, რომ ნოვოსვობოდნაიას ზოგიერთ ჭურჭელს მხრიდან ყელში გარდამავალ მუხლთან აქვს ერთი ან ორი წელში გამოყვანილი ყური (105, ტაბ. 5, № 58; 113, გვ. 21 ტაბ. XIII, 1—4 და 6). ეს ნიმუშები უეჭველად ენათესავება ქართლის სხვადასხვა ადგილიდან ჩვენთვის უკვე ცნობილ ყურიანას (ბედენი, ხოვლე, შულავერი,), ყურიან ჭურჭელზე ცილინდრული ყელი მეორდება ვორონცოვის მღვიმის მასალებშიც [121, გვ. 153, ტაბ. III, 13]. თუმცა ისინი ლ. სოლოვიოვს იმპორტულად მიაჩნია, მაგრამ ეს კიდევ საეჭვოა, ვინაიდან მათთვის დამახასიათებელი კეცის არაერთი ანალოგი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს მღვიმეებში დ. თუშაბრამიშვილის მიერ (ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). ბედენის ჭურჭლეულის კავშირს მაიკოპის კულტურასთან აგრეთვე ნათლად მოწმობს ის, რომ მაიკოპის დიდ გორასამარხში აღმოჩენილი ერთ-ერთი შემკული ვერცხლის ვაზა წარმოადგენს ერთგვარ ჰიბრიდს, რომელშიც შერწყმულია ბედენის ხელქოთნებისა და ყურიანას ცალკეული ნაწილების ფორმა—ტანი ხელქოთანას უგავს ხოლო ყელი—ყურიანას [104, გვ. 8, სურ. 27].

ფორმების ამ უეჭველ სიახლოვეს აძლიერებს ნახელავთა ზედაპირის დამუშავება და შემკულობა. თუმცა მაიკოპის კულტურის წიაღში უმთავრესად წითელი მოყვითალო, ყავისფერი და ვარდისფერი კეცი სჭარბობს, მაგრამ მაიკოპის და ნოვოსვობოდნაიას გორასამარხებში შავად გამომწვარი კერამიკაც გვხვდება. ზოგი მათგანის, მათ შორის ცილინდრულყელიანი ჭურჭლეულის გარე ზედაპირი ზოგჯერ ლაკის სიპრიალემდეა აყვანილი [113, გვ. 19,21, ტაბ. XII,2] ე. ი. მოპირკეთებულ-ნახეხია ისეთივე მონდომებით, როგორითაც ბედენური კერამიკა, კერძოდ მისი გიშრისფერი ნიმუშები. მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია ორნამენტული მოტივების შეხვედრებიც: ბედენის, ხოვლეს, შულავერისა და თრიალეთის კერამიკის დამახასიათებელი „მარგალიტის" სამკაული, მძივთა ასხმებსავით რომ შემოსდევს ჭურჭელს ყელის ძირსა და მხრებს შორის, აგრეთვე თავს იჩენს ნოვოსვობოდნაიაში [105, ტაბ. V, № 57, 59, 63] და მისივე ხმოვანების ბევრ სხვა ნამოსახლარ ადგილებში ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზე, მაგალითად, მეშოკოში [131, გვ. 54, სურ. 12; 130, გვ. 33, სურ. 1; 133, გვ. 76, 77, სურ. 3, 5, 4], ხოჯოხში [133, გვ. 112], სკალაში [133, გვ. 70—71, სურ. 34$_{1-2}$] (ყველა მათგანი კრასნოდარის მხარეშია), ზამოკში [115] (ქ.კისლოვოდ-

სკთან), და დოლინსკში [77, გვ. 183, ტაბ. VII^{6}; 101, გვ. 103] ქ. ნალჩიკის ახლო. არის ის ლუგავოეშიაც (გროზნოს ოლქში). მტკვარ-არაქსის კულტურის ხნოვანების ჭურლეულის ნატეხებზე [101, გვ. 104, სურ. 28, 1, ტაბ. XII, 1] ნიშანდობლივია, რომ ბედენზე, თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის II ჯგუფის XXX გორასამარხში [20, ტაბ. 28, 19] და მეშოკოში [123, გვ. 88] აღმოჩენილია კერამიკის ნატეხები, რომლებზედაც „მარგალიტებისაგან“ შედგენილია ვარდული წრე და მის შიგნით დასმული კოპი. ეს მოტივი, უკვე ფრიად გართულებულ კომპოზიციაში, აგრეთვე გამოჩნდება თრიალეთის № XVII გორასამარხის ოქროს წრიულ ფირფიტაზე [82, ტაბ. CIII$_{1}$].

ამგვარად, ჩვენს წინაშეა მაიკოპის კულტურასთან ბედენის მონაპოვრების შეხვედრების მთელი წყება. ზოგ მათგანზე ყურადღება შევაჩერეთ ბედენის სხვა სამარხების განხილვისას, ზოგზეც ქვემოთ დაგვჭირდება შეჩერება და, ბოლოს, სათანადო დასკვნის გაკეთება. უკვე ახლაც შეიძლება ითქვას, რომ ამ რაოდენობის შეხვედრები არ შეიძლება შემთხვევითობას მიეწეროს; უეჭველია, რომ ბედენ-თრიალეთის და მაიკოპის ძეგლთა სახით ჩვენ საქმე გვაქვს ორ ახლო მონათესავე კულტურასთან. შესაძლოა, აღნიშნული შეხვედრები ნივთიერი კულტურის და იდეოლოგიურ მოვლენებში აღმოცენებული იყოს კავკასიის ორი სხვადასხვა რაიონის მოსახლეობის ეთნიკური მონათესაობის საფუძველზე. შესაძლოა, გარკვეული როლი ითამაშა ერთი კუთხიდან მეორეში ტომთა გადაადგილებამ, მაგრამ ისიც სავარაუდოა, რომ ჩვენ აქ საქმე გვქონდეს მშვიდობიან კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგებთან და ამ ნიადაგზე წარმოშობილ მსგავსებებთან. ამ საკითხებზე უფრო ვრცელი საუბარი მოგვიხდება ბედენის მთელი მონაპოვრის გაცნობის და ქრონოლოგიური საკითხების დაზუსტების შემდეგ.

ბედენური ცილინდრყელიანი ჭურჭლეულის ახლო ანალოგები არის მტკვარ-არაქსის კულტურაშიც. ასეთ ჭურჭლებს ვხვდებით დაბლაგომში ნაციხვარას ქვედა კულტურულ ფენაში. მხედველობაში გვაქვს ბ. კუფტინის მიერ აღწერილი ნატეხები და გრაფიკულად აღდგენილი ყელმაღალი და კვერცხისებრ წაგრძელებულტანიანი უყურო ურნა [85, გვ. 133—134, სურ. 35^{1}; ტაბ. 43^{1}]. ბ. კუფტინი მას ადარებს თრიალეთის 1 გორასამარხის ჰიდრიებთან, თუმცა უფრო მართებული იქნებოდა მისი აღდგენა თრიალეთის უფროსი ჯგუფის გორასამარხების ჭურჭლეულის მიხედვით და მათთან შეპირისპირება, ვინაიდან, ჯერ ერთი I გორასამარხის ჰიდრიები წარმოდგენილია ტანის ქვედა ნაწილს მოკლებული ნატეხების სახით და ამდენად გაუმართლებელია ორი უცნობის ერთმანეთთან შედარება და მეორეც, აღნიშნული ჰიდრიები ვიწროყელიანებია, რაც ბ. კუფტინსაც აქვს ხაზგასმული, ხოლო უფროსი ჯგუფის გორასამარხების ჭურჭლეულის ზოგ ნიმუშზე ცილინდრულ ყელს და ოდნავ გადაშლილ პირს შეესაბამება შედარებით უფრო მომრგვალებული და დაბალი ტანი]20. ტაბ. 8. 1. გორასამარხი №XII; 9, 10; გორასამარხში № XXII; 14,3; გორასამარხი № X, 1] ბ. კუფტინისეული რეკონსტრუქციაც რომ სწორად მივიჩნიოთ, დაბლაგომის ურნა მაინც გამოდგება „გადაჭრილი გორის“ ერთ-ერთი, კვერცხისებრტანიანი ყურიანას მიახლოებულ პარალელად, მაგრამ მას ჩვენს სხვა ნიმუშებთანაც აკავშირებს მსუბუქი ღარი მხრებისა და ყელის გამყოფ ხაზზე; მაღალი და ფართო ცილინდრული ყელი ირიბად, ოდნავ გადაშლილი პირი. ამასთან ერთად დაბლაგომის ურნის

აღწერისას ბ. კუფტინი სხვა ნიშნებთან ერთად მიუთითებს ჩაზნექილ მრგვალ ფოსოებს, რომლებიც თუმცა ბედენის ყურიანას არ აქვს, მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, ხელქოთნების დამახასიათებელი ნიშანია. დაბლაგომის ქვედა კულტურული ფენის მაღალცილინდრული ყელიანი ჭურჭლის არა ერთი სხვა ნატეხიც შეიძლება დავიმოწმოთ, როგორც ბედენური ყურიანას პარალელი და პროტოტიპი [85, გვ. 36, და შმდ. სურ. 34,3 და სხვა].

მტკვარ-არაქსის კულტურის აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნამოსახლარებსა და სამარხებში აღმოჩენილია ბედენის ყურიანების პროტოტიპთა მთელი სერიები. რომ არაფერი ვთქვათ შავპრიალა ზედაპირსა და ვარდისფერ სარჩულზე, ამ კულტურის კოჭებსა და ხშირად უფრო მოზრდილ ჭურჭლებს ყურიანებთან გენეტურად აკავშირებს მეტ-ნაკლებად ვიწრო, ბრტყელი ძირი, მომრგვალებული-სფეროიდისებრი, უფრო იშვიათად კვერცხისებრი ტანი, მკვეთრი გადასვლა (ხშირად მცირე მუხლით) მხრიდან შემაღლებულ ფართო ყელზე და ამ უკანასკნელიდან — ირიბად გადაშლილ პირზე, თუმცა ზოგჯერ პირი ასეთ მიდრეკილებას არ აჩვენებს. ამასთან, ზოგი მათგანი აღჭურვილი არის ცალი, ანდა ერთი წყვილი ყურით, იშვიათად კი უყურო ნიმუშებიც გვხვდება. ამ სახის ჭურჭლები იმდენად ხშირია სხვადასხვა ადგილებში, რომ ძალიან შორს წაგვიყვანდა ყველა მათგანის მითითება. ამიტომ აქ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ზოგიერთის გახსენებით.

თ ე თ რ ი წ ყ ა რ ო ს ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი: ა) ქვედა (A) ფენის და № 1 სამარხის ქილა და კოჭობი [18].

კ ი კ ე თ ი ს ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი: ა) ე. პჩელინას განათხარი [83], ბ) ბ. კუფტინის განათხარი [38], გ) გ. ფხაკაძის განათხარი [38].

თ ა მ ა რ ი ს ი ს ს ა მ ა რ ხ ი: გ. ფხაკაძის გამოქვეყნებული მასალები [38].

თ რ ი ა ლ ე თ ი: ა) ბ. კუფტინის განათხარი ბარმაქსიზის გზატკეცილთან [76], ბ) მისივე განათხარი ოზნის ნასახლარზე [86, ნახ. 126].

ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს ა მ ი რ ა ნ ი ს გ ო რ ა: ტ. ჩუბინიშვილის განათხარი [41, ტაბ. V; VI].

ქ უ ლ ბ ა ქ ე ბ ი: ო. ჯაფარიძის გამოქვეყნებული მასალები [47].

ძ ა ღ ი ნ ა: ო. ჯაფარიძის განათხარი [44];

დ ი დ უ ბ ე: გ. ნიორაძის შეგროვილი მასალები [39].

ნ ა ხ ჭ ე ვ ა ნ ი: ჭიულ-თაფა 11 [48].

უ რ მ ი ი ს ტ ბ ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო: ა) გეო-თეფე, ბ) იანიკ-თეფე ქალკოლითური და აღრეული ხანის კერამიკა;

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ა ნ ა ტ ო ლ ი ა: ა) ქარაზი, ბ) ერნისი;

შეიძლებოდა ამ სიის კიდევ გაგრძელება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საკითხის სიცხადისათვის მითითებული მასალებიც საკმაოა. ეს მასალა, ორ ძირითად ჯგუფად დაიყოფა: პირველში შევა უყურო და ცალყურიანი ჭურჭლები, რომელთაც აქვთ შედარებით ვიწრო და მაღალი ყელი, როგორიცაა, მაგალითად, იანიკ-თეფეს ქალკოლითური ფენის, ერნისის [91], დიდუბის და სხვა ნიმუშები; მათვე შეიძლება დაემატოს მერსინის ქალკოლითური ჭურჭელი. ისინი შეიძლება მივიჩნიოთ მაიკოპ-ნოვოსვობოდნაიას ვერცხლისა და თიხის განხილულ ნახელავთა წინაპრებად, მაშინ, როცა მეორე ჯგუფი, წარმოდგენილი თეთრი წყაროს, ბარმაქსიზის, კიკეთის და სხვა სამაროვნებზე

აღმოჩენილი კოჭებებით, უფრო ახლო ენათესავება ბედენის ტიპის ყურიანებს, რომლებიც მათი ფორმისაგან უნდა იყოს განვითარებული. ამ ადგილობრივ პროტოტიპებს გარდა, ბედენური ყურიანას ფორმის წარმოქმნაში გარკვეული როლი უნდა ეთამაშა ცხადია (არა უშუალოდ) ახლო აღმოსავლეთის კერამიკული წარმოების ცენტრებს, სადაც ყელმაღალი ჭურჭლეული საკმაოდ გავრცელდა ჰალაფური პერიოდიდან დაწყებული, ხოლო მერსინის შუა ქალკოლითურ დონეებზე გაჩნდა ტიპიური ბედენური ყურიანას ფორმა. შესაძლოა, რომ ორმაგი ყურიანას (შერთული ჭურჭლის) შემქმნელ ბედენელ მეკეცეებს მისაბაძ ნიმუშად ჰქონდათ ბეშთაშენის ციხე-სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარე მოედანზე მტკვარ-არაქსის კულტურის ნაშთებს შორის აღმოჩენილი ჭურჭელი [82, ტაბ. CXXIV]. მაგრამ ვინაიდან ამ დროის სხვა ორმაგ ჭურჭელს კავკასიაში ვერ ვიცნობთ, უნდა ვიფიქროთ, რომ იდეა ამგვარი ნახელავისა ძველი აღმოსავლეთის და ეგეოსური კულტურის ზეგავლენით ჩაისახა. ბ. კუფტინმა [82, გვ. 11] და შემდეგ ო. ჯაფარიძემ [44, გვ. 36] ბეშთაშენის ორმაგ ჭურჭელს მეტნაკლებად ახლო ანალოგები მოუძებნეს უცხოეთის ძეგლებში. შეიძლებოდა დამატებით მიგვეთითებინა აღმოჩენის სხვა ადგილებშიც (მაგ. ქალკოლითური ბიბლოსი, მერიმდე ეგვიპტეში, თეფე სიალკი, თეფე გავრის მერვე დონე და სხვ.), მაგრამ არსად ამ ქვეყნებში არ ჩანს ბედენის ჭურჭლის ზუსტი ორეული. ისინი განსხვავდება, როგორც ჭურჭლების ფორმით, ისე ყურის მიმაგრების წესით ისეთ შემთხვევებში, როცა ასეთი რამ ახლავთ, პირის პარალელურად ჭურჭლების მუცელზე მიმაგრებული ყური აქვს მხოლოდ ბეშთაშენის ზემოხსენებულ ადრეულ ნიმუშს და ერთ ჯამს იგდირის ურარტული „კოლუმბარიუმიდან". ასეთივე სახელური გვხვდება ორმაგ და სამმაგ ჭურჭლეულზე გვიანდელი ბრინჯაოსა და რკინის ხანის დიღმის აკლდამის ჯერჯერობით გამოუქვეყნებელ მასალებშიც. როგორც ჩანს უცხოეთის გავლენით შექმნილმა ორმაგმა ჭურჭელმა კავკასიაში განიცადა გარკვეული გადახალისება, ხოლო აქ შეძენილი თავისებურება შეინახა მტკვარ-არაქსის კულტურიდან დაწყებული, ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევრამდე. მაგრამ კავკასიის ბევრ გვიანდელ სამარხებში აღმოჩენილია სხვადასხვა მოყვანილობის შერთული ჭურჭლები, რომლებსაც შვეულად მიმაგრებული სახელურები აქვთ.

ამის გარდა, როგორც ავტორის ცალკეული ჩანაწერებიდან ირკვევა მე-5 გორასამარხის კერამიკაში მას კიდევ რამოდენიმე ტიპი ჰქონდა გამოყოფილი. ესენია—III ტიპი—ტოლჩები (ტ. XXXII—5, ტ. XXXIII—4—5), (სურ. 27) მათ შორის ერთი ორნამენტიანი (სურ. 27). IV ტიპი—ორნამენტიანი სამფეხა ჯამი (ტ. XXXII—6,8) და V—დერგები, რელიეფური ორნამენტით.

მე-5 გორასამარხში აღმოჩენილია აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ჭსოვილი და თოკი; (ტ. XXXVI—XXXVII) ობსიდიანის ისრის წვერები (სურ. 28),სარდიონის მძივი და ძვლის ღილი (სურ. 29), სპილენძის საჭრისი და სატეხი (ტ. XXXVII —1,2), (სურ. 30), სპილენძის ჭინძისთავისმაგვარი ნივთი (სურ. 31). ვერცხლის ძაბრისებრი ნივთი და რკოლა (სურ. 32), ოქროს ორვოლუტიანი საკინძი, რომელთა მთლიანი ნუსხა მოცემულია ამ გორასამარხის აღწერილობის შემდეგ (ტაბ. XXXVIII—3—5, ტ. XXXIX).



სურ. 27. გორასამარხი 5. თიხის ტოლჩა № 17



სურ. 28. გორასამარხი 5. ობსიდიანის ისრისწვერები

ახლა კი მკითხველს ვთავაზობთ ორვოლუტიანი საკინძის ანალიზისა და ტექნოლოგიური კვლევის შედეგებს.

ბედენის ოქროს საკინძი კარგად არის შემონახული. მას არ გააჩნია აშკარად შესამჩნევი რაიმე მექანიკური დაზიანება და არც ზედაპირული კოროზიის ნიშანი შეინიშნება. საკინძი იპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას როგორც მისი მხატვრული ღირებულების, ასევე დამზადების ტექნოლოგიის მაღალი დონის გამო. მიუხედავად მისდამი ასეთი ყურადღებისა და ინტერესისა, დღეისათვის არაა ყოველმხრივ გარკვეული მისი დამზადების ტექნოლოგია. ნივთის გარეგანი შეხედულება არ იძლევა აშკარა ნიშნებს დამზადების ამა თუ იმ ტექნოლოგიური პროცესის დასადგენად და სპეციალისტთა კვლევის საგნადაც იგი დღევანდლამდე არ გამხდარა.

ბედენის ოქროს საკინძის ტექნოლოგიური გამოკვლევის მნიშვნელობა, ჩვენის აზრით, ძლიერ დიდია როგორც ქართული კულტურის ისტორიისა-



სურ. 29. გორასამარხი 5. სარდის მძივი 2. რქის ღილი „V“—სებური ნახვრეტით



სურ. 30. გორასამარხი 5. 1. სატეხი. 2.საჭრისი

თვის ასევე ტექნიკის ისტორიისათვის. საზოგადოდ იგი განეკუთვნება ადრე ბრინჯაოს ხანას. წინ უსწრებს შუაბრინჯაოს ხანას, რომელიც ცნობილია, რო-



სურ. 31 გორასამარხი 5. სპილენძის „ქინძისთავი“



სურ. 32. გორასამარხი 5. 1. ვერცხლის „ძაბრი“. 2. ვერცხლის რგოლი

გორც ბრინჯაოს ხანის აყვავების და ოქრო-ვერცხლის მხატვრული დამუშავების განვითარებული პერიოდი. თრიალეთის გორასამარხებში ამ ხანის დიდი რაოდენობის ოქრო-ვერცხლის უნიკალური ნაკეთობებია აღმოჩენილი, რომლებიც ტექნიკური შესრულების დიდი სრულყოფით გამოირჩევიან. ასეთივე ხასიათის ძეგლის აღმოჩენა ბედენშიც კიდევ უფრო გასაგებს ხდის თრიალეთის კულტურისადმი ინტერესს. ბედენის საკინძის ტექნოლოგიური გამოკვლევა თრიალეთის კულტურის ძეგლებთან ერთად, საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ სრული სურათი იმდროინდელი ხელოსნობის კერების როგორც ტექნიკური აღჭურვილობის, ისე იმ ტექნოლოგიური პროცესებისა, რომლებსაც ფლობდნენ ამ კულტურის შემოქმედნი.

ბედენის ოქროს საკინძისადმი ინტერესი კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ თრიალეთის გორასამარხებიდან ცნობილია ზუსტად ასეთივე ფორმის ოქროს საკინძი, რომელიც დაახლოებით ისევეა დათარიღებული, როგორც ბედენისა [82]. თრიალეთის საკინძი მექანიკურად დაზიანებულია, რაც მისი ტექნოლოგიური დამზადების პროცესის დადგენისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამ ორი საკინძის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დაპირისპირება-შედარებამ, ამ საკინძების ერთობლივმა ტექნოლოგიურმა გამოკვლევამ ერთობლივად საყურადღებო შედეგები უნდა მოგვცეს.

თრიალეთის ოქროს საკინძის ტექნოლოგიური გამოკვლევა

თრიალეთის საკინძის დაზიანების გამო აშკარად ჩანს, რომ იგი შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან[20]: ღეროსა და ორმხრივ მოჩუქურთმებული ბრტყელი თავისაგან. ღეროს ტეხილზე შეინიშნება, რომ იგი თავის მხრივ ორი ნაწილისაგან შედგება: სპილენძის გულისა და ოქროს გარსაცმისაგან, ღეროს თავი გახვრეტილია. ღერო თავიდან 15 მმ სიღრმეზე ცარიელია: ბრტყელი თავი თითქმის დაშლილია, რის გამოც აშკარად ჩანს, რომ იგი შედგენილია ორი თხელფურცლოვანი მოგობილი ნახევრისაგან მათი ერთიმეორეში ჩადგომით. ბრტყელი თავის ნახევრებს შიდა წიბოზე ცენტრში აქვთ წანაზარდები, რომელთაგან დახვეულია მილისას ნახევრები მეტობით. მათი შეერთებისას ისევე როგორც ბრტყელი თავის ერთი ნახევრის გობი შედის მეორე ნახევრის გობის შიგნით, ასევე მილისას ერთი ნახევარი ჯდება მეორე ნახევარში და ორივე ერთად წარმოქმნიან ორი ნახევრისაგან შედგენილ მილისას. ამ მილისას ღეროს ცარიელ თავში ჩასმით ხორციელდება ღეროსა და ბრტყელი თავის ერთიმეორესთან შეერთება. შეინიშნება, რომ ბრტყელი თავის მილისას ჰქონია ნახვრეტი, რომელიც მათი შეერთებისას ალბათ დგებოდა ღეროს თავზე არსებული ნახვრეტის სწორად.

გასარკვევია ღეროსა და ბრტყელი თავის დამზადების პროცესი.

ღეროს ოქროს გარსაცმის სისქე დაახლოებით უდრის 0,1 მმ. გარსაცმზე სიგრძივი ნაკერი ან გადაბმის ადგილი სრულიად არ შეინიშნება, რაც იმას მოწმობს, რომ სპილენძის ღერო არ არის შემოფენილი თხელი ფურცლით.

არც ის არის დასაშვები, რომ სპილენძის ღერო მოოქროებული იყოს

[20] ეს ნაწილი შესრულებულია დოც. ი. ანდრიაშვილის თანაავტორობით.

ვარაყის შემოკვრის ან ოქროცურვების მეთოდით, რადგან ღეროს გარსაცმი საკმაოდ სქელკედლიანია. ისიც გამორიცხულია, რომ ჯერ გამოჭიმული იყოს გარსაცმი მთლიანად და შემდეგ იყოს ჩასხმული სპილენძი, რადგან ტეხილი ნაჭედისათვისაა დამახასიათებელი.

შესაძლებელია ოქროს გარსაცმიანი ღეროს მხოლოდ შემდეგი წესით დამზადება: ფისოვან მასაზე დაკრულ ოქროს ფურცელზე ბრინჯაოს ღეროს დარტყმით გამოჭიმულია ოქროს მასრა, ღეროს ამოღების შემდეგ მასში ჩადებულია სპილენძის ღერო და შემდეგ ერთობლივად კვერით გამოყვანილია ღეროს საბოლოო ზომები. ის გარემოება, რომ ოქროს თავი 15 მმ სიღრმეზე ცარიელია, ვფიქრობთ მიზეზია იმისა, რომ სპილენძის ნატეხი ამოვარდნილი და დაკარგული უნდა იყოს. ოქროს ბრტყელი თავის ნახევრები დამზადებულია ოქროს თხელი ფურცლისაგან სათანადო ფორმის ნამზადის გამოჭრის შემდეგ.

ჩუქურთმები ტვიფრვით არაა მიღებული, რადგან მათზე იარაღის კვალი წაღმა მხრიდან შეინიშნება: მაგალითად, წნულ კონტურებზე, კოკბების ირგვლივ, მათი რელიეფის გასაძლიერებლად; წნული კონტურების ძირში ორივე მხარეს, კოკბებზე წაღმამხრიდან ჩაბრუნების ადგილას და სხვ. ცხადია ასევე შეიძლებოდა იარაღების კვალის მონახვა ფურცლების უკუღმა მხარეს, რადგან უკუღმა წრიული კონტურები მკვეთრია, რაც დამახასიათებელია მაგარი თეგვისათვის, დამახასიათებელი ნიშანია ზედაპირზე ნატლეჟების არსებობაც. ასეთები თრიალეთის საკინძის ბრტყელი თავის ზედაპირებზე არ შეინიშნება. მაშასადამე, ჩუქრთმები ბრტყელთავიან ფირფიტებზე მიღებულია რბილი თეგვის საშუალებით. ამისათვის ფირფიტებზე გამოსახულების მხრიდან გამოხაზულია წნული კონტურების მსაზღვრელი ხაზები. ასეთი კონტურები წინა ფირფიტაზე ერთი შემოსდევს ირგვლივ, მეორე კი შუაშია; უკანა ფირფიტის ირგვლივ შემოვლებულია ორმაგი წნული კონტური. გამოხაზული კონტურები წაღმა მხრიდან დაწნეულია ნემსა თეგით, რაც ახლაც კარგად შეინიშნება როგორც წაღმა, ისე უკუღმა მხრიდან. დაწნევის შემდეგ თეგვა შესრულებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

წინა ფირფიტის თეგვა

1. ფირფიტა წაღმა ზედაპირით დაკრულია ფოსოვან მასაზე (მაშინ ალბათ ქვესადებად სანთელის მასა გამოიყენებოდა);

2. ბრტყელთავა საკონტურე საცემი თეგით მიღებულია წნული კონტურების ამობურცვა;

3. კონტურებს შორის, დაახლოებით შუაში, სფერულთავა თეგით მიღებულია სფერულთავა წყვეტილი ორმაგი კონტური;

4. ფირფიტა ამძვრალია, მურაცხიდან გასუფთავებულია, იგი დაკრულია ისევ ფისოვან მასაზე უკუღმა ზედაპირით;

5. ამობურცულ კონტურზე ბრტყელთავა საცემი თეგის ირიბი დარტყმით მიღებულია ბრტყელირიბ-წყვეტილი კონტური, რაც ამობურცულ კონტურს წნულის შთაბეჭდილებას აძლევს.

6. წნული კონტურების ძირში ორივე მხრიდან გატარებულია ბრტყელსაკონტურე საცემი თეგი, რითაც გაძლიერებულია წნული კონტურის რელიეფი.

7. სფერულთავა თეგით უკუღმა მხრიდან მიღებული კოკბების თავზე დარტყმულია იგივე სახის თეგი, რითაც კოკბები წაღმა მხრიდან თავჩაბრუნებულია.

8. კოკბების ძირის ირგვლივ შემოვლებულია რკალთავა საკონტურე თეგით, რითაც გაძლიერებულია სფერული ამობურცვის რელიეფი წაღმა მხრიდან.

უკანა ფირფიტის თეგვა

ამ შემთხვევისათვის ფირფიტის გამოსახულების გამოხაზვა, მონიშვნა და წნული კონტურების თეგვა წინა ფირფიტის ანალოგიურია. აქ საყურადღებოა ფირფიტის შუაში თავჩაბრუნებული კოკბები ირგვლივი ამობურცული კონტურებით. მათგან შედგენილი წყვეტილი კონტურის მიღების თანმიმდევრობა ასეთია:

1. უკუღმა მხრიდან სფერულთავა თეგით ამობურცვის მიღება.

2. ფურცლის გადაბრუნების შემდეგ სფერულ ამობურცვაზე წაღმა მხრიდან ჩაღრმავების მიღება სფერულთავა თეგით.

3. წინა მხრიდან სფერული ამობურცვის რელიეფის გაძლიერება რკალსაკონტურე თეგით.

4. სფერული ამობურცვის ირგვლივ ფურცლის გადაბრუნების შემდეგ უკუღმა წრიული კონტურის მიღება რკალსაკონტურე თეგით.

თეგვით არის მიღებული მილისის ნახევრებზე ორი უკუღმა კონტური. შემდეგ, ფირფიტების შეერთებისას, მილისაზე წარმოიქმნება წრიული ორმაგი უკუღმა კონტური. ამის შემდეგ ფირფიტების ნაწიბურები მოგობილია და შეერთებულია ისე, რომ უკანა ფირფიტა თავისი გობით ჩასმულია წინაში.

საბოლოოდ შეერთებისათვის ბრტყელი თავი მილისა ჩასმულია ღეროს თავში.

ამგვარად, თრიალეთის საკინძი თეგური ხელოვნების ნაკეთობაა. იგი შემკულია წნული კონტურებითა და წრიული რელიეფური კოკბების წყვეტილი კონტურებით. გამოყენებულია თეგვის დროს ბრტყელთავსაკონტურე, სფერულთავა, რკალთავსაკონტურე და ნემსა საცემი თეგები. ოსტატი იყენებს ამ პერიოდის კერამიკული წარმოებისათვის დამახასიათებელ წნულ ერთმაგ და ორმაგ კონტურებს და თავჩაბრუნებული კოკბებისაგან შედგენილ წყვეტილ კონტურებს. ეს თავის მხრივ მოწმობს მთეგავი ოსტატის დახელოვნებას და თეგვის ადრინდელი ტრადიციების არსებობას საქართველოში.

ბედენის ოქროს საკინძის ტექნოლოგიური გამოკვლევის შედეგები

ბედენის ოქროს საკინძი თრიალეთის საკინძს ემსგავსება ფორმით, ზომებით და ჩუქურთმით. აქაც გამოყენებულია წნული კონტურები ბრტყელი თავის ირგვლივ და შუაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბედენისაზე ეს კონტურები ორმაგია, ხოლო თრიალეთისაზე ერთმაგი. ამ კონტურებს შორის აქაც გამოყენებულია თავჩაბრუნებული კოკბების წყვეტილი კონტური. უკანა მხარეს აქვს ორმაგი კონტური ისევე, როგორც თრიალეთის საკინძს, მის შიგნით გამოსახულია გეომეტრიული ჩუქურთმა, მისი ვერტიკალური და

ჰორიზონტალური კონტურების განლაგება სხვადასხვა კუთხიდან შეხედვისას სხვადასხვანაირ ელვარებას უზრუნველყოფს.

თუ თრიალეთის საკინძი დაშლილია, ბედენის საკინძი იმდენად კარგადაა შემონახული, რომ მისი დაზიანება მხოლოდ მაკროგადაღებით შეინიშნება. გადიდებისას შესამჩნევია, რომ ღეროს ბრტყელ ფირფიტასთან მიერთების ადგილას ბზარია, რაც წარმოქმნილია ღეროს მარჯვნივ გადაწევის გამო. მაგრამ გაურკვეველია მაინც არის იგი შეერთების ადგილი, თუ მთლიანი იყო და გაბზარულია დაზიანების გამო ან იქნებ ცხელი ბზარია სხმულისათვის დამახასიათებელი. ამრიგად, თრიალეთურისაგან განსხვავებით ბედენის ოქროს საკინძის ტექნოლოგიაში რიგი საკითხებია გასარკვევი, სახელდობრ:

1. ღერო შედგენილია თუ მთლიანი, ან თუ შედგენილია, როგორ არის შესრულებული?

2. ბრტყელი ფირფიტა შედგენილია თუ მთლიანი, და თუ შედგენილია, როგორ არის მიღებული?

3. ღერო — ბრტყელფირფიტასთან შეერთებულია თუ ერთი მთლიანი ნაკეთობაა, ან თუ შეერთებულია, როგორი წესით არის შესრულებული;

4. როგორ არის მიღებული ნახვრეტი;

5. როგორი ტექნოლოგიური პროცესითაა მიღებული ჩუქურთმები.

ამ საკითხზე პასუხის გაცემა მოითხოვს გულდასმით დაკვირვებას და მთელ რიგ ფაქტორთა გაანალიზებას.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ბედენის ოქროს საკინძის ღეროს და ბრტყელი ფირფიტის სინჯი[21] ერთნაირია და შეადგენს 583. ღეროზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი მასიურია; სახელდობრ ამაზე მეტყველებს ნახვრეტზე და მის ზემოთ, ღეროს თავზე დაკვირვება, ღეროს ბოლოს გადახეხვა მაკროსტრუქტურული კვლევისათვის. ღეროს თავი ფირფიტასთან მიერთების ადგილას გახლეჩილია.

გავზომეთ ნივთის ხვედრითი წონა წყალში ჩაძირვის მეთოდის ფორმულით:

$$\gamma = \frac{P_{ჰ}}{P_{ჰ} - P_{წყ}} = \frac{21{,}07}{21{,}07 - 19{,}57} = 14{,}2,$$

სადაც $P_{ჰ}$—არის საკინძის წონა ჰაერზე, $P_{წყ}$—საკინძის წონა წყალში; γ—ხვედრითი წონა.

იგივე ნივთის ხვედრითი წონა გავიანგარიშეთ სინჯის მიხედვით და ლითონის ფერის გათვალისწინებით. შედგენილობა ავიღეთ ოქრო 58,3%, ვერცხლი 36,7% და სპილენძი 5%, რის მიხედვითაც ხვედრითი წონა მივიღეთ— 15, 54. ხვედრით წონებში მიღებული სხვაობა შეადგენს 1,34.

ხვედრით წონებში მიღებული სხვაობა შეიძლება მივიჩნიოთ დადგენილი სინჯის შესაძლო ცდომილებად ან კიდევ იგი მიგვითითებს საკინძის მოცულობაში სიცარიელის ან გარკვეული რაოდენობის სხვა მცირე ხვედრითი წონის ლითონის არსებობაზე. საკინძი შევამოწმეთ რენტგენო და გამა დეფექტოსკოპიით, მაგრამ რაიმე სიცარიელის არსებობა საკინძში არ დადგინდა.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გაირკვეს საკინძის ღერო და ფირფიტა ცალკ-ცალკეა მიღებული და შემდეგ შეერთებული, თუ თავიდანვე ერთი მთლიანია დამზადებული.

---

[21] სინჯის დადგენაში დაგვეხმარა ფინანსთა სამინისტროს სინჯის შემოწმების ლაბორატორიის გამგე ე. კოჭნაველიძე.

ასეთი მთლიანი საკინძი შესაძლებელია დამზადებულიყო ჩამოსხმით, ტვიფრვით ან ჭედვით. ჩამოსხმით ღერო რომ არ არის მიღებული ამაზე მეტყველებს მასზე კვერის კვალის არსებობა. ასევე სხმულის შთაბეჭდილებას არ ტოვებს ფირფიტის ზედაპირიც. ამის გარდა მეტალოგრაფიულ მიკროსკოპზე შევამოწმეთ ღეროს (გავაპრიალეთ და მოვწამლეთ მისი ბოლო) და ფირფიტის (გავაპრიალეთ და მოვწამლეთ მისი წიბოს მარჯვენა ზედა მომრგვალება, პირობითად წაღმა მხარედ ვიღებთ რა წრიულებიან ჩუქურთმას) მიკროსტრუქტურები, რომლებიც აღმოჩნდა ნაჭედისათვის დამახასიათებელი.

ტვიფრვით მთლიანი საკინძის მიღება იმ პერიოდის პირობებისათვის შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან მოითხოვს ერთი მხრივ მოცულობით ტვიფვრს, რაც დასამზადებლად ძნელია და მასალაც ფოლადს მოითხოვს, რაც მათ არ გააჩნდათ და მეორეს მხრივ საჭიროებს დარტყმის დიდ ძალას, რომლისთვისაც საჭირო მოწყობილობა იმ დროისათვის შენიშნული არ არის. ასეთი ფორმის საკინძის მიღება მთლიანი მასალისაგან თავისუფალი ჭედვით შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან მისი რთული მოყვანილობაც და კვეთებში დიდი განსხვავება ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

დარჩა ერთი ვარიანტი, რომ საკინძის ღერო და ფირფიტა დამზადებულია ცალ-ცალკე და შემდეგ არის ისინი შეერთებული: შეერთების ადგილი კარგად შეინიშნება. შეერთების წინ საკინძის ღეროს თავი გაყოფილია. ამ მომენტში დატანებული უნდა იყოს კვადრატული კვეთის ბრინჯაოს ღერო, რომელიც შემდეგ გამოღებულია და უზრუნველყოფილია ღეროს თავში საკინძის დასამაგრებელი კვადრატული კვეთის ნახვრეტის მიღება. შემდეგ ფირფიტის წანაზარდი ჩასმულია ღეროს თავის განახეჩში და კვერვის საშუალებით მიღწეულია მათი საიმედო შეერთება. ღეროს თავის გვერდებზე კარგად შეინიშნება განახეჩის კვალი, რომელიც ნახვრეტის ქვევითაც კი გრძელდება და კვერვისათვის საჭირო დარტყმის კვლები კვერვა შეერთებისათვის განხორციელდებოდა ზესადგამის დანიშნულების მქონე თეგის საშუალებით, კვერვით ფირფიტის მხატვრულად დამუშავებული ნაწილის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

საკინძის ღეროს და ფირფიტის კვერვით შეერთებას ამტკიცებს, აგრეთვე, ფირფიტის ზედაპირზე არსებული ბზარები, რომლებიც ორივე მხრიდან კარგად შეინიშნება. ბზარები არ არის ცხელი — სხმულისათვის დამახასიათებელი. იგი გამოწვეულია ღეროს მარცხნივ გადახრით, რის გამოც, ღეროზე და ფირფიტაზე მოთავსებული წნული კონტურები ერთიმეორესთან აცდენილია. კვერვით შეერთების შემდეგ ღეროს თავის გადაფარული ადგილი ფირფიტის ჩუქურთმის შესაბამისად არის დამუშავებული.

აღსანიშნავია, რომ ღეროს თავის ნაწილი ფირფიტის უკანა მხარე უფრო მეტად არის გადაფარული, რადგან შესატყვისი ჩუქურთმის მიღება ამ ნაწილზე უფრო ადვილია. წინა მხარეზე კი წრიული ელემენტების მიღება გაძნელდებოდა, რის გამოც ღეროს თავის ნაწილით მხოლოდ გარე წნული კონტურია გადაფარული.

ახლა საჭიროა გაირკვეს ფირფიტის შედგენილობის საკითხი. ამ საკითხის გასარკვევად უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ საკინძის ფირფიტის მხატვრული დამუშავების შესაძლებლობა მთლიანი ფირფიტის შემთხვევაში. ბედენის ოქროს საკინძის ბრტყელი თავის წაღმა და უკუღმა ზედაპირები

სხვადასხვანაირი ჩუქურთმებით არის შემკული. ასეთი მთლიანი ფირფიტა შეიძლება მიღებულიყო ჩამოსხმით, ტვიფრვით, ჭრეთით ან თეგვით.

ჩამოსხმით ან ტვიფრვით რომ საკინძის ნაწილები არ არის დამზადებული ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ფირფიტის ზედაპირებიც არ არის ჭრეთით დამუშავებული, რადგან ზედაპირები ამ პროცესისათვის არ არის დამახასიათებელი. ამის გარდა წინა ზედაპირის ჩუქურთმის მისაღებად დღესაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს წნულების ირგვლივი ფონის საჭრეთით ამოღება. უკანა ზედაპირზეც ჩაღრმავებული ფონი, რომელიც კონტურების სახით არის, იმდენად კუთხოვანია, რომ ძლიერ გაძნელდებოდა ამ კუთხეების საჭრეთლით ამოღება. გარდა ამისა, ამ ზედაპირზე შეინიშნება გადაკვეთილი კონტური, რომელიც თეგის კვალის დამახასიათებელია.

ამგვარად, ფირფიტის ზედაპირებზე ჩუქურთმები მიღებულია თეგვის საშუალებით.

მთლიანი ფირფიტის თეგვა, როცა ორივე მხრიდან სხვადასხვა ჩუქურთმებია, მხოლოდ ზედაპირული თეგვით შეიძლება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ფირფიტა თხელია, რაც არ იძლევა წრიულების ირგვლივი ფონის დაწევის საშუალებას უკუღმა ზედაპირზე შესაბამისი ნეგატიური გამოსახულების წარმოქმნის გარეშე. ამგვარად, უფრო დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ფირფიტის ზედაპირების მხატვრული დამუშავება შესრულებულია ცალ-ცალკე წინასწარ გამოჭრილ ფურცლებზე და შემდეგ არის შეერთებული რჩილვით ერთ ფირფიტად, რის შემდეგ განხორციელებულია ამ ფირფიტის ღეროს თავთან შეერთება. ფირფიტა რომ ორი ფურცლისგანაა შედგენილი ამას ამტკიცებს ნაწიბურის ირგვლივ შუა ნაწილზე არსებული გრძივი ბზარები იმ ადგილებში, ხოლო ფურცლები რომ მირჩილულია ეს კარგად ჩანს ფირფიტის შიგა ნაწიბურზე.

საკინძის ფირფიტის წინასწარ გამოჭრილი და გამოხაზული ფურცლების თეგვით დამუშავება შესრულებულია შემდეგნაირად:

1. წინა ფურცელი დაკრულია ფოსოვან მასაზე წაღმა ზედაპირით და უკუღმა ზედაპირზე გამოხაზული კონტურების გასწვრივ სასრიალო თეგით, მიღებულია წნული კონტურების ამობურცვა წაღმა მხარეს.

2. წრიულების მონიშნულ ადგილას დარტყმულია ბრტყელტორსიანი მრგვალთავა თეგი 13 მმ, რომლითაც მიღებულია წაღმა მხარის წრიული ამობურცვა.

3. ფურცელი ამძვრალია ფისოვანი მასიდან, გასუფთავებულია და შემდეგ დაკრულია მასზე უკუღმა ზედაპირით. სასრიალო თეგი გატარებულია წნულ კონტურებს შორის და ამავე კონტურების მეორე მხარეს ძირში, რითაც გაძლიერებულია კონტურების რელიეფი.

4. ამავე დროს მრგვალთავა თეგით მიღებული ამობურცვების ცენტრებზე დარტყმულია მრგვალთავა თეგი ტორსის სფერული მოყრგვალებით 11,0 მმ.

5. კონტურებზე ირიბად დარტყმულია ბრტყელთავა თეგი, რითაც მიღებულია წნული კონტურის შთაბეჭდილება. ანალოგიურად არის მიღებული წნული კონტურები უკანა ფურცელზე. კონტურებს შორის ჩუქურთმა სასრიალო თეგით ჯერ მიღებულია უკუღმა მხრიდან და შემდეგ კონტურებს შორის მიღებული ფონი წაღმა მხრიდან ისევ სასრიალო თეგითაა შემოვლილი.

ნათეგი ფირფიტები, რომელთა სისქე თითოეულის 0,20—0,25 მმ არ უნდა აღემატებოდეს, ერთიმეორესთან მირჩილული უნდა იყოს ოქროს ამალგამის საშუალებით. ჩუქურთმის შიგა სიცარიელეებიც ამოვსებული უნდა იყოს მცირე სიმკვრივის სარჩილით (თხელი ფურცლისათვის სიხისტის მისაცემად), რასაც უნდა გამოეწვია კუთრი წონის ოდნავი შემცირება.

წინასწარ მირჩილული ფირფიტა შეერთებულია ღეროსთან ზემოთ აღწერილი წესით, რის შემდეგ, ფირფიტის ნათეგი ზედაპირები მოოქრულია.

მოოქროებულია, თეგვის კვლების დასაფარავად და უფრო ლამაზი ფერის მისანიჭებლად, ან შეიძლება, შესრულებულიყო ბზარის მიღების შემდეგ, მის დასაფარავად. მოოქრული ზედაპირის ხასიათიდან ჩანს, რომ ეს პროცესი შესრულებულია ცხელი მეთოდით ანუ ამალგამირებით, რაც თავის მხრივ ამოწმებს ფირფიტების ამალგამით რჩილვის შესაძლებლობას.

ამგვარად, ბედენის ოქროს საკინძის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი ასე წარმოგვიდგება: 1. საკინძის ღეროს დამზადება ცივი ჭედვით; 2. საკინძის ფირფიტის ფურცლების მიღება, გამოჭრა და ცალ-ცალკე თეგვა. 3. ფურცლების რჩილვა მათი გარე წიბოს მიგლუვებით; 4. ღეროსთან ფირფიტის კვერვით შეერთება; 5. მოოქროება ამალგამის გამოყენებით;

დასკვნა: ბედენისა და თრიალეთის ოქროს საკინძეები, რომლებიც ძვ. წ. აღ. III—II ათასწლეულის მიჯნას განეკუთვნებიან, წარმოადგენენ თეგური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს. მათი დამზადებისას, გარდა კვერვისა და თეგვისა, გამოყენებულია ამალგამით რჩილვისა და მოოქროების პროცესები.

ორივე საკინძის ტექნოლოგიურ-მხატვრული შესრულების გარკვევა გვიჩვენებს ავტორთა მაღალ ტექნიკურ მომზადებას და დიდ მხატვრულ გემოვნებას, რაც თავის მხრივ შედეგია არაერთხელ დამოწმებული ოქრო-ვერცხლის მხატვრული დამუშავების დიდი ხნის არსებული ტრადიციებისა შუა ბრინჯაოს ხანაში. რაც შეეხება ამალგამით მოოქროების პროცესის გამოყენების ფაქტს ბედენის საკინძზე, მიგვითითებს ამ პროცესის არსებულ ტრადიციებზე, რომლის გამოყენება შემჩნეულია აგრეთვე სხვა ნივთების დამზადებისას. ინფორმაციის სისრულისათვის აქვე ქვეყნდება ამ გორასამარხში აღმოჩენილი მასალის საველე აღწერილობა და სრული სია:

ბედენი 1966. გორასამარხი 5

1. ჯამი თიხის, სქელკედლიანი, შავად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული, ჯამი ღრმა არის არამკვეთრად გამოყვანილი ვიწრო ძირით. სწორპირიანი. შემდგარია სამ მუხლოვან ფეხზე. ჯამი შემკულია ორნამენტული სარტყელით, რომელზედაც ერთმანეთს ენაცვლება მსუბუქად ჩაწნეული დაშტრიხული რომბებისა და შვეული ხაზების ბუდეები. ჯამის ერთ მხარეს გამოყვანილია შვერილი — სახელურის ორი წვრილი ნახვრეტით.

სიმაღლე — 10 სმ, პირის სიგანე — 17,5 სმ, ძირის სიგანე — 5,5 სმ, კედლის სისქე — 5 მმ.

2. სასმისი ჭოთანი თიხის, შავად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული. ბიკონუსური. სასმისს სპილენძის საარაყე ქვაბის ფორმა აქვს; დაბალყელიანი. პირგადაშლილი. ყელიდან ირიბად დაქანებული ტანი ძირისაკენ ფართოვ-

დება და მკვეთრად იხრება. იგი მთავრდება პატარა ბრტყელი ვიწრო ძირით. სასმისის ერთ მხარეს მიძერწილია სახელურა, რომელიც შუაში ამოტეხილია.

სიმაღლე — 12 სმ, პირის სიგანე — 10,2 სმ, ძირის სიგანე — 5 სმ.

3. სასმისი ქოთანი ზემოთ აღწერილი ჭურჭლის ფორმისაა. განსხვავება მხოლოდ ზომაშია. სახელურა ამ სასმისისა მთელია. სახელურის მოპირდაპირე მხარეს ჰქონია თითით ან მრგვალი ხელსაწყოთი შეზნექილი ფოსო, რომლის კვალი ჭურჭელს შიგნიდან ეტყობა.

სიმაღლე — 11 სმ, პირის სიგანე — 10 სმ, ძირის სიგანე — 5,5 სმ.

4. სასმისი ქოთანი — თითქმის ისეთივე, როგორიც ზემოთ აღწერილი ორი ჭურჭელი. განსხვავებაა ზომაში და აგრეთვე იმაში, რომ წიბო, რომელიც ჭურჭლის მუცელს ქმნის ისე მკვეთრად არ არის გამოყვანილი, როგორც წინა ჭურჭელში. სახელურის გასწვრივ, მეორე მხარეს სასმისის კედელზე დატანებულია პატარა ფოსო.

სიმაღლე — 12 სმ, პირის სიგანე — 10,3 სმ, ძირის სიგანე — 5,5 სმ.

5. სასმისი ქოთანი — მსგავსი წინ აღწერილი ჭურჭლისა. სახელურის მხარე აკლია.

სიმაღლე — 11,6 სმ, პირის სიგანე — 11 სმ, ძირის სიგანე — 5 სმ.

6. სასმისი ქოთანი — მსგავსი წინ აღწერილი სასმისი ქოთნებისა. სახელურის შუა ნაწილი ამოტეხილია და თან ახლავს.

სიმაღლე — 11 სმ, პირის სიგანე — 10,6 სმ, ძირის სიგანე — 5,4 სმ.

7. სასმისი ქოთანი — მსგავსი წინ აღწერილი სასმისი ქოთნებისა. აღდგენილია სასმისის ზედა ნაწილი ერთ მხარეს სახელურით, და მეორე მხარეს ფოსოთი.

სიმაღლე — 10 სმ, პირის სიგანე — 9,5 სმ.

8. სასმისი არსებითად იგივე, მხოლოდ პატარა ზომის შიგნით შეზნექილი მეტად ვიწრო ფსკერი და სახელურის ზედა ძირი რქისებრ რელიეფური რკალით ებჯინება ჭურჭელს.

სიმაღლე — 8 სმ, პირის სიგანე — 7,5 სმ, ძირის სიგანე — 3,5 სმ.

9. სასმისი კიდევ უფრო პატარა, ვიდრე წინ აღწერილი. სახელურს და შეზნექილ ფოსოს შორის ჩადგმული აქვს კონუსური მილისებრი სადინარი.

პირის სიგანე — 6,5 სმ.

10. სასმისი — ქოთნის ნაწილი, რომელზედაც შერჩენილი აქვს სახელური და ფოსო (2 ნატ.).

11. სასმისი — ქოთნის ნატეხები. ნაწილი შეკოწიწებულია. ჭურჭელი შავად არის გამომწვარი. ზედაპირი სარკისებურად აქვს გაპრიალებული (3 ნატ.).

12. სასმისი — ქოთნის ნატეხები, ნაწილი შეკოწიწებულია (3 ნატ.).

13. სასმისი — ქოთნის ფრაგმენტები სარკისებურად გაპრიალებული ზედაპირით და მორუხო-მოშავო სარჩულით. ფრაგმენტზე შემორჩენილია ფოსო.

14. სასმისი შავად გამომწვარი, ნაპრიალები კერამიკისა. ახასიათებს თეფშისებურ ძირზე მდგარი, ზემოთ ოდნავ შევიწროებული ცილინდრული ტანი. გადაშლილი პირი. მუცელზე აზის წელში გამოყვანილი სახელურა.

სიმაღლე — 10 სმ, პირის სიგანე — 10 სმ, ძირის სიგანე — 5 სმ.

15. სასმისი ისეთივე, როგორც წინა აღწერილი, ძირნაკლული. პირის დმ. — 10 სმ.

16. სასმისი წინ აღწერილი ორი სასმისის მსგავსი. განსხვავება ზომაშია. აღნიშნული სასმისის მთელი ტანი ყურებამდე უკავია რთულ ორნამენტს, რომელშიაც შედის ჩაზნექა-ამოზნექის, ჭრილისა და ჩხვლეტის წესით დატანილი სახეები: ცხრა-ცხრა მსუბუქი და ფართო ღარისაგან შედგენილი. ოთხჯერ განმეორებული ორნამენტული ჯგუფი მთელ ცილინდრს (სახელურის გამოკლებით) ჰყოფს სამ ვერტიკალურ ზოლად, რომლებსაც თავის მხრივ ჩაჩხვლეტილი წერტილების მწკრივი თიშავს ორ —ზედა და ქვედა ფრიზად. ზედა ფრიზი წარმოადგენს ისეთივე მსუბუქი, ოღონდ ჰორიზონტალური ღარების ჯგუფს, ხოლო ქვედა ფრიზზე ბასრპირიანი ხელსაწყოთი ამოკვეთილია წვერით ძირს დაშვებული, დაშტრიხულ და დაუშტრიხავ პატარა სამკუთხედებად და რომბებად დანაწევრებული თითო დიდი სამკუთხედი.

სიმაღლე — 7,3 სმ, პირის სიგანე 8 სმ, ძირის სიგანე — 3,5 სმ.

17. სასმისი შავად გამომწვარი ნაპრიალები თიხისა. ბრტყელძირიანი სფეროსებრი მუცლით. ფართო ქირჭლით გამოხატული მუხლის მეშვეობით გადადის სამკუთხედისებურ განივკვეთიან, ოდნავ შესამჩნევად გაშლილ პირში. მუცელს აზის წელში გამოყვანილი ცალი ყური.

სიმაღლე —8,5 სმ, პირის სიგანე — 11,5 სმ, ძირის სიგანე — 5,5 სმ.

18. სასმისი წინ აღწერილი სასმისის ტიპის, მხოლოდ დაბალი ჯამისებური და ნაკლული.

სიმაღლე b, 5 სმ, პირის სიგანე — 12 სმ.

19. სასმისი (მარანი) თიხისა, რომელიც განლექილია. გასამჭლეველებლად ურევია ძლიერ წვრილად დაფხვნილი თეთრი სილა. კეცი გამომწვარია მთელს სისქეზე ნაცრისფრად, მხოლოდ ორივე მხრიდან შებოლილია. შავად ნაპრიალებია დიდის მონდომებით, რის გამოც ლითონური ელვარება აქვს. სასმისის შემადგენელი ორივე ჭურჭელი სავსებით ერთნაირია და თითოეული წარმოადგენს პირგადაშლილ, ცილინრდულყელიან, სფეროიდალურ ტანიან და ბრტყელძირიან კოჭობს, რომლის მხრებსაც შემოუყვება კოპების წყვილი სარტყელი. კოჭბები ერთმანეთთან შერწმულია მიმდგომი გვერდებიდან გამომავალი მოკლე ჯიბით, რომელიც ქმნის მარნის ვიწრო წელს და რომელშიაც გადის წვრილი ნახვრეტი, აგრეთვე მუცლებზე გამობმული ჰორიზონტალური სახელურები. ერთი კოჭობის სიმაღლე — 10 სმ, პირის დიამეტრი — 8 სმ, ყელის დმ. — 6,8 სმ (ზემო ნაწილში), მუცლის დ. — 10 სმ, ფსკერის დ. — 5,1 სმ. მეორე კოჭობის სიმაღლე — 10,5 სმ, პირის დიამეტრი — 8,2 სმ, ყელის დ. — 7 სმ (ზემო ნაწილში), მუცლის დ. 10,2 სმ, ფსკერის დ. — 5,2 სმ.

20. კოჭობი ბრტყელი. ოდნავ გამობურცული, ვიწრო ფსკერზე ამოზრდილი ბირთვისებრი ტანი, რომელიც თითქმის სწორი მომრგვალებული მხრით უერთდება ზემოთ მცირედ შევიწროვებულ ცილინდრულ ყელს, დამთავრებულს გადაშლილი პირით. წელში გამოყვანილი სახელურები აკავშირებს უმეტესად ყელის შუა ნაწილს მხართან. სახელურის ნაწილი მოტეხილია და თან ახლავს.

სიმაღლე — 11 სმ, პირის დ. — 8,5 სმ, ძირის დ. — 5 სმ.

21. კოჭობი წინ აღწერილი ჭურჭლის ფორმის. კოჭობის მხარი შემკულია ფართო პირიანი ხელსაწყოთი, ჩაზნექილი სამი ღარი.

სიმაღლე — 12 სმ, პირის დ. — 19 სმ, ძირის დ. — 5 სმ.

22. კოჭობი ისეთივე ფორმის, როგორც ზემოთ აღწერილი კოჭებები. მხარი შემკულია სამი ღარით. გვერდგამოტეხილი.

სიმაღლე — 12 სმ, პირის დ. — 8,6 სმ, ძირის დ. 4,8 სმ.

23. კოჭობი მსგავსი ზემოთ აღწერილი კოჭობებისა. მხარ და ძირნაკლული. მხარზე დაუყვებოდა კოხტად გამოყვანილი წიბო.

პირის დ. — 9,2 სმ.

24. კოჭობი მსგავსი ზემოთ აღწერილი კოჭებებისა, კოჭობის მხარი შემკულია სამი ღარით. გვერდნაკლული. შედარებით დიდი ზომის.

სიმაღლე — 14 სმ, პირის დმ. — 9,5 სმ, ძირის დმ. — 6 სმ.

25. კოჭობი მსგავსი ზემოთ აღწერილი კოჭებებისა. მხარზე დაუყვება ორი რელიეფური ზოლი, რომელთა შორის ჩამჯდარია „მარგალიტის ორნამენტი“ (კოპებით შემდგარი მწკრივი). ძირნაკლული.

სიმაღლე— 11 სმ, პირის დ. — 9,5 სმ.

26. კოჭობი შედარებით პატარა, მხარზე დაუყვება ორი სარტყელი კოპებისა ანუ „მარგალიტის ორნამენტი“. სიმაღლე — 10 სმ, პირის დ. — 8,2 სმ, ძირის დ. — 5 სმ.

27. კოჭების ყელის ფრაგმენტი.

28. სასმისების (2 სასმისის) ფრაგმენტები, სახელურისა და ყელის ნაწილები გამომწვარი ნაცრისფრად, შემდეგ შებოლილი ორივე მხრიდან და გულმოდგინედ გაპრიალებული.

29. სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები. აქვეა წელში გამოყვანილი სახელურის ფრაგმენტი და აგრეთვე სასმისის ყელპირისა და ტანის ნაწილები.

30. სასმისებისა და კოჭების ფრაგმენტები ისეთივე თიხისა, როგორც ზემოთ აღწერილი ჭურჭლები, აქ არის ყელ-პირისა და სახელურის ნაწილები.

31. სასმისების ფრაგმენტები ისეთივე თიხისა. აქვეა სახელურის ფრაგმენტები. ერთი მთელი სახელურია. ნაწილი ფრაგმენტებისა შეკოწიწებულია.

32. კოჭების ფრაგმენტები. ნაწილი შეკოწიწებულია. აღდგენილი ფრაგმენტები ქმნიან ყელ-მხარის ნაწილებს. მხრები შემკული ყოფილა განივი ღარებით, რომელთა შორის მოთავსებულია მოკლე რელიეფური ზოლები, ღარების პერპენდიკულარულად.

33. კოჭების ფრაგმენტები, აღდგენილია ცილინდრული ყელის ნაწილი და მხარი. მხარი შემკული ყოფილა ფართოპირიანი ხელსაწყოთი ჩაზნექილი სამი ღარით.

34. ჯამის ნატეხები ხისა, რომელიც გადაფარებული ჰქონდა ერთ-ერთ თიხის ჭურჭელს.

35. ქოთანი ნაცრისფრად გამომწვარი, ორივე მხრივ შავად შებოლილი და ზედაპირგაპრიალებული თიხისა. ქოთანს აქვს ბირთვისებრი ტანი, რომელიც თითქმის სწორი მომრგვალებული მხრით უერთდება ზემოთ მცირედ შევიწროვებულ ცილინდრულ ყელს, დამთავრებულს გადაშლილი პირით.

36. ქოთნის ყელ-მხარისა და სახელურის ფრაგმენტები, თიხისა.

37. ქოთნის ფრაგმენტები. ნაწილი აღდგენილია, საიდანაც ჩანს, რომ ქოთნის მხარი შემკული ყოფილა კოპებისაგან შექმნილი ერთი წრითა და წრის ქვემოთ ასევე კოპებისაგან შექმნილი ოთხი „მედალიონით“, რომლებიც ჩანს სიმეტრიულად ყოფილა გაწყობილი ქოთნის ტანზე.

38. ჭოთნის ნაწილები. შეკოწიწებული. მუცლისა და ყელის ნაწილი, აგრეთვე პატარა ნატეხი ძირისა, როგორც ჩანს ისეთივე ფორმისაა, როგორც წინა აღწერილი ჭოთნები. ჭოთნის მხარი მუცლისაგან გამოყოფილია კოხტად გამოყვანილი მკვეთრი წიბოთი. მხარი შემკულია კოპების სარტყელით. ასეთივე სარტყელი გასდევს ჭოთანს ქვემოთ მუცლისაკენ.

39. დერგის ნატეხები. ნაწილი შეკოწიწებულია. შავპრიალა ზედაპირიანი და ვარდისფერსარჩულიანი. სქელკედლიანი. ყელთან დერგი შემკული ყოფილა სიგრძივი 4,5 სმ სიგრძის ღარებით. ძირის დ. — 7 სმ.

40 დერგი შავპრიალა ზედაპირიანი. მორუხო-მოვარდისფრო სარჩულიანი; ოდნავ შეზნექილი ვიწრო ძირი, თითქმის ბირთვისებრი ტანი. ზედ მხრებზე გამობმული წყვილი სახელურის, დაბალცილინდრული ყელი და გადმოშლილი პირი. სახელურთა ზედა ბოლოების გასწვრივ დერგის მხრებს სარტყელივით შემოუყვება მრგვალპირიანი ხელსაწყოთი დაკეჭნილი წყვილი რელიეფი, რომლის ორნამენტი შეიძლება იყოს გრეხილის. ან „მარგალიტთა“ ასხმულას მინაბაძი. შიდაპირზე შემორჩენილია თითქოს წიწვიანი ხის ნაფოტით გალესვის დროს დარჩენილი ჯორიზონტალური ფხაჭები, რომლებიც ერთი შეხედვით ჩარხისეულ ზოლებს მოგვაგონებს. სიმაღლე — 50,5 სმ, პირის დ. — 23,5 სმ, მუცლის დ. — 48,5, ძირის დ. — 15 სმ, კეცის სისქე ტანთან — 0,9 სმ, ყელთან — 1,6 სმ.

41. დერგი, რომელიც ნაწილობრივ არის აღდგენილი, რუხსარჩულიანი, შავპრიალა ზედაპირიანი. აღდგენილი ნაწილების მიხედვით იგი გრაფიკულად გამოხაზულია და მოგვაგონებს ზემოთ აღწერილ დერგს. განსხვავება შემდეგშია: ძირი უფრო ბრტყელია, ყელი თითქმის არ ემჩნევა. მხრები საკმაოდ მდორედ გადადის ზომიერად გადმოზნექილ პირში. შემკულობა რელიეფურია. სახელურების ზედა ფუძიდან დაბლა ეშვება ორი რკალი. მხრებზე ოთხ ადგილას გამოსახული უნდა ყოფილიყო თითო სამთითა, რომლის შუა თითებს აქეთ-იქით დასმულია თითო კოპი. სიმაღლე — 63,8 სმ, უდ. დ. — 59 სმ. ძირის დ. — 14 სმ, ყელის დ. — 23 სმ, პირის დ. — 25 სმ, კეცის სისქე — გვერდებზე — 0,9 სმ, ძირთან — 2 სმ, პირთან — 1,4 სმ.

42. მიწა, შესაძლებელია ღომის მარცვლებით.

43. მიწა, რომელშიც პასტის იოტებია.

44. მიწა წნელის ფრაგმენტებით. მასთან იდო ხის ჯამი.

45. ბრტყელი ცულის ჟანგი და კიდევ სხვა ჟანგები.

46. ძვლები აღმოჩენილი ყორღანში.

47. ჭოთანი, მინიატურული, შავი სარკისებურად გაპრიალებული ზედაპირით. ახასიათებს მცირე ზომა, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, ბირთვისებრი ტანი და ოდნავ შეზნექილი ძირი, სწორ სიბრტყეზე ყურისაკენ დახრილად დგება, რადგან ამ მიმართულებით ძირის ხაზი აწეულია მოპირდაპირე მხარესთან შედარებით უფრო მაღლა. შემკულია არამტკიცე ხელით გავლებული წვრილი ღარებისა და სავარცხლის კბილის ანაბეჭდისაგან შედგენილი ჰორიზონტალური ლენტით, რომელიც ჭურჭლის მხრებიდან ძირამდე მეორდება ოთხჯერ. სიმაღლე — 5 სმ, პირის დ. — 5 სმ.

48. ჭინძისთავი ოქროსი. თავი მოგვაგონებს ტალზე ჩამოსაკრავ კვესს, რომელიც ორი ვოლუტით მთავრდება. ღერო მრგვალგანივკვეთიანია და შემსხვილებულ ძირთან გარდიგარდმო გახვრეტილი (ძაფის გასაყრელად). თავი

შემკობილია რელიეფურად გამოყვანილი რთული სახეებით: ცალ ბრტყელ გვერდზე ნაპირის ირგვლივ შემოუყვება ორმაგი გრეხილი. აღნიშნული ორნამენტის შემოზღუდული არე მთლიანად უკავია მეანდრისებურ სახეებს. განათებასთან დაკავშირებით მეანდრები სახეს იცვლიან დაშტრიხულ რომბებად, სამკუთხედებად და სხვ. მეორე გვერდს ნაპირებზეც და შუაშიც შემოსდევს წყვილ-წყვილი გრეხილი; რომელთა შორის მოქცეული არეები უკავია ორ რიგად განლაგებულ პაწია წრეებს. სიგრძე — 79 მმ, თავის სიგანე — 28 სმ, ორნამენტიანი ბოლოს სიგანე — 12 მმ, ღეროს სიმსხო ნახვრეტთან — 4 მმ, ღეროს სიგრძე — 67 მმ.

49. ქინძისთავი სპილენძის, დისკოსებური, უფრო სწორად, ოვალური თავის. ყუნწში ბრტყელი, და არა მრგვალი, როგორც ამ ტიპის სხვა კავკასიურ ქინძისთავებს აქვთ ხოლმე. ნაპირები ზედა ნაწილს ადგილ-ადგილ შეჭმული აქვს ჟანგისაგან. ყუნწს ქვედა ნაწილი აკლია. ემჩნევა რომ ცივად ნაჭედია და არა ჩამოსხმული.

თავის დ. — 79—91 მმ, სისქე — 1 მმ, ყუნწის სიგრძე — 85 მმ.

50. ქინძისთავი სპილენძის ისეთივე, როგორც ზემოთ აღწერილი. უფრო პატარა და მეტად დაზიანებული.

51. სატეხი ანუ ჩულუხი სპილენძის. მის მომრგვალებულ და ძალიან ბასრ პირსა ქმნის მასიური ღეროს ქვემო მეასედ ნაწილზე დამყოლი და თანდათანობით დაღრმავებული ღარი. ღეროს დიდი ნაწილი რვაწახნაგაა, დაახლოებით 3 სმ. ზემო ნაწილი კი ოთხწახნაგა. თავი დაჟეჟილია. სატეხი ჩამოსხმულია როგორც ოთხწახნაგა ღერო. შემდგომ მისი წიბოების დაკვერვის გზით მიცემული აქვს რვაწახნაგა მოყვანილობა: თავის ნაკვერი ნაპირები გამორიცხავს ხის ტაძარში მისი ჩამაგრების შესაძლებლობას. ჩანს, რომ მუშაობის დროს ხელკვერას სცემდნენ უშუალოდ სატეხის სპილენძის თავს. სიგრძე — 22 სმ, პირის სიგანე — 11 მმ.

52. ბრტყელი ცული — სპილენძის. უსწორო ტრაპეციის მოყვანილობისა. ცალ მხარეზე უფრო ფართო, ვინემ მეორეზე. ორივე ბოლო მომრგვალებული და ბასრი აქვს. ჩანს, რომ იარაღი იხმარებოდა არა როგორც ცული, არამედ როგორც დანა (ტყავის საჭრელად, ხეზე ორნამენტის დასატანად). სიგრძე — 101 მმ, ვიწრო თავის სიგანე — 21 მმ, ფართო თავის სიგანე — 41 მმ, სისქე —3,5 მმ.

53. ისრის წვერები ობსიდიანის. ნაწილი მთელია, უმეტესობა დამტვრეულია. ერთი ტიპისაა. განსხვავება მხოლოდ ზომაშია. ყველა ეკუთვნის ჭუსლამოკვეთილთა ტიპს. ამოკვეთის გარდიგარდმო ხაზის მიმართ ხიწვები ოდნავ ბლაგვ კუთხეებს ქმნის. ყველა მათგანი ზოგადად თანასწორფერდობიანი სამკუთხედის მოყვანილობისაა. მაგრამ წესიერი სამკუთხედისაგან განასხვავებს ოდნავ მორკალული ფხების გარემოხაზულობა. დამუშავებულია წნევითი რეტუშით. უდ. სიმაღლე — 6 სმ, უდ. სისქე — 3 მმ.

54. მილები ვერცხლის. დამზადებულია 1 მმ-ზე უფრო თხელი ლითონის ფურცლისაგან. მილებს (გარდა ერთისა) როკისებრი ორი ან სამი გამონაზნექი აქვს. მილები წამოცმულია ასევე როკიან ჯოხებზე. ერთ-ერთ ჯოხში ჩარჭობილია ვერცხლის ბზრიალასებრი „ფეხი“, რომლის მეორე წვრილი ბოლოც ალბათ ხეში ჩასარჭობად იყო განკუთვნილი.

55. ქანდაკებები ცხოველის სქემატური გამოსახულებებისა. ტანი ფრინველს მიუგავს, თავი ცხოველისა აქვთ. თავი და მკერდი კარგადაა შენახული, ბოლო ყველას დაზიანებული და ნაკლული აქვს. მასალა გაურკვეველია. ჩანს რომ ქანდაკების შიგნით რომელიღაც ნივთიერების სამკუთხედი ფირფიტა ძევს.

56. ვერცხლის ნივთების ფრაგმენტები: წვრილი მავთულის პატარა ცალთავმოტეხილი გახსნილი რგოლი; ლილვიანი გასაკრავის ნატეხი და ნატეხი ოდნავ გაჭყლეტილი ორმაგკედლებიანი, ვიწროპირიანი, მხრებდაშვებული სურისა თუ სხვა დანიშნულების ნივთისა.

57. მძივები. ერთი მათგანი მოზრდილია და დამზადებულია სარდისაგან (დმ. 16—17 მმ), ორი დანარჩენი კი სარდიონისა (დმ. — 6 მმ), სამივე გახვრეტილია ორი მხრიდან კონუსური იარაღით და გაპრიალებულია ფაქიზად.

58. ღილები რქისაგან გამოთლილი და საკმაოდ გაპრიალებული, დაბალკონუსური. თითოეულ მათგანს „ამოცხვირვის“ წესით გაკეთებული ძაფის გასაყრელი ნახვრეტი აქვს.

59. იოტები მოთეთრო — მონაცრისფრო პასტისა. წვრილი რგოლისებრი. უმეტესობა დაიშალა.

60. ნატეხები თიხის ჭურჭლისა, წითლად გამომწვარი (10 ნატ.) ზედაპირული მასალა.

61. ნატეხი თიხის ჭურჭლისა ლეგად გამომწვარი ჩალისფერი სარჩულით (1 ნატ.) მასალა.

62. ნატეხები — ობსიდიანის (4 ნატ.) მასალა.

63. ნატეხები ძვლის მასალა.

64. სალესი ქვა, ჭურჭლის ნატეხები, ბათქაშის ნატეხები; ობსიდიანის ნატეხები, გახვრეტილი ქვა.

გადახრილი გორის ჩრდილოეთ მხარეს 1966—1967 წწ. გაითხარა მცირე ქვაყრილი (ტაბ. XL—2,3). იქ აღმოჩენილია თიხის ორ ჭურჭლის ნატეხი



სურ. 33. გორასამარხი 5. გორასამარხთან გათხრილ ქვაყრილში აღმოჩენილი კერამიკა

(სურ. 33). ორივე ჭურჭელი ეხმაურება თრიალეთის ადრეული ჯგუფის გორასამარხების მასალას და იმავე დროით თარიღდება.

მე-6 გორასამარხი 1966 წელს მთლიანად ხელით გაითხარა. მას მიწა და ქვაყრილი ეყარა (ტაბ. XL—4—6) სიმაღლე 1,50 მ უდრიდა, ხოლო ფუძის დიამეტრი—18,00 მ. მის ზედა ფენაში აღმოჩნდა ფეოდალური დროის თიხის ჭურლის ნატეხები. ყრილქვეშ შავ ჰუმუსიან ნიადაგსა და მის ქვემოთ მდებარე ნარინჯისფერ თიხნარში ამოჭრილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი, გეგმაში თითქმის სწორკუთხედი მოყვანილობის ორმო. (ტაბ. XI—7—9). მისი სიგრძეა 2 50 მ, სიგანე—1,5 მ. ორმოში არც ადამიანის ჩონჩხის რაიმე ნაშთი და არც სხვა რამ არქეოლოგიური ნივთი არ აღმოჩენილა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამარხი გაძარცულია ფეოდალურ შუასაუკუნეებში. არც ის არის გამორიცხული, რომ ის ყოფილიყო დროებითი განსასვენებელი მიცვალებულისა, რომლის გვამი, უფრო გვიან, გადაასვენეს „გადაჭრილ გორაში“ (გორასამარხი 5).

მ ე ე ქ ვ ს ე გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ შ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ა:

1. ცხოველის კბილის ნატეხები,
2. ადამიანის ლულოვანი ძვალი,
3. ნატეხები თიხის ჭურჭლისა შავ-ლეგად გამომწვარი,
4. თავის ქალას ნატეხები.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი 7 (ტაბ. XII — 1, 2). აღმართული იყო „გადაჭრილი გორის“ სამხრეთ-სამხრეთ-დასავლეთით, მისგან 1,50 კმ მოშორებით, ამ მიდამოებში ერთადერთი ტბის მაღალ სამხრეთ ნაპირზე, რომელიც შედგენილია ანდეზიტ-ბაზალტებისაგან. აქა-იქ გაველებულ კლდოვან ქანზე აზიდული ქვებისა და მიწაყრილის ფუძის დიამეტრი 25,00 მეტრი იყო, სიმაღლე კი თითქმის ზუსტად 2,00 მეტრი. ყრილქვეშ აღმოჩენილი არ ყოფილა არც ორმო და არც სხვა ტიპის სამარხეული ნაგებობა, მაგრამ ასეთი რამ რომ დედამიწის ზედაპირზე ყრილის ცენტრში თავის დროზე უნდა ყოფილიყო, უეჭველად მიუთითებს სწორედ ამ ადგილას შენიშნული ადამიანის ჩონჩხის ნაშთი. ამ უკანასკნელთან არავითარი ინვენტარი არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის სამხრეთ-დასავლეთით 3,00 მმ მანძილზე ნაპოვნ ნატეხს თიხის რომელიღაც მოზრდილი ჭურჭლისა, რომელსაც ჰქონია სქელი კეცი, სუსტად გაპრიალებული შავი ზედაპირი და მორუხო-მოვარდისფრო სარჩული ან შიდაპირი. ეს ნატეხი უტყვი არის ჭურჭლის ფორმასა და ტიპზე წარმოდგენის შესაქმნელად, მაგრამ ფაქტიურის მიხედვით, ის საკმაოდ ახლოს დგას ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მასალებთან. აღმოჩენის ადგილი, სამწუხაროდ, არაფერს არ გვეუბნება ამ ნატეხის აქ მოხვედრის პირობებზე — არის ის სამარხეული ინვენტარის ნაშთი, დაკრძალვის წესის შესრულებისას გატეხილი ჭურჭლის ნაწილი, თუ ის მოჰყვა აქ დაზვინულ, ძველი სამოსახლოდან ახვეტილ მიწას.

ამგვარად, აღწერილი გორასამარხი შეიძლება მივაკუთვნოთ იმ ძეგლების სიას, რომლებიც ბოლომდე არ არიან შეცნობილი; არ ვიცით არც დაკრძალვის წესის მთავარი ელემენტები, როგორიცაა, მაგალითად, მიცვალებულის დამხრობა, მდებარეობა და სხვ.; არ ვიცით არც დასაკრძალავი ნაგებობის

ზედაპირზე აგებული ხის აკლდამა, რომელსაც შეიძლებოდა ვერ გაეძლო და უკვალოდ გამქრალიყო ყრილქვეშ, და ბოლოს, არ ვიცით არც აღნიშნული ძეგლის აგების ზუსტი დრო, თუმცა გარკვეული უფლება გვაქვს ამ მხრით ის დავუახლოვოთ ბედენის კარგად დათარიღებულ გორასამარხთა ჯგუფს.

ამგვარ ვარაუდს, ჩვენი აზრით, არ უარყოფს თიხის ჭურჭლის ახლახან აღწერილი ნაშთი.

აღნიშნულ გორასამარხთან გაითხარა კიდევ ერთი მცირე ქვაყრილი დმ. 5,00 მ, რომელშიც არაფერი არ აღმოჩენილა.

გორასამარხი № 8 (ტ. XLI—3,5—8, ტ. XLIII ტ. XLIII, 1,2)

(სიმაღლე — 2,00 მ, ფუძის დიამეტრი — 30,00 მ) დაუზვინავთ ჩავარდნილ ადგილზე, ზედ ჭაობის პირთან. მისი ჩაწეული შუა ნაწილის ქვეშ თიხნარ ნიადაგში, რომლის ქვეშაც ძევს კლდოვანი ძირითადი ქანი, აღმოჩენილია ოვალურ ორმოში (სიღრმე — 1,00 მ, დიამეტრები—3,50 და 3,00 მ) ამოშენებული ხის „საკრძალავი სახლის“ აკლდამის ნაშთი, შვეულად მდგარი მუხის სვეტთა ნარჩენების სახით (ტაბ. XII—7). რადგან ორმოს ძირი კლდის უსწორმასწორო ზედაპირზე დგას ამიტომ ის მოუსწორებიათ მორუხო-მოცისფრო პლასტიკური თიხით, რომელზედაც გადაუფენიათ ცაცხვისა თუ თელის ქურქის ჭილობის ფარდაგი (ტ. XII—8). ამ საფენმა უზადოდ მოაღწია გათხრის დრომდე და მისი მოზრდილი ნაჭერი ჩამოტანილია ლაბორატორიულად შესასწავლად და ექსპოზიციისათვის. ჭილობის ნაჭრები აღმოჩენილია შედარებით უფრო მაღალ დონეებზეც, ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ჭილობი გამოყენებული უნდა ყოფილიყო აკლდამის სახურავის, ან, ეგებ, კედლების მოსაფარდაგებლადაც. ორმოს კედლების მოსაპირკეთებელი მუხის სვეტებიდან მოაღწია მხოლოდ ძირა ნაწილებმა 0,35—0,75 მ სიმაღლეზე. მათი ზედა, წვრილი ბოლოები ადვილად დაშლილია მიწისა და ქვის ნარევის ყრილში, რომელშიც გაცილებით უფრო აქტიური უნდა ყოფილიყო ჰაერის და ნესტის მოქმედება, ვიდრე ორმოს ძირზე.

ჭილობდაფენილ იატაკზე იყო ბრინჯაოს ხანის ქვემო ქართლისათვის დამახასიათებელი სამარხეული ინვენტარის ნაშთები. ესაა შავპრიალა კერამიკის ნატეხები, ოქროს სამი ფუყე მძივი, ხის (ლამბაქი და ოთხთვლიანი მძიმე საზიდრის ეტლის, ურმის) ნაწილები — თვლები [22], ღერძები და, ალბათ, უბის ზოგიერთი მხატვრულად დამუშავებული დეტალი. ურმის ნაწილებიდან შედარებით კარგადაა დაცული ორივე უკანა თვალი და ღერძი. წინა თვლებისა და ღერძისაგან მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთებიღა დარჩენილა. უბეს შეიძლება მივაწეროთ რამდენიმე გახვრეტილი ჯოხი და ერთი მხატვრულად გამოთლილი ნივთი. ხელნა, უღელი ან სხვა ნაწილები, თუ ისინი ოდესმე მაინც ეწყო აკლდამაში, არ შენახულა.

---

[22] ერთ-ერთ თვალს მეოთხე სეგმენტიც უჩანს, მაგრამ წინასწარი დაკვირვება მოწმობს, რომ მესამე სეგმენტი კეთების დროს გახეთქილა და ამიტომ ერთი და იგივე სეგმენტის ორი ნაწილი სოგმანებით შეუერთებიათ (სურ. 34—1).



სურ. 34. გორასამარხები 5, 8. გორასამარხების ეტლების რეკონსტრუქციის ცდა

უკანა თვლების დიამეტრი 1,40 მ სჭარბობს (ტაბ. XLII — 5, 6). ისინი გაცილებით უფრო დიდებია, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი რომელიმე სხვა არქეოლოგიური ურმის თვალი, გარდა ბედენის „გადაჭრილ გორაში“ აღმოჩენილი ურმის ბორბლებისა, რომელთა დიამეტრი 1,60 მ აღწევდა. ყოველი თვალი შედგენილია ფარული სოგმანებით (სოლებით) ერთმანეთთან დაკავშირებული სამი სეგმენტისაგან, რომელთაგან შუალას აქვს აქეთ-იქით გაშვერილი მძლავრი მორგვი, 11,0 სანტიმეტრიანი მრგვალი ნახვრეტითურთ, ღერძის გასაყრელად. ღერძის საერთო სიგრძე 2,10 მ ჭარბობს, რომლიდანაც მორგვებს შორის მოქცეულ მის ოთხწახნაგა შუა ნაწილზე მოდის 1,30 მ. ღერძზე ამოხვრეტილი ორი წყვილი ფოსო მოწმობს, რომ უბე უძრავად დამაგრებული უნდა ყოფილიყო მასზე (სურ. 35-3). თუ წინა ღერძსაც ასეთივე ოთხწახნაგა ფოსოები ჰქონდა, მაშინ ურემი ძნელად მოსახმარი უნდა ყოფილიყო დაკეცილ გზებზე ტარებისას. მართალია, წინა ღერძის ცუდი დაცულობის გამო ამ საკითხზე მართებული დასკვნის გამოტანა გაძნელებულია, მაგრამ თვით თვლების ნაპირების საკმაო სიბასრე და მორგვის ნახვრეტთა კედლების გაუცვეთლობა გვიკარნახებს, რომ აღწერილ ურემს მოსახლეობა ტრანსპორტად არ ხმარობდა. ისევე, როგორც ო. ჯაფარიძის აღწერილი საზიდრები [43, გვ. 40—42], ესეც დამზადებული უნდა ყოფილიყო საგანგებოდ მიცვალებულისათვის გასატანებლად. მაგრამ თრიალეთისა და ბედენის გორასამარხებში საზიდრების აღმოჩენის ეს მეოთხე შემთხვევა უეჭველად მიუთითებს, რომ აქაური საზოგადოება სარგებლობდა მაშინდელი მეურნეობისა და გზების შესაბამისად მოწყობილი ბორბლიანი ტრანსპორტის ამ სახეობით. ორღერძიანი საზიდრის ზემოხსენებული ტიპი, რომლის თვალთა სეგმენტები დაკავშირებულია სოგმანებით, ანდა, ზოგჯერ, გარედან დაკრული კადონებით — ნარანტით ფართოდ იყო ხმარებაში ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში და



სურ. 35. მე-5 და მე-8 გორსამარხების ეტლების ნაშთების ზოგიერთი დეტალი

ამიერკავკასიის კულტურებში, ყოველ შემთხვევაში, ბრინჯაოს ხანის მთელ სიგრძეზე. ბედენურის მსგავსი ურმის თვლები აღმოჩენილია კიდევ უფრო ჩრდილოეთის გორასამარხებშიც [119, გვ. 147—159; 66, I, გვ. 246], თითქმის ასეთივე, ოღონდ უმორგვო ბორბლები წარმოდგება ჩრდილო იტალიის ტერამარებიდან და, აგრეთვე, ნაპოვნია ჩრდილო ევროპის ჭაობიან ადგილებში [74, გვ. 304]. ამათ ძალიან ჰგავს საქართველოს უახლოეს ეთნოგრაფიულ ყოფაში, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთში შენახული მძიმე ურმის თვლები.

სამსეგმენტიანი ურმის თვლების ქრონოლოგიური გავრცელების ასეთი ფართო დიაპაზონი ნებას არ იძლევა, რომ მათ გადამწყვეტი როლი მივაკუთვნოთ ბედენის მე-8 გორასამარხის ხნოვანების განსაზღვრისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ასეთივე თვლები აღმოჩენილია ბედენშივე მე-5 გორასამარხში, რომელსაც საიმედოდ ათარიღებს ძველი ბრინჯაოს ხანის დასასრულით თანმხლები სპილენძის სატეხი, „ბრტყელი ცული“ და შავპრიალა კერამიკა, უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ზემოთ აღნიშნული თიხის ჭურჭლის ნატეხებს, რომლებიც, როგორც აღმოჩენის პირობები მოწმობს, თავდაპირველად აკლდამის თავზე უნდა ყოფილიყო გაფანტული, ხოლო სახურავის ჩანგრევის შემდეგ მოხვედრილია თვით სამარხში [66, გვ. 182]. უმრავლესობა ნაცრისფერსარჩულიანი ნატეხებია, მაგრამ მათთან ერთად არის ერთი ნატეხი შავპრიალა ჭურჭლისა გრაფიტით დამუშავებული ზედაპირის ლითონური ბზინვარებით, რაც დამახასიათებელია „გადაჭრილი გორის“ კერამიკისათვის, რომელიც ძვ. წ. III—II ათასეულთა მიჯნისაა. ჭურჭლის დამუშავების ეს ტექნიკა ჩაისახა ურმიის ტბის რაიონში გეოთეფეს [K] — პერიოდის სამოსახლოზე [150, გვ. 43] და ფართოდ გავრცელდა ძვ. წ. III ათასეულის დანარჩენს საუკუნეებში, რასაც მოწმობს ე. ხანზადიანის უხვი მონაპოვარი გარნისში, მახრაბლურზე, ჯრაჰოვიტში და სხვ.[23].

[23] გამოუქვეყნებელი მასალის ჩვენებისა და აღმოჩენის ვითარების დაწვრილებით გაცნობისათვის პატივცემულ ე. ხანზადიანისაგან დიდად დავალებული ვარ და მას მადლობას მოვახსენებ.

მე-8 გორასამარხის აკლდამაში არ აღმოჩენილა ადამიანის ჩონჩხის თუნდაც სულ მცირედი ნაშთი. ასეთივე იყო 1966 წ. გათხრილი მე-6 გორასამარხშიც, მაგრამ რადგან მის ორმოსამარხში არც ინვენტარი იყო, ამიტომ ის შეიძლებოდა მიგვეჩნია დროებით სამარხად იმ პირის გვამისათვის, რომელიც მშენებლობის დამთავრების შემდეგ, გადასვენებული უნდა ყოფილიყო „გადაჭრილი გორის“ აკლდამაში. დროებითი განსასვენებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მე-8 გორასამარხის ხის აკლდამაში, რომელშიაც, როგორც ვნახეთ, ინვენტარიც ჩაუწყვიათ. მაშ რით უნდა ავხსნათ მიცვალებულის ჩონჩხის არარსებობა აკლდამაში? ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ძვლები უკვალოდ დაშალა დრომ და დაჭაობებულმა მიწამ, ან იმით, რომ აკლდამაში დაკრძალული იყო გვამის კრემაციის შემდეგ დარჩენილი ფერფლი, რომელიც, ეგებ, შეუმჩნეველი დარჩა არქეოლოგიური თხრის პროცესში, და, ბოლოს, აკლდამა შეიძლება გაემართათ, როგორც კენოტაფი, სამშობლოს გარეთ გარდაცვლილი და იქვე დასაფლავებული პირის ხსოვნის უკვდავყოფისათვის.

აკლდამაში, რომელსაც, მიუხედავად ჭაობთან სიახლოვისა, საკმაოდ შემოუნახავს ისეთი ნაშთები, როგორიცაა ხის საზიდრის ნაწილები, ბაკანა და ჭილობის ფარდაგები, საეჭვოა რომ უკვალოდ გამქრალიყო ადამიანის ყველა ძვალი. გვამის კრემაციის დამადასტურებელი საბუთებიც არ ყოფილა შენიშნული მიუხედავად იმისა, რომ მათი ძიება ჩვენი ექსპედიციის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ საგანს შეადგენდა, იმის გამო, რომ საჭირო იყო შემოწმება მართალია თუ არა ბ. კუფტინის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც მეზობელი თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხებში დაკრძალული უნდა ყოფილიყო მიცვალებულთა გვამების მხოლოდ ფერფლი [82, გვ. 81]. ბედენისა და თრიალეთის გორასამარხებში სავარაუდებელი დაკრძალვის წესის შესწავლაზე მუშაობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ბ. კუფტინის მოსაზრება ამ საგანზე სავსებით დასაბუთებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

თეორიულად ხელს არაფერს გვიშლის, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ამიერკავკასიის ან, კერძოდ, საქართველოს რომელიმე პროვინციაში ვივარაუდოთ დაკრძალვის კრემაციული წესის არსებობა. ეს იმიტომ, რომ უკვე „მტკვარ-არაქსის კულტურის“ ძეგლები მიუთითებს, თუმცა სპორადულად, მის გამოყენებას. სომხეთის მიწა-წყალზე მას ამოწმებენ ე. ხანზადიანი და სხვა ავტორები [141, გვ. 104; 88, გვ. 168]. საქართველოში მიცვალებულის გვამის დაწვის შემდეგ დარჩენილი ფერფლისა და ძვლის წვრილი ნატეხების დაკრძალვის უძველესი შემთხვევა გვაქვს სამგორის გორასამარხის მუხის აკლდამაში. კრემაციის ბევრი მაგალითია გვიანდელი ბრინჯაოს ხანის აზერბაიჯანში. როგორც გვიანდელი ბრინჯაოს, ისე განვითარებული რკინის ხანის ბრილში გამოკვლეულია საგანგებო საკრემაციო მოედნები [15, გვ. 121; 14, გვ. 190]. ელინისტური და ადრინდელი ფეოდალური ხანის კრემაციული სამარხები ან მთელი სამაროვნებია აფხაზეთში. მაშ რატომ უნდა გამოვრიცხოთ ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასასრულის თეთრი წყაროს რაიონში, ანდა შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთში მიცვალებულთა გვამების კრემაციის წესის არსებობა? ვიმეორებთ, რომ თეორიულად ამისათვის საფუძველი არსებობს, მაგრამ არქეოლოგიური მასალებით არ მტკიცდება ასეთი წესი არც თრიალეთში და არც თეთრი წყაროს რაიონში.

ბ. კუფტინის ერთ-ერთ საბუთს თრიალეთში კრემაციის „ფაქტების“ დასადასტურებლად წარმოადგენს ყრილქვეშა ორმოსამარხების ძირზე ხის ნახშირის ცალკეული ნატეხები, რომლებიც, თითქოს, თან უნდა მოჰყოლოდა გარეთ დამწვარი ადამიანის ძვლებს.

მასალის ასეთნაირი ახსნის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხის ნახშირი სამარხებში იმ კოცონის ნაშთია, რომელსაც მიცვალებულის დაკრძალვის წინ აჩაღებდნენ „ავი სულებისაგან“ აკლდამების გასაწმენდად, და სრულად არ ჩაითვლება კრემაციის მაუწყებლად, თუ მას თან არ ახლავს ადამიანის დამწვარი ნეშტის თუნდაც სულ მცირედი ნამცეცები. მეორე და მესამე საბუთია გორასამარხების ყრილქვეშ „ქვის სახლის“ ტიპის ნაგებობებისა და დასაკრძალავ ორმოებში ხის მძიმე ეტლის (ანუ საზიდრის) და კიდევ სხვა ასეთთა თვლების ანაბეჭდების აღმოჩენა [82, გვ. 81, 83], რომელთა ანალოგები მოხსენებულებია ხეთის გარდაცვლილი მეფისა და დედოფლის დაკრძალვის წესების ტექსტის ნაწყვეტებში, ბოღაზკოეს გათხრებისას თიხის ფირფიტებზე წარწერილი რომ აღმოჩნდა. ბ. კუფტინს მიაჩნია, რომ თრიალეთელი მიცვალებულების გვამს სწვავდნენ გარეთ, დამწვარი ძვლები „ქვის სახლში“, და ორმოში შეჰქონდათ და ათავსებდნენ იქ წინასწარ შეგროვებულ ეტლზე, ვითომც, ეს ხდებოდა ხეთის სამეფოში. ანალოგად მითითებული ხეთური მასალების ძალა, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი სულაც არაფერს არ ამბობენ თრიალეთში კრემაციის არსებობის დასადასტურებლად. ბოღაზკოეს ტექსტში, სხვა მრავალთა შორის მართლაც გვხვდება ცალკე საკრემაციო მოედანიც, მძიმე საზიდარიც, ქვის სახლიც და მეფის ან დედოფლის დამწვარი ფერფლიც და ძვლებიც, მაგრამ არა ყველა ისეთი თანამიმდევრობით, როგორადაც ეს გაგვაცნო ბ. კუფტინმა. მნიშვნელოვანი ისაა, რომ კ. ბიტელის თქმის არ იყოს, ტექსტში საზიდარი „სულაც არავითარ როლს არ ასრულებდა ქვის სახლში გვამის ფერფლის დაკრძალვისა“-ს, მისი მოვალეობა განისაზღვრებოდა გარდაცვალების ადგილიდან საკრემაციო მოედნამდე მეფის ან დედოფლის გვამის გადატანით. ფირფიტები, რომლებზედაც აღწერილი იქნებოდა თვით კრემაციის აქტი, ნაპოვნი არაა. ვიცით, ოღონდ, რომ მეორე დღეს საკრემაციო მოედანზე დამწვარ ნეშტს აგროვებდნენ მოტირალი ქალები და ვერცხლის ჭურჭელში ალაგებდნენ, რის შემდეგად „ქვის სახლში“ ანუ სამარხში შეჰქონდათ და სარეცელზე დგამდნენ. ასე რომ საზიდარი ხეთურ სამეფო სამარხებში, ტექსტის მიხედვით, არ ჩანს და მცირე აზიის არქეოლოგიურ მასალებსაც არ დაუმოწმებია ის ჯერჯერობით. მიუხედავად ამისა, უსაფუძვლო იქნებოდა არ დაგვეშვა თეორიული შესაძლებლობა, რომ ტექსტის დაკარგულ ნაწილში საუბარი ყოფილიყო მდიდრულ „საიქიო“ საჩუქრებში (ოქრო და ვერცხლი არა ერთხელაა ნახსენები) ეტლის ანდა საზიდრის მონაწილეობაზედაც. მაგრამ ასეთი ტექსტი, ან მცირე აზიის სამეფო სამარხებში საზიდარი კიდევაც რომ აღმოჩნდეს, ეს სულაც ვერ შეარყევს მოსაზრებას, რომ სამარხებში ეტლი ანდა საზიდარი არ შეიძლება ყოველთვის მიუთითებდეს კრემაციის ნაშთებს. მსოფლიო არქეოლოგიამ ინჰუმაციურ სამარხებთან დაკავშირებული ბევრი საზიდარი იცის. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ხეთური ტექსტი თრიალეთის მიმართ არაფერსაც არ ამტკიცებს, რადგან თრიალეთში მიკვლეული არ ყოფილა არც საკრემაციო

მოედანი და არც თვითონ კრემაციის ნაშთი დამწვარი ძვლებისა და ფერფლის სახით, რომლებიც ალბათ არც თუ ძნელად შესამჩნევი იქნებოდა გამთხრელთათვის, იმ მხარისათვის დამახასიათებელი ნახშირივით შავ მიწაში. პირიქით, თრიალეთის სამარხებში შემჩნეული ისეთი ფაქტები, როგორიცაა ცალკეულ შემთხვევებში ცუდად შენახული ადამიანის ჩონჩხი (მხოლოდ კბილთა გვირგვინებითაა მეტწილად ჩონჩხის სულ არარსებობა) უფრო იმას მიუთითებს, რომ ჩვეულებრივი ინჰუმაციის წესით დაკრძალული ადამიანების ჩონჩხმა სულ, ან თითქმის ვერ მოაღწია ჩვენს ხანამდე, ვიდრე იმას, რომ იქ კრემაციის წესით იყვნენ დასაფლავებული. ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ჩვენს წინ იყოს კენოტაფიც, ანუ უცხოეთში გარდაცვლილის სახელზე გამართული სასაფლაოც, მაგრამ მისი გამოცნობა ახლა თითქის შეუძლებელია.

რადგანაც თრიალეთის გორასამარხების მსგავსად არც ბედენის მე-8 გორასამარხს მოუცია დამწვარი ძვლები და ფერფლი, ამიტომ შეიძლება ვარაუდი, რომ მისი სახით საქმე გვქონდეს კენოტაფთან, თუმცა ამასთან ერთად, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ოდესღაც იქ მდებარე ჩონჩხი სულ მთლიანად დაშლილიყო.

იმავე წელს მე-8 გორასამარხთან გაითხარა მცირე ყრილი, რომლის დიამეტრი დაახლოებით 5,00 მ უდრიდა (ტ. XLIII—3). ამ ყრილში და მის ქვეშ არაფერი არ აღმოჩენილა. ასეთ ვითარებაში არ შეიძლება გამოირიცხოს ზემოაღნიშნული მცირე ყრილის სოლარული მნიშვნელობა.

გორასამარხი 9. (ტ. XLIII—4—8)

მე-9 გორასამარხი გაითხარა 1970 წ. ზაფხულში. მის ორმოში აღმოჩენილია ნაკაწრი სახეებით შემკული თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც ამ ძეგლს ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მოგვიანო საფეხურით ანუ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებს.

ძველი ძეგლისადმი მეცნიერული ინტერესი ძლიერდება მით უმეტეს, რომ მის ყრილში, ზედ შუა ადგილზე, 0,60 მ სიღრმეზე გამოვლინდა, ალბათ, ოდესღაც ზედაპირზე აღმართული, მაგრამ საფლავის სახურავის ჩანგრევისას წაქცეული და ძირს დაწეული ქვის მოზრდილი ფილა, რომელზედაც ამოკაწვრით გამოსახულია დიდი ჯვარი. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ეს ფილა აღმართათ ადრინდელი ქრისტიანობის ეპოქაში და ნახევარსფეროსებური კოხტა გორა-ყირილი წმინდა ადგილად და სალოცავად გადაქცეულიყო, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ჯვრის გამოსახულება, რომელიც ქრისტიანობამ წარმართული დროის რელიგიური სიმბოლოებიდან შეითვისა, თვითონ სამარხის მშენებელთა ნახელავი იყოს.

გორასამარხ 9-ში აღმოჩენილი ნივთები:

1. ობსიდიანის დაუმუშავებელი ანატკეცები.
2. კერამიკის ნატეხები შავად გამომწვარი, უხეში სქელი კეციანი.
3. კერამიკის ნატეხები შავპრიალა, ნაცრისფერსარჩულიანი, ამოკაწრული ორნამენტით.
4. კერამიკის ნატეხები შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი.

5. კერამიკის ნატეხები შავად გამომწვარი, სადა.
6. ანდეზიტ-ბაზალტის დიდი ფილა, რომელზეც გამოხატულია (ამოკაწვრით) ჯვარი.
7. ძვლის ნაშთი.

გორასამარხი 10. (ტაბ. XLIII—9,10, ტაბ. XLIV—5).

ამ სამარხის ქვებისა და მიწაყრილის ფუძის დიამეტრი 25 მეტრით და სიმაღლე დაახლოებით 2 მეტრით განისაზღვრებოდა. ყრილქვეშ — წვრილი ქვების შემცველ თიხნარ დედაქანში — ამოჭრილი იყო სიგრძით 5, სიგანით 4 და სიღრმით $2^1/_2$ მეტრი ზომის, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი ორმო. მისი ძირი 0,60 მ სისქე ცისფერი აყალოთი მოუგიათ, რომელზედაც დაფენილი უნდა ყოფილიყო ჭილობის ფარდაგები და შავი ქეჩა. ორმოს კედლები ისეთივე აყალოთი შეუღესავთ, ხოლო თავი დაუხურავთ ხის მასალით (ტ. XLIV — 2), რომელიც მუხის ექვს მსხვილ ბოძს ეყრდნობოდა (ტ. XLIV—1).

გათხრის პროცესში გაირკვა, რომ სახურავი ერთ ადგილას ბასრი ცულით ჩაუჭრიათ განძის მაძიებლებს (ტ. XLIV—4), რომლებსაც სამარხის შუა ნაწილი გაუძარცვავთ, მაგრამ ხელი არ უხლიათ გვერდითი ნაწილებისათვის, რადგან ისინი, სწორედ მძარცველთა თვალის ასახვევად, მოხერხებულად შენიღბული დახვედრიათ: ეს გვერდითი ნაწილები სამარხისა ავსებული იყო ისეთივე შედგენილობის და სიმკვრივის მიწით, როგორიც თვით დედაქანია. მძარცველებს ეჭვი არ აღძვრიათ რომ ამ მიწის ქვეშ შეიძლებოდა ყოფილიყო მიცვალებულისთვის გატანებული რომელიმე ნივთი.

რა ნაშთები გამოვლინდა შემნიღბელი მიწით დაფარულ იატაკზე, ან რა დაგვხვდა უკვე ნაძარცვ მოედანზე, ამის შესახებ ქვემოთაა მოთხრობილი.

სამარხის შუა ნაწილში იდგა სახურავის ჩანგრევის დროს დაზიანებული სპილენძის ფირფიტებით შემკობილი ხის დიდი ოთხთვლიანი ეტლი, (ტ. XIV—3,5) რომელზედაც, როგორც იქვე მიმოფანტული ადამიანის ზოგიერთი ძვალი მეტყველებდა (ტაბ. XLV—3—5) დაკრძალული უნდა ყოფილიყო რომელიღაც წარჩინებული პიროვნება. მისთვის ჩატანებული ნივთებიდან იქ აღმოჩნდა ორნამენტით შემკობილი ხის დათიხის ჯამ-ჭურჭელის ნატეხები, რომლებიც საიმედოდ თარიღდება ძვ. წ. III ათასეულის მიწურულით ანდა II ათასეულის დასაწყისით (სურ. 36—38). იქვე იყო სპილენძისაგან ჩამოსხმული ბრტყელი ეჩო და ოდნავ მოშორებით—ნატვიფრორნამენტიანი უმბონების აბჯრის ნაშთი (სურ. 39), ხოლო ურმის ჩრდილო-აღმოსავლეთ თვალთან, გარე მხრიდან, იატაკზე გაიწმინდა ხელ-ფეხმოხრით დაკრძალული ახალგაზრდა კაცის ჩონჩხი, რომელიც მეეტლედ ან მეხრედ გაუყოლებიათ მთავარი მიცვალებულისათვის (ტაბ. XLVI—1,2).

ეტლის თვლებსა და ორმოს გრძივ კედლებს შორის მდებარე, ზემოთ უკვე მოხსენებულ შენიღბულ ფართობებზე, ცალკერძ აღმოჩენილია თიხის სამი დიდი დერგი (ტ. XLVI—3), რომელთაგან ორი შავპრიალაა და წყვილ-წყვილ ყურიანი (XLVI—4 ტ. XLVII—2) (სურ. 40), ხოლო მესამე უყურო, შინდის-



სურ. 36. ხის ჯამი

ფრად მოწერნაქებული და თანაც ბურთივით მრგვალი (სურ. 41). მეორე მხარეზე იყო ხის ორი კოლოფი (ტ. XLVII—3), მათ შორის ერთი ოთხსათავსოდ გაყოფილი, აგრეთვე წვრილი წნელით მოწნული კალათები თუ გოდრები (ტ. XLII—4—6, ტ. XLVIII—1), ხორბლის დიდი გროვა, (ტ. XLVIII—2,3) სხვადასხვანაირ მცენარეთა თესლი, კურკოვანი ხილის ნაშთი და სხვა მისთ.

კალათები ადგილზე არ გაგვიხსნია, ისინი მიწიანად ჩამოტანილია ინსტიტუტში, რათა ლაბორატორიული წესით გაიწმინდოს და გამაგრდეს. ძნელია ახლა ითქვას, თუ რა ნივთებს ინახავდა ეს 3 კალათა, მაგრამ სხვა რომ არაფერი არ აღმოჩნდეს, უკვე ის, რაც მათ ზედა ფენებში მოჩანს — ან, რაც მათ წინ ადგილზევე დავამოწმეთ, თავისთავად მნიშვნელოვან მონაპოვრად ჩაითვლება. ერთ-ერთ კალათაში შენიშნულია რთულ დაზგაზე მოქსოვილი შავი შალის თითქოს მთელი თოფი, მეორეში — უამრავი წვრილი მძივი, ხოლო მესამე, ყველაზე დიდი კალათის წინ აღმოჩენილია უნაზესი, თითქმის აბრეშუმზე უფრო თხელი ქსოვილის უამრავი ნაშთი, ნაირ-ნაირ იოტებთან და მძივებთან ერთად. ამ ქსოვილზე შეიმჩნევა სწორად გადაკეცილი და ფაქიზად გაკერილი ნაწიბური, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს საზაფხულო სამოსელთან, რომელიც მოოჭვილი უნდა ყოფილიყო ფერადი მძივებით, ხევსურული სამოსელის მსგავსად. მას თან ახლავს ჯაისნაღით მოქსოვილი ბაფთა, ეგებ სარტყლად ხმარებული ანდა გულისპირზე დასაკერებელი.



სურ. 37. ხის ჯამი

ჩამოთვლილი არქეოლოგიური ნაპოვნების მეცნიერული მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. მართალია, ზოგი მათგანი იმეორებს იმას, რაც ჩვენმა ექსპედიციამ იმავე ბედენზე წინა წლებში მიაკვლია, მაგრამ უძველესი საზოგადოების ცხოვრების განვითარების კანონზომიერების შესაცნობად სწორედ ერთგვაროვან არქეოლოგიურ ფაქტთა სიხშირე და განმეორებაა აუცილებელი.

ბედენის სამარხებში უკვე მესამედ შეგვხვდა ეტლი (ტაბ. XLIX). თუ ბ. კუფტინისა და ო. ჯაფარიძის მიერ თრიალეთში აღმოჩენილ კიდევ ორ სხვა ეტლსაც გავითვალისწინებთ, შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ ქვემო ქართლის მთიანეთში მოსახლეობა უკვე ამ ხუთი ათასი წლის წინათ ბორბლიანი ტრანსპორტით სარგებლობდა და, მაშასადამე, იყო კეთილმოწყობილი გზებიც. საყურადღებოა, რომ ამ ეტლის სამი თვლის ღერძის იმ ნაწილში, რომელიც გამოდის მორგვის გარეთ, იყო ჩარჭობილი თითო ქინძისთავისებური „მანჭვალი“ (ტაბ. L—LI). სწორედ ამ მონაპოვარმა, როგორც ადრე იყო აღნიშნული, ჩვენი შეხედულება ამ ნივთის ფუნქციაზე შეცვალა.

1966 წ. მე-5 გორასამარხში აღმოჩენილ თითისტართან, კვირისტავთან და ტილოსებური ქსოვილის ნაფლეთებთან ერთად ნაპოვნმა რთული ტექნიკით დამზადებულმა ქსოვილებმა გვაიძულა საველე დღიურში ჩაგვეწერა, შესაძლოა ოდნავ გადაჭარბებული, მაგრამ არსებითად მართებული სტრიქონები, რომ „ბრინჯაოს ხანის შემდეგ საფეიქრო საქმეს დიდი ნაბიჯები აღარ

სურ. 38. ხის ჯამის ფრაგმენტები



სურ. 39. გორასამარხი № 10

გადაუდგამს“. ეს ნაშთები მჭერმეტყველი საბუთია იმისა, რომ ქართველ ტომებს კარგად განვითარებული ჰქონდათ საფეიქრო წარმოება ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მანამ, სანამ მათ ისტორიის მამა ჰეროდოტე შეაქებდა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ახალ ფაქტად გვევლინება ძველი ქართული კულტურის შესწავლაში, ვინაიდან ბედენის გორასამარხების გათხრებამდე ამ დროის ნაქსოვების ნაშთებს ვერ ვიცნობდით.

მე-9 და მე-10 გორასამარხების გათხრამ მნიშვნელოვნად გაადიდა ჩვენი ცოდნა მთის ზონის მეურნეობის შესწავლაში. გაირკვა რომ თუმცა ბედენი სამესაქონლეო ზეგანია, მის მფლობელებს აგრეთვე განვითარებული ჰქონდათ მიწათმოქმედება, მებოსტნეობა და მებაღეობა. ასევე ფასდაუდებელი მასალები დაგვიგროვდა მეტალურგიის, ხელოსნობისა და შინამოსაქმეობის შესასწავლად. საყურადღებო მასალებია იდეოლოგიისა და სოციალური ყოფის ზოგიერთი მხარის შესაცნობად. ორ შემთხვევაში (გორასამარხები № 5 და 10) დადასტურდა წარჩინებულთათვის „საიქიოში“ მსახურების გაყოლების ფაქტი. ეს ნიშნავს, რომ ძველი ბრინჯაოს ხანაში ჩვენში უკვე დაწყებულა გვაროვნული თემის დაშლა, მისგან გვაროვნული არისტოკრატიის

გამოყოფა და წარჩინებულ პირთათვის იმ უფლების მინიჭება, რომ მათ სიკვდილის შემდეგაც გვერდით ჰყოლოდათ მომსახურე პერსონალი.

ყოველივე ამის გვერდით, ბედენის არქეოლოგიურ მონაპოვარს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული კულტურის უწყვეტი განვითარების დასადგენად. ის ერთმანეთთან აკავშირებს ძვ. წ. III ათასწლეულის დამდეგის და II ათასწლეულის კარგად ცნობილ „მტკვარ-არაქსისა“ და „თრიალეთის“ კულტურებს და უწყვეტ ძაფზე აგებს ბრინჯაოს ხანის მთელ სიგრძეზე მოპოვებულ ახალ-ახალ ტექნიკურ და სოციალურ მონაპოვრებს.



სურ. 40. გორასამარხი 10. თიხის ჭურჭელი

გორასამარხ 10-ში აღმოჩენილი ნივთები:

1. კერამიკის ნატეხები ლითონური სიპრიალის, თხელკეციანი, შავად გამომწვარი
2. კერამიკის ნატეხები ლითონური სიპრიალის, თხელკეციანი, შავად გამომწვარი
3. კერამიკის ნატეხები ლითონური სიპრიალის, თხელკეციანი, შავად გამომწვარი
4. კერამიკის ნატეხები ლითონური სიპრიალის, თხელკეციანი, შავად გამომწვარი
5. კერამიკის ნატეხები ლითონური სიპრიალის, თხელკეციანი, შავად გამომწვარი



სურ. 41. გორასამარხი № 10. წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი

6. კერამიკის ნატეხები ლითონური სიპრიალის, თხელკეციანი, შავად გამომწვარი

7. კერამიკული ჭურჭლის ყური ლითონური სიპრიალის, შავად გამომწვარი

8. კერამიკის ნატეხები ლითონური სიპრიალის, შავად გამომწვარი, თხელკეციანი

9. ჰილოფის ნაშთი

10. დამწვარი ძვლის ნაშთები

11. დამწვარი ძვლის ნაშთები

12. წნულის ნაშთი

13. ძვლის ნაშთები

14. ძვლის ნაწილი

15. ქსოვილის ნაშთი

16. თიხის ჭურჭელი მცირე ზომის, ბიკონუსური. ლითონური სიპრიალის. ამკობს მრგვალი ფოსო, დაშლილია, აკლია ყური

17. თიხის ჭურჭელი ორყურიანი. შავპრიალა. მხრებზე კოპები უვლის

18. თიხის ორყურიანი დერგის ნატეხები

19. თიხის ორყურიანი დერგის ნატეხები

20. ქოთანი წითლად გამომწვარი და შვინდისფრად ანგობირებული. მრგვალძირიანი, უყურო, ბირთვისებური

21. ხის კოლოფები, ორი ცალი. ერთი მათგანი ოთხგანყოფილებიანია. ორივე კოლოფს ახლავს მორგებული ხუფები (დაშლილია)

22. წვრილი წნელისაგან მოწნული კალათი, რომელშიც ძევს შალის ქსოვილი

23. ორმაგი ლასტისებური წნული (კალთა). მის კედლებს შორის მოჩანს უამრავი იოტა (პასტისებური მასის), აგრეთვე მცენარეული ნაყოფიერების თესლები თუ კურკები

24. წნულის (კალათების) ნაგლეჯები, რომლებშიცაა ყაისნაღით ნაქსოვი „ფოჩი“, დაზგაზე რთულად ნაქსოვი ნაშთები, მცენარეთა ნაყოფიერების კურკები (თესლები), მცენარის ფოთლები და სხვ.

25. ვერცხლის (?) მილაკის ჟანგი

26. ადამიანის ხელის ფალანგები

27. ლულოვანი ძვლების ნატეხები

28. კალათა

29. „მეურმის“ ჩონჩხი

30. სპილენძის სამი ნივთი, დისკოსებურთავიანი და ბრტყელყუნწიანი

31. ურმის აღმოსავლეთი ღერძის ბოლოების ნატეხები და რიკები

32. ურმის დასავლეთ ღერძზე ბორბალთან (შიდა მხარეზე) გადებული გარეწანა (გახვრეტილია)

33. ხორბლის ნაშთები მიწასთან ერთად

34. ქეჩის ნაჭრები

35. ბორდოსფერი (მუქი შინდისფერი), ნაცრისფერი და თეთრი ნაზი ქსოვილების ნაშთები უამრავ უწვრილეს იოტებთან და ტალკის (?) ორ კვადრატულ შემკრებ მძივთან ერთად.

მენკალისის გორასამარხი 11. (ტ. LII—LV)

თეთრი წყაროდან წალკისაკენ მიმავალი გზის ხელმარცხნივ ბედენის მთის ძირას, სოფელ მენკალისთან დიდი ხანია შენიშნული გვქონდა ორი მცირე ბორცვი, რომელთა ხელოვნური წარმოშობა დაკვირვებულ თვალს ძნელად თუ გამოეპარება. ერთი მათგანი მდებარეობს ახლად გაშენებულ, მაგრამ მთლად გაპარტახებული საკოლმეურნეო ვაშლის ხეების ბაღში, სანამ სოფელში შევიდოდეთ ერთი კილომეტრით აქეთ, მეორე კი — თვით სოფელში, მის დასავლეთ განაპირას.

1971 წ. თეთრი წყაროს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გადაწყვიტა ამ ორი ბორცვიდან პირველის გათხრა და გამოკვლევა. გაძარცული რომ უნდა ყოფილიყო, ამას მეტყველებდა მისი კრატერისებრ ჩაზნექილი შუაგული (სურ. 42). მიუხედავად ამგვარი რწმენისა, ექსპედიციამ ძეგლის გათხრა მაინც გადაწყვიტა, ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უკვე სავსებით საფუძვლიანმა ინტერესმა გაგვეგო ბედენის მთის ძირის გორასამარხთა გაჩენის დრო და ხასიათი, მას შემდეგ, რაც წინა წლების გათხრების მიხედვით

მიახლოვებით უკვე გარკვეული გვქონდა აღნიშნული საკითხები იმავე მთის შუა და ზედა ზონის გორასამარხების მიმართ.

მენკალისის გორასამარხი, რომელიც რიცხვით მეთერთმეტეა რაიონში გათხრილ ამ ტიპის ძეგლთა შორის, წარმოადგენდა მიწისა და ქვების ნარევის ყრილს, რომლის სიმაღლე აღწევდა თითქმის 2,00 მეტრს, დიამეტრი — აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 24,00 მ, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე — 22,00 მ. მაშასადამე, ეს იყო საშუალო ზომის ძეგლი, რომლის ქვეშაც, რამდენადაც მახლობლად ამოთხრილმა შურფმა დაგვარწმუნა, უნდა ყოფილიყო საკმაოდ რბილი თიხნარი და ეგების მასში ამოჭრილი დასაკრძალავი დიდი ორმოც.



სურ. 42. გორასამარხი № 11-ის კრატერი

მიკრორელიეფზე გორასამარხის პროფილის შესანარჩუნებლად ექსპედიციამ აირჩია ამ ტიპის ძეგლთა გათხრის ნაცადი მეთოდი, რომელიც ადგილზე მოუშლელად ტოვებს ყრილის მნიშვნელოვან ნაწილს და ამასთან სრულ წარმოდგენას გვიქმნის საკვლევი ძეგლის ხასიათზე. ეს მეთოდი განსაკუთრებით ვარგისია თეთრი წყარო-თრიალეთის მხარეებში, სადაც გორასამარხებში მხოლოდ თითო ძირითადი კამერაა და ჩაშვებული სამარხებიც იშვიათი გამონაკლისია ხოლმე. ძეგლის მოხაზულობა მოუშლელი რჩება იმ შემთხვევა-

შიაც, როცა მკვლევარი კამერაში ჩადის გადახურვის მხრიდან, მაგრამ არ ირკვევა საკითხი თუ როგორაა აგებული ყრილის ფუძე, შემოსდევს თუ არა მას ლოდების წრე და სხვა მისთ. ჩვენს შემთხვევაში კი ყრილის ხასიათი სავსებით ნათლად და სრულად მოჩანს მის გათხრილ ნახევარში მაინც.

ამ წესით ჩვენ მოვხსენით ყრილის მხოლოდ 1/3 ნაწილი, ან ცოტა უფრო მეტი ბორცვის დასავლეთ მხარეზე, ვიდრე ძირითადი სამარხის დასავლეთ კედელს მივაღწევდით (ტ. III—2). ბორცვის თითქმის 2/3 ნაწილი აღმოსავლეთისაკენ პირველყოფილ მდგომარეობაში დარჩა და დასავლეთი მხრიდან ახლოს თუ არ მივიდა კაცი, ვერც შენიშნავს რომ ძეგლი გათხრილია (ტ. LII—1).

ეს სამუშაო და ისიც, რომელიც ბორცვის გარეთ ჩავატარეთ გარემოს დასაზვერავად, შესრულებულია 45 დღის განმავლობაში 1971 წლის ივლის-აგვისტოში.

ბულდოზერით ყრილის მოხსნა ეკონომიურია, მაგრამ თუ სამუშაო დიდი სიფრთხილით არ წარმოებს, შეიძლება ყრილში ბევრი რამ გამოუცნობელი დარჩეს. ჩვენ ვამჯობინებდით ბულდოზერს თხელი ფენები ნელა და ფრთხილად აეთხარა და დაკვირვების შესაძლებლობა მოგვცემოდა. ბულდოზერმა თხრა დაიწყო ძეგლის დასავლეთი ნაპირიდან და ის ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდა შუაგულისაკენ იმ სიღრმეზე, სანამ იგი დავიდოდა ყრილით დამარხული ძველი ნიადაგის ზედაპირზე. მის პარალელურად გორასამარხის ზედაპირის ცენტრალურ ნაწილში, სადაც შენიშნულ იქნა კრატერისებური ორმო, ხელით გასათხრელად მოიზომა 8,00×8,00 მ² ფართობი — ძირითადი თხრილი. ძალიან მტკიცედ შეკრული მიწისა და ქვის ნარევში მუშები ნელა ეშვებოდნენ დაბლა.

აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობის დროს დადგენილ იქნა რამდენიმე არსებითი ფაქტი:

1. მიწისა და ქვების ყრილში, რომლის უდიდესი სისქე ცენტრისაკენ აღწევდა 1,75 მ, ხოლო ნაპირებისაკენ თანდათანობით კლებულობდა, ბლომად იყო შერეული ობსიდიანის დაუმუშავებელი ნატეხები. ასეთი ფაქტი დადასტურებული გვქონდა ბედენის სხვა გორასამარხების ყრილში, ხოლო ჩვენზე უფრო ადრე მსგავსი მოვლენა შენიშნა ბ. კუფტინმა თრიალეთის უძველესი ჯგუფის გორასამარხებში [82, გვ. 121] და ს. მაკალათიამ ტყვიავის ანალოგიურ ძეგლთა მიმართ [31, გვ. 41—42]. ობსიდიანის ნატეხები ბლომად ყოფილა შერეული ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასასრულის ხოვლეს გორასამარხის მიწაყრილშიაც [20], ეს მოვლენა რომ მიცვალებულის დაკრძალვის წესთანაა დაკავშირებული ამას ნალჩიკის სამაროვნის გათხრის შედეგებიც მიუთითებს [78], მაგრამ, თუ სახელდობრ, როგორი რიტუალი სრულდება ობსიდიანის მონაწილეობით, კარგად ცნობილი არაა. ს. მაკალათია ფიქრობს, რომ ასეთი ნატეხებით სახეს იკაწრავდნენ ჭირისუფლები. ისიც გაურკვეველია თუ როდის და რატომ შეწყდა ამნაირი წესი გორასამარხთა კულტურის მატარებელ ტომებს შორის, რამდენადაც მითითება ობსიდიანის ნატეხების აღმოჩენის შემთხვევებზე შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლების გამთხრელებთან უკვე აღარ გვხვდება.

ბულდოზერის ნაკვალევშიც და ცენტრალურ (ძირითად) თხრილებშიც, რომელიც მუშახელით ითხრებოდა, ზედაპირიდან 10—40 სმ ქვემოთ ყრილში შერეული იყო შინაური ცხოველების (მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანის,

აგრეთვე ღორის) ძვლების ნატეხები, კერამიკული ჭურჭლის წვრილი ნატეხები, ხოლო საკუთრივ ძირითად თხრილში აწინდელი ზედაპირიდან თითქმის ნახევარი მეტრის სიღრმეზე შეგვხვდა რკინის ზოდების სამი პატარა ჯგუფი. თიხის ჭურჭლეულის ნატეხებში კეცის რაგვაროვნობის, ზედაპირის დამუშავების და ცალკეული ნაწილების — ყელის პირის და სხვ. ნატეხების მოყვანილობის მიხედვით შეიძლება გამოვიცნოთ სულ სხვადასხვა დროის ნახელავი, დაწყებული ძვ. წ. VI ს., ვიდრე ახ. წ. VIII ს-მდე. აღსანიშნავია, რომ ამ ნატეხებთან ერთად ძირითადი თხრილის სულ ზედა დონეზე აღმოჩენილია ადრინდელი ფეოდალური ხანის ან გვიანდელი ანტიკური ხანის ორგვარი — ღარებიანი და გვერდებაკეცილი კრამიტის ბევრი წვრილი ნატეხი, ხოლო იქვე 0,20—0,30 მ სიღრმეზე ერთმანეთისაგან მოშორებით სამი კარგად გათლილი ქვა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გორასამარხის ზედაპირი მოგვიანო პერიოდში გამოყენებული იყო რომელიღაც შენობისათვის. იყო ეს სამჭედლო, ლითონსადნობი თუ სხვა შენობა არ ირკვევა, რამდენადაც ყრილში არ აღმოჩენილა შენობის დანიშნულების განმსაზღვრელი სხვა ნივთები. ეს კია, რომ შენობა დახურული ყოფილა ქალაქურ წესზე — წითლად შეღებილი კრამიტით.

გვიანდელი ნაშთების აღმოჩენა გორასამარხის ქვაყრილის ზედა ფენაში მოულოდნელი არ ყოფილა.

როცა ძირითადი თხრილის სიღრმემ მიაღწია 1,50—1,60 მ, აქ ჩვენ შეგვხვდა ღორის კბილი და შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკის გაფანტული ნატეხები, ამ დონიდან, ვიდრე 1,80 მ სიღრმემდე, ისინი აქა-იქ კვლავაც თავს იჩენდა. ზოგი მათგანი სადა იყო, ზოგიც სავარცხლისებური სახეებით, ხოლო სხვები კოპებით შემკული (ტ.LIII—1). სულ აღმოჩნდა 15 ნატეხი. ასეთივე კერამიკის ხუთიოდე ნატეხი შენიშნულ იქნა ბულდოზერის ნაკვალევში და გატანილ მიწასა და ქვებში. ჩანდა, რომ ზოგი მათგანი მაინც ერთი და იმავე ჭურჭლის ნაწილები იყო, ჩამსხვრეული და გაფანტული. წინასწარვე ვიტყვით, რომ ზოგიერთი ამ ნატეხთაგანი მიესადაგა უფრო ღრმად (4,00 მ), ძირითად ორმოსამარხებში აღმოჩენილ კერამიკას და ისინი ერთად შეკოწიწდა. ამ გარემოებამ გაამართლა ჩვენი წინასწარი ეჭვი, რომ სამარე გაძარცული იყო. განძის მაძიებლებს, როგორც ჩანს, ჭურჭლეულის ნატეხების რამდენიმე ჯგუფი ზემოთ უსროლიათ და გაუფანტავთ.

ბორცვის ზედაპირიდან 1,75—1,80 მ ქვემოთ ძირითადი თხრილის ფართი შევამცირეთ. ამ დონეზე ჩვენ დავედით ყრილით დამარხულ ძველ ნიადაგზე (რომელიც მუქი მიწისაა) — თხრილის პერიფერიებზე, ხოლო თხრილის ცენტრალურ ნაწილში კვლავ გრძელდებოდა მიწის და ქვის ნაყარი. ცხადი გახდა რომ აქედან იწყებოდა ძველი ორმო — ძირითადი სამარხი. მისი ფართი ამ დონეზე უდრიდა 4,00 (სიგრძე O—W ხაზზე) ×3,50 მ (სიგანე N—S ხაზზე 6,23).

ამ ფართობზე, ისევ 1,75 მ სიღრმეზე ქვაყრილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ახლო გამოჩნდა ქვებისაგან ჩამსხვრეული ადამიანის თავის ქალის წვრილი ნატეხები და უფრო კარგად შემონახული ლულოვანი ძვლები, რომლებიც არეული იყო ქვაყრილის სხვადასხვა დონეზე 10—12 სმ ფარგლებში, მაგრამ მაინც ადვილად გამოსაცნობი იყო გვამის თავდაპირველი მდგომარეობა — კიდურებმოკეცილი დაკრძალვა მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-

დასავლეთ-დასავლეთით (ტ. LIII—5). ჩონჩხის ნაშთებთან არავითარი ნივთი არ ყოფილა.

დაახლოებით იმავე დონეზე, ძველი დამარხული ნიადაგის ზედაპირზე, ჯერ კიდევ გაუწმენდელი ორმო-სამარხის აღმოსავლეთ კედლის პირთან გამოჩნდა წელში მოხრილი ხარის ჩონჩხის ნაწილები. მისი წინა და უკანა კიდურებიც და კისრის მალებიც მიიმართებოდა შვეულად სიღრმეში და, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეშვებოდა ორმოსამარხში (ტ. LIV—1—4).

ხარი თავდაპირველად დაკრძალული უნდა ყოფილიყო ძირითადი სამარხის ხის სახურავის (მორები ?, ძვლები ?) თავზე ისე, რომ ზურგი უნდა დებოდა ნიადაგზე; როცა სამარხის გადახურვა ჩაიშალა, მაშინ მისი ნაწილებიც ორმოში ჩაშვებულა. თუ რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა ხარი, ძნელი გამოსაცნობია. ხარის ჩონჩხი მდებარეობდა ჩაშვებული მიცვალებულის ჩონჩხის დონეზე (დაახლოებით ხარი 10,0 სმ უფრო დაბლა, ვიდრე ადამიანის ჩონჩხი) და გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ისიც მასთან ერთად იყოს დამარხული; მაგრამ შეიძლებოდა ძირითადი მიცვალებულისათვის გატანებული ხარი მისი საფლავის სახურავზე დაეკრძალათ და შემდეგ ყრილქვეშ მოექციათ. ასეთ შემთხვევაში მას არაფერი ექნება საერთო ჩაშვებულ მიცვალებულთან, რომლის ქვეშაც ეს ხარი აღმოჩნდა.

სანამ ორმოსამარხის იატაკზე დავიდოდით, მისგან 20 სმ უფრო მაღლა სამარხის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ, მაგრამ მისგან ოდნავ მოშორებით მთელ სიგანეზე და ნაწილობრივ სამხრეთ კედელთანაც შენიშნულ იქნა 20—30 სმ სიფართის შავი ზოლი ხის წვრილი ნახშირისა და რაღაც ორგანული ნამწვის სახით. მისი სისქე აღწევდა 2—3 სმ. წარმოიშვა ეჭვი, რომ საქმე გვჭონდა მიცვალებულის გვამის კრემაციის ნაშთთან, მაგრამ, მიუხედავად გულმოდგინე დაკვირვებისა, იქ შენიშნული არ ყოფილა არც დამწვარი ძვლისა და არც ფერფლის კვალი. შებოლილ-შეჭვარტლული იყო სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩამსხვრეული თიხის ერთ-ერთი ჭურჭელი, ხოლო შავპრიალა მეორე ჭურჭლის ზოგიერთი ნატეხის ცალკეულ ნაწილზე შეინიშნებოდა მეორადი გამოწვისას მიღებული ღია ვარდისფერი (ტ. LIV—5). ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო ვარდისფრად გამომწვარი ჭურჭლის ღუმელში შებოლვის დროსაც, თუ ჭურჭლის ამა თუ იმ ნაწილს ჰფარავდა რაიმე საგანი.

იატაკს ან კედლებს არ შემოუნახავს ცეცხლის კვალი, ამიტომ ვერ ვიგულისხმებთ, რომ სამარხში ცეცხლი დანთებული იყო თავიდანვე ავი სულებისაგან მისი გაწმენდისათვის. ნამწვავი ფენა იქ წარმოშობილია მას შემდეგ, რაც იატაკი დაფარული იყო, სულ ცოტა, 20 სმ სისქის მიწითა და ქვებით. ამიტომ უცრო მოსალოდნელია, რომ ცეცხლი გააჩაღეს არა ჭირისუფალთ, არამედ მძარცველებმა, რომელთა იქ ყოფნის კვალზე ზემოთაც იყო საუბარი.

იმავე დონეზე, რომელზედაც ახლახან ხსენებული ნამწვი ზოლი, სამარხის ჩრდილო კედლის ახლოს, შეგვხვდა ადამიანის ზედა ყბის მცირე ნატეხი ორი წინა კბილითურთ. ადამიანის ჩონჩხის სხვა რამ ნაშთი არ აღმოჩენილა. უფრო სავარაუდოა, რომ ეს ყბის ნატეხი ჩამოვარდა ჩაშვებული სამარხიდან, როცა ძირითადი ორმოს გადახურვა ჩაიშალა.

ორმოსამარხის აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების ძირას იატაკზე ჩაშლილი იყო 5 საკმაოდ მოზრდილი დერგი და 1 ქილა, გარდა ამისა, ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხიდან ცენტრისაკენ დიაგონალურად მიიმართებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხებისაგან შედგენილი ვიწრო ზოლი; ამ ნატეხების ნაწილი, ახალხან აღნიშნული ჩამსხვრეული ჭურჭლებისაგან განსხვავებით, იატაკზე უფრო მაღლა იყო 15—20 სმ. გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ ისინი ჩაშვებული სამარხიდან იყოს ჩამოყრილი მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრია იმ ტიპის ნატეხი, როგორიც მე-15—16 დონეზე გავიცანით. უფრო მოსალოდნელია, რომ ნატეხები მძარცველებს ეყარათ ზევით.

გარდა კერამიკული მასალისა, ძირითადი სამარხის იატაკზე ან მის ზემოთ იყო მსხვილფეხა რქოსანის კიდურების ძვლები. გათხრის დროისათვის ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არ ყოფილა, ჩანს გადაადგილებულია (ტ. LIII—5, LIV—1—4). ეს არ ითქმის იატაკზე აღმოჩენილი წვრილფეხა რქოსანის ჩონჩხის ნაშთზე, რომლის ნეკნები და კიდურის წყვილი ძვალი ბუნებრივ მდგომარეობაში დაგვხვდა (ტაბ. IV—1)

იატაკის გაწმენდის დროს აღმოჩენილია რამდენიმე წვრილი ნივთი: ა) დათვის კბილი, ბ) კოპებით შემკული ცისფერი პასტის ცილინდრული მძივი (ნატეხებად) და 10 იოტი, გ) სარდიონის 8 წვრილი მძივი, დ) ობსიდიანის მინიატურული დისკო (დიამ. — 5 მმ), ე) ოქროს ასეთივე ზომის გაჭეჭყილი ფუყე მძივი და მეორე ამნაირივე მძივის უმნიშვნელო ნატეხები, ვ) ბრინჯაოს ფირფიტის პაწია ნატეხი და 8) ბრინჯაოს მცირე თავმოტეხილი ოთხწახნაგა ღერო.

გორასამარხის ჩრდილო ნაწილში ყრილის მოხსნისას აღმოჩნდა ჩაშვებული ქვის სამარხი სიგრძით 1,10, სიგანით 0,80 და სიმაღლით 1,65 მ. შიგ ელაგა 2 უთავო ჩონჩხი, კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში, ქვედა კიდურებით აღმოსავლეთისაკენ. არავითარი ინვენტარი სამარხში არ ყოფილა (ტ. LV—3, 4), (სურ. 43).



სურ. 43. გორასამარხი № 11-ში ჩაშვებული ქვისსამარხი

ეს ქვის სამარხი მოგვიანო დროისაა, მაგრამ მისი ხნოვანების ზუსტი განსაზღვრისათვის არავითარი მასალა არ არსებობს.

გორასამარხის გათხრის დაწყების წინ მიმდგომ ფართობზე და ფლატის ნაპირებზე შეგროვილ იქნა ადრეფეოდალური კერამიკის ნატეხები. გორასამარხის ზემოთ მდებარე მეჩხერ ტყეში შენიშნულია გაშიშვლებული ქვის-სამარხები, ისეთივე ტიპის, როგორიც ზემოთ აღწერილი ჩაშვებული სამარხია. ისინი გაუთხრელი დარჩა.

გორასამარხის აღმოსავლეთით, 20 მეტრით უფრო მოშორებით, მინდორზე აქა-იქ შეიმჩნევა ქვების არაერთი მცირე ყრილი და ღრმულები. ისინი შენობების ნანგრევები უნდა იყოს. ერთ-ერთ ყრილთან გავჭერით 1,50 × 5,0 მ ზომის თხრილი. კორდის ფენის ქვემოთ გამოჩენა იწყო შინაური პირუტყვის ძვლებმა და კერამიკის ნატეხებმა, რომლებიც მიეკუთვნება ძვ. წ. VI—V — ახ. წ. VIII—IX სს. აქაა როგორც სუსტად გაპრიალებული ან ხაოიანი მუქი ფერის ნატეხები, ისე ადრეფეოდალური ჩალისფერი კერამიკა, მათ შორის ქვევრების და ყელწიბოიანი დოქების ნატეხები, რომელთა მსგავსი მასალა აღმოჩენილია არმაზის ხევში არაბული მონეტებით დათარიღებულ სამარხებში. თხრილში გაიწმინდა თითქმის სულ დაუზიანებელი, ვარდისფრად გამომწვარი ქვევრი, რომელსაც ეხურა დაბზარული ლითოგრაფიული ქვის სარქველი. ქვევრს ირგვლივ შემოსდევს 20 რელიეფური სარტყელი, ხოლო გადმოშლილ პირზე აზის ხელოსნის ან სახელოსნოს 3 დამღა — ოთხფურცლიანი ვარდული ზედ ჯვრის გამოსახულებით. ქვევრის სიმაღლეა 1,4 მ, ხოლო უდიდესი დიამეტრი 0,85 მ. ის გადატანილია თეთრი წყაროს მუზეუმში.

შეგროვებული მასალა, საცდელ თხრილში აღმოჩენილი კერამიკა და საჭონლის ძვლები სავარაუდოს ხდის, რომ შემდეგ გაშენდა სოფელი. ამ სოფლის კუთვნილი უნდა იყოს ის შენობაც, რომლის ნაშთი, კრამიტის სახურავის ნარჩენების სახით, გამოვლინდა გორასამარხის ძირითად თხრილში. სოფელი ნასოფლარად უნდა ქცეულიყო არაბობის პერიოდში, ვინაიდან უფრო გვიანდელი მასალები აქ აღარ ჩანს. შესაძლოა, ამ სოფლის სასაფლაო მოჩანდეს მეჩხერ ტყეში, ქვის სამარხთა სახით.

წალკისაკენ მიმავალი გზის ხელმარცხნივ მდ. ტორნეს (ასლანკა) და ჭივჭავს შორის, წინა წლებში არა ერთ ადგილას მოგვიგროვებია ადრეფეოდალური ნასოფლარებისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალები. იქაც ვხვდებით ადრინდელ გორასამარხებს, რომლებიც არქეოლოგიურად არ გათხრილა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაყოფიერი მხარე ანტიკურ და ფეოდალურ დროში უხვად დასახლებული ყოფილა. ეს ზოლი მდებარეობს ზღვის დონიდან 1100—1300 მ სიმაღლეზე, რომელიც მევენახეობისათვის დღეს გამოუსადეგარია. ასეთ შემთხვევაში გამოსარკვევია, თუ რას მოასწავებს საღვინე ქვევრების აღმოჩენა ამ მხარეში — არსებობდა მთის ზოლს შეგუებული ყურძნის ჯიში, თუ აქაურ მცხოვრებთ ბარში ჰქონდათ სავენახე ნაკვეთები, ანდა ბარში ყიდულობდნენ ღვინოს, რომელსაც აქ ინახავდნენ? ყოველ შემთხვევაში, სანამ აღნიშნული ფეოდალური ნასოფლარები გაუთხრელი შეუსწავლელია, ჩვენ შეგვიძლია ამ ზოლზედაც გავავრცელოთ ვახუშტისეული ცნობა თრიალეთის შესახებ, რომ იქაური მცხოვრებლები „ტკბილს მოიტანენ ბარიდან, ჩაასხამენ აქ და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“ [25, გვ. 42].

მაგრამ დავუბრუნდეთ ძირითად ძეგლს — გორასამარხს. მისი სამარხის დასავლეთი ნახევარი თითქმის არავითარ ნივთს, გარდა ცხოველთა ძვლებისა და ზემოხსენებული წვრილი მძივებისა, არ შეიცავდა. მხოლოდ აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლის ძირში, როგორც ითქვა, იდგა ჩამსხვრეული დერგები და ქილა. შესაძლოა, რომ განძის მაძიებელთ სწორედ სამარხის დასავლეთი ნახევრის მოხილვა შეძლეს. აღმოსავლეთ და სამხრეთ ზოლში მდგარ ჭურჭლებს გადაადგილება არ ეტყობათ. ძირითად სამარხში აღმოჩენილი ნატეხებისაგან აღდგენილია 4 დერგი, 1 ქილა და კიდევ 1 სხვა ჭურჭლის ქვემო ნახევარი (სურ. 44). კიდევ არის ბევრი ნატეხი, რომლებიც სხვა ჭურჭლებს ეკუთვნის.



სურ. 44. გორასამარხი № 11-ში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი

დერგის გამოკლებით ყველა ჭურჭელი სავსებით ერთნაირი ფერისაა და დამუშავება-გამოწვითაც არ იჩენენ რაიმე არსებით თავისებურებას. ისინი გამოძერწილია ხელით, მეკეცის მორგვის გამოუყენებლად. თიხის ცომს გასამჭლეველებლად ურევია კირქვის, კვარცის და ბაზალტის წვრილი ფხვნილი და ის მოზელილია არც თუ ძლიერ კარგად. კეცის ორივე ზედაპირი მოწერნაქებული, გაპრიალებული ან გადალესილია სათანადო ხელსაწყოთი. გამოწვა ჩატარებულია დამჟანგველ ცეცხლზე ისე, რომ კეცს მთელ სისქეზე მოყავისფრო-მოვარდისფრო ფერი მიუღია, ხოლო შემდეგ გარეთ ზედაპირი შეუბოლავთ და ახლა შავპრიალად ჩაითვლება. სარჩულს შერჩენილი აქვს პირველი გამოწვისას მიღებული ფერი. გამოწვის ხარისხი დაბალია, როგორც ჩანს, ეს პროცესი მიმდინარეობდა დაბალი სიმხურვალის პირობებში, როცა ცეცხლს ვერ მოუსწრია თიხისა და მისი მინარევი მასალების ერთიან მასად შედუღება. ამის გამო კეცი გადანატეხში ხორხოშელაა და ადვილადაც იშლება. კეცის ფერის მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ქილა, რომელიც ვარ-

დისფერია და აქა-იქ მუქი ლაქები აქვს. ისიც არათანაბარი გამოწვის მაჩვენებელია. თითოეული ჭურჭლის აღწერილობა[24] ასეთია:

1. ქილა — ბრტყელძირიანი, თითქმის შვეულკედლებიანი, დაბალყელიანი, სწორპირიანი, უხეშად ნაძერწი და ვარდისფრად გამომწვარი ჭურჭელია, რომლის მცირედ შემსხვილებულ მხრებზე მოჩანს რამდენიმე ფართო და მუქი ლაქა (სურ. 44-3).

მისი სიმაღლეა 37,00 სმ, ძირის დიამეტრი — 15,0; პირისა — 23, მხრებისა — 32,0, ყელის სიმაღლე — 3,0, კეცის სისქე — 1,0 სმ.

აღმოჩენილია კამერის აღმოსავლეთი კედლის ძირთან სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის ახლოს.

2. დერგი (სურ. 44-6) ესაა ხელით ნაძერწი თხელკედლიანი ჭურჭელი, რომელსაც აქვს ვიწრო, ბრტყელი ძირი, კვერცხისებრი ტანი ზომიერად დახრილი მხრებითურთ, თავწაკვეთილი კონუსისებური ყელი, დაგვირგვინებული გარეთ გადმოზნექილი პირითა და მომრგვალებული ბაკოთი. ყელის ძირთან ახლოს, მხრებს შემოუყვება მსუბუქად ამოკაწრული წყვილი ხაზი, რომელთა შორის მოქცეულ ზოლში გამოყვანილია წვეროთი მარჯვნისაკენ მიქცეული ქუსლგამოკვეთილი 13 ისრისწვერი, და ისინი შევსებულია სავარცხლისებრი ირიბი ჰდეებით.

დერგის სიმაღლეა 42,5 სმ, უდიდესი დიამეტრი (მხრებთან) — 38,5, ფსკერის დიამეტრი — 13,5, კეცის სისქე — 9,7 სმ აღმოჩნდა კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

3. დერგი (სურ. 44-5) თითქმის წესიერი ბიკონუსური მოყვანილობისა, ოღონდ დაგვირგვინებული ფართოდ გადაშლილი პირით. ქვედა კონუსი წიბოს გარეშე მდოვრედ უერთდება ზედა კონუსს, რომელსაც ქმნის ძლიერ დაშვებული მხრები და მათგან გამოუცალკევებელი ზემოთკენ თანდათანობით შევიწროებული ყელი.

შებოლვისას ტანის პატარა ნაწილი გაუშავებელი დარჩენილა. ეს დერგი უდიდესია თანმხლებ ჭურჭლებს შორის. მისი სიმაღლეა 53,0 სმ, მუცლის უდიდესი დიამეტრი მხრებთან — 45,0 სმ, ფსკერისა 15,0 სმ, პირისა 25,0 სმ, კეცის სისქე 1,0 სმ.

დერგი ჩამსხვრეული იყო კამერის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, № 5 დერგთან ერთად.

4. დერგი (სურ. 44-4) თითქმის წესიერი კვერცხისებრი მოყვანილობისა, რომელსაც აქვს ბრტყელი ძირი, ფრიად დაბალი ყელი, ზომიერად გადაშლილი პირი და დაბალი მრგვალი კოპების სარტყლით შემკობილი ძლიერ დაშვებული მხრები.

დერგის სიმაღლეა 42,0 სმ, საიდანაც ყელზე მოდის მხოლოდ 3,0 სმ; უდიდესი დიამეტრია 35,0 სმ, ძირისა — 14,0; პირისა — 19,0, კეცის სისქე— 0,5—0,7 სმ.

აღდგენილია იმ ნატეხთა ერთი ჯგუფისაგან, რომელიც მიემართებოდა ზოგადად სამარხის შუა ადგილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხისაკენ. იქიდანვე შეკოწიწდა № 6 ჭურჭლის ქვემო ნახევარი.

5. დერგი (სურ. 44-1) ყველაზე მომცრო მენკალისის გორასამარხის ჭურ-

[24] წინამდებარე აღწერილობის რიგითი ნომრები იმეორებს საველე-სააღრიცხვო წიგნის (დავთრის) ნომრებს.

ჭლებს შორის (სიმაღლე — 25,5 სმ, უდიდესი დმ — 25,0, ძირისა — 9,5 სმ, პირისა — 14,0 სმ). მისი მოყვანილობის ძირითადი ნიშნებია: ბრტყელი ძირი, შუაში შემსხვილებული, თითქმის ბირთვისებრი ტანი, თავწაკვეთილი კონუსის მსგავს შემაღლებულ (7 სმ) და ფართო ყელში (ყელის ძირის დმ — 15,5 სმ; ყელის თავისა — 12,5 სმ) მდოვრედ გარდამავალი დახრილი მხრები და გარეთკენ გადაკეცილი პირი, რომელსაც მომრგვალებული ბაკო აგვირგვინებს. ყელის და მხრების ზღვარზე დერგს შემოსდევს წმინდად ამოკაწრული წყვილი ხაზი, რომელთა შორის მდებარე ზოლს ავსებს სავარცხლის კბილური ირიბი ანაბეჭდები.

ეს დერგი ჩამსხვრეული იყო კამერის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან № 3 დერგთან ერთად.

6. ნატეხები შავპრიალა — ღია ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლისა. გამორჩეულია იმ კერამიკული მასალიდან, რომელიც ვიწრო ზოლის სახით მიემართებოდა სამარხი ორმოს შუა ნაწილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხისაკენ. გამორჩეული ნატეხებისაგან თითქმის სრულად შეკოწიწდა ჭურჭლის ფსკერი (დმ — 14,0 სმ) და კედლები 14,0 სმ სიმაღლეზე. ზოგიერთი სხვა ნატეხი ერთმანეთს მიუდგა, მაგრამ არ მოერგო აღდგენილ ქვემო ნაწილს. უამრავი წვრილი და მსხვილი ნატეხი მიეკუთვნა ერთსა და იმავე ჭურჭელს მხოლოდ თიხის შემადგენლობის, კეცის ფერისა და სისქის მიხედვით. მათი მრავალრიცხოვანობა, აღდგენილი ფსკერის ზომა (დმ — 14,0 სმ) და კედლების გაშლილობა, რომელიც მთელ ცნობილ სიმაღლემდე არ ამჟღავნებს შიგნით გადაზნექის არავითარ ნიშანს, მიუთითებს, რომ ეს ჭურჭელი ერთ-ერთი უდიდესთაგანი უნდა ყოფილიყო იმავე სამარხში აღმოჩენილ დერგებს შორის. აღნიშნული ჭურჭლის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს წყვილი ჰორიზონტალური გრძელი (15,5 სმ), ცილინდრული და სქელი (დმ 5,5 სმ) სახელურები, მიმაგრებული უშუალოდ ფსკერთან, ერთიმეორის პირდაპირ. ისინი ახლა მოგვაგონებს გრძივ ნაპირებჩამოციცქნილ-ჩამომტვრეულ ღარებს, მაგრამ ჩანს, რომ ნაპირები თავის დროზე შეერთებული ყოფილა ერთმანეთთან და, ამგვარად, თითოეულ ყურს ჰქონია გრძელი მილის სახე, ნახვრეტების მცირე დიამეტრი მიუთითებს, რომ ისინი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ბაწრის ან, რაც უფრო სავარაუდოა, წვრილი ჯოხების გასაყრელად, როცა ამას მოითხოვდა სავსე ჭურჭლის გადაადგილება. გარდა გრძელი სახელურებისა, ნატეხებს შორის არის, როგორც ჩანს, ამავე ჭურჭლის კიდევ ორი, მარყუჟისებრი ყური, რომელთაგან თითოეულს აქვს ვიწრო ჰორიზონტალური ნახვრეტი. მარყუჟისებრი ყურები მიძერწილი უნდა ყოფილიყო მცირედ დაქანებულ მხრებზე, რომლის რამდენიმე ნატეხი შემორჩენილია. ჩვენს ხელთაა აგრეთვე ნატეხები, რომლებიც მიუთითებს, რომ ჭურჭლის ძლივს გამოსახული ყელი დაგვირგვინებული იყო მცირედ გადმოკეცილი მომრგვალებულბაკოიანი პირით. ჭურჭლის შემკულობის ნაშთები მიუთითებს ორ სარტყელს მხრებსა და ყელის ძირში, რომელთაგან პირველ სარტყელს შეადგენდა დაბალი, მრგვალი კოპები, მეორეს კი — ორი პარალელური ნაკაწრი და მათი შემაერთებელი მოკლე ირიბი ხაზები (სურ. 44—2), (ტ. LV—5).

თიხას, რომლისგანაც დაუმზადებიათ ეს ჭურჭელი, ბლომად ურევია როგორც წვრილი, ისე მსხვილი ფხვნილი კირისა, ობსიდიანისა და, აგრეთვე,

რომელიღაც მუქი ქვისა. ჭურჭელი გამოძერწილია ხელით. სარჩული მოუწერნაქებელია და ეს ნიშანი განასხვავებს ამაზე წინ აღწერილი დერგებისაგან, კეცის სისქე უდრის 0,8 სმ.

სამწუხაროდ, ამ ჭურჭელს აკლია ნაწილები და ამიტომ მისი ფორმის რაგვაროობა უცნობია, რის გამოც ძნელია მოვუძებნოთ სათანადო ანალოგები. ყურადღებას იპყრობს მისი ყურების (სახელურების) მდებარეობა ფსკერთან ახლო და, აგრეთვე, მათი არაჩვეულებრივი წაგრძელება ჰორიზონტალურ ხაზზე. მსგავს სახელურებს ვერ ვიხსენებთ ცნობილ და გამოქვეყნებულ მასალებში, მაგრამ, როგორც გ. მირცხულავამ გაგვიცხადა, ასეთი სახელურები აქვს მისთვის უცნობი ადგილიდან მომდინარე და აზრებაიჯანის მუზეუმში დაცული ჭურჭლეულის ერთ ჯგუფს.

რაც შეეხება მენკალისის გორასამარხის სხვა დერგებს (№ 2—5), მათი ანალოგები კარგად ცნობილია ამიერკავკასიის შუაბრინჯაოს ხანის კულტურებში, უმეტესად თრიალეთის გორასამარხთა კულტურაში, რომელშიც, გარდა მსგავსი ფორმებისა, ხშირად გვხვდება მენკალისის ჭურჭლებისათვის დამახასიათებელი სავარცხლისებრი და კოპების ორნამენტი [82, გვ. 84, ტაბ. XXIII, XXIV; 43, გვ. 14—15, ტაბ. XVII, XXI, XXII; 43, გვ. 31—32, ტაბ. XX, სურ. 42 და სხვ.]. უხეშად ნაძერწი ჩვენი ქილის (№ 1) პირდაპირი ორეულებია აზერბაიჯანის უბერლოკ-თეფეს სამოსახლოს ქვედა ფენის მასალებში, რომლებსაც ათარიღებენ ძვ. წ. II ათასეულის პირველი ორი საუკუნით, თუმცა ამ სამოსახლოს შუა ფენა რადიონახშირბადის გამოთვლის მეთოდით თარიღდება ძვ. წ. 1340—260 წწ.

თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კულტურასთან მჭიდრო ნათესაობას ამჟღავნებს მენკალისის კერამიკა არა მარტო ჭურჭლის ფორმების, კეცის რაგვარობისა და ორნამენტის შესრულების ტექნიკური ხერხების მიხედვით, არამედ სამკაულის მოტივების მიხედვითაც. ამ მხრივ ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას, რომ, როგორც ჩვენს № 2 დერგზე, XVII გორასამარხის გიდრიაზეც გამოყვანილია ჭუსლგამოკვეთილი ისრისწვერების სურათები, ერთგან მკვეთრკუთხოვანი, ხოლო მეორეგან მომრგვალებული კონტურების მქონე. ისრისწვერების მოტივი ფრიად გავრცელებულია ზურტაკეტის გორასამარხებშიც, მაგრამ აქ ბატონობს მხოლოდ ჭუსლგადაყელილი ისრისწვერების გამოსახულება [43, გვ. 82, 83; სურ. 13, 18, 20], რომელიც შესაძლოა, წარმოადგენს ადრინდელი ბრინჯაოს ხანის თეთრი წყაროს საბრძოლო იარაღის გამოძახილს.

მენკალისის გორასამარხი რომ თრიალეთური კულტურის წრეში შედის, ამას ნათლად მოწმობს ინვენტარი [16]. ერთი მათგანია ოქროს პაწია კილიტი, რომლის ორი ანალოგი აღმოჩნდა თოფქარ მეორეში [86, გვ. 17, ტაბ. XV და XVI], ხოლო მეორეა გამჭვირვალე ობსიდიანის მინიატურული დისკო, ირგვლივ დამუშავებული უნაზესი რეტუშით და, ასევე, საგულდაგულოდ ნახეხგაპრიალებული. ამ ნივთის ანალოგებიც აღმოჩენილია თრიალეთის გორასამარხებში [80, გვ. 17—19, ტაბ. XVI და XX].

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ცისფერი პასტის იოტებზე და სარდიონის მძივებზე, რომლებიც შუა ბრინჯაოს ხანის კულტურის დამახასიათებელია (ბრილის სამაროვნის ქვედა ფენა და სხვ.). არაფერს ვამბობთ აგრეთვე საქართველოს ზოგიერთ სხვა რაიონში (ქასპი, სამხრეთ-ოსეთი და სხვ.) ცნო-

ბილ კერამიკულ მასალებზე, რომლებიც ახლო დგას მენკალისის ჭურჭლეულთან. შევჩერდებით მხოლოდ ბრინჯაოს ოთხწახნაგა ყუნწზე, რომელიც შესაძლოა, ჭინძისთავის ან სხვა სამკაულის ღერო იყოს. მისი შემადგენლობის ქიმიური შემოწმება არ ჩატარებულა, მაგრამ კრიალა ცისფერი პატინის მიხედვით ჩანს, რომ ღერო დამზადებულია კალაუხვი ბრინჯაოსაგან. ლითონის ამგვარი შენადნობი კავკასიაში თავს იჩენს მხოლოდ შუა ბრინჯაოს კულტურაში (მაგ., თრიალეთში, ბრილში და სხვა). ეს შეიძლება კიდევ ერთი დამატებითი საბუთი გახდეს გათხრილი ძეგლის ხნოვანების დასადგენად. ახლა თუ ჩვენ მენკალისის გორასამარხის ინვენტარს შევაპირისპირებთ ბედენის ანალოგიურ ძეგლებში აღმოჩენილ მასალებთან, დავინახავთ, რომ მათ შორის საერთო თითქმის არაფერია. ბედენის ლითონი წარმოდგენილია დარიშხანნარევი სპილენძისგან დამზადებული იარაღ-საჭურვლითა და სამკაულით, მაშინ, როცა მენკალისში, როგორც სავარაუდოა, უკვე ცნობილი ყოფილა ნამდვილი ბრინჯაო; ბედენის კერამიკის დამუშავების ხარისხი, ფორმები და შემკულობა საკმაოდ განსხვავებულია, ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლია კოპებისაგან შედგენილი ირგვლივი სარტყლები, მაგრამ ეს კოპი ბედენში ამოზნექილია ზედაპირზე და „მარგალიტის“ ორნამენტის სახეს იღებს, მაშინ, როცა მენკალისში ისინი დაძერწილია და თანაც „ჭიკარტებს“ მოგვაგონებს. ასე თუ ისე, კოპების მოტივი მაინც აკავშირებს ერთმანეთთან ამ ორი სხვადასხვა დროის ძეგლს, უფრო ნათელი წარმოდგენა ამ საკითხის თაობაზე შეიძლება მოგვცეს ბედენის მთის ძირში არსებული სხვა გორასამარხების გათხრა-გამოკვლევამ.

დაკრძალვის წესები

ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ადამიანს ცხოველებისაგან განასხვავებს ის, რომ ის იარაღის მკეთებელი არსებაა [25], მაგრამ, აგრეთვე საფუძვლიანია გ. ჩაილდის მიერ მოძებნილი განსხვავებაც — არც ერთი ცხოველი, გარდა ადამიანისა, არ მარხავს თავის მოყვასს და არ ანადგურებს უხვ ქონებას დაკრძალვისას. ეს მოსაზრება, ყოველ შემთხვევაში, ძალაშია ადამიანების მიმართ, რომელთაც ქვედა პალეოლითს აქეთ უცხოვრიათ, ე. ი. როცა ფაქტიური მასალებით დადასტურებულია მიცვალებულის გვამის საგანგებოდ დაფვლა და მისთვის საოჯახო ნივთთა ანდა სამკაულის გატანება „სულთა სამეფოში“ სახმარებლად. ამ უკანასკნელი იდეოლოგიისგან, რაც არ უნდა მცდარი იყოს თავის საფუძველში, დავალებულია დამწერლობამდელი კაცობრიობის ისტორია, ვინაიდან უიმისოდ შეუცნობელი დარჩებოდა წინაპართა ყოფა-ცხოვრება და აზროვნების არსებითი მხარეები.

მიცვალებულის გვამის მიბარებას „დიდი დედის“ ანუ დედამიწისათვის თავდაპირველად თუმცა საერთო საფუძველი — სხეულის სიკვდილის შემდეგ სულის უკვდავება — ედო, მაგრამ ერთხელვე შეთვისებული ჩვეულება ადამიანებმა მაშინაც არ მოიშალეს, როცა ამ რწმენაში ამოუვსებელი ბზარი გაჩნდა. საოცარია, რომ თვით ყველაზე მეტად ურწმუნონი მიცვალებულებისათვის აშენებენ ძვირადღირებულ აკლდამებს და სასახლეებს. ის, რაც გამართლებულად შეიძლება ჩაეთვალათ ეგვიპტური პირამიდების მშენებლობის

დროისათვის, მძიმე შრომით შექმნილი დოვლათის განადგურებას მოასწავებს ჩვენი საუკუნის ცივილიზაციის ეპოქაში.

ადამიანები მიცვალებულის გვამის დასამარხად თხრიდნენ ღრმა ორმოებს, ზოგჯერ ქვის ფიცრებით ანდა აგურებით მოპირკეთებულებს, აშენებდნენ მრავალგანყოფილებიან აკლდამებს და სასახლის ტიპის საფლავებს, მიწისქვეშა ლაბირინთებს, გასაოცარ პირამიდებს, დოლმენებს და სხვა მისთანებს. საფლავებში ჩაწყობილი ძვირფასი ინვენტარი იზიდავდა ყველა დროის ქურდბაცაცებს, რომელთაგან დასაცავად სამარხებზე იდებოდა მძიმე ლოდი, შენდებოდა მყარი ნაგებობა ანდა აღიმართებოდა მიწისა და ქვების მეტნაკლებად დიდი გორა. ასეთ ნაგებობებს და ზვინულებს ამავე დროს ხანგრძლივ უნდა შეენახათ დაკრძალული პირის ხსოვნა თანამეტომეთა შორის.

უეჭველად ასეთივე დანიშნულებისა იყო გორასამარხები, რომლებიც თეთრი წყაროს რაიონში გაითხარა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ქვის და მიწის სქელ საფარსაც ვერ დაუცავს მიცვალებულები მძარცველთაგან. ძნელია გადაწყვეტით ითქვას, თუ რამდენად აუნაზღაურდათ იმ მძარცველებს მძიმე „შრომა“, ოქრო-ვერცხლით დატვირთულნი, თუ ხელმოცარულნი ბრუნდებოდნენ უკან. არქეოლოგიური გათხრის შედეგად მოპოვებული მასალები არ იძლევა იმის საბუთს, რომ ვამტკიცოთ ამ გორასამარხებში კეთილშობილი ლითონების დიდი რაოდენობით ოდინდელი არსებობა, მაგრამ მეორე მხრით, ქურდებს ერთხელ მაინც რომ არ შეესრულებინათ საწადელი, ალბათ, აღარ გაიმეორებდნენ დანაშაულს. ასეა თუ ისე, მათი მოქმედების შედეგად სამარხებში წაშლილია ბევრი ის ნიშანი, რომელიც მკვლევარს შეიძლება გამოადგეს ძველი საზოგადოების მატერიალური და სულიერი ყოფის დასადგენად. ამას ისიც ემატება, რომ თვით გაუძარცვავ სამარხებშიც ჩვენს დრომდე ვერ მოაღწია შლადი ნივთიერებისაგან ნაკეთებმა ბევრმა ნივთმა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე უნდა ვცადოთ მიახლოებით მაინც აღვადგინოთ სათანადო დროის ადამიანების ყოფისა და ცხოვრების თუნდაც ზოგიერთი მხარე. თუმცა უპრიანი იქნებოდა, რომ ამგვარი გამოკვლევა ნივთიერი კულტურის ანალიზით წამოგვეწყო, მაგრამ ვინაიდან გორასამარხები მიცვალებულების განსასვენებელი ძეგლებია, ამიტომ შეცდომად არ ჩაითვლება, თუ პირველად დასაკრძალავ ნაგებობებს და დაკრძალვის წესს განვიხილავთ.

როგორც უკვე ითქვა თეთრი წყაროს რაიონში სულ 10 გორასამარხი გაითხარა. მოყვანილობით ყველა ეს ძეგლი დაბალნახევარსფერულია. მათი სიმაღლე მერყეობს 1-დან 6 მეტრამდე, და დიამეტრი 22-დან 80 მეტრამდე. ბევრ შემთხვევაში მათ ზედაპირზე, ცენტრში ან გვერდზე შეინიშნება თითო კრატერისებრი მოზრდილი ორმო, რომელიც ყრილქვეშ მდებარე სამარხის სახურავის ჩაქცევის, ანდა სამარხის გაძარცულობის ნიშანია.

შედგენილობის მიხედვით ყრილები სამ ჯგუფს ქმნიან. პირველი ჯგუფის ყრილი (№№ 1,3) უმთავრესად შედგენილია ქვის ლოდებისაგან და მათთან ერთად მონაწილეობს ცოტაოდენი შავი მიწა; მეორე ჯგუფი თიხებისაა, მაგრამ მათ ქვეშ სამარხის სახურავს და მის გარშემო ძველი ნიადაგის ზედაპირს, თითქოს ჯავშნისებრ, გადაუყვება თხლად ნაყარი ლოდების ფენა (№№ 2,5) (ტ. XXII—3,4) მესამე ჯგუფი ქვისა და მიწის ნარევისაა (№№ 4,6—8,10).

მიცვალებული ერთ შემთხვევაში (№ 7) უშუალოდ ყრილქვეშ, კლდის ზედაპირზე დაუმარხავთ, ალბათ ხის „სახლში“, რომლის ნაშთებმა ჩვენს ეპოქამდე ვერ მოაღწიეს. სხვა შემთხვევებში ძირითად ქანში ამოჭრილია სწორკუთხედისებრი ორმო, დამხრობილი აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ. ზოგი ორმო კლდის მასივშია ჩაშვებული (№№1,3), ზოგს კლდის ღრო-ჩოღრო ზედაპირამდე დაუღწევია (№№ 2-8), სხვები კი მთლად თიხნარშია ამოკვეთილი. ერთ შემთხვევაში (№4) ორმოში ქვის ფიცრებით შედგენილი სამარხი იყო, ორგან კი (№№5, 8) შემონახულია ჩანგრეული მუხის აკლდამა. ერთი სხვა ორმოს ზედა ნაწილი, რამდენადაც ალაგ-ალაგ შერჩენილი ნაშთები მოწმობს (№2), შეუმოსიათ საგანგებოდ შერჩეული კუთხედი ქვებით, რომელთათვის ნაპირის გასწვრივ ნიადაგში ბუდეები ამოუჭრიათ. იმ შემთხვევებში, როცა საფლავის ძირს ღრო-ჩოღრო კლდის ქანამდე დაუღწევია, იატაკი მოუტკეპნ-მოუსწორებიათ მინარევთაგან გულმოდგინედ გაწმენდილი მოთეთრო ან მოცისფრო თიხით (№№ 2 №8). მე-8 საფლავში ცისფერ თიხაზე დაფენილი იყო თელის ან ცაცხვის ლაფნისგან ოსტატურად მოქსოვილი ჭილობი. მე-10 სამარხის იატაკი 0,60 მ სისქის ცისფერი აყალოთი იყო მოგებული, რომელზედაც დაფენილი უნდა ყოფილიყო ჭილობის ფარდაგები და შავი ქეჩა. კედლებიც ასეთივე აყალოთი იყო შელესილი.

სხვა ნიშნებითაც და იატაკის მომზადებითაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდი აკლდამა (№ 5): გარდიგარდმო დაწყობილი ძელებისაგან გაკეთებულ მის იატაკზე გაუფენიათ ჯერ ჭილობი, შემდეგ ქეჩა და როგორც ქეჩის ნაფლეთებზე აღმოჩენილი კლანჭები მოწმობს, ყოველ შემთხვევაში ერთ ადგილას, გაშლილი უნდა ყოფილიყო ვეფხვის ტყავიც, თუ ის ხის სახურავის ჩაქცევისას არ გადმოვარდა სარეცელიდან ან საკაციდან. ჯერ კიდევ ნადარბაზევის დიდი გორასამარხის (№ 2) გათხრის პროცესში შეიძლებოდა გვევარაუდნა, რომ საფლავები გადახურული უნდა ყოფილიყო მუხის მორებით ან ძელებით, რადგან მათ დანახშირებულ ნატეხებს ხშირად ვხვდებოდით ორმოს გრძივი ნაპირების გაყოლებაზე, ძველ ნიადაგზე. ეს კიდევ უფრო ცხადად დამტკიცდა, როცა ბედენის აკლდამის (№ 5) მზრუნველობით ნაკეთები გადახურვის ნაშთები ვნახეთ. ორმოს შუაში გადებულ წყვილ თავხეზე აქეთ-იქეთ დაუწყვიათ შესაბამის სიგრძის მრგვალი ლარტყები, რომლებზედაც დაუფენიათ ორფა ჭილობი, ხოლო ზემოდან დაუგლესიათ წყალგაუმტარი ყვითელი თიხა. ვერ ვიტყვით, რომ ყველა სამარხის სახურავი ასეთი იყო, მაგრამ ხის მასალა რომ მისი ძირითადი ნაწილი იყო, ეს სავსებით უეჭველია. მაგ., მე-10 გორასამარხს ხის სახურავი ჰქონდა, რომელიც მუხის ექვს ბოძს ეყრდნობოდა.

დასაკრძალავად განკუთვნილი ორმოების ზომა მათ ზემოთ აღმართული ყრილის შესაბამისია. ყველაზე უფრო დიდი ორმო მე-5 გორასამარხისაა. მისი თავის სიგრძე-სიგანე 12 და 8 მეტრს უდრის შესაბამისად, ძირისა კი 7,50—5,00 მ. ორმოს სიღრმე 4,00 მეტრია. ყველაზე პატარაა მე-6 ორმო; მისი სიგრძე, სიგანე და სიღრმე შესაბამისად უდრის 2,00×1,50×2,00 მ.

მიცვალებულთა ჩონჩხები თუ მათი მცირე ნაშთები აღმოჩენილია ხუთ სამარხში (№№ 2, 3, 5, 7, 10), დანარჩენებში ძვლის კვალიც კი არ შენახულა. ამიტომ გვამების მდებარეობა ანუ, როგორც იტყვიან, დაკრძალვის „პოზა“ და დამხრობა ყველა შემთხვევაში ვერ გაირკვა. ნადარბაზევის დიდ სამარხში (№ 2) უთავო გვამი მსუბუქად მოხრილ მდგომარეობაში დაუკრძალავთ მარ-

ჯვენა გვერდზე. ზემო ნაწილით (თავით) ის ჩრდილო-დასავლეთისკენ იყო მიქცეული (ტ. XXII—3,4) ბედენის მუხის აკლდამაში (№ 5) მთავარი მიცვალებულის მხოლოდ ძვლის რამდენიმე ნატეხი და ორიოდე კბილი იყო მიმოფანტული სახურავის ჩანგრევისას ან მძარცველთაგან ისე, რომ ეს მასალები ვერ გაგვირკვევენ გვამის პირველად მდებარეობას. ამ საქმეში გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ ურმის, სარეცლისა და საკაცის ნაშთებს, ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ რომ სამივე ეს მოწყობილობა დამზადებული იყო მიცვალებულის დასაკრძალავად. რადგან სარეცლის და საკეცის სიგრძე 1,50 მეტრს არ ჭარბობს (სურ. 45), უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ საგნებზე მხოლოდ მოხრილად მდებარე სრულწლოვანი ადამიანი მოთავსდებოდა. ამასთანავე რაკი ურმის რვილი წვრილი თავით მიქცეული იყო აღმოსავლეთით, ამიტომ ურემზე დასვენებულ მიცვალებულს თავი დასავლეთით უნდა დებოდა. უცნობი რჩება მხოლოდ ის, თუ რომელ გვერდზე მდებარეობდა ის მთავარი მიცვალებული, რომლისთვისაც აუგიათ მუხის აკლდამა. სამაგიეროდ, არ დაგვჭირდა ამ აკლდამაში დაკრძალული ორი სხვა გვა-



სურ. № 45. გორასამარხი 5. ხის საკაცე. სარეცელი

მის მდებარეობის დადგენა რადგან ორივეს ჩონჩხი კარგად იყო შენახული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი დაქვემდებარებულ პირებს — მსახურებს, მონებს ან ოჯახის მეორეხარისხოვან წევრებს — უნდა ეკუთვნოდეთ. ორივე დაუსვენებიათ აკლდამის აღმოსავლეთ ნახევარში, ჩვენგან ჯერ კიდევ გამოურკვეველ სიმბოლურ „კართან“ ახლოს იატაკზე ორივე გვამი მსუბუქად იყო მოკუნტული, ახალგაზრდა ქალი მარჯვენა გვერდზე, ხოლო ყმაწვილი— მარცხენაზე. პირველი დამხრობილი იყო დასავლეთისკენ, მეორის ღავიც იმავე მიმართულებით უნდა ყოფილიყო მიქცეული, მაგრამ სახურავიდან ჩამოცვენილ ხეებსა და მიწას გაუსრესიათ და ოდნავ სამხრეთით გადაუწევიათ.

მე-10 სამარხის ცენტრში იდგა სპილენძის ფირფიტებით შემკული ხის დიდი ოთხთვალა ეტლი, რომელზედაც მიმოფანტული იყო ადამიანის ძვლები. ეტლის გარეთ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ თვალთან (გარედან) იატაკზე იდო ახალგაზრდა კაცის ჩონჩხი, რომელიც ხელფეხმოხრილი, მარჯვენა გვერდზე და თავით დასავლეთისაკენ იყო დაკრძალული („მეურმე“).

ამგვარად, ყველა იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელი ხდება მიცვალებულის გვამის თავდაპირველი მდებარეობის მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით გამოცნობა, ირკვევა, რომ მოკეცილ გვამს ერთ-ერთ გვერდზე ასაფლავებდნენ და თავს დასავლეთისკენ ან ჩრდილო-დასავლეთისკენ მიუქცევდნენ.

სხვა სამარხებში ამ საკითხის დაზუსტებისათვის მასალა არ შენახულა. „ზაალისეულის“ გორასამარხის (№ 3) გათხრებისას ო. ჯაფარიძემ ორმოს სხვადასხვა დონეზე ნახა ბავშვისა და მოზრდილი პირის მიმოფანტული ძვლების ნაშთები. უსახური ნაშთები იყო ბედენის მიწისზედა (№ 7) სამარხშიაც.

ძვლების ნასახიც არ გადარჩენილა №№ 1, 4, 6, 8 და 9 სამარხებში, რომელთაგან ერთის (№ 8) გარდა ყველა გაძარცული უნდა იყოს. ის საკითხი, თუ რას უნდა მიგვანიშნებდეს გაუძარცვავ სამარეში მიცვალებულის ჩონჩხის სრულებით არარსებობა, შეიძლება განვიხილოთ ცოტა ქვემოთ, აქ კი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ სამარხის რა ნაწილში და ან რაზე ასვენებდნენ მთავარ მიცვალებულს.

მე-2 სამარხში ჩონჩხს ეკავა ორმოს კლდოვანი ძირის შუაგული. თიხატკეპნილ იატაკზე მის ქვეშ აღმოჩენილია ჭილობის ანაბეჭდის ნაწყვეტები. შეიძლება დავუშვათ, რომ მიცვალებული დაესვენებინათ ხის სარეცელზე ან, უბრალოდ, ხის ფიცრებზე, მაგრამ მისი კვალი შენიშნული არ ყოფილა ჩონჩხის ნაშთების ქვეშ, მაშინ, როცა ხის საგნების ნალპი ხშირი იყო სამარხის სხვა ნაწილებში, ხოლო ფიცრის მოზრდილი ნაჭერი იდო ცოტა მოშორებით, ინვენტართან ერთად.

მე-5 სამარხში, საბედნიეროდ, უკეთესად შენახულა ხის მასალა. მათ შორისაა როგორც ვიცით, ორნამენტიანი სარეცლის გვერდების მცირე ნატეხები და საკაცის უფრო დიდი ნაწილები. თუმცა განადგურებული ჩონჩხის ნატეხები ამ მოწყობილობებზე არ გვინახავს, მაგრამ უეჭველია, რომ ისინი განკუთვნილი იყვნენ გვამის დასასვენებლად. ასეთივე დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ოთხთვლიანი საზიდარი, რომელზედაც დადებული იქნებოდა საკაცეზე შედგმული სარეცელი.

ურმისა და, ეგებ, სარეცლის ცალი სახელურის ნაშთები აღმოჩენილია მე-8 სამარხშიაც, მაგრამ იქ, როგორც ვფიქრობთ, იმთავითვე არავინ არ უნდა ყოფილიყო დაკრძალული (იხ. ქვემოთ). და ბოლოს, უკვე ნახსენები მე-10 სამარხის ეტლი, რომელზედაც ეტყობა, წარჩინებული პიროვნება ესვენა.

როგორც ბევრ სხვა მხარეში და ქვეყანაში, საკვლევ რაიონშიც წესად იყო მიცვალებულისთვის სხვადასხვა საგნების, ტანსაცმელისა და სურსათ-სანოვაგის გატანება „საიქიოს“ სახმარებლად. ამას გარდა, ბედენის დიდი აკლდამის იატაკზე და, ზოგიერთ შემთხვევაში ხის ჯამებზე, ბლომად ეწყო სახრეები ანუ წნელი. აქაც და მე-2 სამარხის სამხრეთი აღმოსავლეთი ნაწილის იატაკიც შეღებილი იყო წითლად, იქვე აღმოჩენილია ოქროს ნატეხები.

დაკრძალვის წესებთან დაკავშირებული ფაქტების აღნუსხვას რომ მოვრჩეთ საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მე-5 სამარხის იატაკზე ნაპოვნი ვერცხლის 8 მილაკი, შიგ გაყრილი როკიანი ჯოხებითურთ, რომლებიც, შესაძლოა, დასაკრძალავი ბალდაკინის ნაწილები იყოს.

მოტანილი მასალების საფუძველზე აშკარაა, რომ თეთრწყაროელ ჭირისუფალთ ჯეროვნად უზრუნვიათ მიცვალებულების წესიერად დასაბინავებლად. დიდი შრომის ფასად ღირებული სამარხები, მათ თავზე აღმართული მი-

წისა და ქვის ყრილები და უხვი ინვენტარი, ალბათ, მძიმე ტვირთად აწვებოდათ ახლობლებს. მაგრამ, რადგან სულის უკვდავების რწმენა ამას კარნახობდა, ისინიც თაობიდან თაობამდე ერთგულნი იყვნენ ამ ტრადიციის. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე უფრო დიდ აკლდამას, ანდა ორმოს, როგორც წესი, შეესატყვისება ყველაზე უფრო დიდი ყრილი და მდიდრული ინვენტარი. ჩანს, რომ ასეთ სამარხებში დაკრძალულებს საპატიო ადგილი ეკავათ ტომისა და გვარის შიგნით და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ. პირწმინდად გაძარცვის გამო ეს მტკიცედ არ ითქმის „სოფიოსეულის“ სამარხის შესახებ (№ 2). სამაგიეროდ, კარგად საბუთდება ნადარბაზევის და ბედენის ორ მაგალითზე (№№ 2, 5). განსაკუთრებული პატივისცემით და დიდებით სარგებლობდა, ალბათ, ბედენელი მეთაური, რომლის საოცარი საფლავისთვის ადგილიც მოხერხებული უპოვნიათ.

სამარხ-ნაგებობებთან და დაკრძალვის წესებთან დაკავშირებული ფაქტიური მასალების გაცნობიდან ახლა უნდა გადავიდეთ ამ მასალის შედარებითს ანალიზზე, რომელიც დაგვეხმარება საქართველო-კავკასიის თანადროულ ძეგლთა შორის ქვემო ქართლის ზეგნის გორასამარხებისათვის კუთვნილი ადგილის მიჩნევაში.

გორასამარხები ანუ, როგორც მათ ადრე უწოდებდნენ, ყორღანები მიცვალებულთა დასაკრძალავი ნაგებობების ის ტიპია, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ადრინდელი ლითონის ხანიდან დაწყებული, ვიდრე გვიანდელი ფეოდალური ეპოქის გასულამდე. შორეულ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, ისინი უხვადაა მეზობელ სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, ჩაჩნეთ-ინგუშეთში, ჩრდილოეთ ოსეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ყუბანისპირეთში, უკრაინისა და რუსეთის ტრამალებში და ტყე-ველიან ზონაში. მხარეების ამ უბრალო და არასრული ჩამოთვლითაც ცხადი უნდა იყოს, რომ ამ ტიპის ძეგლები არ შეიძლება მხოლოდ ძველი ქართული კულტურის თავისებურებად ჩაითვალოს. თუ ასეთი თავისებურების აღმოჩენას დავისახავთ მიზნად, ეს იქნება ის, რომ საქართველოში და, რამდენადაც ვიცით, მთელს ამიერკავკასიის მიწა-წყალზე არა გვხვდება ბრინჯაოს ხანის დასასრულზე უფრო ახალგაზრდა გორასამარხები, მაშინ, როცა ბევრ სხვა ადგილას ისინი სკვითურ-სარმატულ და, როგორც ითქვა, გაცილებით უფრო გვიანდელ ხანაშიც კეთდებოდა.

საქართველოს მიწა-წყალზე აღმოჩენილი გორასამარხების ზოგადი გაცნობა უმჯობესი იქნებოდა დაწყებული ყოფილიყო თეთრი წყაროს მომიჯნავე წალკის რაიონით, მაგრამ ამ ტიპის ძეგლების განვითარებაში გარკვეული კანონზომიერების დასადგენად, ეგებ, ურიგო არ იყოს ქრონოლოგიური პრინციპი მოვიმარჯვოთ.

ყველაზე უფრო ადრინდელი გორასამარხები გამოკვლეულია ს. მაკალათიას, ე. თაყაიშვილის, ბ. კუფტინისა და ო. ჯაფარიძის მიერ ტყვიავსა (გორის რაიონი) და საჩხერეში. ტყვიავში გათხრილი სამი გორასამარხიდან, რომლებიც მდებარეობდა ერთმანეთის ახლოს [30], ყველა დაბალნახევარსფეროსებრი ბორცვი იყო, და თანაც საკმაოდ მცირე ზომისა. დედამიწის აწინდელი ზედაპირიდან ისინი შემაღლებული იყო 0,40—1,10 მეტრით, ხოლო მათი დიამეტრი მერყეობდა 12,00—21,00 მ შორის. ყრილი რიყის ქვებისაგან შედგეობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში კორდითა და ბუჩქებით შემოსილა.

გათხრის ხელმძღვანელი, სამწუხაროდ, გარკვევით არაფერს გვატყობინებს ყრილქვეშა ორმოების ზომასა და დამხრობაზე. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სხვა მონაცემის მიხედვით ჩანს, რომ მისი ძირი ყველაზე მოზრდილ I გორასამარხშიც კი 1,40 მეტრზე უფრო ღრმად არ ყოფილა ყრილის უმაღლესი წერტილიდან. საყურადღებოა, რომ II და III გორასამარხი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ქვაფენილით, ფაქტი, რომელიც უფრო დიდი მასშტაბით იჩენს თავს საქართველოს შემდეგდროინდელ ამ გორასამარხებში, რომლებიც ჩვენ პირადად მოგვიხილავს (ამაზე იხ. ქვემოთ).

ტყვიავის I ქვაყრილში, ან მის ქვემოთ, აღმოჩენილია მოკუნტულად მარცხენა გვერდზე დაკრძალული 21 ადამიანის ჩონჩხი და აგრეთვე 8 მიცვალებულის ცალკეული ნაწილები. ეს ჩონჩხები თავით მიქცეული იყო ჩრდილო-დასავლეთისაკენ ანდა, უფრო იშვიათად, პირდაპირ დასავლეთისაკენ. ერთ ჩონჩხს გარდა, რომელიც შუა ადგილთან ახლოს იყო დაკრძალული (სამარხი № 1), არც ერთს ინვენტარი არ ჰქონია. ამ ერთს აღმოაჩნდა თიხის ორი ჯამი, კაჟის ყუნწიანი ისრისწვერი და ალბათ, საგზლად ჩადებული ხორცის ნაშთი ცხვრის ძვლის ნატეხების სახით. მონაპოვარ მასალას არქაული იერი აქვს. გამთხრელის მართებული მოსაზრებით, უნდა მიეწეროს ადრინდელი ბრინჯაოს ხანას, რომელსაც ამ ბოლო ხანებამდე „მტკვარ-არაქსის“ ენეოლითს ვუწოდებდით. ასევე ძველი ნაშთები, ისიც მცირერიცხოვანი, ნაპოვნია ყრილის სხვადასხვა უბანზე, სამარხებთან დაუკავშირებლად. გარდა ამ ძალიან ხნიერი მასალებისა, იმავე I ბორცვზე აღმოჩენილია სავსებით ქრისტიანული წესით დაკრძალულ მიცვალებულთა ჩონჩხები და მათივე დროის რამდენიმე ნივთი, მათ შორის არაბული მონეტა (მხოლოდ ერთ სამარხში). ჩანს, რომ ბრინჯაოს ხანაში წარმოქმნილი ბორცვი სასაფლაოდ ჰქონდათ გამოყენებული უკვე გაქრისტიანებულ ტყვიაველებს.

აღნაგობით და არქეოლოგიური მასალის მიხედვით II და III გორასამარხები, მიახლოებით იმავე დროისაა, რომელსაც ეკუთვნის I გორა, მაგრამ დაკრძალვის წესით ისინი რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევიან. თითოეული მათგანის ქვეშ აღმოჩენილია მხოლოდ თითო მოზრდილი ადამიანის ცუდად შენახული ჩონჩხი და II გორასამარხში, ამას გარდა, ბავშვის ორიოდე ძვალი, მოზრდილთან ერთად დაკრძალული. II გორასამარხში მიცვალებულის გვამი დაუკრძალავთ ძირითად ჭანში ამოთხრილ ჭისებრ ორმოში. გვამების თავდაპირველი მდებარეობა ნათლად არ ირკვევა, მაგრამ, როგორც ს. მაკალათიას ნაშრომში გამოქვეყნებული სქემური ჩანახაზების მიხედვით ჩანს, ორივე მოზრდილი დაკრძალული უნდა ყოფილიყო მოკუნტულად, II სამარხში მარჯვენა გვერდზე, ხოლო III-ში მარცხენაზე და თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი, ე. ი. ეს უკანასკნელი სწორედ ან დაახლოებით ისე, როგორც I ბორცვის ძირითად ჩონჩხთა გარკვეული ჯგუფი. II გორასამარხის მიცვალებულს ახლდა მაღალი ცილინდრულყელიანი თიხის „ჩაფი“, ბრინჯაოს ბიპირამიდული სადგისი და პრიმიტიულად ნაკეთები დანა ან სატევრისპირი. III ყორღანში ბავშვის თავის ქალის ქვეშ ნაპოვნია სამი მრგვალი სასაფეთქლე რგოლი, რომელსაც $1^1/_2$ ხვიას უწოდებენ.

ამ ორი ძეგლის ქვაყრილში, სამარხებთან დაუკავშირებლად აღმოჩენილი საგნებიდან, აღსანიშნავია თიხის ზესადგარი, დიაბაზის ლახტისთავი, თიხის ჯამი და, როგორც I გორასამარხშია, კაჟისა და ობსიდიანის იარაღთა ნა-

ტეხები და აგრეთვე დაუმუშავებელი ანატკეცების სერია. შენიშნულ იქნა ერთგან ფერფლი და მეორეგან ნაცრის კვალი.

ტყვიავის გორასამარხთა ტიპის ძეგლები შესწავლილია საჩხერესა და მის მახლობლად სოფ. ქორეთში. ერთი მათგანი გამოიკვლია ე. თაყაიშვილმა. დანარჩენ ოთხს კი სხვადასხვა დროს თხრიდნენ ბ. კუფტინი და ო. ჯაფარიძე. ეს ბორცვები ქვაყრილებია, რომელთა ზომა ტყვიავისას საკმაოდ სჭარბობს. უამრავი სპილენძის ნივთი, თიხის ჭურჭელი და სხვა მასალა, აგრეთვე იქ დაკრძალულთა ბევრი ჩონჩხი თუ მათი ნაშთი ხვდებოდათ ყრილშიც, მის ქვეშ მდებარე ძირითადი ქანის ზედაპირზედაც და ასეთ ქანში ამოკვეთილ ორმოებშიაც. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა შენახულა მიცვალებულთა თავდაპირველი მდებარეობის მაუწყებელი მასალები, მაგრამ, რამდენიმე ბედნიერი ფაქტის წყალობით, თითქოს, ხერხდება დაკრძალვის ზოგიერთი წესის დადგენა. თვითონ საჩხერის ერთ-ერთ უბან „ნაჩერქეზევში“ ო. ჯაფარიძეს ყრილქვეშ უნახავს სწორკუთხედი მოყვანილობის მოზრდილი ორმო (2,90×2,30×2,00 მ), რომელშიაც აღმოჩენილია მარჯვენა გვერდზე მოკუნტულად მდებარე ჩონჩხი. მისივე ცნობით, უფრო ადრე, ბ. კუფტინს იმავე ბორცვზე გაუთხრია თითო მოკუნტულჩონჩხიანი 15 ორმო, რომლებშიაც თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი დედაკაცები უპირატესად მარჯვენა გვერდზე მდებარეობდნენ, მამაკაცები კი — მარცხენაზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. ამათ გარდა, ერთი სამარხი შეიცავდა დედაკაცის და მამაკაცის თითო-თითო ჩონჩხს, რომლებიც დამხრობილი იყო ჩრდილოეთისკენ. საჩხერის აღმოსავლეთ გარეუბანში — „ცარცის გორაზე“ ძირითად ქანში ამოღებულ ორმოებში, აგრეთვე მოკუნტული ჩონჩხები იყო, მეტწილად მარჯვენა გვერდზე დასვენებული, თავით დასავლეთისკენ ან სამხრეთისკენ. ბ. კუფტინის მიერ გათხრილ ქორეთის პირველ გორასამარხში დამოწმებულა მარჯვენა გვერდზე მდებარე ჩონჩხი, ხოლო იქვე, ო. ჯაფარიძის გამოკვლეულ მეორე ბორცვში— ნებისმიერად, სამხრეთ-დასავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ და სხვა მიმართულებით თავმიქცეული სამი ჩონჩხი.

ამ ცნობების მიხედვით გარკვეულია, რომ გორასამარხთადროინდელი საჩხერის რაიონის მოსახლეობას ისევე, როგორც ძველ ტყვიაველებს, განსაკუთრებით იმათ მსგავსად ვინც I გორასამარხში დაიმარხნენ, წესად ჰქონიათ ერთ ქვაყრილში მრავალი გვამის თანმიმდევრული დასაფლავება. უნდა ვიფიქროთ, რომ სულ ადრინდელ მიცვალებულთა საფლავები ძირითად ქანში ამოჭრილი ორმოებია ანდა ისინი გამართული იყო მის ზედაპირზე, ხის მასალით ან კიდევ ქვებით. საფლავებს სანიშნობლად ქვებს დააყრიდნენ და ასე თანდათან იქმნებოდა დიდი ქვაყრილი, რომელშიაც უფრო გვიანდელ მიცვალებულებს უნდა ეპოვათ თავისი ბინა. ამ შემთხვევაში ორმოებში და თვითონ ძირითად ქანზე გათხრილ ჩონჩხებს თან უნდა ახლდეთ ყრილში ნაპოვნ ნივთებზე უფრო ძველი იერის მქონე საგნები; მაგრამ გამთხრელთა ნაშრომები, სამწუხაროდ, არ იძლევა ამისი შემოწმების შესაძლებლობას. მართალია, ო. ჯაფარიძის გამოკვლევაში საჩხერული მონაპოვარი აღწერილია კომპლექსებად, სამარხების ნომრის ჩვენებით, მაგრამ ავტორს საჭიროდ არ მიუჩნევია იმის აღნიშვნა, თუ სად იყო აღმოჩენილი ეს სამარხები — ძირითადი ქანის ორმოში, მის ზედაპირზე თუ თვითონ ყრილში. რაც შეეხება ბ. კუფტინის ზემომითითებულ ორივე ნაშრომს, მათი ავტორი საერთოდაც იშვია-

თად ჩერდება ხოლმე დაკრძალვის წესის „წვრილმანებზე“. ასეა თუ ისე, ამ ნაშრომებში გარკვეულია, რომ როგორც ტყვიავის I გორასამარხი, საჩხერის ყველა ქვაყრილიც ფაქტიურად სასაფლაოა და არა ინდივიდუალური დაკრძალვისთვის განკუთვნილი ნაგებობანი. აქაც მოკუნტული გვამების დასაფლავება ყოფილა წესად, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, თითქოს, ქალები მარჯვენა გვერდზე იმარხებოდნენ, კაცები კი — მარცხენაზე, თუ ეს მოვლენა შემდგომმა აღმოჩენებმაც დაადასტურა, მაშინ მას დიდი მნიშვნელობა უნდა მივცეთ სხვადასხვა დროის კულტურათა მემკვიდრეობის საკითხის გამოკვლევის დროს, ვინაიდან გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამთავროში მამაკაცები მარჯვენა გვერდზე ჩანან დასვენებული, ქალები კი მარცხენაზე; იქ სწორედ ასეთი წესია დამოწმებული. მაგრამ ო. ჯაფარიძის გამოკვლევაში აღწერილი ერთი სამარხი ერთგვარ ეჭვს ძრავს, შეიძლება თუ არა ქალს მივაკუთვნოთ მარჯვენა გვერდზე დაფლული გვამი, რომელსაც თიხის ჭურჭლებთან და ვერცხლის რგოლთან ერთად თან ახლდა ბრინჯაოს ცული და სატევარი! გადაჭრით საპირისპირო აზრის გამოთქმას ჩვენ არ ვაპირებთ, რადგანაც საველე მუშაობის პრაქტიკაში ჩვენც შევხვედრივართ შეიარაღებული მეომარი ქალის ერთ სამარხს, რომელშიაც სამკაულები კიდევ უფრო უხვად აღმოჩნდა. რაც შეეხება გვამების ამა თუ იმ მხრისკენ დამხრობას, ამ საკითხის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტისთვის მასალები ერთობ მწირია. თითქოს ისე ჩანს, რომ მეტ შემთხვევებში დედაკაცები დასავლეთისკენ თავმიქცეულად დაუკრძალავთ, ხოლო მამაკაცები თავით აღმოსავლეთისკენ მიუქცევიათ; მაგრამ, ამასთან ერთად, ნებისმიერი დამხრობის რამდენიმე ფაქტიცაა მითითებული ზემოხსენებულ მკვლევარებთან, ზოგჯერ ერთი და იმავე გორასამარხში.

ამგვარად, აშკარა გახდა, რომ ტყვიავის გორასამარხთა ბევრი ნიშანი: ყრილის ამოყვანა ქვით, ყრილში, ყრილქვეშ და ძირითად ქანში ამოკვეთილ ორმოებში დასაფლავება, მოკუნტული ჩონჩხები მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ნაირ-ნაირი დამხრობა — საჩხერეშიაც მეორდება. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ეს მსგავსება ძეგლთა ამ ორი ჯგუფის იგივეობის დამამტკიცებლად მიგვეჩნია, ვინაიდან საჩხერეში არ მოწმდება მხოლოდ ერთი პიროვნების დასაკრძალავად გამიზნული ქვაყრილები და, ამას გარდა, თუ ტყვიავში მხოლოდ სამ რჩეულს წაუღია „საიმქვეყნო“ საჩუქრის სახით, მართალია ცოტაოდენი ინვენტარი, მაშინ, როდესაც დანარჩენებს სულ არაფერი არ ახლდათ, სამაგიეროდ, ყველა საჩხერელს უზრუნვია უხვი მარაგის შესაქმნელად. ერთი შეხედვით ეს განსხვავება სოციალური ბუნების ჩანს, მაგრამ ტყვიავსა და საჩხერის ძეგლთა ხნოვანების ის განსაზღვრა, რომელიც სადღეისოდ მიღებულია, არ შეიძლება შეუთანხმდეს ამ თვალსაზრისს. ზედმეტად არ ვთვლით, რომ ეს თვალსაზრისი უფრო ნათლად გადმოვცეთ ქვემოთ.

ტყვიავისა და საჩხერის ამ უძველეს გორასამარხთა მკვლევართა აზრით, ორივე ჯგუფი შექმნილია გვაროვნული საზოგადოების არსებობის დროს, როცა თითოეული ასეთი ძეგლი შეიძლებოდა განხილულიყო როგორც საგვარო სასაფლაო. ეს მოსაზრება დასაბუთებულია სათანადო პარალელებით და სავსებით უეჭველია, განსაკუთრებით საჩხერის მიმართ, სადაც მხოლოდ მასიური სასაფლაოებია აღმოჩენილი. მაგრამ ტყვიავში სულ სხვანაირი სურათია: ერთი მხრით, იქაც ასეთივე სასაფლაო (გორასამარხი I) და, მეორე მხრით,

ინდივიდუალური საფლავები (გორასამარხები II და III), ამასთან, როგორც მასიურ სასაფლაოში ადგილმიჩენილ ერთ პიროვნებას, ისე ცალ-ცალკე დაკრძალულ ორ პირს უფლება აქვთ მოპოვებული თან წაიღონ „საიქიოში“, რაღაც ნაწილი საოჯახო თუ საყოფაცხოვრებო საგნებისა, როგორიცაა თიხის ჭურჭელი, შვილდისარი, სატევარი და სამკაული. შეიძლება ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ გვარში რღვევა უკვე იწყება და გვარის უფროსს ემჩნევა სხვა წევრებისგან განკერძოების ტენდენცია. მაგრამ როგორც კი გადავხედავთ ამ საფლავებში აღმოჩენილ მწირ ინვენტარს, ერთი შეხედვით ასე მწყაზრად დალაგებული შეხედულება ფრიად საეჭვო აღმოჩნდება, უმთავრესად საჩხერის ფონზე; საქმე ისაა, რომ ტყვიავში, როგორც ს. მაკალათია გვამცნობს, მართალია, უკვე სცოდნიათ სპილენძის და კალის შერევა, მაგრამ სხვა მხრივ საწარმოო ძალთა განვითარება ერთობ დაბალ დონეზე მოჩანს; ეს ემჩნევა სუსტად გამომწვარ თიხის ჭურჭელსაც და კაჟის საგნებსაც, რომლებიც ძლიერ უხეში ტექნიკითაა დამზადებული; ამასთან ერთად, სამივე გორასამარხში აღმოჩენილი უძველესი ნივთების რიცხვი, დაუმუშავებელი ობსიდიანისა და კაჟის ნატეხებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ორმოცი ცალით განისაზღვრება. სულ სხვანაირი სურათია საჩხერეში, სადაც მეტალურგები კალიან შენადნობებს არ ამზადებენ, მაგრამ დიდის წარმატებით ამუშავებდნენ დარიშხანიანი სპილენძის სხმულებს, იცოდნენ ცვილის მოდელის დაკარგვის წესით ისეთი რთული საგნების ჩამოსხმა და დამუშავება, როგორიცაა T — სებური ქინძისთავები, ყუამილიან ცულთა ნაირ-ნაირი სერიები, სატევრები, შუბისწვერები, ჩანგლები, სატეხი და სხვა; ლითონს გარდა, იქ ნაპოვნია კერამიკული ჭურჭლეულის საკმაოდ დიდი ნაირსახეობა. როცა იმასაც გავიხსენებთ, რომ თითოეული სახის საგანი საჩხერეში აღმოჩენილია ათეულობით, მაშინ სათანადო საზოგადოება წარმოგვიდგება პროგრესის გზაზე, ტყვიაველებთან შედარებით შორს წასულად. მაგრამ ისიც ძალიან კარგად აშკარავდება, რომ ამ საზოგადოების წიაღში ჯერ კიდევ არ ჩანს ცალკეულ წევრთა განკერძოების ტენდენცია. მონაპოვარის ტიპოლოგიურ ანალიზთან ერთად, უთუოდ ეს გარემოებაც ჰქონდა მხედველობაში ო. ჯაფარიძეს, როდესაც სულ ცოტა, ოთხასიოდე წლით მაინც გათიშა ერთმანეთისგან ტყვიავისა და საჩხერის უძველესი მასალები, დაათარიღა რა პირველი ძვ. წ. 2800 წლით, ხოლო მეორე — დროის საკმაოდ გრძელი მონაკვეთით ძვ. წ. 2400 წლიდან დაწყებული ვიდრე ძვ. წ. XIX საუკუნემდე. თუ ამ თარიღებს გავიზიარებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ტყვიავის „განკერძოებული“ საფლავები სულაც არაა გვაროვნული არისტოკრატიის ჩანასახის მაუწყებელი; რადგან ასეთი პროცესი გაპირობებულია საწარმოო ძალების განვითარების დონით, ამიტომ ამნაირი განკერძოება უფრო უნდა მოჩანდეს საჩხერეში და არა ტყვიავში.

ერთი სიტყვით, ეს ისეთი რთული საკითხია, რომ მარტო ამ ორი ადგილის ძეგლთა მიხედვით არ გადაწყდება; საჭიროა კვლავაც ვეძებოთ და მეთოდურად შევისწავლოთ ამგვარი გორასამარხები საქართველოს სხვა კუთხეებში.

დაკრძალვის წესის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით იმ მოვლენას, რომ მე-2 და მე-5 გორასამარხებში დამოწმდა წითელი თიხა და ჟანგმიწა. საგანგებოდ შორიდან მოტანილი წითელი თიხით, როგორც აღვნიშნეთ, ნაგები იყო ნადარბაზევის გორის ყრილის დიდი ნაწილი, ჟანგმიწის ანუ წითე-

ლი ოქრას ბევრი ნატეხი შეგვხვდა სამარხის იატაკის დონეზე და თვით დაკრძალულის ჩონჩხის ნაშთებიც შეღებილი იყო მუქ-წითლად. გადაჭრილი გორის იატაკზეც ხომ უამრავი ეყარა და კარგად შემონახული ორი ჩონჩხიდან ორივეს ძვლები მუქ-წითელი საღებავის კვალს ატარებდა.

საქართველოს არქეოლოგიისათვის ეს იშვიათი ორი ფაქტი ღირსია საგანგებო ყურადღებისა, და ჩვენც მას რამდენიმე სიტყვას ვუძღვნით.

ამ ორი შემთხვევის გარდა ჩვენს მიწა-წყალზე ცნობილია სამარხებში წითელი ან ყვითელი ოქრას აღმოჩენის კიდევ ორი სხვა შემთხვევა. ყვითელი ოქრას ნატეხები პირველად 1929 წ. ა. ლუკინს უნახავს გუდაუთასთან ააგსტის ორმოსამარეში, რომელიც გვიანდელი ბრინჯაოს ხანის კოლხურ კულტურას მიეკუთვნება. 1947 წ. თრიალეთის ექსპედიციამ წითელი ოქრას ნატეხები აღმოაჩინა ს. ხადიკთან, ადრინდელი ბრინჯაოს ხანის გორასამარხში. ნადარბაზევის და ბედენისაგან განსხვავებით, ააგსტისა და ხადიკის მიცვალებულთა ჩონჩხებს საღებავის კვალი არ აჩნდათ; აშკარაა, რომ ჭირისუფლებს ოქრა გვამებზე არ დაუყრიათ, არამედ მხოლოდ საფლავის ძირზე მიმოუფანტავთ.

თუნდაც ამ ოთხი ფაქტის მიხედვით, ჩვენ უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ წითელ ან ყვითელ საღებავებს გარკვეული როლი უთამაშია ბრინჯაოს ხანის საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილის სამგლოვიარო ადათ-წესებში.

ის საკითხი, თუ რა აზრობრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ საღებავს ჭირისუფალნი, ანდა საიდან შემოვიდა ამგვარი ჩვევა საქართველოში, ახლა სისრულით ვერ გადაწყდება, მაგრამ ზოგიერთი სავარაუდო მოსაზრება შეიძლება სხვისიც გავიცნოთ და საკუთარიც.

ე. ტეილორის მიხედვით, იროკეზი, რომლის საფლავშიც საღებავს დებდნენ, „წესიერ მდგომარეობაში“ მივიდოდა „იმ ქვეყანაში“. ბევრი მკვლევარი იზიარებს ვ. გოროდცოვის აზრს, რომლის მიხედვით, წითელ საღებავს პირველყოფილი ადამიანი მიიჩნევდა ცეცხლის სიმბოლოდ, რომელსაც უნდა ენათებინა და ყოველივე არაწმინდისგან გაეწმინდა საფლავი. ასეთი ახსნა ლოგიკურია, მაგრამ მის გვერდით დასაშვებია ვარაუდი, რომ წითელი თიხა სისხლის სიმბოლოდ დაესახათ ძველი დროის ადამიანებს და, რადგან სისხლი სიცოცხლის გარკვეული ნიშანია, ოქრაც უკვდავებასთან იყოს კავშირში. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ, ჭირისუფალთა წარმოდგენით, ეს საღებავი უზრუნველყოფდა გვარიდან სამუდამოდ წასული წევრის სიცოცხლის შემდგომ გაგრძელებას „საიქიოში“. სწორედ ადამიანის უკვდავების რწმენის საფუძველზეა წარმოშობილი გარდაცვლილისთვის სახმარი ნივთების თან გატანების ჩვეულება, და ამიტომ, ბუნებრივია, ვისაც ასეთ საგნებს ატანდნენ, ის უნდა აღეჭურვათ ნივთიერებით, რომელსაც სისხლთან და სიცოცხლესთან ათანაბრებდნენ. მეორე მხრით, უმართებულო არ იქნება თუ საღებავებს, განსაკუთრებით, როცა ისინი სხვა ინვენტართან ერთად გვხვდება საფლავში და არა თვითონ მიცვალებულის გვამზე, წმინდა უტილიტარულ საგნებად ჩავთვლით. ამ შემთხვევაში ისინი, შესაძლოა, მიცვალებულის ამქვეყნიური საქმიანობის მიმანიშნებელ მასალადაც გამოვიყენოთ. მაგალითად, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ქვის ხანაში ადამიანი უხვად ხმარობდა საღებავებს, მათ შორის წითელ და ყვითელ ჟანგმიწასაც, საცხოვრებელი მღვიმეების მოსახატა-

ვად. საქართველოში ამ საღებავით მოხატული ყველაზე უფრო ძველი ძეგლია გუდაბერტყა-ციხია გორის ადრინდელი ლითონის ხანის თიხალესილი სახლის კედლები ქ. გორის ახლოს. წითელ საღებავს უხვად ხმარობდნენ ყველა დროის მეთუნეებიც, და საერთოდ დიდი გამოყენება ჰქონდა პირველყოფილ ხელოვნებაში. ამიტომ, თეორიულად შეუძლებელი არ უნდა იყოს იმის დაშვება, რომ ზოგ შემთხვევაში სამარხებში აღმოჩენილი ოქრა მხატვარ-ფერმწერლებისათვის გატანებულ ძვირფას საჩუქარს წარმოადგენს. ნადარბაზევ-ბედენის გორასამარხებში აღმოჩენილ საღებავებზე ამ ვარაუდს მაინცდამაინც ვერ გავავრცელებთ, რადგან დიდი რაოდენობის ოქრა თვით გვამებისთვის მოუფრქვევიათ, ალბათ, სისხლში მისი „გადასვლის“ მიზნით, მაგრამ ხადიკისა და ააგსტის მიმართ ასეთ დაშვებას შედარებით უფრო მყარი საფუძველი აქვს.

წითელი საღებავის სამარხში ჩაყოლების, ან გვამებზე მოყრის წესი მეტად ძველია; ის წარმოიშვა ქვის ხანაში და განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი ადრინდელი ლითონის ხანის აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთში, უკრაინაში, ჩრდილო კავკასიის ბარში და ზოგ სხვა მხარეში. დიდძალი გამოკვლევებია შესრულებული აღმოსავლეთ ევროპის „შეღებილ-ჩონჩხებიან“ სამარხებთან დაკავშირებით. აღნიშნული წესის ევოლუციის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანი მასალებია აღმოჩენილი ჩრდილო დონეცის აუზში. ისინი საფუძვლიან ცოდნას გვმატებენ სამგლოვიარო წესის შესრულებისას ოქრის გამოყენების თაობაზე ძვ. წ. III და II ათასეულების სიგრძეზე. ეს საღებავი მეტად უხვად მოუხმარიათ ორმოიან გორასამარხთა კულტურის («ямная культура») შემქმნელთ, რამდენადმე შემცირებულა კატაკომბებში და თითქმის სავსებით მივიწყებულა ძელურ სამარხთა კულტურის («срубная культура») დროს. დაახლოებით ასეთივე სურათი მოჩანს ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზედაც ნეოლითიდან მოკიდებული, ვიდრე ბრინჯაოს ხანის დასასრულამდე. ნეოლითურ-ენეოლითური დროის ნალჩიკის საგვარეულო სამაროვანზე არქეოლოგიურად შესწავლილი 121 მიცვალებულის ჩონჩხიდან ძირა ფენებში აღმოჩენილმა 80 ჩონჩხმა შემოინახა წითელი საღებავის ძლიერი კვალი, ხოლო უფრო გვიანდელი ჩონჩხები შეღებილი იყო ნაკლებად. წითელი ოქრის დიდი რაოდენობით გამოყენების გარეშე არ სრულდებოდა[25] დაკრძალვის წესი მაიკოპის კულტურის მატარებელ ტომებში. ამ მინერალით მეტად სქლად იყო შეღებილი მაიკოპის გორასამარხის მთავარ განყოფილებაში დაკრძალული ბელადის ჩონჩხი და საღებავი ბლომად ეყარა საფლავის ძირზეც. უხვად იყო ეს მინერალი სტანიცა კოსტრომსკაიას გორასამარხში, ნოვოსვობოდნაიას დოლმენებში და მათ სინქრონულ სხვა სამარხებში, რომლებიც ძვ. წ. III ათასეულის მეორე ნახევრისა და II ათასეულის დამდეგისაა. შეღებილ ჩონჩხებს და ოქროს ნატეხებს ხშირად ხვდებიან ძვ. წ. II ათასეულის იმ სამარხებში, რომლებსაც ახლა მიაწერენ მაიკოპზე უფრო ახალგაზრდა ჩრდილო კავკასიის კულტურას. ვ. მარკოვინის დაკვირვების მიხედვით, ძეგლებში, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ბარშია დამოწმებული, შესამჩნევია ჩონჩხთა შეღებილობის ხარისხის თანდათანობით

[25] ვერ დავეთანხმებით ვ. მარკოვინს, რომლის მიხედვით წითელი საღებავი უფრო ცოტა რაოდენობით გვხვდება მაიკოპის კულტურის ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე, ვიდრე თვით მაიკოპის გორასამარხში [იხ. 87, გვ. 110]; საბუთად დამოწმებული წყარო [105, გვ. 38] მის სასარგებლოდ არაფერს ამბობს.

შემცირება და, ეპოქის ბოლოს, სრული გაქრობა, ჩრდილო კავკასიის ველის ამ კულტურის თანადროულ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაშიც გათხრილია ოქრას შემცველ სამარხთა არც თუ დიდი რაოდენობა. მათგან ყველაზე უძველესად მიჩნეულია დაღესტანში ყარაბუდახკენტის № 2 სამაროვნის სამი სამარხი, რომლებსაც ძვ. წ. II ათასეულის პირველ ნახევარს მიაკუთვნებენ. ოქრა აღმოჩენილია მიატლის, როგორც იმავე დროის, ისე ძვ. წ. II ათასეულის შუა ხანების გორასამარხთა I და II ტიპში, აგრეთვე იმავე ათასეულის მეორე ნახევრის კატაკომბებში სადგურ მანასთან. გარდა ამისა, წყაროები მიუთითებენ ოქრას შემცველ ცალკეულ ძეგლებს დერბენდთან და საჩაჩნოშიაც, მაგალითად, ხასავიურტში და გინჩისთან. ყველა ეს ძეგლი გამოირჩევა ოქრას მცირე რაოდენობით და მიუთითებს იმ პერიოდს, როცა სამგლოვიარო რიტუალიდან ეს მინერალი თანდათანობით გამოდიოდა. მაშასადამე, დაღესტნის ოქრიანი სამარხები ქრონოლოგიურად თითქმის ზუსტად თანაემთხვევა ჩრდილო კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურას.

რამდენადაც დღეს ცნობილია ძვ. წ. II ათასეულის უწინარესი დაღესტნელი მოსახლეობა სამგლოვიარო წესის შესრულებისას წითელ საღებავს არ ხმარობდა. ამიტომ ბუნებრივია იკითხოს კაცმა, თუ საიდან და როგორ გაჩნდა იქ ეს ჩვეულება ყარაბუდახკენტის № 2 სამაროვნის მოქმედების დროს, სხვა ქვეყნებთან ნორმალური სატომთაშორისო ურთიერთობის საფუძველზე, თუ დაღესტანში რომელიმე ახალი ეთნიკური ტალღის შემოჭრით? რ. მუნჩაევი და კ. სმირნოვი ამ საკითხს ასე გამოკვეთილად არ აყენებენ, მაგრამ ცდილობენ აღნიშნულ სამარხებში დამოწმებული დაკრძალვის წესის ყველა ელემენტის პარალელების მოძებნის გზით გამოარკვიონ აღმოჩენილი კომპლექსების კულტურული კუთვნილების საკითხი. ამ პარალელებს ისინი მაიკოპის და ჩრდილო კავკასიის კულტურებში ხედავენ და ამიტომ თვითონ ყარაბუდახკენტის ძეგლებსაც ჩრდილო კავკასიის კულტურის წრეს მიაკუთვნებენ. მათი აზრით, ყარაბუდახკენტის სამაროვანი წინ უსწრებს და მჭიდროდ უკავშირდება ძვ. წ. II ათასეულის შუა ხანებისა და მეორე ნახევრის ჩრდილო კავკასიურ კულტურას. თუ ეს ასეა, მაშინ ოქრის ხმარების უცხოური წარმომავლობის საკითხიც თავისთავად იხსნება, ვინაიდან ჯერ კიდევ ნალჩიკის საგვარტომო სამაროვანზე დაკრძალულთათვის მოუყრიათ და ეს ჩვეულება მთავარი ქედის ჩრდილოეთით ძვ. წ. II ათასეულის თითქმის ბოლომდე გაგრძელებულა. მაშასადამე, რადგან, ზემოხსენებულ ავტორთა აზრით, საკვლევი დროის დაღესტნის მოსახლეობა ჩრდილოკავკასიური კულტურის მოზიარეა, ამიტომ მიცვალებულის გვამის წითელი საღებავით დაფარვა, ან მისი სიმბოლური ჩატანება სამარხში ადგილობრივ საფუძველზე წარმოქმნილი ჩანს. ეს აზრი გატარებულია აგრეთვე იმავე მკვლევართა სხვა ნაშრომშიც.

მაგრამ საეჭვოა მართალი იყვნენ ავტორები, როცა ისინი ყარაბუდახკენტში დამოწმებული დაკრძალვის წესის შემადგენელი თითქმის ყველა ელემენტის ანალოგს მხოლოდ მთავარი ქედის ჩრდილოეთით ხედავენ და მნიშვნელობას არ ანიჭებენ პარალელებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მხარეებიდან. ამ საკითხს ახლა დაწვრილებით არ შევეხებით, მაგრამ შევნიშნავთ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დაკრძალვის წესის ბევრი ელემენტია, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ჩრდილო კავკასიის ენეოლით-ბრინჯაოს ხანის

ტომთა იდეოლოგიურ წარმოდგენებთან და წეს-ჩვეულებებთან. დიდი ხნის წინათ გამოქვეყნდა ტყვიავის საგვარტომო სასაფლაოს გათხრის შედეგზე ს. მაკალათიას გამოკვლევა, რომლის მიხედვით ვიგებთ, რომ უკვე ძვ. წ. III ათასეულში, ე. ი. ყარაბუდახკენტის ძეგლებზე უფრო ადრე, საქართველოში წესად ყოფილა გვამის ხელ-ფეხმოკეცით, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე დასაფლავება და ნებისმიერი დამხრობა, აგრეთვე, მოზრდილისა და ბავშვის ერთად დაკრძალვა. იმავე დროის, ანდა შესაძლოა კიდევ უფრო ძველ სამაროვანზე სამშვილდესთან ამ ბოლო ხანს გათხრილია ქვებით ძირმოგებული სამარხებიც და წვრილფეხა რქოსანის ძვლების ნაშთებიც. თვითონ რ. მუნჩარევი და კ. სმირნოვიც იხსენიებენ, მაგრამ უყურადღებოდ სტოვებენ, აზერბაიჯანში სტეპანაკერტის № 125 გორასამარხში ენეოლითური ძეგლის ქვეშ წითელი ოქრით შეღებილი ჩონჩხების აღმოჩენის შემთხვევას; ჩვენ უკვე ვიცით და დამატებით ქვემოთაც ვიტყვით, რომ ამით სულაც არ ამოიწურება ოქრამოყრილი სამარხების რაოდენობა მთავარი ქედის სამხრეთით. ამიტომ მართებული არ უნდა იყოს ყარაბუდახკენტში დადასტურებული დაკრძალვის წესის სრული მოწყვეტა ამიერკავკასიის ენეოლით-ბრინჯაოს ხანის კულტურებიდან.

